114
1971

# მნათობი

6

1971

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 47-ე № 6 ივნისი, 1971 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

თენგიზ გოგოლაძე — ტაგი ჩვენი, რომანი . . . . . . 3
ოთარ მამფორია — ისინი ერთი მინა, პოემა . . . . . . 40
იოსებ ზაზაძე — ოდა დაამშვიდობრად . . . . . . 62
დილარ იმერაძე — ლექსები . . . . . . 68
ანზორ ბახბაძე — საბა, ლექსი . . . . . . 71

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ალ დლონი — ბრძოლა და საქმე ლიტერატურის მარტივისთვის . . . . . . 72
კონსტანტინე გამსახურდია — ნაშრომი ბოლოთის კალა . . . . . . 75
დავით თევზაძე — რევაზ ინანიშვილი . . . . . . 80
გიორგი მოსაშვილი — კვლავ „სამი ფიქრი კაკაბოსიძის" ვინაობის
ირგვლივ . . . . . . 88
ჯიბო ლომაძევიშვილი — „და ამბავი საქართველოსი..." . . . . . . 105
თამაზ ჩილაძე — აკრონები ქიმიკე . . . . . . 115
ირაკლ ბაღდავაძე — ჟურნალი „კრიტერი" . . . . . . 118
აკაკი ბაქრაძე — ისტორია და რომანი . . . . . . 130

ფაქტები, მოგონებანი

სამსონ ფირცხალავა — „მოგონებათა ფურცლები" . . . . . . 144

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## წიგნების მიმოხილვა

ა. [illegible] — „[illegible] და თანამედროვეობა" 187

## წერილი რედაქციას

ა. [illegible]შვილი, ლ. [illegible]შვილი — დ. [illegible] სტატიის შესახებ 189

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:
[illegible] ასათიანი, დ. [illegible]შვილი, დ. [illegible]შვილი, მ. ლებანიძე, ნ. დუმბაძე, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ი. [illegible] (პ/მგ. მდივანი), ს. [illegible]შვილი, დ. [illegible]ლაია, მ. [illegible]ძე, თ. ჭილაძე, რ. [illegible], ა. [illegible].

ტექრედაქტორი რ. [illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 99-64-11, პ/მგ. მდივნის — 99-56-18, განყოფილებების — 99-56-15, 99-55-27, 99-64-80.

გადაეცა ასაწყობად 23/IV-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-71 წ., ანაწყობის ზომა 7¼×12, ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16.8, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18.

უე 02071. ტირაჟი 13.440. შეკვ. № 1596.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თენგიზ გოგოლაძე

# ჟამი ჩვენი

## რომანი

### შესავალი

დიდი ხნის წინათ საგანგებოდ შენახულ ნახატს ვეძებდი. იგი ფანქრით იყო შესრულებული და რომელიღაც წიგნში მეგულებოდა. სწორედ ამ სურათის გამო მოვნახე სარდაფში მიგდებული მამაპაპეური ზანდუკი და გადმოვაქოთე ძველისძველი წიგნები.

ერთ წიგნში გაკრეცილი ტალონი ვიპოვე, ომის დროს ასეთი ტალონით ნავთს ვიღებდით ხოლმე. აღარ მახსოვს, როგორ მოხვდა იგი ამ წიგნში, ასე ლამაზად ჩაკეცილი, თითქოს საგანგებოდ შენახული. პატარა ტალონმა დიდი და მძიმე ამბები გამახსენა, გულის ჭრილობა გამიხსნა და დამაღონა.

ნახატს, როგორც იქნა, მივაგენი. გამეხარდა. კარგად შემინახულიყო. გავშალე და დავაცქერდი. მხატვრის წარმოდგენით ოდესმე სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო ის ქუჩა, სადაც მე ვცხოვრობდი ბავშვობასა და ჭაბუკობის პირველ წლებში.

ჩემი ქუჩა გადააკეთეს. მხატვრის ნახატები კი ქაღალდზე დარჩა, ქაღალდზე, რომელიც ნავთის ამ ტალონივით მივიწყებული მქონდა.

ნახატი დავკეცე, ჯიბეში ჩავიდე და ცოტა ხნის მერე საბურთალოსკენ გავწიე, სადაც ოცსართულიან სასტუმროს აშენებდნენ.

გაზაფხულის მზიანი დღე იყო.

გზირთა მოედინდნენ აღმართის ავეჯეები. სწორედ აქედან იწყებოდა ჩემი ქუჩა.

ჩემი!

ვინ დაგიმტკიცა, ალბათ მკითხავთ. მე თვითონ დავიმტკიცე, რადგან ჩემს გულში ცოცხლობს იგი ისეთი, როგორიც მაშინ იყო, როცა ამ ქუჩაზე ოცი წელი გავატარე. მერე აღარც მე შევრჩი ქუჩას და ქუჩამაც ისე იცვალა სახე, ძველის აღარაფერი შერჩენია.

ახლანდელ ქუჩაზე ვერ ვიტყვი ჩემიმეთქი, რადგან ის სულ სხვა არის — დიდი, განიერი, სწორი და ლამაზი. თუმცა ამას უფრო ვესიყვარულები.

გაჭრა ჩემი ქუჩა. ის კი ჩემი საკუთრება არასოდეს ყოფილა. მასზე გავლა-გამოვლისათვის ბაჟი არავისგან არ მიღია, არავის ჩემთვის ნებართვა არ უთხოვია სახლის ასაგებად. არც ინჟინრები და მუშები დამეკითხნენ, როცა პირველად მოვიდნენ და ხრეშითა და ფილით მოასწორეს ქუჩის ერთიბეწო შუაგული. რამდენიმე წლის შემდეგ სხვა ინჟინრები და მუშები გამოჩნდნენ,

გამხმარი ფისი ასფალტით შეცვალეს. ერც ისინი დამყვითხნენ რაიმეს. უფრო ავიან ქუჩას ტროტუარი გაუკეთეს. შევიცერებდი და მახარებდა ქუჩის ფერისცვალება.

ჩემი ბავშვობის წლები გადიოდა და ქუჩაც ნაირსახეობდა, თანდათან კოხტავდებოდა, როგორც მოზარდი გოგონა.

...მაგრამ მაინც ჩემს გონებაში დარჩა ის, მარად სახსოვარი, რასაც ჩემს ეფწოდებ, ვინც არ უნდა სცადოს, ვერ წამართმევს, რადგან ის ჩემია, ჩემი, როგორც გაუმხელელი საიდუმლო.

ჩემი ქუჩის მინადართაგან ბევრი ცოცხალია, ბევრმა სამუდამოდ მოისვენა.

ცოცხალთაგან ბევრს გაახსენდება ჩემი ქუჩა და გულში, ალბათ, ისინიც ამასვე იმეორებენ, ჩემით. ზოგი იტყვის ჩვენით, ვითომ კერძოობაში არ ჩამომართვათ, ქუჩა საზოგადოა. ქუჩა ქვეყნისაა, ქუჩა ქალაქისაა და...

დაე, ასე იყოს. მაგრამ ის ფერები ხომ ჩემია, რაც ამ ქუჩიდან მახსოვს. და მახსოვს ბევრი რამ სანდუკარი, ბევრი მწარე. მაგრამ მოგონებათა ბურუსში იკარგება ბალღამი, რჩება ტკბილმოსაგონარი, შორეული და ამაღლებული. ასეა, როცა წარსულს გადახედავ...

...ვიდექი და შევყურებდი თანამედროვე დიდი ქალაქის ორი განიერი ქუჩის გადაკვეთას. სწრაფად მქროდნენ ავტომანქანები.

ქუჩების გასაყართან ოცსართულიან სასტუმროს აგებდნენ. მეთორმეტე სართული აყვანილი იყო. მშენებლობაზე მუშაობდა ერთი ადამიანი, რომლისთვისაც სამახსოვროდ მიმქონდა ამ ოციოდათი წლის წინათ დახატული ქუჩის სურათი.

მოედანი გადავიარე და მშენებლობას მივადექი...

I.

ჩემი ქუჩა ერთი დიდი გზის მონაკვეთი იყო. ის გზა ჩრდილოეთ კავკასიაში იწყებოდა და თბილისში, მტკვრის ხიდთან თავდებოდა, სანაპიროდან ლარივით სწორდებოდა. გზის ამ ნაწილს ბაღ-ბოსტნიანი სოფლური ეზოების კარმიდამოები აჩენდნენ.

ჩემს ქუჩაზე ყველაზე მაღალი სახლი ორსართულიანი იყო. ქვეშ ხეთიოდეს დაითვლიდით. დაბალი სახლები და ქოხმახები ისე მიეყარ-მოეყარათ, თითქოს დაზარებიათ უბნის წესრიგში მოყვანათ. ვისაც როგორ შეეძლო, ისე აშენებდა, სადაც მოესურვებოდა. ქოხს იქ დგამდა, ოღონდ ქუჩის ხაზზე არ გადმოსულიყო. სულ შენებაში იყო ჩემი ქუჩა. შენდებოდა შეუმჩნევლად, ულაზათოდ. მიშენებულ-მოშენებულ ქოხებში ხალხი ცხოვრობდა. ჰქონდათ საკუთარი ბაღ-ბოსტნები. მზიმზიერეულ ბინას არავინ ითხოვდა. მადა მერე გაედვიძათ. ადრე კი ცხოვრობდნენ იქ, სადაც ბედმა არგუნათ ყოფნა.

ჩემს ქუჩაზე იყვნენ ხაბაზები, მედუქნეები. იყო დაწყებითი და რვაწლიანი სკოლა, საბავშვო ბაღი, ერთი პაწია თეატრი, ბიბლიოთეკა, ნავთის სარდაფი, პურისა და გასტრონომიული მაღაზიები, ძაღლების სანაშენე, საზამთრო ღვინის ფარდული. და იყო უამრავი ფუნდუკი, სადაც ურმებით და ცხენებით ჩამოდიოდნენ და რამდენიმე დღით ბინავდებოდნენ კინტაურები და ფასინაურელები, დუშეთელები და თიანეთელები.

ალბათ ბევრს ახსოვს, სწორედ იქ, სადაც ახლა ოცსართულიანი სასტუმროა წამოჭიმული, სამუხათალოს ყველაზე დიდი ფუნდუკი იყო. ამ ადგილს, როგორც ეტყობა, სტუმრიანობა დაჰყვებია.

იმ დროს რომ იტყოდნენ, ოცსართულიანი სახლიო, ეს საკვირველება იყო და მაშინვე ამერიკის ცათამბჯენები წარმოგვიდგებოდა.

ფუნდუკი მიბრეცილ-მობრეცილი ქოხებით იყო სავსე. დიდ ეზოში ნეხვი და სიმყრალე არ ილეოდა.

ძაღლების სანაშენეში ჯიშიანი ძო-

ფიცები გამოჰყავდათ, იქიდან ერთავად ღნავილი, წკავწკავი და ყეფა ისმოდა.

წვიმა ქუჩას ატალახებდა, გაუვალს ხდიდა. ალაგ-ალაგ ისე დაიტბორებოდა, სოფლის საურმე გზას დაემსგავსებოდა. მერე მზე ტალახს გაახმობდა და ახლა გორახებით იბურცებოდა. ორიოდე მანქანა გაივლიდა და მტვრის კორიანტელს აყენებდა.

მაშინ ნავთქურებს ვხმარობდით. ნავთზე დიდი მოთხოვნილება იყო. ნავთი კი იშვიათად მოჰქონდათ წერტში. მიუხედავად ამისა, სარდაფთან ყოველ დღე უამრავი ხალხი ირეოდა.

როცა ნავთი არ იყო, მენავთე, ერთი გაზინტლული ბერიკაცი, სარდაფის კიბის თავთან იჯდა, კრიალოსანს მარცვლავდა და არავის არ ელაპარაკებოდა.

ნავთი პირველ ხანებში ცხენის საზიდრით მოჰქონდათ, მერე ავტომობილით დაიწყეს ზიდვა.

სანამ ნავთს მოიტანდნენ, სარდაფთან უზარმაზარი რიგი იმართებოდა.

ნავთის რიგი ერთ პატარა შუკაში, ღობის გასწვრივ იწელებოდა.

შუკაში ორიოდე მოსახლე იყო, ხოლო იქით საბურთაო მინდორი იწყებოდა.

მინდორზე ფეხბურთის სათამაშოდ ქალაქიდანაც მოდიოდნენ გუნდები. იმართებოდა მატჩები. ვგრძნობდით, რომ ჩვენში ფეხს იკიდებდა ეს წარმტაცი სპორტული სანახაობა. მატჩებს ბავშვები და ახალგაზრდები ვესწრებოდით. მაშინ ჩვენს უბანში ბევრმა არ იცოდა ბორის პაიჭაძის სახელი, პელე, გარინჩა, მესხი და მეტრეველი დაბადებულები არ იყვნენ... არავინ იცოდა სტენლი მეტიუზის სახელი, მიუხედავად იმისა, რომ საბურთალოზე ყველა ბავშვი ბურთს თამაშობდა.

ნავთის რიგს მთელი იმ უბნის მცხოვრებნი იკავებდნენ. ჰქონდათ თუ არა ჰქონდათ შინ ნავთი, მაინც რაღაც ნავთს სტოვებდნენ გაჭედილ რიგში, ადგილს წინასწარ იზღვევდნენ და მალიმალ აკითხავდნენ. ნავთზე ახლად გაშენებული უბნებიდანაც მოდიოდნენ. ერთ-ერთი ძველი უბანი ახალშენად იყო წოდებული. იქ უფრო მეტი ხალხი ცხოვრობდა, ვიდრე ჩვენს ქუჩაზე. მოცლილები თავად დგებოდნენ რიგში, ხელსაქმეც კი მოჰქონდათ. მოუცლელთაგან ზოგი აგურით იკავებდა რიგს, ზოგი ბიდონით, ვედროთი, კონსერვის კოლოფით... ჩარიგებულ ნივთებს ცარცით ნომრავდნენ.

უნდა გენახათ ის წუთი და ის საათი, როცა ცხენები ჭამაწყვეტით ამოიტანდნენ უზარმაზარ, წითლად შეღებილ კასრს აღმართზე და კიმოთეს სასინკლესთან სულს მოითქვამდნენ. ნავთს აჟრიამებული ბიჭ-ბიჭების ბრბო მოჰყვებოდა.

— ნავთი მოაქვთ, ნავთი! — მთელი ქუჩის გასაგონად გაჰკიოდნენ ისინი.

და როგორც ერთბაშად წამოშლილი ბეღურების გუნდი, ისე მოაწყდებოდა ხალხი ნავთის სარდაფს.

— ჩემი კოლოფი!

- ჩემი აგური!

— აქ ვიდექი, გამიშვი!

იმართებოდა შიწევ-მოწევა, ისმოდა ყაყანი, ლანძღვა-გინება. ყველა იმას ცდილობდა, ამ მოტანაზე მოესწრო ნავთის აღება, თორემ, ვინ იცის, მეორედ როდისღა მოიტანდნენ.

მენავთე შეგუებული იყო აყალმაყალს. სარდაფში რკინის მაგარი ბარიერი ჰქონდა. იყო შემთხვევა, როცა რამდენიმე კაცი ბარიერს გადაევლო. ერთმა მათგანმა ნავთით სავსე აქში მოადინა ტყაპანი... დიდი აურზაურით და ომით იყიდებოდა ნავთი.

მეორე დღეს მენავთე ისევ კიბის თავზე იჯდა უსაქმურად, ისევ მარცვლავდა კრიალოსნის ქარვის თვლებს და არავის არ ელაპარაკებოდა, თითქოს წინა დღეს გამართული აყალმაყალის გამო ერთიანად ყველას ემდურისო. იმ დღესაც მოდიოდნენ ზოგ-ზოგნი, რიგს კვლავ იკავებდნენ, ერთი ვინმე ჩამოივლიდა და ცარცით დანიშნავდა კონსერვის კო-

ლოდებს, ქვებს, დაჭეჭყილ, ძირგამჯრეტილ ვედროებს...

ერთხელ ვილაკამ რიგის დასაკავებლად ძველი სამოვარი მოიტანა. სამოვარმა საუბრის სალერღელი თუშალა რიგში მდგომთ.

ერთმა თქვა, სამოვარში ადუღებულ ჩაის სულ სხვა გემო აქვსო. მეორემ ინატრა, ამ უნაყთობაში კარგი იქნებოდა სამოვარი რომ მქონდესო. მერედა, ნახშირით, შეშით ბერიკაცება და აქვე ისიც დაუმატა, ნავთლედლიდან მოტანა არ უნდათ? თითქოს ნახშირი ბაღდადიდან იყო მოსატანი.

სამოვარს თვალს არ აშორებდნენ. ახლა იმის გამორკვევას შეუდგნენ, ხმარებით დაძველდა თუ უხმარობით. სამოვარს ონკანი არ ჰქონდა, არც საბურავი გააჩნდა. მოღრეცილ და დაჭეჭყილ ფეხებზე ძლივს დააყენა პატრონმა. ძველი იყო, მაგრამ ნავთის რიგში ჩამწკრივებულ ხარახურაში მაინც გამოირჩეოდა. ასე იყო სამი დღე და ღამე. მერე, როცა დაიძახეს ნავთი მოიქვთო, ვილაკამ ფეხი ამოჰკრა სამოვარს და შორს მოისროლა. სამოვარი გამზარული ხმით გაგორდა და შუკის მეორე მხარეს ღობეს მიენარცხა. სწორედ ამ დროს მოვარდა სამოვრის პატრონი, ხელი დასტაცა და აწოჩქოლებულ რიგს მივარდა. სახლოვეს არავინ გაიკარეს, ხელი ჰკრეს და გამოაგდეს, ჩვენ არ ვიცით სად იდექიო. სამოვარი იდგაო, არ დაუჯერეს. ვილაცამ ერთმა პატარა, დაჭანგულმა კონსერვის კოლოფმა დაიკავა რიგი, იმას კი სამოვარმაც ვერ უშველა.

...ნავთი გათავდა. ის სამოვარი კი ისევ რიგში იდგა, სადღაც ქვების, აგურების, კონსერვის კოლოფების შემდეგ. ერთ დროს კი, ვინ იცის, რა სუფრაზე თუხთუხებდა და შეაფერულობდა სავსე, ცხელი და მრავალი.

ახლა სხვები ალამაზებენ სამოვარზე, მოხუცი ადამიანივითაა, თქვა ვილაცამ.

2.

მალე ჩვენს ქუჩასაც მიხედეს: თითქმის ხუთი მეტრის სიგანეზე მოკირწყლეს. აქეთ-იქით ისევ დარჩა მიწა, თხრილი, წუმპე და ტალახი. მაგრამ მაშინ ეს მაინც დიდი საქმე იყო, მანქანები მტვერს ისე აღარ აყენებდნენ.

მიყვარდა წინიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა. ჩვენი სახლის მახლობლად იყო და მისი ხშირი სტუმარი გახლდით. ბიბლიოთეკას ორი დიდი ფანჯარა ჰქონდა. ერთი მათგანი სახლის კუთხეში იყო დატანებული, ზედ ნავთის სარდაფის თავზე. აქედან კარგად ჩანდა ქუჩა და ჩვენი სახლი.

ბიბლიოთეკის პატარა სამკითხველო დარბაზში, სადაც ერთი გრძელი მაგიდა იდგა, ცოტანი ვიყრიდით თავს. ძლიერ მიყვარდა ახალ-ახალი ჟურნალების თვალიერება. ჯერ ამან გამიტაცა. მერე რამდენიმე მკითხველს დავუახლოვდი. საინტერესო ამბებს ჰყვებოდნენ ხოლმე და წესად შემქცა, სადამო ხანს სამკითხველოში ჯდომა.

პენსიონერ მასწავლებელს, ილიკო კალანდს, არა საქმე არა ჰქონდა რა და თითქმის მთელ დღეს ბიბლიოთეკაში ატარებდა; ბიბლიოთეკის გამგეს, ქეთო ქარუხნიშვილს ეხმარებოდა. ბიბლიოთეკა მისთვის მყუდრო სავანე იყო.

— ნავთის სუნი არ გაწუხებთ, ძია ილიკო? — ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა შერმადინ ლიცაბიძე, ჩვენსავით ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი და ილიკოსთან დაახლოებული ყმაწვილკაცი. შერმადინი ჩვენი სახლის პატრონის შვილი იყო და ჩემთან მეგობრობდა, სატრფიალო ლექსებს წერდა. თავიდევე სასიამოვნოდ ამღერებდა ფანდურზე. ლიდია ქეთო არ უშლიდა სიმღერას, როცა სამკითხველოში მხოლოდ ჩვენ — მე, ილიკო მასწავლებელი, შერმადინი და ქეთო ვიყავით. ისეთი საამური, ისეთი თბილი ხმა ჰქონდა, მის მოსმენაზე ილიკოს თვალზე ცრემლი ადგებოდა. სიმღერას რომ დაამთავრებდა, შერმა-

ლენი ახლად დაწერილ ლექსს ამოიღებდა ჯიბიდან, ხმადაბლა წაუკითხავდა ძია ილიკოს და მერე ერთად ასწორებდნენ.

შერმადინი ხანდახან იქვე წერდა რაიმეს. წერდა გამალებით, თითქოს ეშურებოდა, არავინ მომასწროსო. მას კი მთელ ჩვენს ქუჩაზე არავინ უჯობნებოდა არც პოეტობაში, არც ფანდურზე დაკვრა-დამღერებაში. ბადალი და მოცილე არავინ ჰყავდა. სულ სატრფიალო ლექსებს წერდა და მღეროდა. თექვსმეტი წლისა იყო და გული სხვა არაფრის უებნებოდა. მაშინ მე ცამეტისა ვიყავი და ბევრი არაფერი გამეგებოდა მისი სატრფიალო ლირიკისა. მისი სიმღერა კი მიმწონდა.

როცა შერმადინი ბიბლიოთეკაში არ იყო და ვინმე ხმამაღლა წამოილაპარაკებდა, დიდი ქეთო აფრთხილებდა, ჩუმადო. შერმადინს კი სიმღერასაც არ უშლიდა.

მაშინ კი, როცა ცხენები ჭიაჭყვეტით აღმართზე ნავთს ამოიტანდნენ და სარდაფთან შეშტი-კრივი გაიმართებოდა, ბიბლიოთეკაში ვეღარავინ ჩერდებოდა. ხალხის გნიასისგან ფანჯრები ზრიალებდა, ვიღას ახსოვდა, რომ იქვე ბიბლიოთეკა იყო და მკითხველს მყუდროება სჭირდებოდა. შერმადინი ბიბლიოთეკაში თუ იჯდა და წერდა რამეს, ლირიკით გატაცებული ჭაბუკი, თრიმტრიალის მიუხედავად, საქმეს მაინც არ ანებებდა თავს, ცა რომ ჩამოქცეულიყო, მაინც წერდა. იგი სულით და გულით სულ სხვაგან იყო.

— საინტერესოა, როდის მოიდებთ ბევრ ნავთს? — ატყდებოდა ილიკო და მერე შერმადინის ნაწერს გადახედავდა.

ერთი სული მქონდა გამეგო, იმ ღრიანცელში რა გამოსდიოდა ახალგაზრდა პოეტს. ილიკო მხოლოდ ზოგიერთ სტრიქონს უსწორებდა. შერმადინი ყველაფერში ეთანხმებოდა.

მოგვიანებით, როცა ნავთი გათავდებოდა, როცა იქაურობა მიწყნარდებოდა, როცა დიდი ქეთო დარიდიანად და შვებით ამოიოხრებდა, შერმადინი ფანდურს მოიმარჯვებდა და ახლადდაწერილ ლექსს რაიმე ჰანგს მიუყენებდა. მალე ახალი სიმღერა მზად იყო.

ხანდახან ხალხის ღრიანცელშიც ეფხაკუნებდა ფანდურის ლარებს და ხმაურში ეძებდა ჰანგებს.

ერთხელ, ვიღაც უცნობმა გოგონამ პირველად შემოაღო ბიბლიოთეკის კარი. მას თან მოხუცი ქალი ახლდა. ამ ქალსაც პირველად ვხედავდი. ისინი ჩვენს ქუჩაზე არასოდეს არ შემიმჩნევია.

ამ ერთი კვირის წინათ, ჩვენი ეზოს გასწვრივ, ახალშენის მხარეს, ხუთსართულიან სახლში ხალხი შესახლეს. ალბათ იმ სახლის ბინადარნი თუ იყვნენ.

ის თეთრად შეფეთქილი დიდი სახლი მთელ იმ არემარეში გამოირჩეოდა. ნეტარებითა და ნატვრით შევყურებდით. ამბობდნენ, შიგ რაღაც ზღაპრული ბინებიაო. ყველა ოჯახს საკუთარი აბაზანა აქვს, აბანოში წასვლა აღარ მოუხდებათ და შინ ტაშტებსა და ვარცლებში წუმპლაობით. გაგებული გვქონდა, რომ ამ სახლში სულ დამკვრელები და შრომაში წარჩინებული ხალხი შეასახლეს.

დამკვრელთა სახლის გვერდით მეორე დიდ შენობას აგებდნენ სკოლისათვის. ჩვენს ქუჩაზე კი დიდი სახლის საძირკველი არა და არ იჭრებოდა.

საიდან იქნებოდნენ ეს მოხუცი ქალი და გოგონა, თუ არა დამკვრელთა სახლიდან?!

გოგონას შავი, დაკვეხებული თვალები ჰქონდა. პირველსავე შეხედვაზე შეატყობდით, ანცი და დაუდგრომელი უნდა ყოფილიყო. ერთბაშად დიდი ცნობისმოყვარეობით შეგვათვალიერა. მერე ლამაზი სახე დაღმანჭა, ცხვირზე იტაცა ხელი და წამოიძახა:

— ფუი, როგორი ყარს აქაურობა!

— ნავთის სუნია, იმა, — ხმადაბლა უთხრა ქალმა და უფრო ხმადაბლა კი გააფრთხილა, — სირცხვილია, გაჩუმდი!

გოგონა დიდი ქეთოს მიუახლოვდა. თავაზიანად და თამამად მიესალმა. მოხუც ქალს არც კი აცალა რამეს თქმა, ბიბლიოთეკის გამგეს მიმართა:

— თუ შეიძლება ჩამწერეთ თქვენს ბიბლიოთეკაში. აბა, ბებო, მიეცი საბუთები!

— ჰო, თუ კიდევ რამე იქნება საჭირო, მოგართმევთ, — ბებიამ ერთად შეკრული რამდენიმე ქაღალდი გადასცა ქალს.

დეიდა ქეთომ თვალი გადაავლო ცნობებს და მერე ბარათის შევსებას შეუდგა.

— ირმა ლევანის ასული მაღლაკელიძე. 1924 წელს დაბადებული, — უკარნახა გოგონამ.

— აქ წერია ყველაფერი. გთხოვთ ჩუმად იყოთ. — სთხოვა დეიდა ქეთომ.

ერთხელ კიდევ გადმოგვავლო თვალი ირმამ, სამკითხველოში მაგიდას ირგვლივ ვუსხედით, მე და ძია ილიკო.

როცა ქეთომ ბარათი შეავსო, ირმას ბებია ხმადაბლა გამოესაუბრა.

— პატარა ბიბლიოთეკა ყოფილა. რამდენი წიგნი გაქვთ?

— ათასამდე იქნება, — მიუგო დეიდა ქეთომ და ბებიას კატალოგის ერთ პატარა უჯრაზე მიუთითა, — ესაა მთელი ჩვენი მხატვრული ლიტერატურა.

— გმადლობთ, — უთხრა ბებიამ და კატალოგის უჯრა მაგიდაზე გადმოდო. სანამ კატალოგის ფურცლებს მიჰყოფდა ხელს, შემოგვხედა. ბებიასაც ეტყობოდა სიყრმეში სავსე ქალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავშეკავებული. ამ ერთი შემოხედვით თითქოს ბოდიშიც კი მოგვიხადა.

ბებიამ ცხვირი კატალოგში ჩარგო. ირმა გვერდით მიუჯდა. ცმუკავდა. მოუსვენარ თვალებს აქეთ-იქით ათამაშებდა. უნებურად იქცევდა ჩემს ყურადღებას. რამდენჯერმე ვცადე, თვალი მომერიდებინა. მაგრამ ვერ მოვახერხე. მეცინებოდა კიდეც მის თავდაუმორჩილებელ ქცევაზე. ვერცხლის წყალივით იყო. სიცილს ძლივს ვიკავებდი. ასე მეგონა, რომ ის ვერ მამჩნევდა. მაგრამ უცებ, მოულოდნელად, ისე, რომ სახე ჩემსკენ არც კი მოუქცევია, ცერად გამომხედა და ენა გამომიყო. სახტად დავრჩი, მაგრამ თავი შევიკავე და [illegible] ვუთხარი. მაშინ კი გაბრუნდა ზურგით.

ბებია კატალოგს ფურცლავდა.

— ეს წაკითხული გაქვს, ესეც, — მესმოდა მისი ხმა.

— დიახ, პატივცემულო ბებო, — უდასტურებდა კეკლუცი გოგონა.

— ენა დაიმოკლე! შენ ხომ არა გგონია შენი თავი?! — ბოლოს ვეღარ მოითმინა და შეუწყრა ბებია.

ვერ მოვითმინე ზურგშექცევით ჯდომა. პირველად ძია ილიკოს შევხედე. მას გაზეთისათვის თავი მიენებებინა და ირმას უყურებდა.

— ეს წიგნი კი საშენო არ არის. — თქვა ბებიამ და სწრაფად გადაშალა ფურცელი.

— ვითომ რატომ? მაჩვენე, მაჩვენე!

— ირმა, შენ მოგილაპარაკებთ! — უკვე გულმოსულმა ჩაისისინა ბებიამ. — რომ გეუბნები საშენო არ არის, ესე იგი მე უკეთ ვიცი!

— მაინც, რატომ არ არის საჩემო? ამიხსენი რა არის ისეთი?

ძია ილიკო ხუმრობით ჩაერია ბებიისა და შვილიშვილის საუბარში.

— ახლა ყველაფერი რომ წაიკითხო, მერე აღარაფერი დაგრჩება წასაკითხი.

— სულ მაგას ჩამჩიჩინებენ. გმადლობთ! — მოზრდილი ადამიანივით მწყრალად შეხედა ირმამ.

ძია ილიკო გახევდა გოგონას პასუხზე. მერე გაზეთი აიშრიალა, მაგრამ ვერაფერი მოძებნა თავის დამამშვიდებელი და ახლა სხვა გაზეთს გადასწვდა.

— თავს ნუ მჭრი! — გაისისინა ბებიამ და ირმას მუჯლუგუნი წაჰკრა.

— ჰოდა, თავი დამანებონ. სხვას რაში ეკითხება მე რას წავიკითხავ და რას არა...

— მარკ ტვენი, „ტომ სოიერის თავგადასავალი", — ჩაიჩურჩულა ბებიამ. — საშენო არ არის.

— გამაგებინეთ, ნეტავ რა არის საჩემო, „მელია და მწყერჩიტა", „თხა და გიგო" თუ „ნაცარქექია"?

მე მიყვარდა მარკ ტვენის წიგნი, სამ-

კერ ზღურბლზე წავიკითხე. ძალიან გამიკვირდა, რატომ არ უნდა წამეკითხა იმასაც, ისიც ხომ თითქმის ჩემი ტოლია. დიდი დიდი რამდენიმე თვეში ყოფილიყო განსხვავება.

ბებიის სიტყვების გაგონებაზე ილიკო აწრიალდა, ვერ მოითმინა და ბებიას მიმართა:

— სწორედ ასეთ ასაკში კითხულობენ „ტომ სოიერს".

ბებიამ ილიკოს არაფერი უპასუხა, ირმას კი უთხრა:

— ჩვენ მაინც არ წავიღებთ ამ წიგნს, ეხლა გვაცალე!

როგორც იქნა გამოძებნეს სხვა წიგნი. როცა ბიბლიოთეკიდან გადიოდნენ, არც ერთისათვის არ შემიხედავს, კარი რომ მიიხურა, ძია ილიკომ ხელები გაშალა და წამოიძახა:

— პირში ბურთი ჩამჩარეს გაგონილა!

მე მაინც იმას ვფიქრობდი, რატომ არ წაიღეს „ტომ სოიერის თავგადასავალი". პირველად რომ წავიკითხე, მთელი ღამე ვბორგავდი, თავი ტომ სოიერად წარმოვიდგინე და ჰეკლბერი ფინთან შეხვედრასაც კი ვნატრობდი. ამის შემდეგ წიგნი კიდევ ორჯერ წავიკითხე, ირმას კი ერთხელაც არ აკითხებენ.

ბიბლიოთეკაში შეხვედრის მეორე დღეს ირმას სკოლაში მოვკარი თვალი. არ ვიცი, მიცნო თუ არა, ყურადღება არ მოუქცევია, კიბისკენ გაიქცა, მოაჯირს გადაუჯდა და ქვევით ჩასრიალდა. ასე მხოლოდ ბიჭები იქცეოდნენ. გოგონას გაკვირვებით მივაჩერდი, ეს ვინ ყოფილა-მეთქი.

საღამოს ბიბლიოთეკის ფანჯრიდან მოვკარი თვალი. სწრაფად გადმოჭრა ქუჩა და ჩვენთან შემოვარდა.

ბიბლიოთეკა ხალხით იყო სავსე. მკითხველები მაგიდასთან რომ ვერ ეტეოდნენ, ზოგს სკამი ფანჯარასთან მიედგა. ყველამ ირმას შეხედა. მან კი ყურადღება არავის არ მიაქცია, დეიდა ქეთოსთან მივიდა, მიესალმა და წინა დღეს წაღებული წიგნი დაუბრუნა.

— ასე მალე წაიკითხე?

— არ მომეწონა. — უპასუხა ირმამ.

ქეთომ არაფერი უთხრა, ბარათში წიგნის დაბრუნება აღნიშნა.

— „ტომ სოიერის თავგადასავალი" მომეცით. — სთხოვა ირმამ. მერე რატომღაც ჩვენსკენ მოიხედა, ძია ილიკოს თავი დაუკრა და გაუღიმა.

ილიკოს არ მოეწონა გოგონას ასეთი სალამი. თავი უხერხულად იგრძნო. წინა დღის წყენა გულში ედო, მაგრამ მისალმების პასუხად მაინც მდაბლად დაუკრა თავი ირმას.

— მერე, ბებია რას გეტყვის? — ჰკითხა ბიბლიოთეკის გამგემ, როცა თაროდან „ტომ სოიერი" გადმოიღო.

— ბებიას არც გავაგებინებ.

— გიყვარს წიგნები?

— ამას რატომ მეკითხებით? — იწყინა ირმამ, — მიყვარს. რატომ არ უნდა მიყვარდეს?!

— არა, ისე ვკითხე. — უხერხულად შეიშმუშნა დეიდა ქეთო, რადგან ირმას სიტყვა მეტად მკაცრი და არაბავშური იყო.

3.

ერთხელ ამხანაგთან ერთად ჩვენი ეზოს ჭიშკართან ვიდექი. ამხანაგს ველოსიპედი შინ შემყოლოდა. თან წამსვლას მეხვეწებოდა, ჩემთან საუბარსაც ვერ ელეოდა. მანქანები მწკრივს მოვდიოდნენ, ჩვენ მაინც ფეხს არ ვიცვლიდით.

ეზოდან კოხტად ჩაცმული შერმადინი გამოვიდა. ეტყობოდა ქალაქში მიდიოდა. მხიარულ გუნებაზე იყო. ალმართიდან ერთი აურზაური შემოგვესმა და ჭაბუკი ადგილზე გაშეშდა.

ჩემი ქუჩის „ვეენობა" დაიწყო — ნავთი მომქონდათ.

აღმართზე ორმა ცხენმა ძლივს ამოაგორა დიდი წითელი კასრი. უკან ბიჭბუჭები მისდევდნენ. დიდებიც ერიენენ. იმ ბრბოში თვალი მოვკარი ირმას. ბიჭებში ჩამდგარიყო. ხელში ბიდონი

ექორი და ზედ მხიარულად უცაცუნებდა რაღაცას. გოგონას ცისფერი თვალები მოჰყვებოდა ბებია.

ამის დანახვაზე შერმადინს გაეცინა. გოგონას თვალი გააყოლა, ვიდრე ნავთის საზიდარს აღგზნებული ხალხი სარდაფთან არ მივიდა. აქ კი ისეთი ამბავი იყო, ირმაც ჩაიყლაპა და ბებიამისიც.

შერმადინს ეჩქარებოდა და წავიდა. მე და ჩემი ამხანაგი ნავთის წერტილთან ამტყდარ ალიაქოთს შევყურებდით. ჩვენც არაერთხელ ჩავრეულვართ ამგვარ ამბავში, როცა ნავთი გვჭირდებოდა. როგორც იქნა თვალი მოვკარი ირმას ბებიას. წერტის კართან შეჯგუფებულმა ხალხმა იგი განზე გააგდო. ქალი მაინც მიიწევდა, რაღაცას ჩიოდა, წრჭმატობდა. ეტყობოდა ირმას ეძებდა, რომელიც ბრბოში ჩაიყლაპა. ბებია ხან აქედან მოუვლიდა ხალხს, ხან იქიდან. მუშტივით შეკრულ ჯგუფში ვერა და ვერ შეაღწია. სიახლოვეს არავინ გაიკარა, ხალხის თავზე ვედროები და ბიდონები გადადიოდა.

ჩვენ ბებიას ვუცქერდით და ვერ შევნიშნეთ საიდან გაჩნდა ირმა. სანამ ნავთის კასრი დაცალეს, სანამ მენავთე ნავთის გაყიდვას დაიწყებდა, ირმას რკინის ბარიერამდე ჩაეღწია და პირველი გამოჩნდა ნავთით სავსე ბიდონით.

საოცრად „ამაღლებული" იყო ბებიისა და შვილიშვილის შეხვედრა. ბებია დაფეთებული მივარდა შვილიშვილს, გულში ჩაიკრა და, ალბათ, თვალცრემლიანმაც დაკოცნა დაკარგული, აწ ნაპოვნი შვილიშვილი.

ჯერ არც ერთ კაცს არ ამოეტანა ნავთი სარდაფიდან, ირმა და ბებიამისი კი შინისკენ მიაბიჯებდნენ. გოგონას თმა გაჩეჩილი ჰქონდა. გზადაგზა ისწორებდა და თან ბებიას ყოჩაღი ბიჭივით მოუთხრობდა როგორ ჩააღწია სარდაფში, მასთან ვინ რას გახდებოდა. ზარზეიმით მივიდა და ყველაზე პირველმა აიღო ნავთი.

ბიდონი ახლა ბებიას მიჰქონდა. ირმამ ჯიდა თვალები გადმოკვეული და ამაყად ჩაგვიარა.

ამ ამბის მერე სრულიადაც არ გამიკვირდება, როცა მან „ტომ სოიერის თავგადასავალი" მოუტანა დეიდა ქეთოს და უთხრა:

— რამე ისეთი მომეცით, სადაც ბიჭები კი არა, გოგოები იქნებიან ყოჩაღები.

დეიდა ქეთო ჩაფიქრდა.

— თორემ რა გამოვიდა, სულ ბიჭები ყოფილან, რაც ყოფილან... ჩვენ კი არაფერი, — განაგრძობდა ირმა.

— გოგონებზე? ისტორიული? — დეიდა ქეთო უხერხულად აწრიალდა, რა ილიკოს გადმოხედა, იქნებ რამე მირჩიოსო.

— ისტორიული ვიცი, წამიკითხავს, — უთხრა ირმამ ქეთო ჭარუხნიშვილს, — ჟანა დარკი, მარი წყნეთელი... მაგრამ ისინი ქალები იყვნენ. ტომ სოიერი კი ისტორია არ არის.

— რას მეტყვით, პატივცემულო ილიკო? — თავად რომ ვერაფერი ვერ მოახერხა, ილიკოს მიმართა დეიდა ქეთომ.

— თუ დღესათვის არა გვაქვს, გამოჩნდება ავტორი, რომელიც დაწერს წიგნს ირმა მაღლაკელიძეზე და აი, მაშინ გოგონებსაც ეყოლებათ თავიანთი ტომ სოიერი, — ეგებ რომ ვერაფერი გაიხსენა, ისევ შეხუმრება სცადა ძია ილიკომ.

— ჩემზე რა წიგნი უნდა დაიწეროს?! — გაკვირვებით შეხედა ირმამ.

წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ შეიძლებოდა მასზე თუნდაც ერთი სტრიქონის დაწერა. და ალბათ სხვა დროსაც ბევრჯერ გახსენებია ძია ილიკოს სიტყვები. დეიდა ქეთომ ირმას ახლა „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი" შესთავაზა.

— ესეც ბიჭებზეა?

— ესეც რა ვქნათ... გოგონებზე არაფერი გვაქვს და რა მოგცე.

— სულ ბიჭები, ბიჭები... — ტუ-

ჩები ამერია ირმამ და წიგნი ჩამორთვა ლედას ქეთის.

ირმა ბიბლიოთეკიდან გავიდა.

— არა ჩემი მთლად ქარიზმატიკის გოგო, წიგნები მყვარებია და თანაც ხუთელი, თავისებური მოთხოვნილებაცა აქვს. კალმა რომ თქვა, სწორედ, — მიმართა ძია ილიკომ ქეთის, — სულ პიჯები, ბიჯებით. მხატვრულ ლიტერატურას კი დაამშვენებდა ერთი კარგი, სილამაზით სავსე გოგონას სახე.

„სილამაზით სავსე გოგონას სახე" გონებაში ჩამებეჭდა ძია ილიკოს სიტყვები. ამის გახსენებაზე უმალ თვალწინ ირმა დამიდგებოდა ხოლმე. მასზე უფრო სილამაზით სავსე სხვა ადამიანს ვერ შევადარებდი. ის ცოცხალი სტრიქონები იყო დაუწერელი წიგნისა და ენებურად იქცევდა ჩემს ყურადღებას. ზოგჯერ მომენატრებოდა კიდეც. მიღე გათენებულიყო, რომ ტოლით სკოლაში მენახა. და აი ერთხელ ამ „სილამაზით სავსე გოგონამ" მოულოდნელად წიგნი მეტრე წამარტყა თავში და მითხრა, რა უჩრი დაგილია. ვეღარ მოვითმინე და გამოვეკიდე. ცოტაზე რომ გოქცა, უცებ შედგა, ჭკუურ დამიხედა და თვალები ეშმაკურად გადმომიბრიალა.

— ვითომ რაო? რას გაბედავ?

ვერაფერი გავუბედე. ისეთი ამაყი, ზვიადი და ძლიერი იყო. შემეშინდა კიდეც. გოგოზე ხელს როგორ ავიღებდი. მაგრამ იმ განზრახვით კი გამოვეკიდე, რომ ნაწნავში ვწვდებოდი და ისე დამეტრიალებინა, როგორც სხვა გოგოებს ვატრიალებდით ხოლმე. ზოგს ხუმრობით, ზოგსაც მკვეთ სასწაულებლად.

ირმა შეტრიალდა და წავიდა. კიბეში სათრული იცოდა. ტანმაღალ გოგოს მშვენიერი ნაძერწი მწიფობა და ქალიშვილური სილამაზე. მაგრამ მაშინ, როცა ბიჭები შეიკეჭრებოდნენ, კიბის სახელურს გადაეყუდებოდა და ჩაცურდებოდა, მისი ცემა მინდოდა, ისეთი საზიზღარი იყო.

4.

ქეჩისპირი პატარა გორაკობზე მდებარე ოჯახის ნაგები შეშაბანდიანი სახლი და ორიოდე ქოხმახი იდგა. მათ წინ კარისხელა ეზო და ცოტა უფრო მოშორებით ბაღ-ბოსტანი იყო.

შეშაბანდიან სახლში ცხოვრობდა მემწყემსე ვანო ლაცაბიძე, აქ პატარა სამეგრელოს ბატონ-პატრონი. მერანეობაში ცოლიც ეხმარებოდა. სოფელში ზამთრობითაც გამოუცვლელად ჰქონდათ იშვიათი ბოსტნეული. ბაზარში პირველად ის გამოაჩენდა კიტრსა და პამიდორს. არ ვიცი, მწვანილი და ხილი რა შემოსავალს აძლევდა, მაგრამ ის კი ვიცოდი, ცხოვრებაში არ გასჭირვებია.

ვანოს ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდა. ერთმანეთზე თითო წლით უფროს-უმცროს ქალიშვილებს ნესტანი და თინა ერქვათ. ვაჟი კი შერმადინი იყო. ქალიშვილები გასაოცრად მწიფდნენ. ჩამრგვალებული და ტანწერწეტა გოგოები იყვნენ. თავდაპირველად ერთი ქალისათვის ნესტან-დარეჯანი დაერქმევიათ, მეორისათვის — თინათინი. ტანკენარი გოგოების მაგივრად ჩამრგვალებული გოგოები აგოგმანდნენ ლაცაბიძის ოჯახში და ამიტომ მათ სახელებსაც დანამატი შემოაცილდა.

შერმადინი და მე კარგი მეგობრები ვიყავით. მას კი ნამდვილად შეენოდა სახელი. მეგობრობის ფასი იცოდა და, ავთანდილის მეგობრისა არ იყოს, ცრუ და ორპირი ჭირის დღესავით ეზარებოდა. საამშენებლო ტექნიკუმში სწავლობდა, ნიადაგ ხატავდა და ხაზავდა. ლექსები და სიმღერა ხომ მისი სულის მშვენება იყო.

ვანო და მისი მეუღლე, ხშირად, ხან ქერის ბაზარზე იყვნენ მწვანილის გასაყიდად, ხან თავიანთ ბაღ-ბოსტანში ფუსფუსებდნენ. თვეში ერთხელ ჩვენგან ძალზე მცირე ქირას იღებდნენ, ხან არც გვართმევდნენ, ხილ-ბოსტნეულს კი ხშირად გვაწვდიდნენ. ბაღს საახ-

ლოკეს არავის აკარებდნენ. იმ ერთი გოჯი მიწა არა ჰქონდათ მოცდენილი. მოსილილით: ტყემალი, ალუჩა, თუთა, ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ლეღვი და ქლიავი. ზოგი თითო ძირი ხიდან, ზოგიც ორიდან. ჩია ხეების გვერდით მაღალი ხეებიც იდგა. ზოგს ტოტები განზე გაეყარა, ზოგიც ამოდუღლიყო. უნაყოფოს არაფერს სტოვებდა ძია ვანო. ბოსტნეულიდან იწყევდა ქინძს, ოხრახუშს, კიტრს, პამიდორს, ბადრიჯანს, კომბოსტოსა და ნაირ-ნაირ ბოლოკს.

პატარა ორთვალა ჰქონდა. ღილით ადრე მწვანილეულითა და ხილით დატვირთავდა და ცერის ბაზრის კარს მიადგებოდა. იქ თავისი ადგილი ჰქონდა შეგულებული. ნიადაგ ამ ამოჩემებულ დახლთან ნახავდით. ძია ვანოს მწვანილი და ხილი გემრიელიც იყო, სუფთაც. მყიდველს თვალს სტაცებდა და იზიდავდა. დახლზე ისე კოხტად იცოდა მწვანილისა და ხილის დაწყობა, გულგრილად ვერ ჩაუვლიდით. ცოლ-ქმარი დახლთანაც გვერდიგვერდ იდგნენ. ზანდახან იმდენი მუშტარი დაესეოდა, ორივენი გახურებულ მუშაობაში იყვნენ. არასოდეს უხარბიათ. კაპიკს კაპიკზე ადებდნენ, ნესტანის, თინასა და მერაბის ჩასაცმელ-დასახურისა და სასმელ-საჭმელს არ აკლებდნენ.

გოგოები რომ დაიზარდნენ, სწავლას გული ვერ დაუდეს. რამდენადაც მათი ძმა ნიჭიერი და ბეჯითი იყო, იმდენად მათ იზარმაცეს. ჯერ ნესტანმა დაიწყო აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობა, მერე თინაც იქ მოეწყო. მალე მქსოველებიც გახდნენ. ვანოსა და სალომეს შვება მიეცათ. გოგოებს ეგონათ, სწავლას თავი დავაღწიეთო, მაგრამ ქარხანაშიც არ მოეშვნენ, აიძულეს საღამოობით ესწავლათ. მეტი რა გზა ჰქონდათ. მუშაობდნენ და თან სწავლობდნენ. გოგოები თავიანთ თავს ახლა თვითონ უვლიდნენ. მხოლოდ ეგ იყო, ჩვენი ეზოს ფიცრის ძველ ჭიშკართან ტარიელისა და ავთანდილის ცხენები ჯერ არ ჰბიჯინებდნენ.

ჩვენს გარდა, ძია ვანოს კიდევ ერთი მდგმური ჰყავდა, მარტოხელა მეწაღეცი, მაღალი, ჭაღარა, ღონღორუძა სანდრო ბადურაშვილი. ცოლი ადრე გარდაცვალა, ქალიშვილი გაზარდა და კახეთში გაათხოვა. მამას წელიწადში ერთხელ ჩამოაკითხავდნენ ქალიშვილი და სიძე. ისე კი, თავს რამეს უგზავნიდნენ. ღვინო და ხილი მუდამ ჰქონდა სანდროს. მარტოობას არ განიცდიდა. ჯანი ჰქონდა და ქარხანაში მჭედლად მუშაობდა.

ჩვენ ვიღაცა ვიყავით:

მამაჩემი — ვარდენი, ფოსტალიონი.

დედაჩემი — ტასო, დიასახლისი.

მე — დედისერთა, თამაზ გორდელაძე, 1924 წელს დაბადებული, მეექვსე კლასის მოწაფე.

მიყვარდა, როცა ჩვენი ეზოს ბინადრები ყველა ერთად მოვიყრიდით თავს. კვირაში ერთხელ, ისიც თბილ საღამოს თუ მოვახერხებდით. ნესტანი და თინა თავიანთი სახლის პატარა კიბეზე ჩამოსხდებოდნენ. მე, დედაჩემი, მამაჩემი და მერაბიკი ჩვენი სახლის წინ ტახტზე ჩამოვლაგდებოდით. ძია სანდრო თავისი ჭიშის ლია-ყურს ჩახერგავდა. მაინცდამაინც კართან დაჯდებოდა, თითქოს შიშობს, შინ არავინ შემეპაროსო. მოგვიანებით გამოჩნდებოდნენ ვანო და სალომე.

ისეთი პატარა ეზო იყო, ყველა, თავის კართან ჩამომსხდარი, მაინც ახლო ვიყავით. ხან ამ მთისას ვამბობდით, ხან იმ მთისას. სასაუბროს რა გამოლევს თავშეყრილ ხალხში. ძია სანდროს დაკოჟრილი, შავი, დიდრონი ხელები მუხლებზე ეწყო — ასვენებდა მთელი დღის ნაჯაფართ. მძიმე ჩანდა ეს ხელები, კაცს ეგონებოდა, სანდროს უჭირს მათი აწევა მუხლებიდანო. ჩუმად დავკვირვებივარ ამ ხელებს და შემიდარებია ისინი ჩემი თეთრი, სუსტი ხელებისათვის და საკუთარი ხელების უსუსურობა გულს მწყენდა.

ზანდახან ჩვენი ეზოს სამი მამაკაცი — ვანო, სანდრო და მამაჩემი პატარა ტახ-

ლის გაწყრომდნენ. სანდრო კახურ ღვინოს გამოიტანდა. მამაჩემიც არ ჩამორჩებოდა ხელგაშლილი. ვანოს მწვანილი ხის სუფრის მშვენება იყო. გვიანობამდე შეექცეოდნენ, ჩუმად საუბრობდნენ, ერთმანეთს ტკბილად ლოცავდნენ.

მყუდრო ეზო გვქონდა. არც არავინ აწუხებდა, არც არავინ წიწმატობდა. ტკბილად ვმეზობლობდით. არაფერი გვქონდა გასაყოფი და არც არაფერზე ვდავობდით.

მხოლოდ ის მწყინდა, რომ ძია ვანო ბაღში არ მიშვებდა.

შემოდგომა იყო, ლეღვი მწიფდა. მერე და რა ლეღვი! მსხვილი, მუშტისოდენა ნაყოფი თვალს იტაცებდა, მისი შემხედვარეთ ნერწყვი გვახრჩობდა.

შურმადიონს მაშინ დიდი ხათრი ჰქონდა და მის უჩუმრად ოხრახუშსაც არ აკარებდა ხელს.

ერთხელ, შინ მარტო ვიყავი, გაკვეთილებს ვსწავლობდი. ძია ვანოს ბაღიდან ხმაური მომესმა. მალე მეზობლის ყვირილიც გავიგონე. როცა გარეთ გავვარდი, დავინახე: ძია ვანომ, როგორც წყალში ამოწუწმული წიწილები, ბაღიდან ისე გამოათრია ორი ბიჭუნა.

მებაღე გაცეცხლებული იყო და თვალებს აბრიალებდა. შეშინებულ ბიჭებს ენა ჩავარდნოდათ და ცახცახებდნენ.

— მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა ქურდობა! მილიციაში ჩაგაბარებთ!

მეზობლის კარებში სალომე გამოჩნდა.

— რა მოხდა, ვანო? ვინ არიან? იქურდეს?

— ლეღვი გამიკრიფეს, ტოტები დამილეწეს... ვინ არიან ეს ლაწირაკები, საიდან მოეთ... მოეხეტ... საიდანა ხართ, ვისა ხართ? — ხელს არ უშვებდა, ისე ეკითხებოდა ხან ერთს, ხან მეორეს.

შემეცოდა ბიჭები. ათი-თორმეტი წლისანი თუ იქნებოდნენ. ალბათ პირველად გაბედეს ხილის მოპარვა და პირველსავე ქურდობაზე ჩაცვივდნენ.

ძია ვანო რისხვას ანთხევდა. ლამის შუაზე გაგლიჯა ორივე ბიჭი. მათთან ერთად, როგორც გავიგე, მესამეც ყოფილიყო და ძია ვანოს გაჰქცეოდა.

სალომემ მხარი აუბა ქმარს, არ მოეწონა მათი ასეთი გაკაპასება ლეღვის გამო. ვანომ ბიჭები სარდაფში ჩაამწყვდია და გადაწყვიტა არ გამოეშვა მანამ, სანამ ვინმე არ მოაკითხავდა. ბიჭებს კი უთუოდ მოხედავდნენ, რადგან ამბის წამღები გაქცეული იყო.

ძია ვანო ბობოქრობდა, დალეწილ ტოტებს კრეფდა და იღანძღებოდა. ბევრი არ დაელეწათ, მაგრამ ის რამდენიმე პაწია ტოტიც კი ენანებოდა.

სარდაფში ჩამწყვდეული ბიჭები ატირდნენ.

ეზოში ვიდექი და ვუცდიდი რა მოხდებოდა.

— ჰა, გაუშვა? — ბოლოს შეეცოდა ძია ვანოს ბიჭები და სარდაფისკენ წავიდა.

— გაუშვი, გაუშვი! — მაშინვე დაეთანხმა სალომე, — ცოდონი არიან, არ შეშინდნენ. გაუშვი, შენ შემოგევლე-ველი დამშეთუთქა. დაუკრიფე და გაატანე თუ ეგრე ძალიან ჰყვარებიათ ლეღვი.

ის იყო, ძია ვანოს ბიჭები უნდა გამოეშვა, რომ ჭიშკრის კარმა გაიჯახუნა და ეზოში სწრაფად შემოიჭრა ირმა, რამდენიმე ბიჭის თანხლებით. ეს ბიჭები მაშინვე ვიცანი. ჩვენი სკოლელები იყვნენ.

ირმა პირველად მე მომიახლოვდა.

— თქვენ დაიჭირეთ ბიჭები?

— ძია ვანომ დაიჭირა, — ვუთხარი და სარდაფის კართან მისულ მეზობელზე მივუთითე.

— წავიდეთ! — უბრძანა ირმამ ბიჭებს და ჯიქურ შეიჭრა ბაღში. მეც ფეხდაფეხ მივყევი.

— ფრთხილად, სად მიდიხართ? — ელდა ეცა ძია ვანოს, ბოსტანი არ გამითელოთ.

— აბა, რა გაყვირებთ? გავაფუჭეთ რამე? გამარჯობათ! — ერთბაშად მიაყარა ირმამ.

შეუპოვარი გოგოს სიტყვებმა ჩააჩუმეს ძია ვანო. სალომე გოგონას მიაჩერ-

და, თვალები უცამცუმებდა და ვატყობდი, მოსწონდა მისი სითამამე.

— სად არიან ქურდები? — იკითხა ირმამ.

ამ დროს სარდაფში კიდევ უფრო ასლუკუნდნენ ბიჭები. ძია ვანომ კარი გაუღო. დარცხვენილი და თვალცრემლიანი ბიჭები გამოვიდნენ, ირმამ ორივეს თავში წაუთაქა და ძია ვანოს მიმართა:

— შეიძლება წავიყვანო?

— წაიყვანეთ, — უთხრა ძია ვანომ, — მაგრამ თუ მეორედ დავიჭირე... ოჰო!

სიცილი ვერ შევიკავე, როცა ძია ვანოს მაგივრად ირმამ დაიკრა მუშტი მკერდზე, მერე ბიჭებს თითო მჭიდი კიდევ უთავაზა და წინ გაირეკა.

„პატიმრები" ჭიშკრამდე მივაცილეთ.

სანამ ჭიშკარში გავიდოდა, ირმა ძია ვანოს მობრუნდა:

— ჩვენ ამათ გავასამართლებთ. სასამართლოზე თქვენც მობრძანდით აუცილებლად, — მერე ხმადაბლა მკითხა, — შენი რა არის ეს კაცი?

— ჩვენი სახლის პატრონია, — მეც ჩურჩულითვე ვუპასუხე.

— შენც მოდი სასამართლოზე. მოგატყობინებთ.

ძია ვანო დამშვიდებულიყო. სალომე გვერდში ედგა. ცოლ-ქმარი უტკბად მისჩეროდნენ ბავშვებს, რომლებიც სათითაოდ გადიოდნენ ჭიშკრის პატარა კარში.

მეორე დღეს ირმას ხელით დაწერილი უწყება მეც მომივიდა და ძია ვანოსაც. ერთმა პატარა ბიჭმა გადმოგვცა და მაშინვე შინისკენ მოკურცხლა.

ძია ვანომ უწყება წაიკითხა და გულიანად გაიცინა.

— სათამაშოდ მცალია? — თქვა და ბინაში შევიდა.

ერთი სული მქონდა დავსწრებოდი ირმას სასამართლოს.

ჩემს ამხანაგებთან მეც ხშირად მითამაშნია ასეთი რამ, რასაც დიდები აკეთებდნენ. ბავშვები ბევრ რამეში ებაძებიან მოზრდილებს. ვაწყობდით სასამართლოებსაც, ჯაშუშებისა და დივერსანტების დაპატიმრებას. მაშინ ესპანეთში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა რესპუბლიკელებსა და ფაშისტურ ჯარებს შორის და ჩვენც ამას ვთამაშობდით.

ირმას იმ ჟამად ხელთ ჰქონდა არა მოგონილი ქურდები, არამედ ნამდვილი. მოწმეებიც ხომ უტყუარი ეყოლებოდა ჩემი და ძია ვანოს სახით.

მაგრამ ძია ვანო არ წამოვიდა. სასამართლოზე მარტო მივედი. ბიჭებმა დამკვრელთა სახლის მესამე სართულზე ამიყვანეს. მოლოკულიძეების ბინის კარი ღია იყო.

— მობრძანდით! — ისე ხალისიანად შემეგება ირმა, გეგონებოდათ მისი დღეობა იყო. — მეზობელი სადღა არის? — მკითხა და კიბეს ჩახედა.

სანამ ვეპასუხებდი, ოთახის სიღრმეში თვალი მოვკარი რამდენიმე რიგად ჩამწკრივებულ სკამებს, თავშეყრილ მეზობლებს. ბავშვები უფრო მეტნი ჩანდნენ, ვიდრე მოზრდილები. „სასამართლო დარბაზში" ხმაური იყო.

— მგონი არ მოდის, — ვუთხარი ირმას.

— რატომ? ხელი მოაწერა და არ ენაღვლება? ეს რა გულგრილი კაცი ყოფილა. ხომ არა ჰგონიათ, ჩვენ ვთამაშობთ. მამაჩემიც დაესწრება სასამართლოზე, იქნებ არც იცი ვინ არის მამაჩემი?

— არა, არ ვიცი.

— მოსამართლეა. და ჩვენი სასამართლოც ნამდვილი იქნება. წადი და უთხარი მოვიდეს, აუცილებლად მოვიდეს.

რა მექნა, კიბეზე დავეშვი და ძია ვანოსთან მივირბინე.

— ძია ვანო, ხუმრობა იქით იყოს... იმ გოგოს მამა მოსამართლე ყოფილა და ისიც ესწრება თურმე. მოგელიან, გთხოვენ.

— აბა, დაიცადე.

— გეფიცები, რა ვიცი... ვინ დაგიფიცოს?

— დედა დაიფიცე.

— დედის გულისცემით. ხალხიცა ჰყავთ.

— ეს რა ხათაბალაში გავები, — თავზე შემოიდო ხელი ძია ვანომ, — იმ ლაწირაკებს რა გასამართლება უნდათ, იმათ მიტყება უნდათ და მეტი არაფერი.

— ეგ ხომ სასჯელია და სასჯელის დადება სასამართლოს გარეშე... — დაუწყო და როგორც იქნა გული საგულეს ჩაუვარდა.

— შენმა სიცოცხლემ, ერთხელ და ორჯერ მოგხვედრია განაჩენის გამოტანალად... რა გვარია ის მოსამართლე?

— მაღლაკელიძე.

— სალომე, — გაეხმიანა ცოლს ძია ვანო, — ჩვენს რაიონში არა ვინმე მოსამართლე მაღლაკელიძე?

— რა ვიცი! აბა, რა ვიცი, ვინ რა არის?!

— ბიჭო, თამაზ, წადი და უთხარი, მეც ვეყოლები მოწმეთა-თქო. ხო ნახე რა იყო და როგორ იყო. თქვი, ძია ვანო არის ურჩევს, მაგრამ ტოტები დაენანათ-თქო. აბა, კაცს რომ ხელები მოამტვრიონ, ის კაცი რაღა კაცი იქნება-თქო, არც ისეთი მატარები არიან, რომ ეს არ ესმოდეთ. სხვის შვილსა ჩვენ როგორა ვცემდით-თქო. დედ-მამამ კი ერთი-ორი რომ მიუტყაპუნოს, წამალივით მოუხდება და კაცები დადგებიან-თქო.

— მე მაგდენს როგორ ვეტყვი, ძია ვანო. უთქვენოდ ის გოგო შინ აღარ შემიშვებს.

ამ დროს გამოჩნდა შერმადინი. როცა გაიგო რაში იყო საქმე, მამის მაგივრად ის წამომყვა ცნობისმოყვარეობამ წასძლია, წამო, ერთი ვნახოთ რა სასამართლოს გაუმართავენ ჩვენი ლედვის ქურდებსო.

მის დანახვაზე ირმას პირქატა ეცა. პირველად ხედავდა და გაუკვირდა მეზობლის ნაცვლად ის რომ მიეუყვანე. როცა გაიგო ვისი შვილიც იყო, დამშვიდდა და შინ შეგვიწვია.

შერმადინი ვოგონას ღიმილით მისჩერებოდა. ნავთის ცასრს რომ მისდევდა, ალბათ ის დღე გაახსენდა.

ბებია საყვედურით შეეგება ირმას.

— ხალხი დაიღალა. შენ რა გეთქმის, ხან რას მოიგონებ, ხან რას... შინ სასამართლოდა გვაკლდა!

— ბებო! — ერთი კი შეუძახა ირმამ და ბებიაც გაჩუმდა.

ოთახში შევედით, იქ მყოფთ მივესალმეთ და დავსხედით.

მეზობლის ბავ...ებთან ერთად მოზრდილებსაც მოეყარათ თავი. წინა რიგში, განაპირა სკამზე, იჯდა მოსამართლე დავით მაღლაკელიძე და ღიმილით შესცქეროდა თავის ფართოფერთა ქალიშვილს.

ირმამ „პროკურორის" თავისი ადგილი მიუჩინა, „დამცველს" — თავისი. თვითონ მოსამართლის ადგილი დაიკავა, აქეთ-იქით „მსაჯულები" შემოისხა და ბრძანა ქურდები შემოეყვანათ. ყველაფერი ისე ტარდებოდა, როგორც ნამდვილ სასამართლოზე. მეორე ოთახის კარი გაიღო. გაჩორკნილი ხის თოფებით შეიარაღებულმა ბიჭებმა „პატიმრები" შემოიყვანეს. ლედვის ქურდები თავს ზემოთ ვერ სწევდნენ.

— შენ მოიკვდი დედაშენს! როგორ შემეჭრა თავი! ეთოომ გაკლდეს ხილი! — გაისმა „სასამართლო დარბაზში" ქალის ხმა. ქალს ტაში მიტყაპნილი ჰყავდა თავისი ვაჟიშვილი. როგორც კი მისი ქურდობის ამბავი შეუტყვია, განაჩენიც უმალ გამოუტანია. ვინ იცის, სასამართლოს ამ გათამაშებაში რა წარმოიდგინა, ქალმა თავი ველარ შეიკავა და ცრემლი მოერია.

ეტყობოდა, ირმა ბევრჯერ დასწრებია მამის სასამართლო პროცესზე. სულ მისხალ-მისხალ იცოდა, რაც კი ხდებოდა. „პროკურორს" სიტყვა მისცა. „პროკურორმა" ირმას მიერ წინასწარ დაწერილი „საბრალდებულო აქტის" კითხვა დაიწყო. ნაწერს ხეირიანად ვერ არჩევდა და ირმა გაუბრაზდა, მაშინვე „მოხსნა" თანამდებობიდან და სხვა დააყენა.

ამაზე ბევრი იცინა დავით მაღლაკელიძემ. ახალმა „პროკურორმა" ირმამ ნაწერი კარგა წაიკითხა.

ჩემი დაკითხვის ჯერიც დადგა, ვთქვი ყველაფერი, რაც ვიცოდი და გავიგონე ლოგინსა და ყურებზე, აღშფოთებული ვიყავი. შევბეთ ამოვისუნთქე, როცა შერმადინს ისევ გვერდით მივუჯექი. შერმადინი მხიარულ გუნებაზე იყო და ალერსიანი თვალებით უყურებდა ირმას, რომელიც ცდილობდა, რაც შეიძლება მკაცრი ყოფილიყო.

ვის გავდა? მამას? მამა დიხჯი ჩანდა. იქნებ დედას? ლამაზი, ახალგაზრდა ქალი ტყეზე იდგა და შვილს ისიც ღიმილით შეჰყურებდა. მათ ოჯახში ალბათ ეს პირველი სასამართლო არ იყო და დედას შვილის საქციელი არ აკვირვებდა. ბებია თამარი „სასამართლო დარბაზში" არ ჩანდა, სამზარეულოში ფუსფუსებდა და ერთხელაც არ გამოუხედავს.

ირმა გარეგნული ელფერით ძლიერ გავდა დედას, ფართოფერფერითაზე ალბათ ბებიისა ჰქონდა, რომ ისინი ასე შეეწყვნენ ერთმანეთს და ნიადაგ ერთად იყვნენ.

„სასამართლოზე" ირმამ ისეთი სიტყვა წარმოსთქვა, ზოგიერთ ადვოკატს შეშურდებოდა. მისდგა ისედაც თვალადახსმულ ბიჭებს, ცხრა მერი ტყავი გააძრო და სულ ცეცხლის ორომტრიალში გამოატარა.

სასამართლოს ბიჭებისათვის სასჯელად ცოხეში დამწყვდევა და გილოტინაზე აყვანა არ გამოუტანია, მაგრამ თითო პანღური კი ამოჰკრეს მცველებმა. ცრემლით თვალებშესქელებულმა ქალმა კი ედგარ მოითმინა და შვილს ქოჩორი მოუწიწკნა, შენ კი მომიკვდით.

მხიარულად წამოვიშალეთ.

— ახლა ყველას გაზოვთ, ხილზე გვეწვიეთ! — მოგვმართა ირმას დედამ და კარებში ჩაგვიდგა, რომ არავინ წავსულიყავით.

— მხოლოდ ჩვენს სასამართლოში ასეთი დახვედრა, — ღიმილით დაუმატა დავითმა, — მობრძანდით, ვნახოთ რა გვეგემხილდეს ფილასახლისებმა.

ირმა დატრიალდა, ჩვენ ჩვენი სკამებით მეორე ოთახში გადავიტანეთ, სადაც ერთ დიდ მაგიდაზე, ხილის სუფრა იყო გაწყობილი. აქ დავუხვდით ბებია თამარი.

ირმას „პატიმრებიც" არ დარჩა უყურადღებოდ. ისინი პეერს უპირობდნენ, მაგიდას არ ეკარებოდნენ, მაგრამ ვოგონამ ისე დაუძახებლობა, დაჯდომა იყალრეს. როცა ბიჭებს უთხრეს გადაიღეთ ხილით, პირველად ლულეს გადასწრებდნენ ყველამ გულიანად გავიცინეთ.

— ჰყვარებიათ და რა ქნან! — გულიანად გაიცინა დავით მაღლაკელიძემ.

შერმადინის ხმა იქ არ გამიგონია. რამდენჯერმე შევასწარ მზერა, იგი ირმას თვალს არ აშორებდა და როცა შინ ვბრუნდებოდით, მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა:

— დიახ, ასეა, ჩემო კარგო!

რა იყო „ასე", ან რაზე მითხრა ჩემო კარგოო, გამიკვირდა, ვერაფერი ვერ გავიგე.

5.

ბიბლიოთეკაში გადავირბინე, მაგიდას ძია ილიკო და შერმადინი უსხდნენ, ისინი რაღაცაზე საუბრობდნენ. თავიდან ვერ გავიგე, რატომ ეუბნებოდა ძველი პედაგოგი შერმადინს, კაცმა ისეთი რამ უნდა აკეთოს, რომ ყველა თაობამ მადლიერების გრძნობით მოიგონოსო. მაგიდას ფრთხილად მივუჯექი და ძია ილიკოს მივაჩერდი. მას გადაშლილი ჟურნალი ეჭირა ხელში. ჟურნალის ერთ გვერდზე ხეობის პირამიდის ფოტოსურათი მევენიშნე.

მიუხედავად იმისა, რომ შერმადინი საინჟინერო ტექნიკუმში სწავლობდა, ილიკოსთან ხუროთმოძღვრებაზე არასოდეს არ ჰქონია საუბარი, არავის გაეუბნებოდა ტექნიკუმის ამბებს, თითქოს თავისი ძირითადი საქმე არც კი აინტერესებსო.

ახლა, ალბათ, რაღაც მიზეზის გამო ჩამოვარდა სიტყვა ხუროთმოძღვრებასა და შენებლობაზე.

ძია ილიკომ ჟურნალი მაგიდაზე გაშალა და პირამიდის სურათს ხელი დაადო.

— ამ პირამიდას ოცი წლის განმავლობაში ასი ათასი კაცი აგებდა. აი, აქ წერია, რომ დღესაც უკვირთ, რა ხელმა აზიდა იმხელა ლოდები. ასი ათასი კაცი, ხუმრობა საქმე ხომ არ არის. ახლა ამ პირამიდას მსოფლიოს შვიდ საოცრებათა შორის პირველად იხსენიებენ. საოცრება კი არის, მაგრამ მერე რა... ეს რაში არგია. ძალმომრეობისა და იდიოტობის ძეგლია და მეტი არაფერი.

— ჯერ არავისგან არ გამიგია ასეთი მკაცრი შეფასება, — თქვა შერმადინმა, — ჩვენს დროში ხომ აღარავინ აგებს პირამიდას.

— პირამიდებს არა, მაგრამ ფორმაშეცვლილ სისულელეებს ახლაც შეხვდები.

იდიოტობის ძეგლით? ასეთი რამ არასოდეს არ გამეგონა. ასე მკაცრად მართლაც არავის გაუკილავს ის ბუმბერაზი, არაფრისმაქნისი ნაგებობა, რომელიც საუკუნეობის განმავლობაში ცად აზიდული დგას გამოუყენებელი და მაინც საკვირველი.

ძია ილიკოს ვინ რას ჰკითხავდა, მის ნათქვამს ვინ შეისმენდა. ხეოპსის პირამიდა იყო და რჩებოდა მსოფლიოს შვიდ საოცრებათა სიაში.

ეგვიპტელების დიდ კულტურას, მათ ხუროთმოძღვრებას როდი აბიაბრუებდა ილიკო, პირამიდები კი სისულელედ მიაჩნდა. მან გვიამბო ბევრი ეგვიპტურ ძეგლზე, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

— შენობასაც, ისევე, როგორც მუსიკალურ თუ მხატვრულ ნაწარმოებს, უნდა ჰქონდეს აზრი და სინათლე! — განაგრძობდა ძია ილიკო, — ის უნდა იყოს ადამიანის მეგობარი, მყუდრო სავანე, სასიამოვნო, როგორც ახლობელი ადამიანი. შენობაშიც უნდა იგრძნობოდეს სითბო, სინატიფე. მასში შესვლა ისევე უნდა გიხაროდეს, როგორც ძვირფას მეგობართან მისვლა. როცა შენ აღარ იქნები, შენობამ შენს შვილებს უნდა აგრძნობინოს შენი თავი, შენი ხელწერა. ჩემი რწმენით ყოველი ძეგლი შენობა მრავალი საინტერესო ამბის მომსწრეა. მისი გარეგნული იერი, მისი სახე, ისეთივე მიმზიდველი და სათნო უნდა იყოს, როგორც ყოველი ლამაზი ადამიანისა. ძირითადი მიზანი ადამიანისა შენება, შექმნა რაიმე ახლისა... მისი ნამოქმედარი კი არ უნდა იყოს სისულელის, ძალმომრეობის, უაზრობისა და ფუჭი ახირებულობის ნიმუში.

— ტაძრებსა და ეკლესიებზე რას იტყვით, ძია ილიკო? — ჰკითხა შერმადინმა.

— ჩვენმა ხალხმა როგორაღ უნდა მიხედოს ეკლესიებსა და ტაძრებს. ამ ნაგებობებს პირამიდებს ვერ შეადარებს, ეს ხომ ხუროთმოძღვრების ძვირფასი საგანძურებია. რა ვუყოთ, რომ რელიგიას ემსახურებოდა. მომავალი მშენებელი ხარ, შერმადინ, და გირჩევ, თუკი ტექნიკუმში ამაზე არაფერს გეუბნებიან, შენ შენით მაინც ეცადე და ძირფესვიანად შეისწავლე ის, რაც მამა-პაპამ დაგვიტოვა. ნახე ჯვრის მონასტერი. რა ხელმა და როგორ ააგო! განა დღეს კი არ გამოგვადგება შენობის აწეული თაღები, გუმბათები, ტაძრებისა და დარბაზების გადახურვის ძველი ხერხები? შენობის მოპირკეთებაზე, ჩუქურთმის სილამაზესა და სინატიფეზე აღარაფერს ვამბობ. უნდა ნახო, შვილო, ჩვენი ქვეყნის მრავალი შესანიშნავი ძეგლი. სულ მარგალიტის თვლებივით უნდა წამოკრიფო ყოველივე კარგი და მოსაწონი. როცა ახლის აგებას გადაწყვეტ, ის მარგალიტები წამოგეშველებიან.

ძია ილიკოს ჩემთვის ერთხელაც არ შემოუხედავს. შერმადინის საქმე გადაწყვეტილი იყო და იგი მას არიგებდა [illegible] გონებაშიც ბევრი რამ ჩაიბეჭდა, [illegible]ლისხმო.

რაზან მშენებლობასა და [illegible]ლერებაზე ალაპარაკდა, ძია [illegible]



1636

ლოდა ყველაფერი ეთქვა, რა შეხედულებაც ჰქონდა თანამედროვე ხუროთმოძღვრებაზე. სინანულს გამოთქვამდა, რომ დღეს არავინ იყენებს დარბაზის გადახურვის ძველ ხერხს. უწინ აბანოებს გუმბათოვან თაღს უკეთებდნენო, თქვა და აგვიხსნა კიდეც რა უპირატესობა ჰქონდა აბანოსათვის ასეთ თაღს. არ მოსწონდა ვერის ახალი აბანოს შენობა. არ მოსწონდა დამყვრელების სახლის გარეგნული იერი. თუ ქალაქში ასეთი შენობები დადგება, ქალაქის სილამაზეზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებაო.

შერმადინი საგონებელში ჩააგდო მისმა სიტყვებმა. როცა შინ ვბრუნდებოდით, ჩვენი ეზოს ჭიშკართან შეჩერდა. ქუჩის ორივე მხარე დაკვირვებით შეათვალიერა.

— ნეტავ შემეძლოს ჩვენი ქუჩის გალამაზება! — ინატრა მან.

— როგორ გაალამაზებდი?

— აქეთ-იქით მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს ავაგებდი. პირველ სართულზე სახლეაგით სავსე მაღაზიები იქნებოდა...

— ბოსტნები და ბაღები?

— ქალაქის ტიპის ქუჩაზე ბოსტანს რა უნდა! — გაკვირვებით შემომხედა შერმადინმა.

ახლა მამამისისთვის გეკითხათ, როგორ დაეხმარებოდა შვილს ამ ოცნების განხორციელებაში?! ვინო ხომ სულის თრთოლვითა და გულის კანკალით დაელოდებოდა თავის ერთიბეწო ბაღ-ბოსტანს. ყველაფერს ერჩივნა თავისი მოწეული ხილი და მწვანილი. ეს მისი ცხოვრება იყო, ამითი სულდგმულობდა. შვილმა კი რა განიზრახა, აუყარის სახლ-კარი, აუყარის მეზობლები და მის ადგილას განიერი, მაღალი შენობებით დამშვენებული ქუჩა გაჭიმოს.

ერთხანს იდგა შერმადინი, ქუჩას ოცნების თვალით გაჰყურებდა და სახეზე სიამოვნების ნათელი დასთამაშებდა.

— მართლა, რა კარგი იქნებოდა! — თქვა ბოლოს, — მერედა, ამ ჩვენს ქუჩას რა სწორი და კოხტა ხაზი აქვს. ჩაქთის წვერს სულ მოვაშორებდით. ბიბლიოთეკას ერთი დიდი სახლის პირველ სართულზე გავხსნიდი. ძაღლების სანაშენეს აქ რა უნდა. ქალაქგარეთ გადავიტანდი... წამოდი, მე ახლავე დაგიხატავ, რაც წარმოვიდგინე, ვნახოთ რა გამოვა.

შინ შემიყვანა. ძია ვინო და დეიდა სიდონე ისევ ბაზარში იყვნენ, ნესტანი და თინა — ფაბრიკაში.

სკამი თავის სახაზავ მაგიდასთან შემთავაზა, თვითონ კი ხალისიანად მიუჯდა სახაზავ დაფას, ფანქარი მოიმარჯვა და სახაზავის დაუხმარებლად ლარივით სწორი ხაზები გაავლო.

— ესეც ჩვენი ქუჩა. აი, აქ ჩვენი სახლია, — და ფანქრით მქრქალად მიახატა ღობე და ჭიშკარი, თავიანთი სახლი და ჩვენი ქოხი, მერე ზემოთ აჰყვა. ქუჩის გადაღმაც არ გამორჩა არაფერი. საოცარი თვალი ჰქონდა, სულ ზედმიწევნით ზუსტად ახსოვდა, სად რა იყო, ეს ბოშების სახლი, დავითულიანების პურის საცხობი, ეს წიკლაურების ფუნდუკი.

ჩემზე სამი წლით უფროსი იყო შერმადინი. მაგრამ ისე მანდობდა თავის გულის მღრაზს, როგორც ტოლი ტოლს. სწორედ ამ დროს უნდოდა მას ამყოლი, წამქეზებელი, რომ უკეთ გაღვიძებული სურვილი ჩანახატის სახით მაინც განეხორციელებინა. ის რომ ყოვლისშემძლე ყოფილიყო, მაშინ ქალაქზე კი არ ააგებდა თავის ოცნების ნაგებობას, იმ ჩვენს ნახევრადსოფლურ ქუჩას მაშინვე ქალაქის ულამაზეს ქუჩად აქცევდა.

ძველის ადგილზე უკვე ახალს ხატავდა.

კოხტა რომ გამოვიდა, ძალიან მომეწონა. თვითონაც მოსწონდა და ხან შორიდან, ხან ახლოდან დაკვირვებით ათვალიერებდა.

— მა, რას იტყვი, ხომ სჯობია ახლანდელ ქუჩას?

— სჯობია, მაშ. ეს ნახატი მე მაჩუქე რა!

— შენი იყოს, — მაშინვე გამომი-

წოდა ნახატი, — ვინ იცის, რამდენი იქნება ეს ჩვენი ქუჩა ოცი, ორმოცი, ასი წლის მერე. ნეტავ იმ დრომდე ვიცოცხლებდით?!

— უთუოდ რატომ არ ვიცოცხლებთ! — გადავკოცნე და ნახატი კიდევ ერთხელ შევათვალიერე. ძალიან მომეწონა ეს უცებ დახატული სურათი. შინ წამოვიღე და კედელზე გავაკარი. საღამოს მამაჩემმა პირველად რომ შეხედა, ყურადღება არ მიაქცია, ნასვამი იყო. დილით ფხიზელმა შეათვალიერა. რა არისო, მკითხა. ვუთხარი რაც იყო.

— ღმერთმა ქნას, აშენდეს და დამშვენდეს! — თქვა ისე, უიმედოდ. ფოსტალიონის ცარიელი ჩანთა ზურგზე მოიგდო და შინიდან გავიდა.

მამაჩემს მოუშმელი რად იყო გულგატეხილი. მას ხომ კარდაკარ ხეტიალი უხდებოდა. როცა გაწვიმდებოდა, გზა ტალახად იქცეოდა. სადაც სად არ უხდებოდა სიარული. დიდი უბანი ებარა, მთელი ჩვენი ქუჩა თავისი შუკებით, კიდევ უფრო ზემოთ — სოფელი ვეძისი. შინ გვიან ბრუნდებოდა ალაფულ-დალაფული და თავისი გაჩენის დღეს იწყევლიდა, იგინებოდა. მეოთხე კლასიდან მიუნებებია თავი სწავლისათვის, მემკვიდრეობით პაპაჩემისგან ფოსტალიონის ჩანთა მიუღია და მას აქეთ დადის კარდაკარ. სასმელი უყვარდა. იცოდნენ ეს ჩვენმა უბნელებმა. ძმაკაცი და მეგობარი არ ელეოდა, ყოველ საღამოს ნასვამი მოდიოდა. დილით პირობას დადებდა, რომ დღეს ფხიზელი დაბრუნდებოდა. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ეზოდან გასვლისთანავე ავიწყდებოდა დანაპირები.

ჩვენი ეზოს ჰიშკართან ელექტრონის მაღალი ბოძი იყო. თუნუქის წამომხობილი თეფშის ქვეშ ჰკიდებდა ნათურა. ქუჩის ერთ პატარა ნაწილს, ჩვენს ჰიშკარსა და ეზოს მონაკვეთს მკრთალად ანათებდა. ამ შუქზე ადვილი შესამჩნევი იყო შინ გვიან დაბრუნებული მამაჩემის მობანცალე ლანდი.

— მეხი კი დაგაყარე! — ეს იყო დედაჩემის წყევლაც, ალერსიც, მუქარაც და მოფერებაც.

მერე ორივენი ერთად ვშველოდით მამაჩემს ტანსაცმელის და ფეხსაცმელის გახდაში. მამა ხვნეშით მიწვებოდა ტახტზე. ხანდახან ყველას ემუქრებოდა და აგინებდა, თუ კი მხიარულ გუნებაზე დაბრუნდებოდა და არც ისე ძალიან იყო ნაბახუსევი, მაშინ მე და დედაჩემს გვეფერებოდა და სადღეგრძელო სიტყვებს გვეუბნებოდა.

6.

ერთხელ მამაჩემი შეუძლოდ გახდა. ნაშუადღევს ფოსტაში ვერ შეველი, წერილებითა და ჟურნალ-გაზეთებით სანახევროდ მოყრილი ჩანთა შინ მოიტანა. ის იყო მეც სკოლიდან მოვედი. შევატყვე, მამაჩემს ალმური მოსდებოდა. ჯერ ნასვამი მეგონა, მაგრამ მითხრა, უქეიფოდ ვარო. სიცხე გაიზომა და დედაჩემმა მაშინვე დაუგო ლოგინი.

— ამათ რაღა ვუყო? — მეწუხებოდა მამაჩემი დაუსარიგებელი ჟურნალ-გაზეთების გამო, — გადაიტანე ფოსტაში. — მითხრა მე, — დედა ანიკოს უთხარი, მამაჩემი ავად გახდა-თქო, იქნებ ალექსის გაატანოს.

ჩანთას დავხედე. არც ისე ბევრი ჟურნალ-გაზეთი ეწყო შიგ.

— ალექსი რად გინდა, მე თვითონ ჩამოვარიგებ, მამა, — ვუთხარი მაშინვე.

მამაჩემს ესიამოვნა, გამიღიმა და თანხმობის ნიშნად თავზე ხელი გადამისვა.

— მაგ სიკეთეს თუ იზამ. ხალხი მელოდებოდა და... ხო იცი... ზოგს გაზეთის წაკითხვა ქეიფს ურჩევნია. წერილი კი ისეთი რამ არის... ვინ იცის, რამდენ ხანს ელოდებოდნენ. ჰქენი სიკეთე და დაიარე უბანში. ჯიბეში სია დევს მისამართებით, ვის რა აქვს გამოწერილი. ამოაწყვე და გეტყვი, ვის რა უნდა მიუტანო. ფანქრით დაიწერე და გაგიადვილდება.

ჩანთიდან ყველაფერი მაგიდაზე ამოვ-

ვარე, მერე სიის მიხედვით დავიწყე. სიაში ვნახე ისინი, ვისთვისაც მამაჩემს ჯერ არ მიეტანა გაზეთები. ესენი იყვნენ: მოსამართლე დავით მაღლაკელიძე, ჩემი ისტორიის მასწავლებელი მისაბიშვილი, ირაკლი ზამბახიძე, ჩემი თანაკლასელის, თემოს მამა, სხვები და სხვები, ზოგი უცნობი, ზოგიც ნაცნობი.

ცოტა შევფიქრიანდი, ზოგთან მისვლა ნამდვილად მესირცხვილებოდა.

საწოლი იქვე, მაგიდასთან იდგა. მამა თვალს მადევნებდა და მეხმარებოდა გაზეთების განაწილებაში. სულ ზეპირად იცოდა, ვის რა ჰქონდა გამოწერილი. ამიხსნა საიდან უნდა დამეწყო შემოვლა, რომ გზა არ გამეგრძელებოდა.

ჩანთის ღვედი მხარზე მოვიგდე. მეტისმეტად დიდი ჩანთა იყო. მაშინ დედაჩემმა სხვა რამ გამომინახა. მალე გზას გავუდექი.

პირველი, ვისთანაც მივედი, დუხაბორი იყო, ჩვენს უბანში განთქმული მერძევე. ყველას უკვირდა: განა რამდენს იწველის მისი ორი ძროხა, რომ მთელი დღე რძეს დაატარებს კარდაკარ და შინ კიდევ იმდენი რჩება. ყველსა და კარაქსაც აკეთებსო.

დუხაბორის წერილი მივუტანე და „სპასიბო" მაჩუქა.

მერე მაღლაკელიძეების სადარბაზოში შევედი. რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი ირმას მეზობლებს დავურიგე. ზოგს კარზე დაეკიდებინა საფოსტო ყუთი და შიგ ჩავუშვი გაზეთები.

მაღლაკელიძეებს კი ყუთი არ ჰქონდათ. კარზე ფრთხილად დავაკაკუნე. ლოყები მეწვოდა. ირმას მოველოდი. გამოვარდებოდა თუ არა, რამეს ისეთს მეტყოდა, რასაც მე ვერ მოვიფიქრებდი. სწრაფი ნაბიჯის მაგივრად კარს იქით ფლოსტები აფრატუნდა. კარი გაიღო და ირმას ბებიამ, თამარმა გამოიხედა. მივესალმე და ჟურნალ-გაზეთები გავუწოდე. ამ დროს რომელიღაც ოთახიდან ირმას ხმა გაისმა:

— ვინ არის, ბებო?

— არავინ. ფოსტალიონია! — უპასუხა თამარმა, ჟურნალ-გაზეთები გამომართვა, დამაკვირდა და მკითხა:

— შენ ახალი ხარ?

— დიახ, ახალი ვარ. — წყენით მივუგე და კიბეზე ისე დავეშვი, უკან აღარ მომიხედავს. ჯერ ერთი, მეწყინა, არავინო, რომ თქვა. მეორეც, როგორ ვერ მიცნო? მერე რა მოხდა? პატარა რომ ვარ და შეუმჩნეველი, შეიძლება ყველაფერი მკადრის ამხნის ქალმა, მაგრამ მამაჩემზედაც რომ თქვას, არავინ, ფოსტალიონიო? მაშინ? ეს არ ეწყინება მამაჩემს? ამის გაფიქრებაზე უფრო მომიკლა გული.

ისევ გადავჭერი ჩემი ქუჩა, ჩავუარე ბიბლიოთეკას და ნავთის წერტს, შეკაში მცხოვრებთ ორიოდე გაზეთი გადავეცი და მინდორზე გავედი, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ უკანასკნელი საფეხბურთო მატჩი ჩატარდა და ახლა რამდენიმე კაცი ამ მინდვრის სიგრძე-სიგანეს ზომავდა. გაგებული გვქონდა, რომ აქ ბაზარი უნდა გაემართათ. ეს ამბავი ჩემი ქუჩის მცხოვრებთ სიამოვნებდათ, რადგან ვერის ბაზარი შორს იყო და იქ უხდებოდათ სიარული. ახლა საბურთალოს თავისი ბაზარი ექნებოდა. ძია ვანოსაც აღარ მოუხდებოდა შორს წასვლა. მასაც უხაროდა ბაზრის გახსნა.

ჩვენი უბნის მმართველთან, რაჟდენ ფურაძესთან, ჟურნალი „ხელოვნება" და გაზეთი „მუშა" მიმქონდა. არ ვიცი ხელოვნებასთან რა კავშირი ჰქონდა ამ ხმელ-ხმელ, აწოწილ, ნაადრევ მოჯუჯღუნე, თავისი მობინადრეებით მუდამ უკმაყოფილო, ბავშვების საფრთხობელა კაცს.

რაჟდენა მოდისო, გამიგონია, ასე რომ აშინებდნენ დედები შვილებს.

რაჟდენა მოვა და წაგიყვანსო, — ძილის წინ აფრთხილებდნენ ჯიუტ ბავშვებს, როცა ისინი ლოგინს არ ეკარებოდნენ.

რაჟდენის ყველას ეშინოდა. არა მგონია, მასავით მჭრელი და მსუსხავი თვალები ვინმეს თუ ჰქონდა.

მე მაინც იმას ვფიქრობდი, რად უნდოდა რაიდენს ჟურნალი „ხელოვნება". თეატრში ის არ დადიოდა და კინოში. არც ვინმე ჰყავდა ამით დაინტერესებული. ისიც ვიცოდი, რომ მხატვრობა სძულდა და ჯოვედ სეროვის „რაღაც ნათხაპნს" უწოდებდა. რატომღაც თათრული ბაიათი ურჩევნია სხვა დანარჩენ სიმღერას.

ასეთი კაცისათვის ახალი იყო ჟურნალი „ხელოვნება".

კარზე მივუკაკუნე — ცოლმა გამოხედა.

— არ იქნა და დროზე არავერს გვაღირსებენ! — ჩაიჩაიხით შემეგება ქალი. სიტყვის თქმა არ დამაცადა, ჟურნალი და გაზეთი ხელიდან გამომგლიჯა და კარი მომიჯახუნა. გული ლამის ამომვარდა. ყურები ისე გამიხურდა, მეგონა ცეცხლი წამეკიდა-მეთქი.

მინდორი გადავირბინე და პირდაპირ ლელის პირას, ბოშების სახლს მივადექი. კარზე რომ დავაკაკუნე, ქალის წკრიალა ხმა შემომესმა. მალე ჩემს წინ გაჩნდა მთელი იმ უბნის მშვენება, ჩემი ქუჩის ყველაზე ლამაზი ქალი, ბოშა ლიზა.

მაღალი იყო, გრძელი, ნაოჭებიანი კაბა ეცვა და ეს უფრო ამაღლებდა. ცეცხლოვანი თვალები ჰქონდა. ვერცხლის დიდრონი საყურეები ეკეთა და კუპრივით შავი თმა მხრებზე ჩამოეშალა.

პირველად როდი ვხედავდი. ჩვენს მეზობლობაში ვინ არ იცნობდა ლიზას და მის ორ ძმას. ესენი მოხეტიალე ბოშები არ იყვნენ, მათ თავიანთი სახლ-კარი ჰქონდათ. ძმები სადღაც მუშაობდნენ და საღამოობით შინ მოჰყავდათ თავიანთი ლამაზი დროგი, რომელშიც მოხდენილი ცხენები ება.

ბოშები მეზობლებს ყველაფერში ეხმარებოდნენ. საღამოობით, როცა ჩვენს ქუჩაზე მოძრაობა მიწყდებოდა, როცა ძმები დროგსა და ცხენებს დააბინავებდნენ და წაიხემსებდნენ, ერთი გიტარას იღებდა, მეორე მანდოლინს და თავიანთ დას, ლიზას, ამღერებდნენ და აცეკვებდნენ. ამ დროს მათი სახლის ყველა ფანჯარა და კარი ღია იყო. ქუჩაში გამვლელთ შეეძლოთ ეცქირათ ამ უფასო, მაგრამ მომხიბლავი კონცერტისათვის. ლიზა რომ ხელებს მაღლა შემართავდა, ერთს ბოშურად შესძახებდა, მერე მარჯვენა ფეხს იატაკს დაჰკრავდა და ცეკვას დაიწყებდა. ფანჯრებსა და კარებზე მიმწყდარი დიდ-პატარა ნეტარებით შეჰყურებდა.

ერთ რამედ ღირდა ლიზას სიმღერის მოსმენა. გიტარის კილოში ჩიოდებდა, ყელს მოიღერებდა და ბოშურ სიმღერას დასძახებდა. რამდენი ვინმე ეტრფოდა, ის ცრემლიანი ადამიანები ახლაც თვალწინ მიდგანან. ლიზა ისევე არ შორდება ჩემს გონებას, როგორც ჩემი ქუჩის სხვა ფერები და სურათები.

ახლა ამ ქალს წერილი მივაწოდე. არ ვიცი ვისგან იყო კონვერტის დახედვა თუ არა, გახარებულმა აკოცა და გულში ჩაიკრა. მერე ხელი დამავლო და ოთახში ძალით შემიყვანა. ბლომად კამფეტი ჩამიყარა ჩანთაში. ეს ისე სწრაფად, ისე მოხდენილად გააკეთა გახარებულმა ქალმა, მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი.

— მამაშენი სადაა? — ესეც უმალვე მკითხა. კონვერტს გულში იკრავდა და გახსნას არ ეშურებოდა. ალბათ ეს წერილი უფრო მეტად აღელვებდა და ატკბობდა. იცოდა, რაც იქნებოდა წერილში.

— აქვე არის, — მივუგე და მადლობაც მაშინ ვუთხარი.

ლიზას ჩემთვის აღარ ეცალა. კონვერტი გახსნა და წერილის კითხვა დაიწყო. როცა ჩუმად კარისკენ დავიხიე და გარეთ გავედი, მხიარულებიდან არ გამოერკვა და ერთხელ კიდევ მომაძახა:

— გმადლობთ, ძვირფასო!

მესიამოვნა ადამიანი რომ გავახარე, რაღა თქმა უნდა. უდიდესი სიხარული და ბედნიერება მოუტანა ლიზას ამ ერთაბეწო წერილმა.

ასეა, ზოგიერთი მაინც წინდახედულობის,

როგორც გინდა მოემსახურო. ზოგი კი ძვირე სიმსახურისთვის დაგლოცავს და გაგალმერთებს.

ჰა დღეს ვიგრძენი რა იყო მამაჩემის სამსახური. მაგრამ იქნებ მამაჩემს არც კი ეზიდდავენ იმას, რაც მე მკადრა რაღაც ფერაძის ცოლმა, ანდა იმან ბებიამ რომ დაეფექრებლად წამოსცდა: თამარს როგორ დაემდერება კაცი, რომ ასე მასზე ბევრად ახალგაზრდა ქალმა უღანაშაულოს ცხვირწინ განრისხებით ჩაირაზუნა კარი.

თავრამ ლიზამ სულ გააქარწყლა ყველა წყენა და წუხილი, იქიდან ერთამეს-ზრული გავქანდი პირდაპირ ისტორიის მასწავლებლის, ლევან მისაბიშვილის სახლისკენ. არ მეღირდა. გუშინდელი ფესტივალიონის მაგივრად რომ მიკადრეს. შინ შემიყვანა და მკითხა, მამას რა დაემართაო. მამაჩემზე დიდ პატივს სცემდა, იმის გამოც, რომ მე მისი საყვარელი მოწაფე ვიყავი. მამაჩემი მისგან ყოველთვის კმაყოფილი ბრუნდებოდა და ამბობდა, ღმერთივით კაციო.

მე არ ვიცი როგორია ღმერთი, მაგრამ ლევანი რომ კარგი მასწავლებელი იყო, ეს ჩემზე უკეთ არავინ იცოდა. ალერსიანი, ტკბილად მოუბარი. მხოლოდ რუგვები და თავზე ხელდაუკრელი მოწაფე თუ გაბედავდა მასთან ხელი შეეშალა გაკვეთილზე.

ძალზე მაღალი კაცი იყო მასწავლებლებთან გოლიათი ჩანდა. მოწაფეებში ხმა დადიოდა, მისი სხეული მეზღვემა შეისვარაო. ამის გაგონება არ მიხდოდა. ვერც კი წარმომედგინა, რომ იგი იდესმე მოკვდებოდა და... როგორ მოუბრუნდა პირში ენა იმას, ვისაც პირველად ეს სიტყვები წამოროშა!

ლევან მასწავლებელს შეუხედავდი თუ არა, ის ნათქვამი უმალ მახსენდებოდა და გული მტკიოდა.

არავინ მინახავს მასავით მაღალი. თავზე ხელს რომ გადამისვამდა, ჩვეულებრივი ადამიანის ხელს როდი ვგრძნობდი. ის რომ შესვენების დროს სკოლის დერეფანში ჩაივლიდა, ბავშვები კედელს აეკვრებოდნენ, გაისუსებოდნენ. უნებლიე შიში და მორიდება ჰქონდათ მისი, როგორც გოლიათის კი ცისა. სამიში კი სრულებითაც არ იყო. ვისაც კი გვესწავლიდა, ყველამ ვიცოდით მისი კეთილი გულის ამბავი.

ამ გოლიათ კაცში თბილი, ადამიანური თვისებებიც გოლიათური იყო.

შეწუხდა მამაჩემის ავადმყოფობის გამო. იქნებ რამე დახმარება გინდათო, მკითხა. ამწრიალდა, ვერ მოისვენა. მისი საყვარელი მოწაფე ვიყავი და ჩემმა ქუჩა-ქუჩა სიარულმაც შეაწუხა.

— შენ როგორ გაუძლებები მამის საქმეს, შემცვლელი არავინ ჰყავს?

— მე მხოლოდ დღეს მიეეხმარე გაკვეთილების მომზადებას მოვასწრებ.

თავზე ხელი გადამისვა. მეტისმეტად ტლანქი და უხეში მთალერსება იცოდა, მეამებოდა კი.

— შენ კიდევ გქონია კურნალ-გაზეთები ჩამოსარიგებელი. წადი, დროს ნუ წაგართმევ. შინ რომ მიხვალ, მამას ჩემი სალამი გადაეცი.

მასწავლებელს გამოვეთხოვე და მეკამი ჩემი ქურისაკენ მოვკურცხლე, ცოტა ვფიქრობდი რამდენიმე ეზოში შევიარე და ჩაბარებ შევახვედრე, მოვადექი ჩემი თანაკლასელის, ზამბახიძის სახლსაც. ერთი განებივრებული და არხეინი ბიჭი იყო თემო ზამბახიძე. შინ დამხვდა. მასთან არასოდეს არ დავდიოდი, არ ვეამხანაგებოდი და ჩემი მისვლაც ამიტომ გაუკვირდა. ეროვნულ არ შეხვედრია, მაგრამ როცა უეთხარი, მამაჩემი ავად გახდა და თქვენი გაზეთები მე მოგიტანეთ-მეთქი, თავი შემართა და ქედმაღლურად მითხრა:

— სწავლაზე რაღას იკლავ თავს? მამაშენი ფოსტალიონი იყო, მამაშენიც ფოსტალიონია. იმდენი წერა-კითხვა კი იცი, რომ შენც მაგ საქმეს დაადგე.

— ეითომ რატომ? — ჩემდა უნებურად ვკითხე და ჩემივე ნათქვამზე შევცბუნდი.

რამ მათქმევინა?! ვთაკილობ მამის საქმეს? მამამ ეს რომ გაიგოს, იქნება ეწ-

ყინის კიდეც. მას ხომ სხვა საქმეზე არასოდეს არ უთქვნებია. ამ საქმეზე არის შეყვარებული და გულმოდგინედაც ესახურება ხალხს.

ნეტავ მამაჩემსაც ასე დაცინვით უყურებს თვითონ?

კბილი მეტკინა. ციეად შევტრიალდი და გზას გავუდექი.

არიან მოზრდილი რეგვენები ქვეყანაზე და მოზარდი რეგვენებიც. რომლებიც შემდეგომ დიდებს შეცვლიან და რეგვენობა მაინც იქნება. სადაც არ უნდა შეგხვდეს ასეთი კაცი, დაკეცნებს, ქედმაღლურად გადმოგხედავს და ყოველთვის შენს დამცირებასა და დაჩაგვრას ეცდება. ასეთი იყო თემო გაკვეთილებზედაც. მუდამ ცხრად უყურებდა ამხანაგებს. სამაგალითოდ დაწერილი საჩინები ჰქონდა, მაგრამ მისთვის არავის არ დაუცინია. ვერ დასცინოდნენ, რადგან ზოგი ვერ უბედავდა, ზოგს ბეჩნებით არ მოსდგამდა ეს სიბინძურე. მაგალითად, მე არ შემეძლო დამეცინა, მასხარად ამეგდო.

ამ უსიამოვნებას კიდევ ერთი უსიამოვნება მოჰყვა. ერთ ეზოში უკანასკნელი თვიოდე გაზეთი მქონდა მისატანი. ლია ეზო იყო, შემოუღობავი და უპატრონო. ეზოში ფეხი შევდგი თუ არა, ერთმა უშველებელმა ქოფაკმა უცებ ასტეხა ყეფა. დავინახე თამბული რომ იყო და გავთამამდი. ეზოში შევედი. ამაზე უფრო მეტად გამიცხარდა ქოფაკი, იძალა, ჯაჭვი გაწყვიტა და ისეთი ყოფით გამოექანა ჩემსკენ, თითქოს სიკვდილი ჰქონოდა ჩემგან გამწარებული, ჩემს გამოჩენას ელოდა და აი, დადგა შურისგების ნანატრი წუთი.

რა დავუშავე? არაფერი. არც ქვა მისროლია მისთვის, არც კეტი მომიღერებია, მაგრამ მაინც მტრულად შემხვდა. ქოფაკის ჩანთა მივუგდე და თავს ვუშველე. უკან აღარ მომიხედავს, ისე მოვკურცხლე. თვალის დახამხამებაში ქუჩაში გავვარდი. ერთი კაცი გადამიდგა წინ. მაშველის კილოთი გადამიძახა: ეცნობი იყო, მაგრამ შეშინებული რომ დამინახა, შევეცოდე და მაშინვე მომაქცია ყურადღება.

ეზოში თვალი შევასწარი ჩემს ჩანთას როგორ ულმობლად ფხრეწდა ქოფაკი. გაზეთებიც ნაკუწებად აქცია. ბოლოს პატრონი გამოეშველა და წაათრია. ფურცლებისა და შეშინებულის დამამხრჩვალ ნაფლეთებად ქცეული ჩანთა. ეს რაღა უნდოდა იგი?! ისედაც ძველი იყო და ახლა სულ არაფერში გამოდგებოდა. სადღა იყო ბიჭა ქალის ნაჩუქარი კანტიტები!

ალახცახებულმა გამოვწიე შინისკენ. როცა ღელეზე გადებული პატარა ხიდი გადავიარე, დაფხრეწილ ჩანთაში ერთხელ კიდევ ჩავიხედე, იქნებ ერთი კამფეტი მაინც დარჩა-მეთქი. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ შიგ არაფერი იყო და ჩანთა ბინძური წყლით სავსე თხრილში მოვისროლე.

დედაჩემს დავენანა ის ჩანთა. ბაზარში იაფად ღირდა და ბევრი რამ ეტეოდა. ფეროვნურმა კი გადაჰკრა, როცა ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. თემოზე კი ერთი სიტყვაც არ დამცდენია.

მეორე დღეს, რომ არ მოველოდი ისე, ლევან მისაბიძველმა გამომიძახა, გაკვეთილი ვიცოდი და თამამად წამოვდექი.

მასწავლებელი თითქოს კუთხეში დასჯილი ბავშვივით იდგა. ასე იცოდა გაჩინდებით დგომა, როცა ვინმე კარგად აბარებდა გაკვეთილს.

მასწავლებელს არ ვუყურებდი. დაფას მივჩერებოდი და წარსულ ამბებზე თავისუფლად ვყვებოდი. მესმოდა ამხანაგების შეკავებული, მძიმე სუნთქვა. როცა თხრობა დავამთავრე, მხოლოდ მაშინ შევხედე მასწავლებელს. მან კმაყოფილებით დააქნია თავი და თავისი მაგიდისაკენ წავიდა, რომელზედაც საკლასო ჟურნალი ჰქონდა გადაშლილი. ორი ნაბიჯის გადადგმაც არ დასჭირვებია კუთხიდან მაგიდამდე.

— მომეცი შენი დღიური.

დღიური მივუტანე. ხელი თავზე დამადო და მითხრა:

— მე ახლა შენ სხვანაირ ნიშანს ჩაგიწერ. ჯერ არავისთვის არ დამიწერია იგი და პირველი შენ იქნები.

რა ნიშანი ჩამიწერა დღიურში და საკლასო ჟურნალში, არ დამინახავს. რა უნდა ყოფილიყო ეს „სხვანაირი ნიშანი"? ჩემს მერხს დაუბრუნდა და ერთი სული მქონდა როდის გადავშლიდი დღიურს.

თურმე მარტო მე კი არა, მთელი კლასი გაფაციცებით მოელოდა ამ ნიშნის ნახვას. მაგრამ ვინ გაბედავდა ჩემი მერხისკენ გადმოხედვას, სანამ ზარი არ დაირეკებოდა.

მერხს მივუჯექი. გული გამალებით მიცემდა. ფრთხილად, ისე, რომ შრიალი არ გაეღო, გადავშალე დღიური. თვალს არ დავუჯერე. ნიშნების ადგილას „წარჩინებული" ეწერა.

თავბრუ დამეხვა და მთელ კლასს ისე გადავხედე, ისე ამაყად და სიხარულით, რომ უმალ ელდა მეცა ჩემი ამ მეტისმეტი სითამამის გამო. მზად ვიყავი ყველა ჩემი თანაკლასელი გადამეკოცნა. მიუხედავად იმისა, რომ თემოზე უზომოდ ნაწყენი ვიყავი, იმასაც მეგობრულად მოვექცეოდი.

ზარი დაირეკა. მასწავლებელი კლასიდან გავიდა თუ არა, „სხვანაირი ნიშნით" დაინტერესებულმა გოგო-ბიჭებმა ზედახორა გამართეს ჩემს მერხზე, დღიური ლამის დამიფლითეს.

ის დღიური დღესაც შენახული მაქვს. მუდამ ნეტარებით ვიხსენებ იმ დღეს. კლასიდან მთელ სკოლას მოედო ჩემი „წარჩინებულის" ამბავი. სანახავად მოდიოდნენ სხვა კლასელები. მოვიდნენ მასწავლებლებიც. მე სახეალეწილი მორცხვად ვიმალებოდი კლასში.

7.

ბიჭები გორაკზე წავედით, სადაც ერთი პატარა, დაცემული ველობი იყო. აქ ხშირად ამოვდიოდით ბურთის სათამაშოდ. ფეხბურთის თამაშის წესებს არ ვიცავდით. ჩვენ ჩვენი წესები გვქონდა: სამი კუთხური ერთ თერთმეტმეტრიანს უდრიდა. სადაც არ უნდა მოხვედრილიყო მოთამაშეს ბურთი ხელზე, საჯარიმო მოედანი იქნებოდა თუ იმის გარეთ, მაინც ინიშნებოდა თერთმეტმეტრიანი. გვიხაროდა ეს ამდენი თერთმეტმეტრიანები. ოთხნი იქით იყვნენ, ოთხნი აქეთ ვიყავით. ერთმანეთს ვაწყდებოდით და კანჭებს ვულილავებდით, რომ როგორმე ბურთი გვეგდო. ძველი ბურთი გვქონდა, მაგრამ არ იყო გახეთქილი და ძველი სათამაშო იყო.

გახურებულ თამაშში ვიყავით, როცა გორაკზე გოგონებიც გამოჩნდნენ. მოგვიანებით შევნიშნეთ ისინი. მოხუთალთ თანდათან დაჭერობანას თამაშით გვიახლოვდებოდნენ. ირმაც იმათში ერია.

რაღაც შინაგანი ხმა მიხმობდა, თავი მომეწონებინა მისთვის.

ბურთი მოვიგდე და მოწინააღმდეგის კარისკენ გავექანე. მართლა კარგად მიმქონდა. უცებ ვიღაცამ ფეხი დამიდო და ზღართანი მოვადინე. ლავაშივით გავეკარი მიწას. პირველად ვერაფერი ტკივილი ვერ ვიგრძენი, მაგრამ, როცა წამოვიწიე, ხელისგულები და მუხლისთავები ამეწვა. სისხლი მდიოდა. ყურადღებას არავინ მაქცევდა. მე კი სიმწრისგან ტუჩებს ვიკვნეტდი.

— ეი, კაცი კვდება და არ გშველით?! — მომესმა ირმას ხმა. სჯობდა კი, რომ ეს ხმა სულ არ გამეგონა.

პირველად ის მოიჭრა ჩემთან.

— ვა, ეს შენი ხარ! — გაიოცა და როცა დასისხლიანებული ხელები დაინახა, შეჰკივლა, — ჩქარა ადექი და წადი ექიმთან. სისხლი მოგეწამლება!

— სისხლი არა ის... — ტკივილებისგან გამწარებული ვიყავი, მაგრამ თავი მაინც მოვიიარხეინე, იმდენი ვეცადე მეყო, რომ ირმას გულმაგრად ვჩვენებოდი.

— ამას უყურე ერთი! — მიუბრუნდა ირმა მეგობარ გოგონებს, რომლებიც გაოცებულნი მომჩერებოდნენ. მათ თვალებში სიბრალული წავიკითხე. ალბათ

უკვირდათ, ასე „დაჩეხილი“ რატომ არ ეტიროდა.

ბიჭებმა თამაშს თავი მიანებეს და შემომეხვივნენ.

— რა მოგივიდა, თამაზ?

— ის მოუვიდა, რომ ამან ფეხი დაუდო და წააქცია. განა ვერ დაგინახეთ, ვაჟბატონო! — მივარდა ირმა ერთ-ერთ მობურთალს, არც აცია და არც აცხელა, სილა სტკიცა ლოყაში. თან მაშინვე მიაყოლა, აბა რამე გაბედე, უარესი დაგემართებაო. სახტად დარჩენილი ბიჭი აწურა და ვერაფერი შებედა.

ძლივს წამოვდექი, ბიჭები ოფლს იწმენდნენ და წუხდნენ. ერთმა მაისური გაიხადა და შუაზე გაფხრიწა, რომ მუხლისთავები გადაეხვია ჩემთვის.

— ეს გაუგონარ ჭუჭყიანი და გათელ-ანებული მაისურით შეხვევა? — შეუტია ირმამ, — ბენტერაც, მადლენი არ გესმის? მოჰკიდეთ ხელი და ექიმთან წაიყვანეთ!

ბიჭები აქეთ-იქით ამომიდგნენ და ძლივსძლივობით წამათრიეს. გოგოები გორაკზე დარჩნენ, ირმა კი თან გამოგვყვა. პოლიკლინიკაში ისე შეგვაძღვა, თითქოს ექიმებთან გაშინაურებულიო.

პოლიკლინიკიდან ისევ ბიჭებმა გამომიყვანეს. ირმას თვალს ვერ ვუსწორებდი. გულში კი მიხაროდა, რომ მან ამდენი ყურადღება გამოიჩინა ჩემდამი.

— გტკივა? — მკითხა დამშვიდობებისას და მხოლოდ მაშინ შევხედე. ანცი და დაუდეგარი გოგოს თვალებში სიბრალული ჩამდგარიყო.

მ.

ბაზარს აგებდნენ. უზარმაზარი ალაგი ფიცრისა და ფანერის დუქნებით, ფარდულებითა და ფართლეულის, რკინა-გავეულის, ათასგვარი წვრილმანი საქონლის სავაჭროებით შემოარაგვეს. ბაზრის ბოლოში ხილბოსტნეულის გასაყიდი დახლებიც დაამართეს.

ბაზარი საზეიმოდ არავის გაუხსნია, მაგრამ იმ დღეს, როცა პირველად გაიღეს სავაჭრო წერტები, ქვეყნის ხალხი მოვიდა ქალაქიდან. ჩემი ქუჩის ბინადარნი ხომ პირველნი იყვნენ. მოზარდებსაც აინტერესებდათ რა გაიყიდებოდა ახალ პაწია მაღაზიებში. ხალხთან ერთად ჩვენც დავიარეთ.

ბაზრის მოედანი ჭედილი იყო. დუქნებსა და მაღაზიებში ხალხი აზუზუნდა, ზოგი რას ყიდულობდა, ზოგი რას. დედაჩემი ხელცარიელი რომ არ დაბრუნებულიყო. შინ, ერთი ვედრო იყიდა.

ახალი ბაზრის გახსნამ ცხოვრების ახლებური სითი დაამყარა. იქ, სადაც ბლომად ხალხი მოიყრიდა თავს, სასაუზმეებიც საჭირო იყო. კიბოთის სახაშეს მალე მოცილე გამოუჩნდა და ზედ ბაზრის შესასვლელი შუკის თავში, ნავთის წერტილისა და ბიბლიოთეკის გადასწვრივ, დიდი სახინკლე და სახაშე გახსნეს.

ქეთო ჭარუხნიშვილს გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, ესღა გვაკლდაო, წყენით ამბობდა, მაგრამ მისი სიტყვები იყო ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

მალე სახაშესა და სახინკლეს ლუდის ფარდული მოადგას, სანამ ყველაფერ ამას მოაწყობდნენ, დაზამთრდა, აცივდა, ბაზარში მწვანილმა იკლო. დილით სალომეს ვედრით ახლა ძია ვანოსაც ნახავდით. ისინი შემოდგომის ბოლოსკენ ყიდდნენ. მათ გარდა ბაზარში ხილით მოვაჭრე არავინ კაცი. თუ მოჩანდა. რატომღაც ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრენი ამ ბაზარს არ ეკარებოდნენ.

სიცივით მობეზრებული ბაზრის მეშაქეები მოედანზე აქა-იქ ცეცხლს ანთებდნენ. სამისოდ ძირგავარდნილ ვედროებს იყენებდნენ. ჩაჰყრიდნენ ვედროში ნაფოტსა და ქაღალდს, ცეცხლს წაუკიდებდნენ და ვედრო ისე დაიგუგუნებდა, თითქოს თუჯის ღუმელიაო.

ქალაქური ეშხი თანდათან ედებოდა ჩვენს ქუჩას. გარშემო უბნებიდან რამდენიმე მაღალსართულიანმა სახლმა მედიდურად გადმოხედა ჩვენი ქუჩის ქოხებს.

ქალაქის შუაგულიდან ბაზარში მიმა-

ვალ ხალხს უძნელდებოდა ვიწრო და ტალახიანი აღმართის ამოვლა. ამიტომ, სადაც შესაძლებელი იყო, ქუჩას სიგანე მოუმატეს.

აღმართში, იქ, სადაც ახლა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიდი შენობა დგას, გორაკს კალთა ჩამოაჭრეს და ქუჩას გვერდი შეუვსეს.

მალე ჩემს ქუჩაზე პირველი ავტობუსი გამოჩნდა. ეს წუთიც ზეიმად იქცა.

ავტობუსი ჩემს ქუჩაზე! ამიერიდან ქალაქში, ვერის ხიდამდე ფეხით აღარ ჩავიდოდით. აქ კი ტრამვაის ხაზი გადიოდა. ტრამვაის გაყვანა საბურთალოსკენ არავის მოსვლია აზრად, მოუხერხებელ იმისა, რომ ეს ჩვენი ნატვრა იყო. ეტლები კი ბლომად დადიოდა.

და აი, ივლისი ერთგვარიანი, ოცდაათადგილიანი „ზისი", ავტობუსი თეთრებით გამოჩნდა ჩვენს ქუჩაზე. პირველი მგზავრების უმეტესობა ბაზართან ჩამოხტა.

მანქანას ისე შევჩვეულვართ, თითქოს ჯერ არ გვენახა. ასეთი ავტობუსები ხომ ქალაქში ბლომად დადიოდა, მაგრამ სულ სხვა იყო ერთი მათგანის ჩვენს ქუჩაზე გამოჩენა.

მგზავრობის მსურველნი ბევრნი იყვნენ. ავტობუსი ისე იყო გაჭედილი, თითქოს კაცი ძლივს ჩაჯდა ბაზრის გაჩერებასთან.

მანქანა ალუთაქსი იქით ძაღლების სანაშენეს გასცდა, კომერციული პურის დუქანთან მივიდა. იქ იყო ბოლო გაჩერება (კომერციული პური მაშინ აღარ იყიდებოდა, მაგრამ დუქანს ძველი სახელი შერჩა). ავტობუსმა ცოტა ხანს შეისვენა და მერე ისევ ხალხით გაჭედილმა ჩამოიარა. ისე იყო სავსე, შოფერს თავზეც ასხდნენ.

ავტობუსის დასანახავად თითქმის მთელი უბნიდან გამოსულიყო ხალხი. კვირა დღე იყო. მომინდა ჩემს ქუჩაზე ავტობუსით გამესეირნა. ეს სურვილი მარტო მე როდი მქონდა. როცა მეორეჯერ ძლივს მოვახერხე მანქანაში შესვლა, რამდენიმე ჩვენს სკოლელს შევხვდი. ავტობუსით დასეირნობდნენ ყმაწვილები. ავტობუსს ერთი-ორჯერ გაჰყვნენ ქალაქში და ამის გამო კონდუქტორი, ერთი ჩია, შავი ქალი, რისხვის ჯვარივით მათ. ვერაფერით ვერ ჩაუყვანია ისინი მანქანიდან. უბილეთოდ არ მგზავრობდნენ, მაგრამ მაინც გული მოსდიოდა კონდუქტორს. ეს რა გზაზე გამოჰყვნენ, ეწიოდა შოფერს, მუშტაიდის ბაღი ხომ არ არის, ასე რომ დასეირნობენ. შოფერი ყურს არ უგდებდა. მეწინველი იჯდა და გზას გასცქეროდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და კონდუქტორს შეუტია:

— კარგი, რა!

კონდუქტორმა განრისხებით გამომართვა ბილეთის ფული და დამიჯავრდა:

— შენც საგულდაგულოდ ამობრძანდი?

— არ შეიძლება?! — ვკითხე გაოცებულმა, — ბილეთს ხომ ვიღებ?

— ხალხს საქმეზე ეჩქარება... ესენი ბერლოიბენ... მუშტაიდია? კარუსელია?

შოფერმა გადმოსძახა:

— სოფიკ, მოეშვი, გაიხარონ.

ხალხმაც ხმა შეუწყო შოფერს. ბავშვები არიან, გაიხარონ, ბიჭები ალეფიედნენ, შოფერი შეაქეს.

ჩვენს ეზოს ჩავუქროლეთ და კომთევს სახაშეს გადასწვრივ გავჩერდით. ერთ-ერთი გაჩერება აქ იყო და ავტობუსს ბევრი ხალხი ელოდა.

— ესენი სადღა დავსხათ? — განრისხებით დაუძახა სკამზე შესკუპებულმა სოფიკომ შოფერს, ყოველ გაჩერებაზე მომლოდინე ხალხზე დაეწვა გული.

— რა ვქნა, ფეხით წავიდნენ. აქამდე რით დადიოდნენ? ცოტა ეტლებია?

ავტობუსი მაინც გაჩერდა. შოფერმა კარი გააღო და უცებ ირმას ხმა გავიგონე:

— მოდი, მოდი, ბებო! იმარჯვე, ბალო!

სულ მალე დავინახე როგორ მისწია-მოსწია ავტობუსში ჩაჭედილი მგზავრები ირმამ, როგორ გაუკვალა გასავლელი ბებიას და უცებ თავზე წამომადგა. მა-

შინვე წამოვხტი და ბებია თამარს ადგილი დავუთმე.

გოგონა წამოწითლებულიყო. ავტობუსში ამოსვლით მოქანცულ ბებიას კი ფერი არ ედო, ჩახუთულ გარემოშიც მობეზრდა და გული ლამის წაუვიდა. მე და ირმა პირისპირ აღმოვჩნდით, ერთმანეთს მჭიდროდ მიკრულნი. და მხოლოდ მაშინ მომეცა საშუალება დავკვირვებოდი მის ლამაზ სახეს.

ირმას თვალები უცინოდა და გახარებული იყო, რომ ამდენ ხალხში იმარჯვა და ბებიაც ამოიყვანა.

სოფიკამ თქვა, ეს ვინა ყოფილა!

ხალხი გვეჯიჭრებოდა. ერთმანეთს არ გვაშორებდა. გვწურებოდა, ალმური მედებოდა და ცოტა არ იყოს, მრცხვენოდა კიდეც გოგონასთან ასე ახლო ყოფნა. ირმა ამის აინუნშიც არ აგდებდა. ზედ ჩემს ცხვირწინ სუნთქავდა და ჩემს სახეზე მისი სითბო და სიცხოველე მეფინებოდა.

— სად მიდიხარ? — ვკითხე მას უცებ.

— არსად.

— როგორ თუ არსად! არსად წასვლა ხომ არ გამიგია! — გაიცინა მან. — ხუმრობ?

— ბოლდე, — პასუხად ძლივს ვამბობ თითო სიტყვას.

— სასეირნოდ კი არ არის ეს ავტობუსი.

ირმა მკერდით მეწებებოდა და მისი პატარა, მკვრივი ძუძუები უცხო ხილივით მეჩვენებოდა. მართლა უცხო და ამაღელვებელი იყო. შებრუნებას ვცდილობდი, მაგრამ ვერ ვახერხებდი.

ხალხი ყაყანებდა. სოფიკა ახლა სხვებს წაეკიდებოდა.

ავტობუსი დუქნისკარის აღმართს შეუდგა. უჭირდა, მაგრამ ზოზინით მიმავალ ტრამვაის მაინც წამოეწია. მერე ტრამვაიმ გაუსწრო, ისევ წამოეწია ავტობუსი და რის ვაივაგლახით აღმართი აიარა.

ძალიან იყო პირველი მგზავრობა ჩემს ქუჩაზე მოსიარულე ავტობუსით. ძათი იყო პირველი მღელვარებაც ირმას გამო. როცა იგი ვერის ბაზართან ჩავიდა, სული მოვითქვი. არც კი გამიმჟღავნებია, ბებიას გზა გაუკვალა და მარჯვედ ჩაიყვანა. მე ჩემს ადგილს ვეღარ დავუბრუნდი, რადგან ბებია წამოდგა თუ არა, ვიღაც ქალი ხენეშით დაესვენა სკამზე და ბებია დალოცა, შენ აგაშენა ღმერთმაო.

შინ მილეწილ-მოლეწილი დავბრუნდი. რა ძალა გადგათ, მისაყვედურა დედაჩემმა. მაგრამ რა ვიცი, რა ძალა მადგა. მიხაროდა ჩემს ქუჩაზე ავტობუსი რომ დადიოდა. როცა ამ პირველი მგზავრობის გამო ღელვაც ვიწვნიე და ტენჭვაც, გადავწყვიტე აღარ ჩავმჯდარიყავი. თვალს ვაყოლებდი ავტობუსს, მესმოდა ხალხის ყაყანი, სოფიკას ჩხავილი.

9.

დიდი ამბით ჩატარდა ჩვენს სკოლაში საახალწლო ზეიმი. მეორე მეოთხედი დავამთავრეთ. ახალი წელი კარზე მოგვადგა. იმ დღეებში ხვავიანადაც მოითოვა და ყმაწვილურ სიხარულს სიხარული მოემატა.

მაგრამ ისეთი საახალწლო კარნავალი, როგორიც ჩვენს სკოლაში ჩატარდა, არსად მანამდე არ მენახა. მიუხედავად ჩვენი საზეიმოდ მორთული დარბაზის სივიწროვისა (ეს იყო ფიზკულტურის დარბაზი), მოსწავლეებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა ბლომად მოიყარეს თავი. მშობლების კომიტეტი მთელი ათი დღე მუშაობდა, რომ თავი გამოეჩინა. მოსწავლეთაგან შეარჩიეს ისეთნი, ვისაც ხელსაქმე და ხატვა ემარჯვებოდა. ჩვენი სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგის ოთახში ტკბილეულით სავსე პაკეტები ეწყო. თვითონ სამეურნეო ნაწილის გამგე იყო თოვლის პაპა. თავისი ოთახის გასაღები არავის არ დაანება და ალბათ თოვლის პაპობაც ამიტომ ითავა.

დარბაზის შუაგულში კოხტად მორთული, გაშუქებული ნაძვის ხე იდგა.

გული სიხარულით გვიხტოდა. მოცეკვავეები, მომღერლები და დეკლამატორები ჩვენი სკოლის მოწაფეები იყვნენ. ნაირ-ნაირი კოსტუმები ეცვათ. მე არაფერში არ ვიღებდი მონაწილეობას და ვნანობდი. ზოგს საკარნავალო ნიღაბი ეკეთა და ვერც კი ვცნობდით. ხალხში შებია თამარს მოვკარი თვალი, მაგრამ ირმა კი არსად არ ჩანდა, ალბათ ნიღბიან გოგონათა შორის იყო.

ერთმა გიტარიანმა გოგონამ მიიქცია ჩემი ყურადღება. ბოშა ქალის ტანსაცმელი ეცვა. ყველაფრით ბოშა ქალს — ლიზას გავდა. და თუ მისებურადაც იმღერებს ასეთი კოსტუმი არცერთ მოწაფეს არ ეცვა. იგი ყველასაგან გამოირჩეოდა. ვინ არის, კითხულობდნენ სტუმრები. თანაკლასელებმა არ გაიცნეს. მანამდე, სანამ სხვა გამომსვლელებმა არ იცეკვეს, იმღერეს და ჯერი „ბოშა ქალზე" არ მიდგა.

იგი უცებ მარდად გამოვიდა მოწაფეთა ჯგუფიდან ნაძვის ხისაკენ, ხეს ერთი მოხდენილად ჩაუქროლა ცეკვით, მერე გიტარა მოიმარჯვა და პირი სავარძლებზე: მაშინვე ვიცანი ირმა მალოყველიძის ხმა.

ირმა ლიზას ბაძავდა. ზუსტად ისე მღეროდა, როგორც იგი. მიბაძვა ისეთი ზუსტი იყო, რომ ყველა იქ დამსწრე აღფრთოვანდა. ყველანი კი კარგად იცნობდნენ ბოშა ლიზას.

სიამო ხმა ჰქონდა და გიტარასაც კარგად უკრავდა.

ხშირად მომისმენია ბოშა ლიზას სიმღერა, რა დამავიწყებს მის ოდნავ ჩაგუდულ, ძლიერ, მკერდისმიერ ხმას. მართალია, ირმას ნორჩი მკერდი ისე ძლიერ ვერ გამოსცემდა ბანებს, მაგრამ ისიც კი, რასაც იგი აღწევდა, მოსაწონი იყო. დროდადრო მოხდენილად შემართავდა მარჯვენა ხელს, თვალწარმტაცად შეარხევდა მხრებს და წელში გადაიმტვრეოდა.

ირმამ ხალხი აალაპარაკა. ზოგმა თქვა, ბავშვს არ შეშვენის ასეთი რამეო, მეორენი იწონებდნენ გოგონის მიმბაძველობას, ნიჭსა და უნარს.

მთავარი ის იყო, რომ ირმას გამოსვლა უმეტესობას მოეწონა და ტაშით იქაურობა გააყრუეს. იგი ორჯერ ამღერეს. ბოლოს დაღლილი შეუერთდა თავის ამხანაგებს. მაშინ კი მივიდა მასთან შებია თამარი, რომელიც, ალბათ, გაფრთხილებული მყავდა, გამოსვლამდე არ მიეკარებოდა.

ეს საღამო არასოდეს დამავიწყდება.

უკვე გვიანი იყო, როცა დავიშალენით. ზეიმის შემდეგ შინ უნდა შეგვხვედროდით ახალ წელს. ყველა ოჯახში ამ დროს მაგიდებს ტკბილეულით აწყობდნენ, მერე ოჯახის წევრები შემოუსხდებოდნენ და დაელოდებოდნენ თორმეტი საათის შესრულებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ძველი წელი წაბრძანდებოდა და ახალი მობრძანდებოდა. ძველ კალენდარს უკანასკნელ ფურცლიანად კედლიდან ჩამოხსნიდნენ და ახალს ჩამოკიდებდნენ, ერთმანეთს დაჰკოცნიდნენ ადამიანები და ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით ტკბილად დაბერებას უსურვებდნენ. ასე იყო მაშინ, როცა ოცდათექვსმეტი წელი მიიწურა და დადგა ოცდაჩვიდმეტი. ასე იყო იმ წელსაც როცა ოცდათერთმეტი წელი დგებოდა.

სკოლიდან შინ მივიჩქაროდი. ბარდნიდა. ჯგროდ გამოვიშალენით ზეიმის მონაწილენი და ქუჩაში გავიფანტენით. ჯგუფი ყმაწვილებისა გოგოებს გუნდას უშენდა. გოგოები კი კივილ-ხივილით ერთმანეთს ეფარებოდნენ.

ქუჩაში ნათურები ბჟუტავდა. ისე მოჩანდა, თითქოს თოვლის მსხვილი ფანტელები ციდან კი არა, ნათურებიდან ცვიოდა. მქრქალ შუქზე ბზინავდა და მიწას ნელა ეფინებოდა.

ჩვენს უბანში თოვლს ნაკვალევი არ ეტყობოდა. სახლებიდან სინათლე გამოდიოდა. თოვლის თეთრ საბანს ფანჯრებისა და კარის შუშების ანარეკლი ეფინა.

შინ რომ შევედი, სუფრას უსხდნენ

მამაჩემი, ვანო და სანდრო, ახალი წლის მობრძანებისთვის არ დაუცდიათ, ქეიფს შესდგომოდნენ. კართან თოვლი ჩამოვიბერტყე და მეზობლებს მივესალმე.

— აი, ჩვენი ახალი წელიც მობრძანდა! — მხიარულად დაიძახა ძია სანდრომ. წამოდგა, გადამეხვია და გადამკოცნა. ძია ვანოს ხვევნა-კოცნა არ უყვარდა და ხელი ჩამომართვა. მამაჩემმა შუბლზე მაკოცა.

მალე შერმადინმა დაიძახა. ტაქსოკეშში მათაც დიდი ზეიმი ჰქონდათ, მაგრამ ცოტა ადრე წამოსულიყო, უნდოდა ახალ წელს შინ თავისიანებთან შეხვედროდა. სალომეს დიდი სუფრა გაეწყო. ახალი წელი დადგებოდა თუ არა, ჩვენთან მსხდომნიც აქ უნდა ავყვანა.

შერმადინმა ფანდურზე დამღერა. ღენო ავყვნენ. ნესტანი და თინა ტახტზე ფეხმორთხმულნი ერთმანეთს ჩაჰკვროდნენ.

დრო ნელა მიდიოდა. ძველი წლიწადი წელს ძლივს მიათრევდა.

ჩვენი ეზოს მინადორებმა ერთად მოვიყარეთ თავი.

თოვლის სუფთა, ქათქათა ლეიბზე, ჩუმად, ფეხაკრეფით გამოიარა და ყველა ოჯახს ეწვია ახალი წელი.

10.

...გავწევა და სწრაფად დაემშვიდობა თეთრის და ხელმეა გაქცეულ ზამთარი.

გაზაფხულის მოსვლას კი რამდენი რამ მოსდევს: სითბო და თქეში, ნაკადულების მოდიდება და კაცის ბუნების გახალისება, მტკვრის ამღვრევა და ენძელა, გადაფრენილი ყარყატების სეთომა, მინდვრების აბალახება, ჭეჭილის ამოწვერა, ჭია-ღუის ამოძრავება. მგალობელი ჩიტების პირველი გაკვეთილები, ლექენა წვიმა და ცისარტყელა, ალუჩების სიცილი და ტყემლების სიქათქათე...

გაღვიძებული მიწის სუნთქვა, გაზაფხულის ეული სუნი რომ ეძახიან.

ამ გაზაფხულს კიდევ ის მოჰყვა, რომ მე თოთხმეტი წლისა შევსრულდი და პირველი ლექსი დავწერე.

ერთხელ, აპრილის დამდეგს, საღამო ხანს, ბიბლიოთეკას მივაშურე. ჭეშმარიტად გადავიარე, ხარაზ ტიპტიპას შევეყარე. გორგოლაჭებზე შეყენებულ თავის ერთი ციცქნა სახელოსნოს ბაზრისაკენ რის ვაი-ვაგლახით მიაგორებდა. არავინ აიდა მშველელი. სახელოსნო ძველისძველი იყო, დაფხავებული ფანერებით შეკოწიწებული. მაგ მარტო ტიპტიპა თავსდებოდა, მუშტარი გარეთ უნდა მდგარიყო. არც ისეთი მაგრე სატარებელი იქნებოდა, ხეირიან ბორბლებზე რომ მდგარიყო. ერთი ბერთელ-საკისრიანბორბალი ჩაჯანგებოდა, არ ტრიალებდა. სწორედ იმის გამო უძნელდებოდა ტიპტიპას სახელოსნოს გადაგორება.

— მოდი რა, ღმერთი არა გწამს?! — დამიძახა ტიპტიპამ. ჩემთან ერთად ორიოდე სხვა ყმაწვილსაც შეასწრო თვალი და მათაც ასევე მიმართა.

შევესიეთ ბიჭები ტიპტიპას სახელოსნოს.

ხარაზმა ხელები გადაიფშვნიტა და კმაყოფილებით თქვა:

— ეგრე რა, თქვე დალოცვილებო! როცა ტუფლი გაგიხეროტებათ, ტიპტიპა მაშინ გაგონდებათ: აბა, ჰა, ძია ტიპტიპა. ძია ტიპტიპასაც რომ დახმარება უნდა, მაგას სულ არა ფიქრობთ, ხედავთ, რა დავბერდი... ეს ცოტა ნელა. ფაბრიკა ნუ მიმინჭლიოთ! ქვემოდან მოჰკიდეთ ხელი. მიდი, ეგრე, მიდი!

ხრიალ-ხრიგინით, მხიარული ყიჟინით მივაგორებდით ტიპტიპას „ფაბრიკას", ბაზრის შესასვლელთან, ერთი დუქნის უკან მივიტანეთ. ეს ადგილი ტიპტიპას წინასწარ უკვე შეუმჩნევებინა. მიწა მოვითხარე, სადაც თავის „ფაბრიკას" ჩასდგამდა. ჩადგმას კი ხუთი წუთიც არ დასჭირდა.

ტიპტიპას მისი ნამდვილი სახელი არ იყო. ნამდვილი სახელი, მგონი, თვითონაც არ იცოდა. არც ცოლი ჰყავდა, არც შვილი. ისიც კი არ ვიცოდით, სად ცხოვრობდა, ღამეს სად ათევდა. დილ-

დან სადამომდე მუშაობდა. მერე თეთრ-ბოდა. სათვალე ბარბაცი იყოდა, მაგრამ არ ეცემოდა.

— წამოდით, ბიჭებო, თითო არაყს დაგალევინებთ, — გვითხრა ტოპტიამ და მართლა მოემზადა ჩვენს დასამატებლად.

გამეცინა. აბა, რომელი არაყის მსმელები ჩვენ ვიყავით?! ბიჭებმაც გაიღიმეს, მადლობა უთხრეს მიპატიჟებაზე და გაიქცნენ. ტიპტიას მელა შევრჩი.

— თქვე ღმერთგამწყრალებო, მე რა... ის ხო არა გგონიათ. კომოთუსთან მივსულიყავით, დაგვედია, გვეჭამა, მეტი რა შეგვრჩება. ადილხანოვიცა და მეც იმ ქვეყნად ერთნაირად ვიქნებით... შენ რა გგონია, იმას იქ კიდევა აქვს ფეხსაცმლის ფაბრიკა? ეიქ კაცო არა ხარ, წამო რა! შენზელა რო ეიყავი...

— არაყს სვამდი?

— მა არა ვსვამდი! რამდენისა ხარ?

— თოთხმეტისა.

— თოთხმეტისა? ჰო, ეხლა ბავშვებს გეძახიან. ჩვენ დროში ვაჟკაცები ვიყავით. თოთხმეტისა მე უკვე ფეხსაცმელსა ვკერავდი. არაყს თუ არა სვამ, მაინც, ფეხსაცმელი მაინც დაგიკერო, აბა, ამწი ფეხი!

მაშინვე დავინახე ჩემი ფეხსაცმლის გაცვეთილი ძირი. არც აცია, არც იცხელია, ფეხში ისე მეცა, ისე უცებ წამართო ფეხსაცმელი, ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი.

— მანამ ძირი არ გამოგრილდება და ქუერი არ გავა, ტიპტია არავის აძლევს, გაგონილა! გაცვდა მოიტანე, რაღა. რას უცდით, შვილოსა. დურბინდია, რო გახეულთილი ტუფლიდან გაიხედო? ემანდ ჩამოჯექ. მე ეხლავე. იმ ბიჭებსაც უთხარი, მოიტანონ. მუქთად უნდა გავუკეთო... ვინ იყვნენ, იცნობ?

— აბა რა ვიცი, პირველად ვნახე ბიჭი ტიპტიამ.

— აფსუს! ხინკალს მაინც ვაჭმევდი თუ ფეხსაცმლები მთელი ექვთ. სამადლო რა მჭირს. შვილოსა. მეორეც გაიხადე!

მეორე ისე არ იყო გაცვეთილი და გამიკეთა.

— ძალიან კარგა დადიხარ?

ჩემ ფეხსაცმელთან ერთად შემეკრა თავის „ფაბრიკაში“. უჯრიდან ხელსაწყოები ამოყარა, ლანჯებში სადგარი ჩაიმაგრა, ზედ ჩემი ფეხსაცმელი ჩამოაცვა და შეკეთება დაიწყო. მარჯვე, დაკოჟრებული, შავი, უხეში ხელები ჰქონდა. სულ მალე ამ ხელებმა ფეხსაცმელი გამოკოხტავეს. მითხარი, რამდენი უნდა გადავიხადო-მეთქი რომ ვუთხარი, ლამის გამლანძღა. მასხარად ხომ არ მიგდებო. ის ბიჭები თუ ნახო, გამომიგზავნეო, დამიბარა გამომშვიდობებისას.

შეკოხტავებული ფეხსაცმლებით ბიბლიოთეკაში შევიარე.

დეიდა ქეთოსთან ირმა იდგა და მაგიდის კუთხეში ვიღაც ყმაწვილთან ერთად მიმჯდარ შერმადინს უყურებდა. შერმადინი ფანდურს ჩუმად აწკარუნებდა და ასევე ჩუმი ხმით დამღეროდა. ის ყმაწვილი სულგანაბული უსმენდა.

მაგიდისაკენ ფეხაკრეფით წავედი.

— ცოტა აუწიე ხმას, შერმადინ! — სთხოვა დეიდა ქეთომ.

და შერმადინმაც აუწია. ირმა გახევებული უყურებდა. შევატყე, რომ ვაჟის სიმღერას აღელვებინა. მისი მუდამ მოძრავი თვალები ანთებულიყვნენ და იწვოდნენ.

შერმადინმა სიმღერა შეწყვიტა და თავის ამხანაგს ჩუმად გაუბა საუბარი.

ირმამ შემომხედა და გამიღიმა. ჩაფიქრებული და გახარებული ჩანდა. დეიდა ქეთოს წიგნი გამოართვა და შინ გაიქცა.

ერთი კვირის შემდეგ შერმადინი და იგი ერთად ვნახე ბიბლიოთეკაში. შერმადინს თავისი ლექსების რვეული წამოეღო და გოგონას აკითხებდა. ირმა მღელვარებით და განცდით კითხულობდა. მისი ალერსი ციმციმი და აღტაცება სიამეს გვრიდა შერმადინს. იგი ირმას დახრილ თავს მისჩერებოდა. შის მოძრავ, მრგვალ მხრებს და, ალბათ,

ახალი, ჯერ უთქმელი ლექსების ბურუსში ვხვევდი.

იომა დროდადრო იხედებოდა, ქვემ-ქვემ შეანათებდა თვალებს, ლექსები მოსწონდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. შევყურებდი მას და თითქოს სულ სხვაგვარად მეჩვენებოდა. აღარ იყო ისეთი ცეტი, დაუდეგრობელი, ბიჭებს რომ ეკინკლაობოდა, კიბის სახელურზე ჭენჯახავით რომ სრიალებდა... გოგო მაჭარივით დუღდა და დღითიდღე იცვლებოდა. და აი, პირველი დიდი ცვლილება: მისი თვალების სინათლეში სულ სხვა სხივი კიაფობდა...

და მაშინ გულმა მიკარნახა, ლექსი მეც დამეწერა.

პაწია ლექსი დავწერე და ვერავის ვერ წავაკითხე, ვერ გავბედე ვინმესთვის მეჩვენებინა. ლექსი გაზეთისთვის იყო. მე მაშინ ისიც კი არ ვიცოდი, რომ ლექსის დასაწერად მარტო სურვილი არ კმაროდა, რომ ლექსს არა საკუთარი სურვილი აწერინებს კაცს, არამედ რაღაც ღვთიური ძალა.

სურვილი მქონდა ლექსის დაწერისა იმიტომ, რომ ამას გარკვეული მიზეზი ჰქონდა. ეს იყო გრძნობათა ჭიდილის ნანახი ბავშვობისა და სიჭაბუკის საზღვარზე...

ლექსი დიდხანს ვატარე ჯიბით. ამოვიღებდი, წავიკითხავდი, დავასწორებდი და შევინახავდი. ამ დაკეცვა-შენახვაში ქაღალდი გაცვდა. გადავწერე. მაშინვე ორივე ფურცელი დავხიე და გადავყარე. მაგრამ ლექსის დაწერის სურვილმა არ მომასვენა. არ მომასვენა იმიტომ, რომ რამდენჯერმე ვნახე იომა და შერმადინი ერთად. იომა ყოველთვის აღტაცებით კითხულობდა მის ლექსს, ყოველთვის დიდი გატაცებით უსმენდა ვაჟის სიმღერას, ფანდურის ღიღინს.

კიდევ დავწერე ლექსი. დრო შევარჩიე და ბიბლიოთეკაში ილიკო ვალოძეს ვაჩვენე.

ილიკომ გულდასმით წაიკითხა ჩემი ლამაზად ჩაწიკწიკებული ლექსი, გაიღიმა და მითხრა:

— კიდევ დაწერე, იქნებ რამე გამოგივიდეს.

— ეს როგორია, ძია ილიკო?

— რა ვიცი, ასე... პირდაპირ გეტყვი, არ მომეწონა. გულს ნუ გაიტეხ. შენხელა რომ ვიყავი, მეც ვწერდი ლექსებს. გამოგიტყდები, მეძლევაც დამიწერია. მაგრამ გამოქვეყნებაზე არასოდეს არ მიოცნებია. ჩემი ლექსები მხოლოდ ჩემთვის არსებობდნენ. პოეზია ისეთი ცეცხლია, ყველას გულს რომ ეკიდება. პოეზია სულის ენაა, სული კი ადამიანის უპირველესი საზრდო.

— მაშ არ ვარგა, ჰა? — გულჩატეხილმა კითხე და ქაღალდი დავკეცე.

— ნუ გეწყინება, ასე მკაცრად რომ შეგიფასე პირველი ნამუშევარი, — მომეფერა და თავზე ხელი გადამისვა. ო, როგორ მინდოდა კი მოსწონებოდა. მაშინ მე სხვათა ყურადღებასაც მივიქცევდი და სწორედ ეს მეწადა.

სულის ენაო! ძლიერ მომეწონა ილიკოს სიტყვები. მიუხედავად იმისა, რომ მირჩია კვლავაც მეცადა ბედი, გადავწყვიტე აღარ დამეწერა ლექსი. მაგრამ ეს გადაწყვეტილება ვერ შევასრულე და რამდენიმე დღის შემდეგ ახალი ლექსით ისევ ძია ილიკოსთან ვიჯექი.

— ძალიან გიჩქარია, — მითხრა ილიკომ, როცა ის მეორე ლექსიც წაიკითხა. — ჯერ ისწავლე, ჩემო კარგო. თუ შენ პოეტად დაბადებულხარ, კარგ ლექსს უთუოდ დაწერ. თუ არადა, რამდენიც უნდა ეწვალო, ყოველთვის უსულგულო გამოვა. გინდა, გავარჩიოთ? — მუდამ სათნო, მუდამ კეთილი ძია ილიკო ახლა ისე მიყურებდა, თითქოს დიდი რამე დამეშავებინოს.

მას ძლიერ უყვარდა პოეზია და მუსიკა. რამდენჯერ უთქვამს: ყველაფერს ავიტან, მაგრამ სიყალბეს პოეზიასა და მუსიკაში ვერაო. ლექსს მანათობელ ვარსკვლავს ადარებდა. რაგინდ შორს არ უნდა იყოს, ნათელს მაინც გვაწვდისო, სულის სიღრმეს გვინათებს და გვიხალისებსო.

ჩემმა ლექსმა კი ჰპენვა მომგვარა,

მკაცრად იმიტომ მომეჩვენა, რომ ქართულ ლიტერატურასა და ენაში, ისევე, როგორც სხვა საგნებში, ხუთიანი მქონდა და ჩემგან იმას მოითხოვდა, ღრმად პოეზიის ავ-კარგი გამეგებოდეს და ასეთ ლექსებს არ ვწერდე.

პოეზიით ტკბობა ნეტარებად მიაჩნდა. იმიტომ იყო ნიადაგ ბიბლიოთეკასთან მიჯაჭვული, იმიტომ დაიმეგობრა ნიჭიერი შერმადინი, იმიტომ გამიქცია მე სუსტი ლექსების გამო.

ის იყო და ის, მეტი ლექსი აღარ დამიწერია.

II.

საორთქლმავლო დეპოს საყვირის გაბმული ღმუილი ქალაქს აღვიძებდა. მისი მძლავრი ხმა საბურთალოზე ისე მოდიოდა, თითქოს დეპო მტკვრის გაღმა კი არა, იქვე, ბაზრის ბოლოშია.

დეპოს საყვირი რომ მიჩუმდებოდა, მერე აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკისა და სხვა ქარხნის საყვირები მოუხმობდნენ თავიანთ მუშებს.

ამ ხმაზე მეღვიძებოდა ყოველთვის.

მერე აღარ მეძინა. ეზოდან მესმოდა ყოველთვის ერთი და იგივე: მეზობლის კარის ჭრიალი, ძია სანდროს მძიმე ნაბიჯების ხმა. ვიცოდი, რომ ამას ონკანის ჩხრიალი მოჰყვებოდა. პირის დასაბანად პირველად მჭედელი გადიოდა. ონკანი მერე კიდევ ორჯერ დაიჩხრიალებდა და ამას მოჰყვებოდა დეპოს საყვირის მეორე აღმუვლება, ეს უკვე რვის ნახევარზე.

სანდრო პირველი ჩაივლიდა ჩვენი სახლის კართან. ჭიშკარი გაიჯახუნებდა. პირველი მუშა უკვე გასულია ჩვენი ეზოდან. მერე ცინცილით, მსუბუქად ჩაირბენდნენ ნესტანი და თინა. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის წრიპინა საყვირი უხმობდა და დები სამუშაოზე ეშურებოდნენ.

ასე ადრიანად მიდიოდნენ და საღამო ხანს ბრუნდებოდნენ. ძია სანდრო მეზობლებში არ ლაპარაკობდა თავის ხელობაზე, ქარხანაზე, სადაც ის მუშაობდა. ბევრჯერ წარმომიდგენია გრდემლთან რკინას შეჭიდებული, ხელში რომ ებრძოდა გავარვარებულ რკინას, ლუნავდა, გრეხდა, აბრტყელებდა. შინ არაფერი მოჰქონდა, რომ მისი ნახელავი გვენახა. ვის რაში გვჭირდებოდა რაღაც მანქანის მოზრდილი თუ წვრილი ნაწილები! ნესტანსა და თინას კი მოუტანიათ შინ საკაბე ნაჭრები. ფაბრიკაში აჯილდოებდნენ დღესასწაულებზე, პრემიის სახითაც აძლევდნენ. აბრეშუმით ყელამდე შეიმოსნენ დები, ნათესავებიც კი შემოსეს. ერთი საკაბე დედაჩემსაც აჩუქეს. რვა მარტს ისეთი საკაბეები მოიტანეს, თვალი ყველას ზედ დარჩა. რამდენჯერ დაპირდა დედაჩემმაც, სადმე დაეწყო მუშაობა, რაიმე საქმისთვის მოეკიდა ხელი, ვერა და ვერ ბედავდა. არსად არასოდეს არ ემუშავა და სულ იმის შიში იყო, ვაითუ ვერ შევძლოო. მაგრამ ხანდახან იტყოდა, ნესტანმა და თინამ შეძლეს და რა უნდა იყოს ისეთი, რომ მე ვერ მოვერიოო, მეორე წუთს საოჯახო საქმე გაიტაცებდა და ფიქრი სხვა საგანზე გადაჰქონდა.

ხოლმე ნესტანი და თინა ამბობდნენ, როგორ მუშაობდნენ ფაბრიკაში. ალბათ საქმე რიგიანად გამოსდიოდათ, რომ ჯილდოს ჯილდოზე იღებდნენ.

ერთხელ, სკოლაში წასასვლელად რომ ვემზადებოდი, ღია კარიდან თვალი მოვკარი ეზოში შემოსულ მამაჩემს. ჟურნალ-გაზეთებით დატვირთული ჩანთა ზურგზე მოეგდო. [illegible], კიდევ შეუძლოდ ხომ არ არის-მეთქი. მაგრამ უძლურება არ ეტყობოდა სიარულში. ოთახის კარს მოუახლოვდა, ჩანთა ჩამოიხსნა და მე და დედაჩემს გვითხრა:

— ეგენი უნდა გავახაროთ. ნახეთ, „კომუნისტში" ნესტანის სურათია.

— აბა, მაჩვენე! — დედაჩემმა დაასწრო და გაზეთი გაშალა. ნესტანის სურათი პირველ გვერდზე დაებეჭდათ. აბრეშუმის ფაბრიკის სტახანოველი

მქსოველთა, დიდრონი ასოებით მიეწერათ.

ძალიან გაგვახარა ამ ამბავმა.

უბრალო გოგო იყო ნესტანი, სურათში კი ცოტა გაპრანჭული მეჩვენა, თავი შეემართა, ტუჩები მოეწრუპა და ისე იყურებოდა, თითქოს ვიღაცას თავს აწონებსო.

— უყურე ერთი ამ სამიწეს! — სიხარულით „დამწყევლა" დედაჩემმა.

ამ დროს ძია ვანოს შინ ვინ ნახავდა! საბურთალოს ბაზარში დახლთან იდგნენ ის და სალომე, გაზაფხულის ქორფა მწვანილსა და თავის ბოლოკს ჰყიდნენ. იქნებ იცოდნენ კიდეც, რომ იმდღევანდელი გაზეთის პირველ გვერდზე მათი უფროსი ქალიშვილის სურათი იყო დაბეჭდილი, იქნებ უთხრა ნესტანმა?

— ბაზარში გავედი, გაზეთს ვანახებ და მივულოცავ, — თქვა მამაჩემმა და ჩანთა წამოიკიდა. მეც გავყევი.

ბაზრის შესასვლელში თვალი პირველად ტიტიკოს მოვკარი, თავის „ფაბრიკაში" ისე იჯდა, თითქოს დაუმწყვდევიათ და იქიდან აღარ უშვებენო. თავი დაეხარა და ფეხსაცმლის ძირს გამალებით უშენდა ჩაჩუხს.

— გამარჯობა, ტიტიკო! — მიესალმა მამაჩემი.

— ვარდენას სიცოცხლე და დღეგრძელობა! ჩემ წერილს არავინა წერს და რას მამიტან! იცოცხლე და იდღეგრძელე! ეს შენი ბიჭია? — ტიტიკომ ცქერით გამოგვხედა.

— ჩემია, ტიტიკო.

— ღმერთმა გაგიზარდოს. იმ დღეს ჩემი „ფაბრიკის" დადგმაში მიშველა, თითო არაყი მოგვიხდებოდა, ვარდენ.

— გმადლობ, ტიტიკო. გვეჩქარება. ჩვენი მეზობლის, ვანოს გოგოს სურათია გაზეთში და უნდა ვახარო.

— ვაა! — პირი დააღო ტიტიკომ, — რომელი გოგოსი? იმას ორი გოგო არა ჰყავს?

— უფროსისა. სტახანოველი გამხდარა, ჩვენ კი არაფერი ვიცოდით.

— პო რა. ვანოსავით ყოფილა, ერთ სიტყვას არ დაძრავს. აბა სტახანოველია, ჰა? მეც მივულოცავ... ემანდ დგას, ოხრახუშისა და ბოლოკს ჰყიდის.

მე და მამაჩემი მწვანილეულით სავსე დახლს მივუახლოვდით. ვანოსა და სალომეს უამრავი მუშტარი ეხვია. ცოლი და ქმარი დიდ მუშაობაში იყვნენ: ვანო ბოლოკის კონებს ურჩევდა ქალებს, სალომე კი ოხრახუშს ჰკონავდა და ქალებს აწვდიდა.

— ვანო! — დაუძახა მამაჩემმა.

ვანომ მაშინვე მოგვხედა.

— ერთი ამას შეხედე! — მამაჩემმა გაზეთი დაანახა.

— ჩემი გოგო არ არის, კაცო?! — წამოიძახა ვანომ და თვალები აუციმციმდა, ბოლოკის კონები დააგდო და გაზეთს წამოსწვდა.

სალომემ სველი ხელები წინსაფარზე შეიმშრალა და ჩვენ მოგვაშურა. თვალში ცრემლი მორეოდა.

— ჩემი შვილი! — თქვა ვანომ და მყიდველს ამაყად გადახედა.

— მაჩვენე, კაცო, — ხელში წაწვდა სალომე გაზეთის გამოსართმევად, მაგრამ ვანომ არ დაანება. შვილის საქმით გახარებულმა დედამ და მამამ, გაზეთი რომ დახედეს, უნებურად თავი თავს მიადეს და ისე გარინდებულნი, ტუჩების ცმაცუნით ჩუმად კითხულობდნენ ნესტანის ამბავს. თურმე ნესტანს შინაც არაფერი უთქვამს, გაზეთისათვის სურათი რომ გადაუღეს.

მწვანილზე მოსული ქალები იდგნენ და ელოდნენ. მათ მაინცდამაინც ვანოს მწვანილი უნდოდათ. გამოულეველად ჰყავდა მუშტარი.

— ეს როგორ ჩამკრობიხარ, ქალო? სირცხვილია, ხალხი გვიყურებს. — შეუტევა ძია ვანო სალომეს, რომელმაც ძლივს ჩაიკითხა ნესტანის ამბავი.

მწვანილზე მოსული ქალების გარდა აქ სხვებიც შეგროვდნენ, მათაც ჩაჰხედეს ცხელ გაზეთში. ნაცნობმა და უცნობმა, ყველამ მიულოცა შვილის წარმატება დედ-მამას.

სკოლაში მეგვიანდებოდა. დავკარ

ფეხი და გალაღებული თიკანივით მოეკურცხლა. თან რაღაც საამო ჟღურტული მიჰქონდა. თვალწინ მედგა თავშემართული ნესტანი. აბა, რას ვიფიქრებდი თუ ეს ჩემი, უსიტყვო და მორიდებული ქალიშვილი შეძლებდა სხვების ასე გახარებას.

საღამო ხანს ძია ვანოს სახლში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ასეთი აღელვებული და დამორცხვებული ჯერ არ მენახა ნესტანი. ფაბრიკიდან მეგობრები მოჰყვნენ. დიდი საღამო სიხარულისაგან ისე იყო დაბნეული, რამდენჯერმე თქვა, ეს რა დაგვემართაო.

— მაგას მწუხარებისას ამბობენ, ქალო! — შეუწყრა დედაჩემი.

— რა ვთქვა ისეთი?! — შეიცხადა სალომემ. უნებურად ნათქვამი ახლაც კი ახსოვდა.

დედაჩემიც წამოეშველა მეზობლებს. გაჩაღდა საქეიფო სამზადისი. მოგვიანებით ჭიშკარი ხალისიანად შემოაღო ძია სანდრომ, შინ არ შეეხვია, პირდაპირ ლაცაბიძეების შეშაბანდში ავიდა, სადაც ხალხს მოეყარა თავი, ნესტანს მოეხვია თავისი მეშერი, შავი, დიდრონი ხელებით. გულში ჩაიკრა და უთხრა:

— შენ მარჯვენას ვენაცვალე, გოგო!

თავისივე სიტყვამ აალელვა. მერე ძია ვანოს გადაეხვია.

— დიდი რამ საქმე მოხდა, ჩემო ვანო.

სალომეც დაკოცნა:

— რა გოგო გვყოლია!

ნესტანი ძმას არ შორდებოდა, მკლავში ისე ჩაჰფრენოდა, თითქოს შიშობს ვინმემ არ წამართვასო. დაიმორცხვა და დაიწურა. ფაბრიკაში კი სასწაული მოეხდინა. ერთიდან უცებ ხუთ დაზგაზე დაეწყო მუშაობა და ხუთივეზე გადაჭარბებით შეესრულებინა გეგმა. მისგვარი საქმე მანამდე ვერავის ვერ გაებედა.

თინა მეგობრებში იდგა და დას ისე უყურებდა, თითქოს თვითონაც სტუმრად მოსულიყო, თითქოს ნესტანი მისი სისხლის სისხლთაგანი კი არა, ვიღაც სხვა ყოფილიყოს, შეჰყურებდა, უღიმოდა და შენატროდა.

სტუმრების გასამხიარულებლად შერმადინმა ფანდური გადმოიღო და დაამღერა.

ძია სანდრომ სასწრაფოდ გამოიცვალა ტანსაცმელი, რომ სუფრაზე არ დაგვიანებოდა. თამადად შენ იქნებიო, უთხრა ვანომ და მუშა კაცმაც უარი ვერ უთხრა, რადგან მუშა ჰყავდა დასალოცი.

— თურმე თქვენს ეზოში ცხოვრობს ის სტახანოველი, გუშინდელ გაზეთში რომ იყო დაბეჭდილი, — მითხრა ირმამ სკოლაში.

— შერმადინის და.

— შერმადინის? რას მეუბნები! უთხარი რა, წაგვიყვანოს ფაბრიკაში და გვაჩვენოს რას აკეთებს.

— მეც არ მინახავს, აუცილებლად ვეტყვი.

— რა ბედნიერი ქალია? — შენატრა ირმამ, — ახლა მისი სახელი მთელმა საქართველომ გაიგო. უცებ ყველას ნაცნობი გახდა. აუცილებლად სთხოვე წაგვიყვანოს და გვაჩვენოს, როგორ ქსოვს აბრეშუმს.

ერთხელ კიდევ მთხოვა და გავშორდი. სანამ ნესტანს ვნახავდი, შერმადინს ვუთხარი ყველაფერი.

— ფაბრიკაში მე წაგიყვანთ. — მხარზე ხელი დამკრა შერმადინმა. — ნესტანს ნურაფერს ეტყვი, მოულოდნელად დავადგეთ თავზე. ეს საქმე მე მომანდე.

დავთქვით, სად და როდის უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ირმა ავტობუსის გაჩერებასთან დავიბარეთ. მე და შერმადინი ცოტა ადრე გავედით შინიდან და გაჩერებასთან ავიტორტიალდით. ირმა იგვიანებდა, ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა. თან ბებია ახლდა. გოგონა წინ მოდიოდა, ბებია თამარს ერთი ნაბიჯით უწრებდა.

— დაგაგვიანდა, — ორივეს აღტაცებით შემოგვეგება ირმა. — ბებიაც წამოვიყვანე, ამ ხნის ქალია და არც კი იცის, როგორ ქსოვენ აბრეშუმს.

ბებია მოგვიახლოვდა. მე და შერმადინი მივესალმეთ. ქალმა უსიტყვოდ დაგვიკრა თავი და ირმას გაკვირვებით შეხედა, ეტყობა, შვილიშვილს არც კი უთქვამს ვისთან ერთად აპირებდა წასვლას.

— აბა, წავედით! — გასცა განკარგულება ირმამ.

— ავტობუსს არ დაველოდოთ? — ჰკითხა შერმადინმა.

— ალბათ ბებიაჩემის გვირილებით. ნუ წუხდებით, ბებიას ფეხით ურჩევნია. არა, ბებო?

— ჰო, რა ვიცი. ეს ბიჭები მგონი ყოფილან ჩვენთან, არა? — ბებია თიმარმა ჯერ შერმადინი შეათვალიერა, მერე მე შემომხედა, — ეს, ვერც კი გიცანი, — მითხრა და ისევ შერმადინს შეავლო თვალი, — ჰო, ესეც ჩვენი მეზობელი ყოფილა.. წავიდეთ, შვილებო.

დაღმართზე ფეხით დავეშვით. გავუსწრებდით ბებიას, მერე დაველოდებოდით.

— მე არც კი ვიცოდი, რომ ნესტანი თქვენი და იყო, — მიმართა ირმამ შერმადინს.

— თურმე ყოჩაღი და მყოლია. სანამ ჩემი თვალით არა ვნახე, არც კი მჯეროდა.

— როგორ მაინტერესებს.

— დაიჯერებ კი.

— ბებიაჩემის ბრალია, ხო შენი ბრალია, ბებო, რომ დავიგვიანეთ?

— ცოტა ნელა იარეთ, რომ დავბერდი და მუხლებში ძალა გამომელია, ესეც ჩემი ბრალია?

აღმართში თეხთეხით ამოდიოდა ნავთით სავსე ავტოცისტერნა. იმ მოლოდინის ნავთი ბოლომდე მომქონდათ. სადღა იყო ის გრძელი რიგი ნავთის წერტილთან! შენავდა კაბის თავში იჯდა ისევ და ახლა ნავთის კი არა, მეშტარის ელოდა.

ავტოცისტერნას თან ნავთის სუნი სდევდა. ირმა ნავთის სუნს ვერ იტანდა.

ეს, სადაც ახლა რაიონის და ტელევიზიის თანამედროვეობიანი შენობის და ბეტონის დიდი შენობაა, მაშინ ორიოდე სახლი იდგა, გადაურჩქენილი, გადაბანდებულ ბაღებში. ვაშლის, ალუჩისა და მსხლის ტოტები ქუჩისაკენ იყო გადმოხნექილი.

ახლა, აპრილის დამლევს, ხეთა ყვავილობა იყო და ისეთის სურნელება ეფინებოდა მიდამოს, ნეტარებით თენთავდა კაცს. ირმას სახეს ღიმილი მოეფინა და ჰაერი ხარბად შეისუნთქა.

ჩამოცვენილი ყვავილები ღობის გასწვრივ გზაზედაც ეყარა. ყვავილებზე შესეული მწერი ბზუოდა.

ხალისიანად მივაბიჯებდით.

დაღმართი ჩავლიეთ და ფოჭრისგორის აღმართს შევუდექით. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის ჭიშკარს მივადექით. საკონტროლო შესაშვებში ჯერ ბებია შევუშვით. კარისკაცმა ეცნობა ქალი რომ დაინახა, სამვე მოიკითხა.

ქალს ელდა ეცა, მაშინვე შედგა და გაკვირვებით მოგვხედა.

კარისკაცმა იცნო შერმადინი. ისინი ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ ერთმანეთს.

— ერთადაა ხართ? — ჰკითხა კარისკაცმა ჩვენზე.

— ნესტანთან მივდივართ. ჩვენი მეზობლები არიან და აინტერესებთ.

— ნესტანთან ბევრნი მოდიან. ახლა კინოს უღებენ, კარგ დროს მოხვედით. მიბრძანდით.

კარისკაცი გზიდან ჩამოგვეცალა.

როცა ეზოში გავედით, ირმამ შერმადინს გაუცინა. ფაბრიკის წითელი აგურის შენობისაკენ მიუხვეოდა. უკვე მკვეთრად ისმოდა მანქანების დუგდუგი.

ჩვენს მეგზურს ყველა შემხვედრი ესალმებოდა. ნესტანისა და თავის ძმას კარგად იცნობდნენ ფაბრიკის მუშები და მოსამსახურეები.

საქსოვ საამქროში შევედით.

დაზგები გრიალებდნენ. უამრავი მაქოს ტკაცატკუცი ისეთ ხმაურს იწვევდა, ყურთასმენა წაღებული იყო, ერთმანეთისა აღარაფერი გვესმოდა. ირმამ ყურებზე აიფარა ხელები, ხოლო ბებია

თანარიგხმიერს არცთუ მაინცდამაინც შეუშფოთებია, რადგან ყურთ ცოტა აკლდა. მოხუცი ქალი ბავშვივით აცეცებდა თვალებს. მოსწონდა მზის სხივებივით მართკუთხედ გაშლილი პროჟექტორის ძაფი, მწყობრად, თანაბრად რომ მიცურავდა კოშკებიდან საქსოვში. დარბში ტკაცუნობდა ძლიერი მაქო, აქეთიქით გაქრონდა და გამოქრონდა მისაქსელი ძაფი.

საამქროს უფროსი იქვე, საამქროს კართან შემოგვხვდა. შერმანდინს მივესალმე და ყველანი დარბაზში ჩავგატარა. საამქროს ბოლოში მივადექით იმ დაზგებს, რომლებზედაც თინა და ნესტანი მუშაობდნენ. ნესტანი ხუთი დაზგის მეპატრონე იყო, თინა კი ერთ დაზგას არ სცილდებოდა. პირველად უმცროსი და შევნიშნეთ. დავეინახა და გაგვიღიმა. მივუახლოვდით. ირმამ რაღაც კითხა, თინამ ხმამაღლა აუხსნა და თან გაშლილ მარაოზე მიუთითა, მაგრამ ჩვენ ვერც შევკითხვა გავიგეთ და ვერც პასუხი, თინამ მეზობელი დაზგებისაკენ მიგვახედა, სადაც კინოსტუდიის მუშაკებს პიუპიტერები დაედგათ და გადაღებისათვის ემზადებოდნენ.

ნესტანის ხუთივე დაზგა დგანდგარებდა. ხან ერთთან მივიდოდა, ხან მეორესთან... დახედავდა ძაფებს, მაქოს, თუ სადმე ხარვეზს შენიშნავდა, მაშინვე აჩერებდა დაზგას, სწრაფად მოიყვანდა წესრიგში და ისევე სწრაფად გაუშვებდა. წამიც და ახლა სხვა დაზგასთან გაჩნდებოდა. ხუთივეს თანაბარი ყურადღება უნდოდა. მანძილი დაზგებს შორის დიდი არ იყო, მაგრამ მაინც სჭირდებოდა სისწრაფე.

მქსოველი ქალიშვილი დადიოდა გამართული, ამაყი და ჭან-ღონით სავსე.

ხშირად შევხვედრივარ შინ დაბრუნებულს. მოდიოდა დაღლილი, ფერმკრთალი, მაგრამ არასოდეს არ დაუჩივლია. მოგიქანცავთ, ღილით, როცა სამუშაოდ უშვერებოდნენ დები, მე ისევ ლოგინში ვიწექი. მათ ფეხის ხმაზე კი ვგრძნობდი, როგორ ხალისით მიიჩქაროდნენ იმ საქმისაკენ, რომელსაც ასეთი სიყვარულით ემსახურებოდნენ.

ვიდექით და შევყურებდით ნესტანს.

კინოსტუდიის მუშაკებმა სამზადისი მოათავეს.

ირმას ხელები ყურებზე ჰქონდა აფარებული. ვერაფრით ვერ შეეჩვია საამქროს ხმაურს. თვალები გულუბრყვილო, ცნობისმოყვარე გოგონასავით დაეჭყიტა და ისე მისჩერებოდა დაზგებთან მოფუსფუსე ნესტანს.

ბებია თავს იქნევდა. ეტყობოდა კმაყოფილი იყო ფაბრიკაში მისვლით.

ნესტანმა შეგვნიშნა. წამში ჩვენთან გაჩნდა, ირმას ლოყაზე მოუთათუნა ხელი, მერე უცებ მოგვეხადა ბოდიში და გაგვშორდა. დაძნეული და აღელვებული იყო, როგორც ყველა გახარებული ადამიანი.

როცა კინოგადაღება დაიწყო, ნესტანს საქმე აერია. დაზგიდან დაზგისაკენ მიმავალს ნაბიჯი ემლებოდა, თითქოს ფეხებში რაღაც ებლანდებათ. ისე რომ გადაღებით, მაყურებელი იფიქრებდა, ეს რა სტახანოველია, ფეხი ხეირიანად ვერ გადაუდგამს და ხუთ დაზგაზე როგორ მუშაობსო.

ნესტანს ლოყები წითლად გაუღაჟღაჟდა. ღელავდა. რეჟისორმა თავისებურად რამდენჯერმე უჩვენა, როგორ უნდა წასულიყო დაზგიდან დაზგისაკენ, მაგრამ სწორედ ეს არ გამოსდიოდა ნესტანს. ფაბრიკაში მისთვის არავის ესწავლებია დაზგებს შორის სიარული, საქმეს თვითონვე მოუნახავს ისეთი გზა, რამაც სახელი მოუტანა. ახლა კი რეჟისორი ასწავლიდა ასე და ისე იარეო, დაზგებს ასე მიუდექი, რომ კადრში კარგად გამოჩნდეო.

საქმე ფერხდებოდა, ამაზედაც ბრაზობდა ნესტანი, მაგრამ ვერაფერს აშველდა.

რამდენჯერმე გაიჩერეს ხუთივე დაზგა. რეჟისორიც ნერვიულობდა, „მაზიობთან" ვერაფერი გამოსდიოდა. საქმეში საამქროს უფროსიც ჩაერია. მაგრამ იმანაც ვერაფერი უშველა რეჟისორს.

თამარმა ითმინა, ითმინა, ვეღარ მოითმინა, რეჟისორთან მივიდა და რაღაც უთხრა. რეჟისორმა ცერად გამოხედა ქალს და მთელი ხმით იყვირა:

— ძალიან გთხოვთ, ჩემს საქმეში ნუ ერევით!

როგორ არ ეცადა რეჟისორი, ნესტანს ვერა და ვერ შეასმინა ის, რაც უნდოდა. ბოლოს თავის ნებაზე მიუშვა. ნესტანმა დაზგები აამუშავა. მაგრამ იმის შეგრძნებით, რომ სურათს უღებდნენ, მაინც კარგავდა წონასწორობას. რეჟისორი დროდადრო უყვიროდა ოპერატორს:

— მოტორი!

— არის მოტორი!

და სწორედ ამის შემდეგ დგებოდა ნესტანისათვის ცაეშ-ცხელების წუთები. ეს დაძაბული კიდევ გასძა და ნესტანმა შენიშნა ძაფთა მარაოში გაბმული ბზარი: ორი ძაფი ერთდროულად გაწყდა. ნესტანს დაავიწყდა კინოგადაღება, მივარდა დაზგას, სწრაფად გააჩერა, ორივე ძაფი ისე სწრაფად გადაახვია, ალბათ სული არ მოუთქვამს, იმ მხარეს ერთი ამაყად, ყელმოღერებით გაიხედა, სადაც რეჟისორი და ოპერატორი იდგნენ და ნესტანმა დაინახა სიხარულით როგორ გამოექანა მისკენ რეჟისორი და აღელვებულმა რაღაც უთხრა. ვერ გავიგეთ. მივხვდით კი, რომ გადაიღეს ის, რაც ეწადათ კინოს მუშაკებს.

როგორ მინდოდა იმ ფილმში ჩვენც მოვხვედრილიყავით. მაგრამ რეჟისორი ჩვენთვის ავი კაცი ჩანდა. ნესტანს ჩვენ კი არა, საამქროს არც ერთი მუშა არ გაეკარა.

მაშინ გული დამწყდა, რომ ჩვენც არ მოვხვდით კადრში.

ახლაც ვნანობ. შესაძლებელი კი იყო სამუდამოდ აღბეჭდილიყო ჩვენი სახე, ჩვენი მოძრაობა. ვინაი, ათეული წლის შემდეგ შეიძლება მომეძებნა კინოსტუდიის არქივში და ერთხელ კიდევ მენახა ირმა და შერმადინი, მოხუცი თამარი, დამკვირვებელი მუშა ნესტანი... მენახა საკუთარი თავიც, მენახა და იმ გახსენებით ტკბილად აღელვებულიყავი...

მაგრამ ეს არ მოხდა.

12.

სანამ სახელს გაითქვამდა ნესტანი, შინ გვიან მოდიოდა ხოლმე, რადგან დასთან ერთად მუშფაკში სწავლობდა. ახლა, როგორც სტახანოველს, ათას ადგილას იწვევდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ და უფრო იშვიათი სანახავი გახდა.

დის წარმატებამ თინის მოსვენება დაუკარგა. მასაც უნდოდა სახელი და დიდება. თინა ერთ დაზგაზე მუშაობდა, თითო დაზგას სხვებიც კარგად მართავდნენ.

ნესტანი არ იყო თავკერძა. ზოგ მუშას სამ დაზგაზე დააწყებინა მუშაობა, ზოგმა ოთხსაც მოჰკიდა ხელი. მუშათა ასეთ თაოსნობაზე რადიო და ჟურნალ-გაზეთები ალაპარაკდნენ. მთელ ქვეყანას ახალ-ახალი სახელები მოედო.

ერთ საღამოს გარეთ ვისხედით მე და ძია სანდრო. სანდროს თავისი სახლის კართან ელექტრონათურა ჰქონდა ჩამოკიდებული და მთელ ეზოს ანათებდა. მჭედელი ჩვეულებას არ ღალატობდა და ღია კარში იჯდა. გაზეთი რომ გადაათვალიერა, მერე მუხლებზე დაილაგა თავისი დიდრონი ხელები.

— გაზეთს კითხულობ ხოლმე? — შევეკითხე.

— ვკითხულობ.

— ევროპიდან კაი სუნი არ მოდის.

— რა სუნი, ძია სანდრო?

— ბათქა-ბუთქი არ დაიწყოს, ეგ მაფიქრებს.

ბათქა-ბუთქი ომს ნიშნავდა. მაშინვე მოუხერხებლად და გულუბრყვილოდ გამეცინა. ვითომ ამით ის გამოვხატე, ჩვენ ვინ რას გაგვებედავს-მეთქი. მთელი ჩვენი ქვეყანა მაშინ მხნედ მღეროდა: „ჩვენ თუ ომი იქნებაო" ამ სიმღერაში არც ერთი სტრიქონი უიმედობისა და შიშის გამომხატველი არ იყო. აბა, რას წარმოიდგენდი თუ ნესტანს ორი წლის შე-

რუ დაიწყებოდა ის, რასაც იმ დღეს სანდრომ ბათქაშებული უწოდა.

ძია სანდრომ ჩუმად ერთი ისე გადმომხედა, ვიგრძენი, რომ სულელ ბავშვად ჩამთვალა. მაგრამ მე მაინც იმ წუთებში ღრმად მწამდა, ჩვენ ვერავინ გაგვიმეტავდა ომს. მიკვირდა, ძია სანდრო ასე მტკივნეულად რატომ განიცდიდა ევროპის ამბებს. ეს ყველაფერი ილიკო კალაძესაც აფიქრებდა. მაგრამ მისგან უმეტეს სიტყვა არა მსმენია. იწროვე მან ამიხსნა, რა იყო ფაშიზმი და როგორ ილოტძანდა იგი გერმანიაში. იცის კი ძია სანდრომ ამდენი? რატომ არის დარწმუნებული იმაში, რომ ომი აუცილებლად იქნება?

— დაგვაღლევინებ რამეს, ძია სანდრო?
— ვკითხე კარგა ხნის დუმილის შემდეგ.
— ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრან!

მეგონა რაღაცას დარდიანად, უიმედოდ იტყოდა. მისმა სიტყვებმა გული გამიხალისა.

ჭიშკრის პატარა კარმა გაიჭრიალა. თინა გამოჩნდა. მარტო შემოვიდა ეზოში. ჩქარი ნაბიჯით ჩაგვიარა, ცივად და უხალისოდ მიესალმა ძია სანდროს, მე კი არაფრად ჩამაგდო.

ძია სანდრომ გაკვირვებით გადმომხედა, რადგან თინას ორივემ შევატყვეთ უგუნებობა.

ცოტა ხნის შემდეგ ქალიშვილის ყრუ ქვითინი გავიგონეთ. მეზობლებში ატირდა და ტიროდა. სალომე ამშვიდებდა, ვანო, ნესტანი და შერმადინი შინ არ იყვნენ. დედარემს გული მოეწვა და მაშინვე იკითხა. სანდროც შეწუხდა, ეგებ რა დაემართათ, წამოდგა და მეზობლისას გასწია.

ჭირსა და ლხინს ყველა თანაბრად ვინაწილებდით ამ პატარა კარმიდამოში, მაგრამ ხდებოდა ისეც, როცა შინაურ საქმეს მეზობლებს არ ვუმხელდით.

აცრემლებულ თინას ხელში სცემს, მაგრამ ვერ გაიგეს რა ატირებდა. თავი ხელებში ჩარგო და მაგიდაზე დამხობილიყო. დროდადრო ამოისლუკუნებდა, თითქოს გული თან უნდა ამოაყოლოსო.

— მითხარი, გოგო, რა დაგემართა?!
— ეკითხებოდა შეწუხებული სალომე.

ერთი სული გვქონდა გაგვეგო, რა ატირებდა, მაგრამ სიტყვას არ ამბობდა.

მალე ნესტანიც გამოჩნდა. მეზობლებში შემოიჭრა, გაღიმებული მივარდა დას და კოცნა დაუწყო:

— სულელო, ტუტუცო!.. აბა, შემომხედე, არა გრცხვენია?

— რა მოხდა, გოგო, შენ მაინც მითხარი, გული ლამის გამისკდეს! — მივარდა სალომე ნესტანს.

— არაფერიც არ მომხდარა. რა სულელი და მყოლია! მე მაგას ჭკუას ვასწავლი! — გაღიმებულმა ნესტანმა თინას თავი აუწია და ცრემლი მოსწმინდა.

ძია სანდრო ჩუმად იდგა, გაკვირვებული უყურებდა ერთი დის მოციმციმე, მეორეს ცრემლიან თვალებს.

ცხადი იყო რაღაც მოხდა, მაგრამ არც ისეთი საგანგაშო, თორემ ნესტანი როგორ გაიღიმებდა, ასე როგორ მოეფერებოდა დას. ალბათ ნესტანმა აწყენინა, თინა გაებუტა და ატირდა. ხდება ხოლმე ასეთი რამე დაძმებსა და დებს შორის. ნესტანი ეხვეოდა, ამშვიდებდა, მაგრამ ბოლომდე კი არ უხსნიდა.

როგორც იყო გავიგეთ რაც მომხდარა.

თინას სამ დაზგაზე დაუწყია მუშაობა. ნესტანი მოშველებია დას, საქმე კარგად აეწყვიათ, პირველ დღეს პირველი სიხარული მოუტანია, თინა ცას სწვდომია. ერთი კვირა ამ სამ დაზგაზე წარმატებით უმუშავებია, მაგრამ უგრძვნია, რომ თავს ისე ყოჩაღად ვერ ართმევდა საქმეს, როგორც სხვები. სტახანოველი ნესტანი ხუთ დაზგას უძღვებოდა და მის ნაქსოვს წუნი არ დასდებია. ყოველთვის კი ნესტანი ვერ დაეხმარებოდა.

ნესტანი დაზგებთან ისე თავისუფლად იყო, თითქოს მარტო თავისთან კი არა, ოთხი უჩინარი მქსოველი თან ახლავსო. დაზგები მუშაობდნენ, ის უჩინარი მქსოველები სათითაოდ იდგნენ ყოველ მათგანთან. როცა ერთ დაზგაზე მუშაობდა, ნაქსოვი არავის დაუწუნებია თინასთვის. ახლა კი... ერთხელ აბატონეს, ორჯერ, სამჯერ. ნესტანმა ურჩია დრო-

ებით ისევ ერთ დაზგას დაბრუნებოდა, მაგრამ თინა ჯიუტობდა, დის სახელი ახელუბდა, უნდოდა მისი სურათიც გაეკრათ საპატიო დაფაზე, მასთანაც მისულიყვნენ კორესპონდენტები... მაგრამ ნაქსოვს როგორც კი დახედავდა, ნერვები ეშლებოდა. და ასე აღელვებული დარბოდა დაზგიდან დაზგისაკენ.

ეს ყველაფერი მოგვიანებით გავიგეთ. იმ დღეს კი ჩვენთან არაფერი დასცდენიათ დებს.

თინას ამბავი დაწვრილებით რომ შევიტყვეთ, მახსოვს, ძია სანდრომ მითხრა:

— კაპიტალისტები ასეთ მუშას ერთ საათს არ აჩერებენ ფაბრიკაში, წუნდებული ნაქსოვის გამოშვებისათვის აქარმებენ და ერთ კაი პანღურსაც ამოჰკრავენ ხოლმე. წუნდებული ნიმუშები მეც გამომდიოდა, განა არა. მაგრამ არც თავკაცებისაგან, არც ამხანაგებისაგან გულგასატეხი სიტყვა არ მახსოვს. მათ რომ დროზე არ ეზრუნათ ჩემზე, დღეს ორდენსაც ვერ დავიმსახურებდი.

— რას, ძია სანდრო? — პირი დავაღე ორდენის გაგონებაზე.

— გაგონით ნესტანმა მაჯობა, ეგ არი და ეგ, სანდრო გულხელდაკრეფილია? ორდენით მაჯილდოებენ. ამ დღეებში მოსკოვში უნდა წავიდე.

— აქამდე რატომ არ ამბობდი, ძია სანდრო?

— რა ვიცი, აბა. უცებ, ხო იცი... ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ მოსკოვში არა ვყოფილვარ. პირველად მივდივარ და ისიც პირდაპირ კალინინთან, კრემლში. მითხრეს ორდენს ის მოგცემსო.

— სტალინსაც ნახავ?

— მთავრობაში რომ მივალ, ვნახავ, მა არა ვნახავ?!

— ბედნიერი ხარ, ძია სანდრო! — მოვეხვიე და გადავკოცნე. ის კი ბავშვივით იყო გახარებული და თვალწინ ესახებოდა მომავალი გზა მოსკოვისაკენ, სადაც მისთვის ორდენი უნდა მიეცათ. ამაზე მეტი ბედნიერება რაღა უნდა ყოფილიყო.

☐ გაგრძელება იქნება ☐

ოთარ მამფორია

# ერთი მუჭა მიწა

## პოემა

I

აკაციის ყვავილის ყალიონს
ქარი მილიმალ უბერავს.
კვირტების ჯამით დალია
ცვარი ხავერდის ლურჯებმა.
გადასკუტკული ვაზები
წამოდგნენ, ისე განაზდნენ.
ცისკარი ელამაზებათ
ცხვალ ჩამოშლილ დალალზე
ფრინველთა ქიქიქი მოისმის,
ვით ძილში ცინცხალ ღილისა
ქადაფლურა მისი
ოქროსფრით შემოსილ ხიდისთავს.
ტანას გამგამა ტალღები,
მოაქროან ყვავილის მყვავავად.
ნაპირზე მეეჯნახენი
დგანან — გოგა და მეზარი
წყალვალმა სვეტს შეხვიწნის
მებალე ქალი-ნეკრია,
და მხრებზე ვაზის ლურწვიეთ
ნაწნავი გადაუყრია.
ნაპირს ახლოტა ჯილაური,
ნეკალს ლარივით გადეხზმანა
მხარს არ უდებს და მხარულით
უმალ მიაყვა მას მეზარი.
და წკრიალით ხმა გაიმნა,
ოქროს ქალის ძახილისა,
მშობის ზიდი მით დაიხარა
და სხვი ცეცხლი აგიზგიზდა.
ნატვრის თვალად ბრწყინავს წყალი
ჩქერს ნეკრიას სახე მზარავს,
გადაუსწრო გოგამ წამით,
დაეწია წამს მეზარა.
თითქოს ჯილდოდ იმისება
ჩამომწყდარი წნის ალწური,
ჰა, თავსაფარს — ვით ოცნებას
დასწვდა გოგა ჯილაური.
და მეორე ნაპირისკენ
გადაცურა წყლის დინება.
მეზარა კი აღარ მისდევს,
დაიბრუნდა იმედება.
გამობრუნდა, მშრალ ქვიშაზე
მარტო დარჩა დარცხვენილი.
აუჩქამდა სისხლი ძალზე
ბეღლის თავმეტმდაწყვეტილი.
და თავისთავს უთხრა დარდით:
თვალებს რაღას აფახულებ,
ხომ უყურებ, ის ლეკვქი
დიაცივით დაგამცურეს.
და სველ მკერდზე მჯიღა ურტყა
დაიყრა და შეჰყვა ვაზებს.
— გავსწორდებით, ჯილაურო,
თუ მიჭი ვარ ქვეყანაზე,
მიდის, მაგრამ გზაც დაბინდდა.
სველ თვალებში შუქი ჩაწყდა

მორს მოლანდა: გოგო იდგა
გახარებულ ნუკრიასთან...

* * *

ზურნის ჰანგი გადაბმული
არწივის ფრთებს მიისწრაფის.
გორისციხეს გადაუვლის
ბაგაჩუგი დოლისა.
ყისკიდური მოიშვილდა
მზის მიბნედილ ყიალით,
ქალის ჩრდილში ქალიშვილთა
ახმის ლალი ტკრციალი.
დგას ნუკრია აფეთქილი,
ვით ამაყი ტაძარი,
მკერდზე ადევს დაგრეხილი
ბორკილივით ნაწნავი.
მოხუცები დინჯად სხედან
და მორცხვნალით უცდიან.
წრეს აცილებს უფრო პატა,
ხალხს ამშვიდებს კერუხლია.
ინოჟრევნით ბიჭს მანქანა
გზაზე გაუშვია.
და ძაროზე, ვით ზამბარა,
პატარები ჰკიდია.
გაჭედილა გზა და შარა,
ირეგლივ ხალხი ირევა.
ჰა, ბეზარამ გადაშალა
მკლავნი იროაგვირებად.
და გამყივან ზურნის ხმაზე
ცეკვავს მკერდგადეგილი.
გამოლილ წრეში უვლის ასე
დასაჭუხებს მუხივით.
ჯილაურიც მოჩოქებით
ძანგზე რიხით ატოტდა,
ელიამაც დოლს ჯოხები
დასცხო, დაანაფერტა.
ნაჭიდარ ხმა გამოსცა
აცლურილმა სოფელმა,
ზურნიდინაც არ გამოძერა
დიდხანს ჭრიჭინობელა
რომელიც განწირული,
დაუტოლა ცალს ცალი.
მზრუნი ურჩის ამეტნული,
მკერდი-რიჟის ქვასავით.
გოგას ეცა ბეზარა და
თითქოს მიწა დაიძრა,
ჩოხას მისწვდა, ისე მაგრად
დაქრა, ჩამოაფხრიწა.
ცხელში თვალი დააჭყიტა.
დიდგა ხალხის ზანზარი.
— ჩოხას რად ხევ, კაცს ქქოდე,
თუ არა ხარ ლაჩარი.
ეს სიტყვები ლაშქრად მოსდგა
ბეზარას და იმ წამსვე,
გულმოსულმა თავის ჩოხაც
დაადერთხა მიწაზე.
ხალხმა ერთხმად დაიხუვლა,
ჯილაურიც გაჯიქდა.
მერე, როგორც ბამბის ქულა,
მორკინალი აზიდა.
ერთი მაგრად შეარხია
დასაცემად აწვდილი.
ბეზარა კი დაეხვია
ტანზე ლორთქო ვაზივით.
ახითოთდნენ ხანდაზმულნი.
— ჰა, უჰა დასახლდა.
ზურნა შედგა ხმაწასული,
დოლიც ჩადგა, დაზადგა.
ქალის ჩუზე მიმალულმა
რადიოს ხმამ შეზარათ.
და შემეცბარმა ჯილაურმა
ძირს დაუშვა ბეზარა.
ცხელი დუმს და თავდახრილნი
დგანან ერთი კაცივით.
გორისციხეს ფრთადაშლილი
ჩამოფრინდა არწივი.
ყაზე ყვავს გადიფრინა,
ყვავი შფურთით დაფლითეს.
წყვდიად გაჰყვა ხალხის გმინვა
ლამპიდანით შავ ფრინველს
მზეც დასავლით გადიშვილდა,
მძლავრად გაჰყვა ნიავი.
აღარ ისმის ქალიშვილთა
სიცილი და ტკრციალი.
და ნუკრიას დალალები
ეცეს ბინდმა შემურა.
მონუსხული ფალაკრებაც
წრეში დაყუდებულან.
შიშველ მკერდებს შეაციედა
მზის სხივი და გაქრავდენ.
დაემიგვიძენ ზაზაც გმირთა
ადრე დალეწილ ქანდაკებს...
ხალხი უხმოდ დაიშალა,
ნაკვეში და დადლილი.
შთაბლაველების ბინდში შარას
რჭეშადასრილი ნახირი.
თითქოს ბარუტყვს შავბედითი

იმას ბოლო უგრძენია.
ჩალეული და მწარე ფიქრი
თვალებზე აუტრია.
მიდის ხალხი დაღვრემილი,
დუმილი და მწუხრია,
მარტოდ-მარტო თავქვე მიდის
ფერგამკრთალი ნუკრია.
უცებ შედგა, შორს გახედა —
მთები თვალის ფერშია.
და ატმის მოსახვევთან
გოგოც წამოეწვია.
ხმა კი არცერთს გაუღია,
თითქოს ნახვა უმწარათ.
ვით ნასროლი მწვავე ტყვია,
მათთან გაჩნდა ბეზარა.
ცხენით თავჩაქინდრულნი,
ნისლი აძგერ ჭიხვინით
და მოეხმით ბედაურის
შემზარავი ჭიხვინი.
ეზო — რკინის ჭიშკრიანი,
ოდა — ცისფერ რიკულით.
ცხენი ბრდღვინავს ჯიშიანი
ჭადრის ხეზე მიბმული.
ჩამქრალ ცაში ცეცხლი ადის,
კვამლი ბურავს მთას და ველს.
რეხილის კუნძზე ცხელი მანთი
ჩინჩხლებს ყრის და ჯარჯარებს.
ფარნა იღებს ნალებით რკინას,
პირუტყვს ისე დაწყლდება.
დადაღული ცხენი გმინავს
და ჭიხვინი არ წყდება.
მამას მკლავზე ეამბორა,
შეევედრა ნუკრია,
მაგრამ ფარნას შვილის თხოვნა,
თითქოს არც გაუგია.
— იმას და დამეკარგოს?
სხვა გზა არ უწყრია.
და იცოდეს ყველამ კარგად
ეს რომ ჩემი ცხენია.
მარწუხივით ორივე ხელით
პირუტყვს წინ აუდგა.
გაჯიქებულს წამს კისერი
მიუყურება ბეზარამ.
ცხენმა უცებ დაიხვია
ჭიხვინებში და ზარს დასცემს
ფარნა მაშინ ინიღიალა
ამოაწვავს გავაზე.
იქვე ცისფერ აივნიდან
აქვითინდა ნუკრია,
ჟიდაური შეიბინდა,
ხმა კი არ გაუღია.
უცებ ფარნას ხელზე დაეწვდა,
თავს დააჭყდა ღვთის წყრომად.
ცხელი მანთი გამოსტაცა
და შორს გადაისროლა.
ბეზარას წინ გადაუდგა,
მჯიღი დაჰკრა მკლავებზედა,
მჭლე ხარივით ჩაამუხლა
ჩამწკრივებულ ვაზებთან.
კვლავ შემართა გუგამ მხრები
და წარბები შეიკრა.
ნუკრიამ კი მოფერებით
გაიყვანა ეზოდან.
— ხედავ? შენს წინ რაებს ბედავს.
საქმეს გიზამს სახაყოს.
ეს იცოდე, ცხენთან ერთად
ქალიც უნდა დადაღო.
თქვა ბეზარამ, იქვე ფარნა
ბრაზიანად დაღონდა.
უმალ გაჩნდა ეზოს კართან
და შარაზე გავარდა...

II

ჩაბნელებულან დასავლეთით —
გოგვასხორის ბორცვები.
ერთი მიმქრალი ვარსკვლავი
ცას შერჩა, როგორც მლოცველი,
ორბი ცას აღარ შეჰყურის,
წამლიანი ხოხბის ფრთები,
დამუქდნენ ყორნის ფრთებივით
მწუხარე ქართლის ველები.
გორისციხეზე მზრუნველი
ჯილაურს ცეცხლი უდებს.
სატრფოს ტოვებს და ლიახვი
ისევ მტკვარს უერთდება.
განშორების დამს რა განსჯის,
ანდა ნუკრიას ღრმა თვალებს.
ბნელი უბოტყვი ღადამში
დაბმულ მტრედივით ფარანქალებს
მაღლა, ხელ მაღლა ადიან.
ირხევა ზვრის მანდილი.
გორი კი ქვევით ავლია,
ხმლით დაკეცილი ფარივით...
ამოქროლეს ბიჭებმა
ალმართი ჯოხის ცხენებით.

ჯერ გალავნიდან იჭვრეს,
იქნები ჩალის ღეროები,
მერე ნანგრევების გვერდით,
ძირს თავი არ დაუხრიათ
და ცოცხლობდნენ შეხედვა
ჩაკრულ გოგას და ნუგრის.
შეეშინდნენ და დაბლა დაეშვნენ,
დასცქერ ყიჟინა მხედრული
და ისე გაქრნენ ლამეში,
ვით მაშველისთვის შეთქმულნი.
როგორ გარბიან წუთები,
სამახსოვრო და მარადი.
ნუგრიამ სულმოუთქმელად
ჩამოირბინა დაღმართი.
გოგაც ჩამოჰყვა დუმილით
და სული სუნთქავს გათოკა—
ცივ ქვაზე მარეხაწურვილი
ბიჭები სხედან მარტოკა.
გალურჯებულებს საპრალოდ
უცქერ მაწია გულები
და გასცქეროდან ხამშორის
მწყრალნი და გაბუტულები.
გოგამ თრთოლვის აკოცა,
მიუჩოთ თვალთა ლიდარი
და კითხვა შიშით გამოსცრა:
— ბიჭებო, მამა სად არის?
ძალა არ ყოფნით ჩიორებს,
თითქოსდა ბუდე მოშლიათ.
— ჩვენ მამისათვის ვიომეთ,
მამა კი მაინც იმშია.
ეს ოქვეს და წამოვე გაიჭრნენ,
ჯოხის ცხენებით გაქუსლეს.
გოგას ეს ციცქნა ბიჭები
ფიქრებს უშატებს მამულზე.
ხელი ჩაჭკიდა ნუგრიას
ქუჩაზე გადაიყვანა,
ღერჯ სახლთან გადაუხვია,
მაგრამ არ გასჭრა ილბალმა,
დარაზულ კარს არ მოსცილდა,
როგორაც მეზავრი გვიანი.
სახელურს ისე მოზიდა,
მინებმა იწყეს ზრიალი.
დაღონდა ფიქრში მთვნილი,
როგორც მწირი და ობოლი.
კარს ბუდის განაჩენივით
ადევს ვეება ბოქლომი.
უსიტყვოდ დგანან მიჯნურნი
შავყურ წუთისოფლის კარავში,
მხარზე თოფგადაკიდული
გამოჩნდა ლამის დარაჯი.
— ქეი, შვილებო, ვინა ხართ,
ნეტავი აქ რამ შეგყარათ.
ამ სახლთან არვინ მინახავს,
რაც იმოსმს ჩემი ქვეყანა.
თუ კი ასეა, ორ წუთში,
აქ დაშელოდეთ, ჩინართან —
თქვა და კეთილი მოხუცი
ლამეში გაუჩინარდა.
დაიქცა მწარე სამალია,
თოლოიუით გადნა ტკივილი.
და ლამის დარაჯს სადზალად
თან გააყოლეს ღიმილი.
ბედნიერების წუთია,
თუ ოცნებაა მარადი,
და შეუშნია ნუგრიამ
გოგას გახსნილი ხალათი.
ისე დაიწყა ჩინარიც,
ვით ჯვარისწერის გვირგვინი.
ფოთლები დაუძინარი
გაშალა ბედის წიგნივით...
დარაჯის ხმა შემოესმათ.
(მოხუცს ჩიტივით უფრინა)
თან მოჰყვა ქალი, რომელსაც
კარები გააღებინა.
არ ანთებულა ქალები,
ბნელი სახლშიც დახძლია.
ცისფერ ლარნაკში ვარდების
მჭკნარი ღეროები აწყვია
კედელზე აღარ წიკწიკებს
ისრებდამტვრეული საათი.
გაყინულ დროის სივრცე
არვერთ კართან არ გადის.
ოცდაორ იენისს ბინდიანს,
დაუდარია ფურცები
და კალენდარიც კიდია
ჯერ ფურცლებმოუგლეჯელი.
თითქოსდა მათი ოცნებაც
ნისლმოხვეული ბინდდება.
— ოქვენს გარდა ხელიხმოწერას
ხმა ორი მოწმე სჭირდება.
თვალები წყალის დაატოლა
ჭადარა რეგისტრატორმა.
მხრებს ხაიხელიდ გადაშლიაა
მოხუცი ლამის დარაჯი.
— მოწმე გამოვეთ ამათი
და შეუღლების დარხარი.

გიზდ მექორწილეც დამარქვით,
გინდა ფშიზელი მაყარი.
ერთი ხმა თქვენც შეგვაწიეთ,
როგორც დედამ და ქართველმა,
და დოვლილოვით ამანჯვილებს
ახალი კერის დანთება.
— სიამოვნებით, აქა ვარ, —
თავაუღებლად თქვა ქალმა,
გოგამ პასპორტი გადასცა,
გაიშრიალეს ფურცლებმა.
და საქორწილო დავთარზე
დაეცა მწვანე უწყება.
— ეს რაა? იმში მიდიხარ? —
ქალი ვერ ფარავს ამ წყენას.
— როდის? — შემკრთალმა იკითხა,
— ამაღამ — იყო პასუხი.
ნეტავ ეს როგორ იქნება,
შეყრისთანავე სცილდებით?
— ასეთ სიყვარულს დიდება,
არც მოუშლელის იმედი. —
თქვა რიხით ლამის დარაჯმა,
მადლით ღმერთი ახსენა
და საქორწილო დავთარში
თავისი გვარიც ჩაწერა.
— დამილოცნიხართ, შვილებო,
გენახოთ მზე და ვარდობა —
თქვა და ცრემლები შეიშრო
ქალმა რეგისტრატორმა...
ნათურაც არსად ილიმის
ამ მიბნელებულ ქალაქში,
წინ გამოუძღვნენ ლოდინით
მოხუცი ლამის დარაჯი.
და დადუმებულ კედლებთან
ორჯერ დასცალა ბერდენკა.
უცებ, სად იყო, სად არა,
მყაყრი, მრისხანე იერით
წამოეწივნენ კვალდაკვალ
ჭაბუკი მილიციელი.
— ნუ მიწყენ, მამამთილობამ,
ქეჯცხად მშვიდობა მეც მინდა.
დაქორწინდნენ და ავენიმე
მამაპაპური წესითა.
თუ დაეკლდებით წესდება,
ცოდვილ ბერიც ხომ შეცდება.
ახა, თუ ღირსი არა ვარ,
დამაპატიმრე ამაღამ. —
და ჭაბუკს თოფი გადასცა
მოხუცმა ლამის დარაჯმა.

— ჰე, რაა კაცო, იმედი
ან სიხარული გიძრახვს?
ოღონდ საბაყრო ტყვიებით
ჩვენთვისაც გადაინახე.
მიაწყდა გოგას და ნუკრის
დალოცა ხელით და გულით
და დამალ ხმაზე გულდიად
თვით წამოიწყო მაყრული...
თითქოს ლამეში ფრთა დაეცა
და წკვარამში შორით მიქრის.
თმაჩამოშლილი მაღალ ზევის
ხუნთქვა არმევს გორისყოხის.
ღერთი სვეტებში გარინდული
მოჩანს ქონი დაპინდული.
აქ ორთავე დგანან წყვილად.
ყრთამინეთის რჩეულებად.
ერთმა წამმა გადასწყვიტა
ბაეჟური შეუღლება.
გოგამ კადრი სიტყვა ფიცად
ქორს პატარა აიჩინა,
და ქართული მეჭა მიწა
გამლღალ მკერდში ჩაიმნია...
ხიდისთვის გზას გაუყენეს,
(გზაა — როგორც ხელის გული)
ალვისხეთ და მაღალ მუხებს
ტოტნი უჩანა შერისხული.
მათ კი მაინც სიჭაბუკე
მიაცილებდა ჩაუქრობლად,
ირიფრევან ბიჭმა უცებ
წინ მანქანით ჩაუქროლათ.
შეიდგა და წყვილს მიეახლა
გამშრალი და მიწყენილი.
შუბლზე ღარი აქვს ღალად,
დგას დასაკლავ მოზვერივით.
გოგამ კითხა განცვიფრებით:
— თავი დაბლა რად დახარე?
— ის ათასი გაზის ნერვი
კილოვ სანერვებს ჩავაბარე. —
თქვა მძღოლმა და გული ჩაწყდა,
თითქოს ცამა იხვრა მიწის.
ჯილდური სასტად დარჩა,
გაეყოდა ძარღვში სისხლი.
ფიქრობს: რა ფრის იმი არი.
ვაზი რჩება ეჭვივრად
და ლამერამ დამიანმა
თავზე გადაუტჰაცენა.
დგას და იმ შორ ხანძარს გასცქერის,
შორს მინდიან იმის გზასა.

და ნუკრია მანქანაზე
ელვისავით აიტაცა.
მიქრიან და ქარი არხევს
გაფითრებულ ჭალის დალალს.
დასჩენია მდუმარ ბაგეთ
განშორების წამის ძალა.

ეზოს ჭიშკართან კაცი დგას,
გზას ნერვიულად გასცქერის.
ლოდინში გული დაწრიტა,
მზერას ირიდებენ მარჯვნით.
თუმცა ქუდს მათე ჭილარა
უჩიღ მიდისდის სალამზე.
მაგრამ არ მოჩანს არავინ
ამ ჩაბნელებულ შარაზე.
დგას და ფიქრებში დალია,
გზას კი არავინ მოჰყვება.
ჩიტებს ეწვევა მაღლიდან
და კვამლს აშოლებს მოლქვებად
ეზოში ღვინო-თავკვერი
სტუმრების მასპინძელია.
სულთანაბუღით დამკვრელნი,
ლეღავს მედოლე ელია.
ბიჭები — ომში წამსვლელნი
გოგო ჯილაურს ელიან.
აჰა, გამოჩნდა მანქანა,
მათე მგელს შემოეგება.
ალერსით უთხრა: — სადა ხარ,
ხომ არ წაგასხეს ლეკებმა,
ნუკრია მეძებს კარიბჭეს.
(ბილიკმაც მეძებ უსურვა),
ელიას დასტამ ჭიდრის ქვეშ
დოლ-ზურნა დააზუზუნა,
და ქალი შეკრთა მეელივით,
ხმამ გული შეუფრთხილა
და მისკენ გადმოფრენილი
ჩინჩხლებს ყრის საქსე ფიალა.
ეზოში გაჩნდა მანქანა,
შეძგა აჩქაროებან ჭადართან
და საკრისზელა ფარებით
მაგიდა გააჩახჩახა.
— მამავ, შემმატე მთის ლომო,
კაცი ზეცამდე აიწიე.
— შვილო, სხვა ვერა ვილოცე,
მიჰყავ და ლხინი გასწიე,
ეს ანგელოზი ვისია,
ჩემი ოჯახის ღირსია.
ნუკრია უფრო განაზდა,
ბიჭებიც ახლოს მოცვივდნენ.
— ჩვენი დაია და რძალი
წასვლის წინ დაგვილოცავენ,
მათეს დაზაფრულ პირიდან
სიტყვა თავლივით გადმოდის.
— ჯვარცა, შენი ჭირიმე,
რომ არ დაგვტოვე მარტონი,
ლეღავს, სიხარულს ვერ მალავს,
სახეს წავნთა ალმური,
დამკვრელებს რამით შეუძახა:
— ხიდისთავური დაუკარით!
მხრები გაშალა სისწრაფით
და საყვავილედ გაიჭრა.
მაღლა დაირხა ცის ძაფი,
ძირს — კონდარის ხალიჩა.
რძალს მიუხლა ქედმოხდით,
მინდორზე გამოეცეკვა.
მეხი გავარდა თუ თოფი,
თუ ტაში დასცხეს ბიჭებმა.
ნუკრიამ ფრთები გაშალა,
წრეში აქნით მნათობად.
და მათემ რძალი მაშინვე
შემართულ მგელს შეატოვა.
ზურნის ხმა, ტაშის გრიალი
ცაში გავა ძალუმად.
თითქოს კლდე ამოწყდარია
აფეთქებულმა ლაღუმმა.
დედა მარეხიც გამოჩნდა,
რძალს მორიდანვე შეღიმას,
შივარდა, წრეში დაკოცნა
მის შვილთან მისხვედრ შეუყრილი.
ცეკვავს ნუკრი და მოჩრჩილად
გოგოსკენ მზერას აკვეხებს,
სიმწარის განყდამ მოჩრდილა
ლადო ლიმილი ბაგეზე...

ეს რა არი, ცეკვა არი
თუ სიცოცხლის როკვაა?
იქნებ ველზე კვდება ქარი
თუ სიკვდილი მოჰკვდარა?!
ეს რა არი, ცეკვა არი
თუ გულები კვნესიან,
განშორების ეჯალნარი
თუ ლოდინის ცეცხლია?
ეს რა არი, ცეკვა არი
თუ უბარგო გლოვაა,
დაკარგვაა ნაპოვნის თუ
დაკარგულის პოვნაა?

დავიწყების ჭიდილია
თუ მარადი ლოცვაა,
სიყვარულის გზირგზირია
თუ პირველი კოცნაა?
ეს რა არი, ცეცხლი არი
თუ უთქმელი დარდია,
ტრფობის კოცონს აქრობს ქარი
თუ ხანძარი ანთია?
ისმის ტაში, დაქრის წყვილი,
ელავს თვალნი მკვეხავად
და ეზოში გალეშილი
შემოვარდა ბეჟანა.
წრეში გაჩნდა მელაყვავილი,
არც კი ჩაუმჟელია.
გოგას ზურგი მოუწრდილა.
ცეცხლით გაჰყვა ნუკრისას.
შედგა სიძე ნირწამხდარი,
შუბლზე ხვითქი გადადის.
წრიდან უცებ გაქრა ქალიც
თეთრი ფრთების ფარფატით.
ზურნამ ჰანგი ნემსის ყურში
გააძვრინა ძაფივით
აჰტორტმანდა მთვრალი ურჩად,
მერე ჯიხარ ნადირი,
მივარდა და სწვდა ყელის,
დოლი შუა გაფხრიწა,
ჩალხას კი ხუნთქვა დაელია
ამ სურათის ნახვისას.
მაგრამ ვერვინ ვერ შებედა
წრიდან მისი გაყვანა
მთვრალმა გოგას გადაჰხედა,
შეუღრინა ამხანაგს:
— ჩქარა მიდი, ჯილაური,
ანდა თავი დახარე
თან მედოლეს შეუღრინა:
— საქიდარ ახლავე
ელიასიც გაზეული
დოლი გადმოაბრუნა.
და ჯიბეში უხალისოდ
წამსვე დააბრუნა.
ჯილაურმა საპასუხოდ
ჯიბეს ყანწი ამართა
და ხმა ისე დააქუხა,
თითქოს მეხი გავარდა:
— მეზარყეველე ჩუმადთავად,
ვინაც მოძმეს ეჩიდის.
საჭიდაო მტერთანაც გვაქვს
მაზზე თვალი გეჭირის,

და მამულის დასაცავად
მიგვყავს ძმათ კეთილი!
ყანწი ისე გამოსცალა
შიგ სუნთქვა არ შეაბრუნა,
გამოსცალა და ბეჟანამ
გადაჰხედა ქედმაღლურად.
ჯერ ჯიხვის რქა ჩამოართვა
და შიგ ღვინო ჩაათქმა.
ერთი სიტყვაც რომ არა თქვა-
მწყურვალივით ისე შესვა.
და კურცხლის მიაფუთა
ყანწი ფურცხილზე დაკეცილი.
ბიჭი წელში მოიღუნა
საკალმახე ანკესივით.
— ძმაო, იმში მიმაგალი,
სიძევ, ღმერთმა გაგიდაროს.
ასე კარგად დაჰბერეს ყელი,
მშობლები და კარმიდამო.
დალია და ღვინო ყანწში
ჩარჩენილი ძირს დაღვარა.
და ბეჟანას თვალი თვალში
მახათივით გაუყარა.
— ასე სისხლი დაღვარონ,
ვინაც ძმობას უღალატოს.
ჩვენ შორის არ გაიხარონ
ვერაგმა და მუხანათმა.
ბეჟანამ ქალს გადახედა,
გულში რაღაც ჩაწყდა მწარედ,
ნუგერია კი დგას და ელავს
მათრახივით წნავს ნაწნავებს...
მას მარეხი წინ გაუძღვა.
ნაზი პატარძლის კოცნის ქარი
და ოჯახის სიხარულსა
გამოუღო ოდის კარი.
ჩანს კედელზე, ჭრელ ფარდაგზე
საუკუნე ხანჯარი,
ჩახვეული გუშინ და-ძმებს
დამბაჩა და სატევარი.
თვლებს მარეხის ხელმანდილი,
ყელიანიც — ქმრის ხნისა.
ყურძნის მომწვანო მტევანივით
სათუთუნე ელალი ქისა.
თუმცა ოდნავ დალეწილნი,
მაგრამ მაინც უდარდელნი,
შინაბერა ქალებივით
ტახტზე წვანან მუთაქები.
რძალს სინათლე მოაფრქვია
ეს კი გოგას ოთახია.

წიგნებს საბრძნის შუქი ასდის,
ჭერს კი ჭაღი ალმაზებს.
და სურათი ნუგრიახი
დევს კრიალა კარადაზე
და მარეხმა რძალი სწრაფად
გაიხმო და გადაკოცნა,
საქორწილო თეთრი ფატა
თავის ხელით დაულოცა.
გედის დარად აბრეშუმში
აშრიალდა პატარძალი,
გოგოც გაჩნდა და ერთ წუთში
დაუმშვენეს ერთურთს მხარი.
მარეხმა კი დრო იხელთა,
მიატოვა ორნივ ერთად.
შეყრისა და განშორების
რა ტკბილ-მწარე ბუნებაა.
მაგრამ თითქოს ეს წამები
სადღაც გადაუმალიათ.
სარკმლიდან გაიცქერიან
და ჩრდილები თეთრ კედელზე
ერთურთს ისე ჩახვევიან,
ერთ აჩრდილად შეიკვრიან.
და ოთახში მუქის ქოლგამ
ჩამოკეცა ოქროს ფრთანი,
რომლითელიან მდუმარ ოდას
დაუხუჭა ერთი თვალი...
ერხევიან ჭადრის ხენი,
მოსაცდელი დრო არ რჩება.
გადადაღალული ცხენი
ფარნამ რიხვით მოაჭენა.
მასპინძელი მიეახლა,
მაგრამ დარჩა ხელგაწვდილი,
შეეძახა ფარნამ მკვახედ
— ვინ წამართვა ჩემი შვილი,
მათემ ტკბილად დაუყვავა,
და ქვეითად მასახლის მოსდევს:
— რატომ ღელავ ჩემო ფარნა,
ჩამო, სუფრა დაგვილოცე-
და ცხენს მისწვდა სადავეზე,
სამასპინძლოდ თავდახრილი.
— ამ ღამეში შვილს დავეძებ,
მე გლოვა მაქვს, არა ლხინი.
და ბუზარას ბაგეს ახლა
ღვარძლი წასცდა მთვრალის ქინით:
— ერთად უნდა დავეძებდა
ჩვ ცხენიც და ქალიშვილიც:
— ამხანაგის ცოლზე აბა
რაებს ამბობ, ცოცხლად-მკვდარო,
ომში მივალთ, შენ კი აქა
დიაცივით ჭირიკანობ. —
თქვა კბრეჭილით, უცებ მეტად
წამოვარდა გაცეცხლით.
შეეძახა ყველამ ერთად,
აიშალნენ სხვა ბიჭებიც.
— ფუი, შენს გულს, შენს კაცობას.
დარჩი სახლში, ქსოვე წინდა.
და ბუზარას ხალხის წყრომა
თავს დაატყდა ყოველ მხრიდან.
მხრებზე ჩანთა გადეკიდა
მოდის გოგა და ნუკრია,
საქორწილო თეთრ კაბაში
ხოხობივით ლაღად ფრთას შლის.
დაუწურა მკაცრად თვალი
მრისხანების წვამ და იჭვმა.
მაგრამ ფარნამ შვილი მაინც
მკერდიდან ვერ მოიგლიჯა.
და წყვილის წინ წყვილი წვეთი
ფარნას მკერდზე დაეცვენთა.
— დაგვილოცავს, შვილო, ბედი
და მენახირთ ისევ ერთად.
მთვარის შუქი ანათრთოლი
ბილიკს მძივად ეფინება
და გამშრალად ისმის შორით
მატარებლის შეკივლება.
და ბიჭებიც მანქანაზე
აგრიალდნენ ყველა ერთად.
ბუზარა კი კაცად არ ცნეს,
არცერთმა არ შემოხედა.
მიდიან და არვინ უმზერს,
დგას მარტოკა დამცხილი.
და შერცხვენის სევდით უძგერს
ფართო მკერდი გაღელილი.
უცებ ლობეს გადაკვეთლი
და მანქანას დაეწია.
— თქვენთანა ვარ, ჩემო ძმებო, —
თქვა სირცხვილით ალეწილმა.
შეუერთდა უცებ ტოლებს,
გაუწოდა ყველამ ხელი
და ყიჟინით გაიქროლეს
ხიდისთავის ვენახები.
შორს მანქანის ჩრდილი გაქრა
შემდეგ ჩაქრა აფრიანი.
წყვიდა კი თეთრ თავსაფარს
გზაზე ისევ აფრიალებს
მოხუცების ჩაქრა მზერაც
გული ჩაწყდათ დაღალულებს.

ფარნას ცხენი დგას მესერთან
და ხვავ თვალებს აფახულებს
მათე მძახალს გოგნის დიდხანს;
— ხვამიადი ვით გაანდო,
უბიძო ქორწილი გვაქვს
და მე უნდა ვითამაშო
და ერთმანეთს ხელი მისცეს
სამოყვროდ და საკეთილოდ.
— სადაც იჯდა ჩემი ხიძე
იმის გვერდით დაჯექ, მეილო.
ნურც გამოვიდეს ეს მანდილი,
ნურც გქონდეს თვალი სველი.
მის მოხვლამდე ეს ადგილი
ასე იყოს ცარიელი. —
ერთადერთ ქალს ფარნა ეტყვის,
თან აპარებს სახეს ღიმილს.
და ცარიელ სკამის გვერდით
ჯდება ქალი დალურჯილი.
დუმს მაგიდა გადაშლილი,
ცა ხიუხვეს აფენს მდელოს
და მათემაც რძლის და შვილის
ერთად შეხვა სადღეგრძელო.
მთვარის შუქი ანათრთოლი
ბალახს მძიმედ ეფინება.
სამადლობლად ისმის შორით
მატარებლის შეკივლება...

III

ურჩხულებივით ტანკები
შემოსევიან ტრამალებს
და ურიანა ნარბეგი
დუმს. ვითარ ხაძმო ხაზარე
აწყდება ცას ორიონი
და ვარდისფერად თენდება.
დაჭრილი ბატალიონი
მოკარდნილ მტერს არ ნებდება.
ზღვათ, ბიჭებს უჩმინე,
გადმოაფრქვიე ცის ნამი,
აქ დგანან უშიშარ-უშიშრნი,
ნაცვეშნი და ნაიარალნი.
გათქერილ ძელბოწურებში
დაფლეთილ დროშას იცავენ.
და ბედისწერა უხეში
უცნაურუბლად თვლის წამებს.
დაიძრა სვასტიკიანი
ტორნმეზიოთული „ავაზა“,
ეს ბრძოლა სასტიკი არი,
ცეცხლი და ბოლი ზარავს ცას.

ბორჯვე დაეშხნენ ტანკები,
ვერც დაიხსნეს უკანა.
ჯიღაურია დამსხვრეული.
და დალეწილი გვამარა.
ამ ჯოჯოხეთში შერჩენილ
გოგას ტყვიები კვეხავენ
და ჩამომდნია შუბლი
წერაქვით დამტვრეულ გლდესავით.
ძვალმსხვილი ბუზარას ბრძოლაში
მკლავი გაუცვდა ფოლადი,
სამაჭრე ფართო უღელში
შემორჩენია უცხლელი
თოფჩაბლუჯული მეტოქე,
თვალებმაც ასე იალა,
რომ ჯიდაური მეგობარს
გვერდიდან გაქმიანა.
— რას ფიქრობ, რას გაიბადრე,
ან რა ხაზმილმა შეგზარა,
— დღევანდელ დღეს დავიბადე
მე — ჯელუხიძე ბეზარა,
გოგა მის მხართან მიჯრილი,
გაღიმებული ხმიანობს.
— დაბადების დღეს სიკვდილი,
ამწომენ, დაბმულიაო.
ტყვიამფრქვევის ჯერს გადათვლის
ტყვიით რამდენი ჩარჩენდა.
— ამათი თავი მოგართვა
დაბადების დღეს საჩუქრად—
— შენი ჭირიმე, თუ კიდევ
ხიდისთავს ჩასვლა მეღირსა,
ნეკრის ბოლოში შეგკადრებ, —
შენს ცოლს დაძმობას შეგფიცავ.
პატივებას ვითხოვ დედაშენს,
რომ გაგატყუილო ლოდინში.
აბა, ამათი წრე ჩაჭრილა,
აბათ რად უნდა ბინდიში, —
თქვა და წინ დაძრულ გერმანელს
ტყვია ახალა ჯელგარე.
მაგრამ მეორემ მარჯვნიდან
სამჯერ ქარიდა ბეზარას.
თოფი დაუშვა დაჭრილმა.
მწქუდარე სისხლით შესვარა.
და ტყვიამფრქვევი გოგამაც
მტერს მიუშვირა უმალვე
თავისით ძარს დაიხარა
ლალა ცოცხ და მდუმარე
— ტყვია გათავდა, არ არი,
ძმათ, როგორმე გასძელი.

გერმანელმა კი ხარხარით
მაღლა აჰყარა ვაზნები
თითქოს დაიწყო გართობა,
გოგას მიუშვებს ავტომატს,
ბეჩხარას იხვრა აღმოჩდა,
თოფი გამართა ვეღარა.
სანგრიდან მაინც ამოხტა
და მშობლის გადაეფარა.
ახმახის ტყვია იმ წუთში
გადაშლილ მკერდზე დახვავდა
და ჯარისკაცი მიწურში
დაბადების დღეს გათავდა.
გოგა თოფს დასწვდა, გარეწარს
სწრაფად ესროლა ორჯერა,
მარჯვენა ჩამოაღეწა
და ბალახივით მოცელა.
მერე მეგობარს მივარდა,
ჩასძახა, ჩაეხმიანა.
ჩამქრალ თვალებში ინათეს,
პირი მიუყრა იარას.
დაჭრილმა დაიკვნესა და
უკანასკნელად ძლივს თქვა.
— ერთი დედა მყავს, ხომ იცი,
ნახე, ხიდისთავს თუ ჩახვალ.
შენს ცოლთან ჩემი ბიძიშვილი
არ დაგავიწყდეს, თუ ძმა ხარ... —
თქვა და სამაჯრე უბეში
ნეტარად აუფრთოდა,
თითქოს ხიდისთავს სუფრას შლის
ღვინოს აქაფებს დოქიდან.
არა, არ დარჩა ტიტველი
ბრძოლით ჩაქანცულ სახეზე.
ხმას არ იღებს და ღიმილი
აკრავს გაყინულ ბაგეზე.
ბილეთი კომკავშირული
გოგამ უმალვე გაშალა,
ანათებს ამომძიებული
წყვრის თვალით მაშხალა,
— აბა, ძალა თუ გეყოფა,
თვით მიუხედე ბიდაში. —
ყურში ჩასძახა მეგობარს,
პასუხი არკი მოისმის,
სისხლზე მზე წამობრიალდა,
ალით უქრობ კოცონად,
ცაში აიჭრა ზვიადად,
რომ მიწის ძუძუ მოეწოვა.
გოგა მეგობარს ემთხვია,
ერთ ცოცხალს, გადაეხვია.

სისხლი და მკრთალი სხივები
მოუხით მკერდზე დაღვრილი,
ზედ ნაცრისფერი ბილეთი
დაფრინდა ცივრის ბარტყივით.
ხელით გაუფარდა და უცებ
ხორხოცმა შეხშრა დუმილი
გულმა ხიფათი აუწყა,
შორს ჩაქრა მზეც მიწურული.
და გერმანელი ოთხფეხა
ავტომატმომარჯვებული
სანგარში ჩამოფორთხდება,
— ჰენდე! — შეუძახებს მხნე გულით.
და ოფიცერიც მაღლიდან
ტყვეს დაუმიზნებს იარაღს.
გოგამ მკლავები აზიდა,
გულს ცეცხლმა გადაიარა
მეგობრის თბილი ცხედარი
ხელაწეულმა დატოვა.
მიწაწაყრილი სანგარი
ამოათავა მარტომა.
მოაცილებენ ხარხარით
გახარებული აფთარნი,
— შეჰრილეთ, რადას უდგებართ,
გოგა იმათკენ მოიწევს.
— არა? გაუსწორდეთ ხელდახელ! —
შესძახებს ქერა ოფიცერს.
ისე გაშალა მკლავები
მოწყინილის ქანზე მისულმა
სამიდან ბანგს უკრავდა
თითქოს ელიას დოლ-ზურნა.
ეფრეიტორმა დამხვდელად
ესროლა ტყვია გამწყრალი
და ჯილაურმაც მარჯვენა
დაუშვა ორბის ფრთასავით.
ოფიცერი კი გაბრაზდა:
—რატომ ესროლე? — თქვა მკაცრად.
ბატალიონს ხელი გაწვდა.
კაცი არ დაგვრჩა მძევალი,
ეს ერთად ერთი ტყვე არი.
წამოიყვანეს დაჭრილი,
ათრევს შტაბის კარამდე.
ტოტებგასხეპილ ნაძვივით
იქვე მიწაზე დააგდეს!!

ნაკადული მირაკრაკებს,
უკვდავება მით ღირსა.
მოაქვს ცა და სიანკარე,
ფერფლი დამწვარ ბიჭებისა.

და ნატყვიარ ქალებს მისდევს
თუმცა სისხლით ნაფერია.
აქ, ხიკვდილის შავ ლეიბზე,
ვით სიცოცხლე აკერია.
თითქოს ტანის ჩქერს დაშხარის,
შორს გასცქერის ფიქრიანი
და ნეკრიას თავსადგარიც
ლალ ტალღებზე მიფრიალებს.
ოფიცერმა მეზარადით
მეფეთა წყალი ამოხაპა
და ფეხები ზინზილიანი
რკინის ქუდში ჩაძყო ნწრაფად.
ჩაიბანა, მერე ურჩად
გოგას გულის ამარევად,
შავი წყალი გამშრალ ტუჩთან
მიუტანა დასალევად.
ჯილაური მიაწყდა ნადირს,
ხელგაკრული თუმცა გდია,
სათვალეზე მეზარადი
მეზღვის აკვრით შეამახვრია...

* * *

ტყვეთა ბანაკის კარების
რკინის ურდული ღრჭიალებს,
ღრინავენ ჯოგის ძაღლები,
ისმის ძახილი: იარე!
ნალევნით ოუჯის მინდორზე
ბრიალებს შანთი წითელი
და თოკის შეკრულ თვალს არჩევს
ჩაგანგებული მის ძელი.
სატანის თანაშზიარი
და მოშხამული სულხორციით,
დგას ლაქისჩექმებიანი
ტყვეთა რეჟიმის უფროსი.
მწითური ზედამხედველი,
გალოფრჩული ჯალათი,
გოგას მივარდა მხეცნელი,
თავზედ წაკლეოჯა ზალათი.
მარჯვენა გულის ჯიბიდან
ფხვიერი მიწა დაცვივდა,
უცებ ახეტა დაჭროლმა,
თითქოსდა გადაარჩინა.
ჯალათი გაჩნდა ახლოს და
მკაცრად შესძახა: მარორგა!
ტყვემ მუჭა მიწა წაართვა,
ძალიში მიიხაბნია.
ჟილაურმა კი არა თქვა,
გათოკილს ენა დაბმია.

გადანჭკულ მიწას გახედა,
თითქოს სამარეს წაართვეს,
და დაღვენთილმა შანთებმა
მრისხანედ შეხედნათეს.
ფარფარა რკინა ამწია,
ბეჭზე დაადო ჯალათმა,
ზიდვიანთაგულმა არწივმა
ნაბიჯიც კი არ გადადგა,
მისი ხორცული დადაღდა,
მოეჩვია ის ფლობს მწუხრია
თეთრ ცრემლს ფარნა რომ დალაგდა
და ქვითინებდა ნეკრია.
ამლა თავად მას დადაგენ
და სიმწარისგან ილიმის,
კერებში ესმის საზარლად
დამწვარ ელაყის შიხვინი.
მწითურმა ბეჭზე ნაწური
ხმამაღლა გადაიკითხა:
— ნომერი ათას ას ერთი,
მოვლე გზა ბატონს სიკვდილთან...

და ხალათი ტაშისფერი
წამს სამეში მიაფურთხა,
მეტყრთა სხეებს ქარიშხლიც —
თავჩაკიდულ მდუმარ ტყვეთა.
ჯილაური დგას კეთხეში,
არ უჩვენა არვის პირი. —
და თუნუქის ქვაბუნებში
მიძვრებიან თავდახრილნი.
არ შეხედა არვის თვალში,
მერისმეული დგას შიშველი,
და გაისმის მღვრიე წყალში
ხისკოვზების ჩხაკაჩხუნი.
თითქოს დამხნარ ქვაბის ფსკერზე
წიგნს ფურცლავენ ბედისწერის.
ზოგი სატრფოს ხმას დაეძებს,
ზოგი კიდევ დედის წერილს.
არა, ლეკმაურს ითხოვენ,
თვალნი იქე დაბინდულან,
და ბავშვი უსიტყვოდ
შიმშილისგან გაფიტულან.
ჯილაურთან ახალგაზრდა
კაცი მიდის შავგვრემანი,
სუსტი ხელით მკლავზე დაწვდა,
მის აფეთის დასჯა ძალით
გადმოფურთხა ჯიბე ფიცხლად
და თუთუნის მინაბრწენით
მან ასანთის ღერის სიმსხო

შეახედა მოსაწყენ
გოგას ისე გაუწყრდა,
ვით სიმბოლო მათი ძმობის
და აიჭრა თანაგრძნობად
თამბაქოს და დარდის ბოლი.
ჯიღაური არტყამს ნაფაზს,
დილეგს ფიქრით გადაშორდა,
აივანზე მათე მამას
თამბაქო აქვს გასაშრობად,
ჭერის ქარცეცხლურ ფართო ფიცრებს,
ჭერის და აქლემს ყვითელ ქისას
და ძეგრტული დალაგს ოდას
უდედო მერცხლებისა.
დგას ნეკერიაც აივანზე,
მოლოდინში გზას შეჰყურებს,
ომში წასულ ქმრის ტანსაცმელს
ცრემლიანი ამზეურებს...
ცხვრის ტყავის ოდეს ადგილზე
მიწვა და მაგ ჭერს ახედა.
თუ კი ამ ქვეყნად არის მზე,
ო, რა შორია აქედან.
დაჭრილმა თავი აიღო,
ლოდად დააწვა წკვარამი.
მიხვდა, ეს ჭერი არ იყო,
ეს უკრაინის ცა არი.
შორიდან კენტმა ვარსკვლავმა
ისე დაიწყო ციაგი,
შუქი თანდათან გაშალა
გზაგზა დაადნო წყვდიადი.
მაგ ღრუბლებს გამოეპარა,
ამაყად მიწას დასცქერის.
ო, ამ ვარსკვლავმა ნეტარმა
ფიქრი აღუძრა გაქცევის.
რამდენი რამე უნახავს,
ახლა დანათის ამ შორეთს.
წვეს ჯიღაური გულაღმა
და ვარსკვლავს თვალს არ აშორებს.
ეშინია რომ ღრუბლებში
ისევ არ დაატყვევონ.
— დამწვარი მხარი არ გტკივა,
ზურგით რომ წევხარ, ქართველო?
— ჰო, მართალია, ნეტა თუ ვინ ხარ.
რა დამაშინებს ასეთი?
მეკოლამ ამოიკითხა.
— ნომერი ათას ას ერთი.
მე კი ძმობილო მოკავშირ,
შენი ნომერი? ორას რვა.
— ჰო და, ეს ციფრი ციფრები,
გერმანიას რომ დაავლებს,
მე მგონი, ძმაო, ჰიტლერი
ამაზე პასუხს არ აგებს.
გამადლდა უკრაინელი,
გოგას დასტური ახარა.
და ბნელ დილეგში პირველად
მეკოლამ გადიხარხარა.
ტყვეთა ბანაკში ქერდივით
შემოდის კაცი მაღალი.
ასხია ძველი მუნდირი,
ჩამოხეული შარვალი,
და ყელგადაჭრილ ჩექმაში
უჩანს გრძელტარა მათრახი.
მიგორა უხეშ მხრებს გაშლის
და მისულის ჩუმად გასძახის,
ისიც უთქმელად მიდიოდა,
სალამი უთხრა გულწრფელი
და ჩამოართვა უბიდან
კომბოსტოს მწვანე ფურცლები
გამხმარი პურის საცრად
თუნუქის ჯამში ჩაყარა
და ისეთი ხმა გამოსცა,
სუსველამ სურთქვა განაზა.
მღოცველთა ზიარებაზე.
ლუკმა რომ არის ოცნება,
თვით გალქაიას ზარიც კი
ასეთ ხმას ვერ გამოსცემდა.
ჩექმაში გადანანახი
გენადიმ იძრო არაყი,
რეზინის მცირე მათარა
ტუჩებზე ჩამოატარა.
ამ ერთმა ყლუპმა სასმელმა
სამივე გაახალისა.
გოგამ ვარსკვლავი აჩვენა,
და დაულოცა თავის გზა.
— ნახეთ? უცნობის გამორდა,
მაგ ღრუბლებს გამოეპარა.
ახლა კი რა საშიში ჩანს,
მისით თითქოს ქვეყანა.
სამივემ კვლავ ცას ახედეს,
მიუხვდენ გულში ნადები
გარედან ისევ აყეფდნენ
ფერმა ჯოგის ძაღლები.
ხმა მალე ღამე ისმოდა,
ვარსკვლავიც ღამეს ათევდა,
ისევ ღრუბლებში იძვროდა
და შუქით გზას ინათებდა...

* * *

ჩრდილოეთიდან, სადაც სულ მთლად
გაწყდნენ გმირნი ბრძოლის ველზე,
ზღვას შერჩა მათი სუნთქვა
და სახელი ყოვლის შემძლე,
გრიგალებითა და მეხთატეხით
გაქცეულ მტერს ახლაც სდევს.
ეს მიზანი ერთადერთი
აქვს დაკრძალულ ბატალიონს.
მათ ხსოვნის წინ მებრძოლები
ერთად დგანან ქუდმოხდილნი.
მკვდრებს მზის შუქი ეფინებათ
ციდან ხვეტად ჩამოღვრილი.
წყლს ბუზარაც, მორი გზების
ნატვრა ჯერ არ გაუფრენია.
თუმც სამარეზე ულვაშები
ცივ ტალღებზე აფენია.
ცხვირო მიწას ცრის ნიავი.
დაუკმაცავებ არწივს ფრთები,
და მის მკერდზე სისხლიანი
დევს ბილეთი ნაცრისფერი,
ვით სიცოცხლე, გადამწვარი
ადრე ჩამქრალ ქარიშხალზე
და პარხმული მეთაური
გამოცდილ ჯარისკაცებს,
მანდატს იღებს მოწიწებით,
ძლივს გაარჩევს გვარს და სახელს,
აკვირდება ყველა გზნებით
სისხლით ნალექ, დამწვრალ სახეს,
და კითხულობს მეთაური:
ჯარისკაცი კოლაური.
სამატროდ ჩამოჭრილებს,
მოამაბნევს მიწას პეშვით.
და ბუზარას ცხედარს უმოდ
ჩაუშვებენ სამარეში.

IV

ჩიდისთავის ზღვა ცრემლით
და ნაღველით ივსილება.
გადადადაღელი ცხენით
ფარნას დააქვს დიდი სევდა.
მხარზე შავი ტყავის ჩანთით
ეს საწუთრო რომ გალიოს,
წინ გაუწრებს მაინც დარდი
ცხენზე მემკვდარ ფოსტალიონს.
მთებს აწვდება გახელებით
იმის ხმა და ზარივს გაზებს.

შავ ჩანთიდან ბრმა ხელებით
ფარნაც იღებს შავ განაჩენს
თითქოს გადის ბეწვის ხიდზე,
მის წინ ყველა მოშით დგება,
მას ბუზარა ჯულუხაძის
წინ შემოხვდა ქვრივი დედაც.
— მომაკითხე, არ დამინდე,
მოგვაკლდეთ ქვრივებს ძალა?
წამს ცხენიდან გადმოვიდა
ფარნა ახმათს მიეახლა.
— მე რომ წავალ, ეს ბარათი,
თუ ქალი ხარ, გასცემ მერე,
აღარ ძალმიძს, თუ გაქვს ხათრი, ,
გამიმწარდა მეც სიბერე
კარგიც იცის რამ ამბავი,
მაინც ნუღარ დამიძახებ.
ო, ეს ჩანთა, ძაღლის ტყავი,
გადაუგდებდი უნდა ძაღლებს.
— წამიკითხე ეს წერილი,
რადგან მოხველ, გამიმეტე
ან ჩამქრალო მეწყერივით,
ახლა რითმე მაიმედე.
— ეს წერილი არ ყოფილა,
ცნობა არის, ამბავი ჩემო,
უზრუნველოდ დაკარგული
შენი შვილი სასახელო.
გადადადაღელი ცხენით
ფარნა ჩუმად იპარება.
დედას მოსწყდა უცებ ცრემლი,
მაგრამ დაჰგმო მწუხარება.
— სად მიდიხარ, დამილოცე
შვილი იმმი დაკარგული,
მეგულება მაინც ცოცხლად.
ჩამიწყვიტა თუმცა გული.
ფარნა სახლში შეიყვანა,
წინ დაუდგა დოქით ღვინო
და ტაქაში თავაწყარა.
ვაზის წვენი მოსთაქნიბს.
მაგრამ ფარნა ღვინოს არ სვამს,
ცალზე ზის, უნდა წასვლა.
— არა, ხათრი თუ გაქვს ჩემი,
არავს დაგლევ, — უთხრა გვიან.
დღეს ღვინოში რამ სათქმელი,
აბა, ვილას გააწნია.
ეს მწარეა, ბუზარა კი
ისევ ტკბილად დაგიბრუნდეს.
არ წასმოდეს მზეს ტალახი,
არ დაგეგდოს მერცხალს ბუდე.

ხალხში დამაქვს სულ სიმწარე,
სულში წვეთავს შხამი თითქოს.
მეც ამ მწარე არაყს დავლევ,
იქნებ გული დამითუთქოს.
ჩაქრებოდა ჭიქის ცრემლი,
დნება ფარნი, აღარ რჩება, .
გადადაღალული ცხენი
ახლა სხვაგან გაჭენა.

* * *

დაჭბორილი ხიდისთავი —
ვაზის ლეღვა ხენეშის.
დახუჭული ცისკრის თვალიც
გადუღებელ თქეშით.
ცა დახურულ ღრუბლებით
ტანის ზათქით მიაქვს
და ლოდები ჩახვრეული
მღელვარებით ყრია.
ხელს იწვდიან განწირული
დახლეჩილი ზვრები
და ყვავილი არწივული
იმის მიხვდა მთების,
ყვავილები ამ ღვართქაფში
დამხრჩვალ ბუდეებს ჰგვანან.
მიდის, არბევს, ვით წარმართი,
ხეს და მიწას ტანა.

შერჩა ჩექმას ჭუჭყი წამლივით,
ხან კაკანებს მწუხრის სხივებით
და ნუკრის დედამთილის
ზოლით უშორავს სუნთქი ზოლი.
ხნულის ბალა აღარ ყოფნის,
საუბით ისე მოჩუმხული
და გასცქერის აკადემეთი
იქვე გაკრულ შვილის სურათს.
მოღუშული ვეგმით ძლიერ,
ხშული სულ გალევი.
ხაზანი კი, ვით ყაროვლ
სანოლს, გადუფერებიათ.
იქვე მათე წულმოწყვეტით.
სარეცელთან ჩადუქრებთ
და მეუღლის სახე თვალი,
კიდევ უფრო გაფითრდება...
მიდის ფარნა თავმომწვრელი,
სვეტუ მეფარე რისხვით მისდევს.
გადადაღლული ცხენი
შეაჩერა ჭიშკრის ბოძზე.
სურს გაბრუნდეს უკან, მაგრამ
ვერ გადასცემს მათეს წერილს.
დარჩი — გულში ეკარნახა,
და მიაბა სარზე ცხენი,
აივანზე ჩუმად გაჩნდა
და სარკმელში იმზირება.
სნეულ დედის თვალს წაწყდა
და მის ცქერში იძირება.
ყელავს ისიც ნისლში მზირალ
იმში წასულ შვილის სიმამრს.

მათე გამოდის, წელგამდე
დედასთან რჩება ნუკრია,
ფარნა აივნის კუთხეში
დგას, თავი ძირს დაუხრია.
— შემოდი, კაცო, რას დგეხარ,
— არა, აქ მოდი, მძახალო.
ფარნამ მორიდებით გახედა
და თავი უფრო დახარა.
— შენთვის მინდოდა მეთქვა რა,
კარგი, აუგი კი არა...
და ფართალანა სურვილმაც
კრამიტზე გადიგრიალა.
მიაქრდა, ყრმის კალები
ეზოში მიმოაზნია.
დგანან მდუმარე მძახლები,
ორივეს ენა დაბმია.
და ფარნამ ხელის კანკალით
მათეს გადასცა წერილი.
— თუ მომაქვს კარგი ამბავი.
დამდაღლდ ჩემი ცხენივით.
მათემ კიბეზე მძახალი
ჩამოიყვანა იმ წამსვე,
ღიმილი გადააყარა
და ხარი დაკრა მიწაზე.
— ქშვერსი ბედი? აბა, რა ჰქენი!
— ასე მიქვს ღმერთთან დათქმული
უნდა ამღერდეს თავკეური
გიგას ზარითის ნაჭრული.
ხავსიც ორშიმის გაუწყლდის,
თითქოს მოიწმდა ნაბმლევი.
ფარნა კი უფრო დამუნჯდა,
შიშით მღელვს გაიხსნა ზაკუნი.
— სიტყვე იქ დამიღლილია,
მალე დაბრუნდეს დღეგრძელად
და როგორც ლეგიონ მოსწიოს
ზარი გაიღეს კედლებში.
სახლში შერბიან მძახლები
და მეზობლებით დამხდილთ,

ცოცხალი აღარ დამხვდებათ
სნეული დედა მარეხი.
ორმოში გდია იფნებთან.
ვით თავისქალა დაცლილი,
და ქვევრში მიწა იბნევა.
ქარი ზემოდან დასწივის.
ბადრის ფოთლების შარაის
აფრთხობს შორს ყვავის ჩხავილი
და იქვე ბარი ქანაობს
ეზოში დასმულ ჯვარივით.
ნეკრია თმაჩამოშლილი
ცივ ცხედარს აღარ ცილდება,
კიბეს ჩაორბენს ქლოშინით
ფარნა და მწუხრის გასცილდება,
მიდის ფარნა და სად მიდის
თვითონ არ იცის აშკარად,
ჩამოსწოლია თვალს ბინდი,
ჩამოვარდნია მარჯვენა.
ცხენი ვერ შესძრა ლობეზე,
ვეღარ მოსწია სადავე.
სიცოცხლე ისე მობეზრდა,
უნდა რომ აქვე გათავდეს.
ვინ დაუყრუებს სიმძიმილს,
გულშიც ისეთი ცეცხლია.
თავჩარგულს მათე სირბილით
ჭიშკართან წამოეწია.
— სად მიხვალ, ხომ არ ხარ უცხო,
სად მიიჭრები აქედან
და ფარნამ ვეღარ გაუძლო
მათეს თვალების ნაღვერდალს
— შვილო, ისე მაქვს დაოქმეული,
თუ გაყრუება ქარიული.
წარბი მრისხანედ მოშვილდა
— შვილიდან დამრჩეს უნებლიედ
ფარნამაც შეხვდა ორმოში
პასუხის შეუბრუნებლად.
მოხუცმა გახსნა ბარათი,
დააკვირდა და გაოცდა,
და ნაყრიანფერი მანდატი
შვილის მაგიერ ჩაკოცნა,
სისხლს დააკვირდა ფურცლებზე,
დალექილ სურათს დახედა.
თვალთ დაუბნელდა უცებ მზე,
ნერწყვილი წაიცდა ბაგეთა.
— მძახალო, ჩემს რძალს არ უთხრა,
აღარ მყავს შვილი ამ ქვეყნად.
მკერდდამჭრილივით აღმუვლდა,
იქვე ჭიშკართან გაშეშდა.

— ამ ტანჯვას რადა გაუძლებს,
შვილს ქმრის სიკვდილი გაუწყო.
შენც გაგამწარე, მძახალო,
აწ ვერა რამ გაახარის. —
თქვა ფარნამ თვალცრემლიანმა.
გზა უწუმრად დასტოვა.
მათე წამს გაეხშთიანა,
თავი არ დაიმარტოვა,
მიჯი წარსდგა და გასდია,
ახლად ფეხადგმულ ბალღივით.
ძირს ტყავის ჩანთა ეგდია
ნახამლარს დამჯდარ ძაღლივით.
გადამწვარი ულაყი
დგას და ჭიხვინებს ლობესთან.
გაქცეულ პატრონს ეძახის,
მაგრამ ხმა არვინ მოესმა.
ფარნა არც გზაზე არა ჩანს,
მათეს მოეშთო სიმწარე
და შეუძახა გზადაგზა:
— მოიცა, ღმერთი იწამე...

* * *

შემოდგომაზე ხიდისთავს
თოვლი მოვიდა ადრიან.
ხევები ჩამოთეთრილა,
ცამ ფიფქი ჩამოაბნია.
მათე და ფარნა ბუხართან —
დაღვრემილ ცეცხლს ჩასცქერიან.
კვამლი იჭრება მწუხარედ,
დუმს ჯიღაურის კერია.
ნეკრიამ დადგა ტაბლაზე
პური და ღვინო თაყვერის
შემოდგა, მის დანახვაზე
მძახლებს გაეხსნათ ბაგენი.
მამას და მდუმარ მამამთილს
ნეკრია ტოვებს ხიდიშით.
ბაღჩაში ხილი ნაზამთრი
დნება მებაღის ლოდინში.
წავიდა, მათემ კარები
უკან საკეტით ჩარაზა.
მერე სარკმლიდან გახედა —
არ მობრუნდებით ანაზდად.
უკან გაიძრო ხალათი,
მძახალი მიმით გამცქერის,
ნემსი და ძაფი გამართა,
ხალათს შიგნიდან ნაჭერი
დაადო, კერვას შეუდგა
და ფიქრით ნამთიბილია,

თითქოს ხმა ესმის პერშუხას
თმში დალეპულ შვილისა,
— რას შვები, კაცო, არ იცხვი?
აქ ზედმეტი ვარ იქნება.
— როგორ? მძახალო, ვერ მიხვდი?
ეს საიდუმლო კიბეა.
და კიბე ისე დალიმბა,
ფარნამაც სუნთქვა გაბაბა,
ორთავემ თავი დახარეს,
მათ ერთი დარდი ახვევდს,
შვილის და სიძის სამარეს
თითქოსდა ეიბეს აცლეპენ.
და შორს დაკარგულ იმედის
გამოტარილის მწუხრია.
ეს სისხლიანი ბილეთი
რომ არა ნახოს წუნურიამ
მათემ გადიცა ხალათი,
გამხიარულდა წამისად
და ნალველიანი მძახალი
ტაბლასთან მიიპატიჟა.
— გოგო ტანმრთელი მოგვივა,
იქვეც არა მაქვს მეტრედი, —
ამბობს და აწევს ლოთქივით
მკერდს სისხლიანი ბილეთი.
ჭიქა ასწია მაინც და
შვილს დაბრუნება უსურვა,
მეფე ფარნას ხმაც გაისმა,
იმედი არ გაიცრუა,
პურის და ღვინის სითბოთი,
ნახევრად გადნენ ფიქრები
და სევდიანი სიტკბოთი
ისევ აავსეს ჭიქები...
მკერდზე თოვლის ფთილები
აეთრო მატყლიევით კიდია,
რქებდახლართული ირმები —
ლამის ღრუბლები მიდიან.
მათეს სიზმარი გაუტყდა,
სახეც მისი უნახს მკვირარი,
მკერდზე ხალათი დაუდეს,
ზედ ჩახვეული მძინარი.
ნუცრიამ შაფი ხალათი
ფრთხილად აართვა მამამთილს,
წამს გაიტანა ხორველად
და [illegible] მერი დაუცა.
ხალათს შეჰნიდან დალანდა
სისხლით მონგრილი ბილეთი,
მოულოდნელივით დავარდა
შორის დაბრუნების იმედი.

ფურცლები გახსნა, გარინდდა
და გიჟას სახეს შესტირა.
ცრემლი გაშრა და ბინდ-ბუნდი
თვალებზე გადაუფინა
თვითონ გაითხარა იმ წამში,
თითქოსდა თავის სამარე
და თავს დაადგა გულწრფელს
მათე პერანგის ამარა.
თენდება. უკვე მესამედ
გაიხმიანეს მამლებმა,
ყვას შერჩენია მეზარედ
მიმქრალი მთვარე — ნამლევა...

V

დასწოლია შავი ბინდი
ჩალამეხულ ტყეთა ბანაკს.
ვალდიბურების მკვიდრნი
ახველებენ შესაზარად.
დამზრალ სახეს, დამდნარ მხრებსა,
თითქოს ცეცხლი თვალთა ფურცლი,
დაურდომილთა მწარე კვნესას
ჯოგის ძაღლთა ყეფა ერთვის.
ახალი წლის ღამე დგება,
იბურება გზა დაცვილი.
მიწა ცას ელალადება
ნაგვემი და ჯანგაცლილი.
სამრჩობელებს შეყინული
გვამნი ჰკვანან ზარის ენებს,
შურისგების შეხიზნული
სული მაინც არ ისვენებს.
ძაღლის ორთქლიანს, არწევს დუმილს
სიტყვა ბაგეს მოუშვებელი,
შმაგი ტყვია ისევ ზუის,
ზღვას ფურფლავს ბრძოლის ალი.
ამ სუსხიან ზამთრის ქარში
დაუზრიათ თავი ცხენებს
ვრთელრის განთქმულ დოლის რაშებს
ეხლა წვავთ და ეს ანელებთ,
ახლა ნაგაზსაზიდარში
გაუბიათ გერმანელებს.
და სამი ტყვე — ძმადნაფიცი,
(ხელით ყრიან, გარა ფიწლით)
სანიდარში დამბალ ნაგავს —
და ლამე ძაფით ამხანაგად,
ერიცა აეტომატიანი,
თავს ქორივით დასტრიალებს,
უცებ ეცა ჯოლაური,
თავით ჩასცა ნაგავში და

წამს ფურცელიც ახრიალდა,
ტყვეთა ბანაკს შორს გაცილდა,
მიქრიან და გზა გათელეს,
შემოენთოთ ცხენებს ელვა,
საამაღლწლო გერმანელებს
შეუსივით ნადირებად.
ისმის მათი ხორხოცი და
გამყივანი მთვრალთა ხმები,
მოსვეული ყოველ მხრიდან
კვლავ მოჰყვებენ გზას ძაღლები.
ერთი გოგოს დააძგერდა,
ძირს კბილებით ეწეწება —
და კილაურს გაახსენდა
ტარიელის ვეფხთან შებმა.
ყელში წაუწვდა და სიცხადით
ძაღლი წამსვე განირიდა,
გაბედა და გულადავით
მოიქრიოლა საზიდრიდან.
და გაფრენილ ტყვის რაშებს
შეუძახა ყველამ ერთად,
მაგრამ ცხენებს მისუსხავ ქარში
შეხლით ადრე მოეკვეთათ
ვერ აუვლენ ტყისკენ აღმართს,
მათი სულთქმა დაიზაფრა,
აქ შემოსვდათ სწორედ ძალა
რაზმი მიმაყ პარტიზანთა
და ბიჭები გათოშილი
მარშილებით გარტყეს
უცებ უკრეს ტყისკენ პირი
ტყვეებს — ყოფილ ჯარისკაცებს.
დარჩა ნაგაფსამიდარში
ფრიცი პირში ქუდჩაჩრილი
და ცხენები მეფან ქარში
დამდგარი და დაოსილი.
წამოადგნენ თავს მდევრები
ნაგავწაურილ ეფრეიტორს,
ოფიცერმა ტყვია ცხელი
მოაქედა შუბლში თვითონ,
მერე ცხენებს მიუხედა და
არც შერჩნენ ერთის წამით,
ორიოდენ ისე დგანან,
თითქოს იყვნენ ქვებისანი.
გაიდრიკნენ თუმცა წელში,
მაინც დადგნენ მხარიმხარ,
ოფიცერმა საფეთქლებში
რიგა ტყვია დაახალა
ერთდროის ტოლში განთქმულ ცხენებს
წაუგრძელდათ თავგორული,
მერე ყელი მოიღერეს
სისხლიანი, ალისფერი.
წამიერად ადგილს მოსწყდნენ
და ტორები მიწას დაჰკრეს,
ჩაიმუხლეს და თვით თოვლზე
ჩამომხრჩვალებს დაემსგავსნენ.

* * *

მწვანე ფოთლები შეარხნენ,
ტყეებად დასხდნენ კვირტები,
ხეებმა მისცეს ხელი ხელს
და ჰიმნი სჭექეს ტოტების,
გზა დაულოცეს პარტიზანთ,
ტყის ბინდ-ბუნდში გაფრილებს,
შუქი დღე-ღამის გაყრისა
ჯავშნებად გაუნაწილეს.
ჯილაურს ერჩის ძალდონე,
თვით შერელიანმდე ველფა,
მოძმის საფლავი აგონებს
ცოცხლად დარჩენილ მეგობარს...
იჭქარის სამი მამული,
ნისლი ახურავს ნაბდებად,
კისრის ვარსკვლავის მარმაში
მხრებზე ნათელით ადნებათ,
გერმანელთ შტაბთან მალულად
შეჰყრა კამარა სამთავეზ.
სამეს მოყნითი ალმური,
ვითარ მზე პურის თავთავებს.
ეს სიხარულის ცეცხლია,
მას შერისგება აკვხებს.
მაგრამ გაკვალის წესია,
დუმილი აწდეს ბაგეზე.
...და შტაბი უცებ ჰაერში
ავარდა ნაფოტ-ნაფოტად
ჩვენი ნაწილის შემოჭრის
ნიშანი იყო, რაც მოხდა.
შემოჯრიალდნენ ტანკები
და ფეხოსანის ყიჟინამ
ფაშისტთა ურდო აგელო,
უმალ ცაც გადაიწმინდა,
თვითმფრინავების დუღილი,
ვით ხმლის ჯიხვები, მოიხმო
და უკანასკნელ ლმუილით
მტერი ბუნაგში მოიხრა.
გოგა, მიკოლა, გენადი
წამს ტყვეთა ბანაკს მიუვივდნენ,
კარი გაალეს, გამოხტა
გაყინულ გვამთა სიცივე

და გაიქცნენ კარებში
დაჟრდომილნი და უძლურნი,
ვით სისხლის ოკეანეში
ცრემლად ჩამწრჩვალი კუნძული.
ჩამოფურცლული კედლები
და მომხიბლული სულხორცით.
მწითური ზედამხედველი,
ტყვეთა რჩეულის უფროსი,
გოგამ ნარის ქვეშ იპოვა,
შეება მოყნილი გულს ახლა
და წყევლდა მიყოლის:
— ერთი მაყალე, თუ ძმა ხარ,
გამოათრიე იქიდან,
ორთავეს ფორმა გახადე
და მიიყვანე იმ ძაღლთან,
სადაც თვით ტყვეებს დალაგდნენ.
ერთი წამის წინ ჩამქრალი,
ისევ აინთო მანგალი,
ორთავე ღვანან უძრავად,
წინათ ურჩნი და ზვიადნი.
გოგამ ჯერ მწითურს უბრძანა:
— დადაღე შენი ჯილაგის,
არც კი დაფიქრდა მწითური
და არც განზრახვა გაიგო.
აილო შანთი და წამსვე
უფროსს ბეჭებზე დაადო.
ტყვეებს დუმილით ნაყვები
ახლა გაყინნათ ბაგენი.
— დასწვე, ასე დასწვე,
სამშობლო ტყვეთა სახელით.
არც უკანკალებს მარჯვენა,
მწითური უარს არ ამბობს,
ბეჭებზე ისე დასწვა,
ერთი ასოც არ დააკლო.
გოგამ დადაღულ გერმანელს
ხელთ მისცა შანთი ელვარე.
შენ მწითურს. მისკენ დაუშვილს,
უმალ აქაკა თვალებში
მერე თვალდათხრილის მიუვარდა,
თვითონ ზიკედილის მოთავე,
არ დაიკოჩნა გოგამაც
ტყვის ახალი ორთავეს...

* * *

ცა ცეცხლისგან დაძენძილი,
მიწა ტანკით ნახნავი.
გზაზე ყრია დალეწილი
გერმანელი ჯავშანი.
სევასტოპოლის დროშებს ფურფლად
ქარი დაატარებს უკუნეთს.
კატიუშების მოქმედის ელვა,
ცა და მიწა გვანგრევს.
თოფი მტრიდან გათოკილი,
ითრეულია ნადირი,
ნაღვრევებში ქუდმოხრილი
ამოწვილა ლანდივით.
სულს ლაფავს და სისხლით შრება,
გარბის, ხტება ბრძოლის ველს.
მისმა მხამხამე ვერ უშველა
თავმოწყვეტილ მტრისელს.
ცას ჰკიდია განაჩენი,
ვითარ ხალხის ლამპარი,
იმის ბრწყინვა ნათლავს ძმების
ჭიდილი და ჯახანი.
როსმე თავზე დასტყდომია
ელმოდებულ რაინდებს
გამარჯვების ბოლო ტყვია
გაისროლა მაისმა,
და ტაკეცნი წითელ დროშის
ქარში ისმის ჰიმნივით.
და უღრუბლო ცაზე მოჩანს
გამარჯვებულის ღიმილი.
ქუჩის მეყოლის ბაიანი
და ხმას უწყობს გუგადი,
გდგას ბანი მოვრიალებს
რაინდების მერამეის.
საყვარელ ქართულ ანბანზე
მკლავებს გამლის არწივი
და მუზარადს ხელში აწევს
ლერწით ხავსი თასივით.
— ქვეყნის მებრძოლები
ხიდისთაველ ფალავანს.
ცეცხლს, მაგრამ მოსწყდა მხრები.
წამით სულთქმა განაბა.
წინ ბუზარი თვალებმა ახილს,
ამჯურს გულგაშლილი.
ელვარდა მისი სახე
და სამაჯრო ულვაში.
გოგას მეგლი მოყვეთა
წრე მდუმარებ დატოვა,
რაინდების ბეჭებთან შეცვა-
თავი დაამარტოვა
თავის წაართო ულვა ხიშტი
და კედელზე მცველსავით
ამოტვიფრა ორი სიტყვა:
„ჯულუხიძე ბუზარა".

წრეში მერგო უცებ თავი,
თითქოს შეკრა იარა.
მიკროლამაც ბაიანი
უჩრო დააგრიალა...

VI

მზე შემოადგა ხიდისთავს,
გაზის ულაყში დაკოცნა,
სხივი აფრქვია გიზგიზა
ხეზე დახუნძლულ ნაყოფსა.
ლაჟვარდში ისე იხეულა,
სული სიმღერით შემოსა,
ზეცა გაჰკვეთა ჯიქურად,
მოაწყდა გორეშემოსა.
მთაზე პირთავქვე დაეშვა
მზე ხანწაულად მომდგარი,
აშნია ნათლის მეშვებით
ნანგრევში ოქროს ხორბალი.
ამოთავთავდა ისევე,
ვითარ ემბაზში ნაბანი,
და დედა-ქართლის მინდვრებზე
დასდევს სიყოჩლის აკვანი.
მოდის ფარნა და იჩქარის,
ცხენს მოაგელვებს დაოთხილს.
მოაწყდა მძახლის ქიშკარზე
და ძარს მაინც არ გადმოდის.
როგორაც მთვრალი მაყარი,
გასძახის ველადურილი
და სიხარულის საგანი, —
ხელში უჭირავს წერილი.
რძალ-მამამთილი მიეგებნენ,
ფარნას გარს შემოეხალტნენ
— დრია, რომ ზავეუმს იცლიდეთ,
გიდა ჩამოდის დღესავე —
თქვა, სიტყვა გააიოლა.
ქალარა ფისტალიონმა
მთიძრით ტყავის ჩანთა და
ცხენს ჩამოჰკიდა კისერზე,
შიგ ხმელი თავა ჩაბჯარა:
— აბა, ატარე ისევ შენ,
ამის ულოდი, დროც კია,
აქ შენთვის დამილოცნია.
პირუტყუმაც თავი დაღუნა
და თავი ჩააქნამუნა.
ფარნამ ჩუქრიან გულმკერდზე
დააკრა გიდას ბარათი.
— მზითვის ამაზე უკეთეს
ვე მაინც ვერ გაგატანდი.
ეჰ, ნეტავ დაეხარა მოვლილი
კაცი კარზე მომდგარი,
ის გაწვართელი ქორწილი
რომ გავაგრძელოთ, დრო არი.
ომიდან დაბრუნებული
ცოტაღა ნახა ვაცვაცი,
კარდავარ დაღონებული
დადის და ბიჭებს გასძახის.
ვინც ნახა, ვერც კი უცნია,
შეხვევილი თეთრ-დერია.
მოუყავს ცალხელა კურცხლია
და ბრმა მედოლე ელია.
ჭადრის ქვეშ მთელღამარ მაგიდას
დღეს გული არ ენისლება,
ქეიფურობდ დადოხანს დაბინდდება,
ახლა კი ქმხით იქცება.
თავს ადგას ჩრდილის ხიგრილე,
როგორც ალერსი დედური,
და ბევრი ქვეყრის ლილინებს,
ომის დროს დადუმებული.
მათყო ამოაქვს ორშიმო,
საქეყ ანკარა თავყვრით,
დოქებში ღვინო მიშხეუის
მზის ელვარებით ნაფერი.
მათუმ მედოლე ელია,
სადაც რომ იჯდა, იქ დასვა,
წანილის წინ სად უმღერია
მუხამბაზი და შიქასტა.
იბოლ მტრედიფით ჯავრიანს,
ცრემლი მოადგა ბრმა თვალში,
მის გვერდით აღარ არიან
მედუდუკე და დამქაში.
სად დაკარგულან ბიჭები,
საით გაუტკვდათ ყამაში.
ქანდით სიკვდილის რომ იშურდნენ,
მათი ხმა რატომ არ ისმის.
დუმს დალვრემილი ელია,
ტანჯვა უნახავს იმდენი,
ყინვას დაუზრავს ერთიან
გრძელი ხადოლე თითები.
თიხა წლის მდუმარ დოლს მაინც
ისე შემოჰკრა მარჯვენა.
ფოთლებმა შეიზრიალეს,
ცაში ტოროლაც გაჩერდა.
გადადადალულ ცხენზეც კი
მოატრიალა კისერი,
აცქვიდა ბიჭი კურცხლია,

ბანგი დაიფრქვა ისეთი,
წრეს ძველებურად დაჰქროდა,
თან გაუბრწყინდა სახე ლომს
და მეურნის ნაომარს,
ქარმა უმღერა სიძველი...
ელიამ ხელი სუფრაზე
მდუმარედ წაატარა.
ლევანიან ჭიქას დაეშვა,
რომ დაილოცოს ქართულად,
ტურცელიამ უმალ დაასწრო
და გაუწყოდა ხის ჯამი.
მედოლემ დოლი გადასდო,
ამოიოხრა სიმწარით.
— დამილოცნია ბიჭები,
ვინაც შორს არი აქედან
და ბრმა თვალებით მის გვერდით
ცარიელ სკამებს გაჰყება,
დადუმდა და დუდუსპურზე
ცრემლად დაღვარა თავკვერი,
შორს, შუბისტარზე დასულ მზეს
გაანდო გულის ნაღველი...

* * *

მთის და სოფლის შარაზე
მგზავრს ქრუანტელი უდგება.
დაცვრიანებულ სალამზე
თავი დაუკრეს ქედებმა.
სალამოს ლურჯი მოროში
ჩამოიღვარა იქიდან
და მოხასხასე მინდორი
ზღვასავით წამოიბინდა.
მზეს ისევ ქარი ალოკებს,
მილეულ ნაკვერჩხალივით,
ლაჟვარდი — თასი ხალვინე
იცლება სხივთა ჭრილით
მგზავრს ტანი გაშოდება,
ქორორა ტალღა აჰყვება,
ლომი — ტანჯვებს მგლეჯავი,
თითქოსდა შვერთა ბალღურად
უმალ აიჩო პეშვები
ანგარა წყალი ისხურა.
შორს გორისციხის კედლებიც
ჩამუქდნენ დარბაისლურად.
ნისლი დააწვა ლოდებით
ელიას შურნა აქ ელოდა,
და მგზავრი მარუშჩამოყრილი
ხეთაან მორჩილად გაჰყურა.
ტოტებში ბინდი გადაძრეს,
შეიმრიალეს საოცრად,
და კოდალურმა კაკლის ხეს
დაკორძილ კანზე აკოცა.
ხედავს მეზარას მოჩვენალს,
როგორ მოიწვევს გულგაშლით,
და თვალწინ აუფოფინდა.
მისი სამაჯრე ულვაში.
ეხლა სადა წევს, ვინ იცის,
მიწა აყრია თუ არა
და ადრე ჩამქრალ ლამილში
ტკივილი თუ დაუმალავს...

ლობესთან დგას დარბას ცხენი,
წყლიან თვალებს ახამხამებს
და სხვებივით გატაცებით
ისევ სოფლის გზას გაჰყურებს.
დგას და ელის გაუნძრევლად.
დაბრუნებულ კაცის ხილვას.
თავკისერი დაუფრძელდა
და უცნაურად აჭიხვინდა
ტკბილ ბურანში გაეხვია
მათე-მამა ოქროსკირი,
გოგას ნუკრი მიეხვია
გამოფრენილ ხოხობივით.
ფარნა ყვირის: — გენაცვალე,
ჰერა გაგიხარებია.
გადმოვიდნენ გმირს ცალხელა
ქურცმლია და ბრმა ელიაც.
გოგამ ყველა გადაკოცნა,
მერე ოდას მიაცქერდა,
არ მოესმა ტკბილი ლოცვა,
ვერც იკითხა შიშით დედა.
სიხარული ინისლება,
წამო, ისე დაბეჩავდი?
და მეზვრის ქერივი დედაც
თავს დაადგა მაყლეჩაქით.
გოგას ტირილს აღარ აცლის
და არ აძლევს ცრემლის ნებას,
სპეტრუტს უღელი მძლე ვაჟკაცი
დაკარგული შვილის დედას.
ადგა, შუბლზე ეამბორა,
გაუცინა მწუხრით ბაგე,
წინ გაუძღვა მეკვდართა ხმოვნა
დაბაღლოცად სუფრისაკენ.
ჭადრის ძირში ქვის მაგიდა
დუმს, სიჩუმე თუ თამადობს.
თვალნი უფრო დაებინდა
ბრმა ელიას მარტოდმარტო.

ჩის და, აბა, უდამჭაშოდ
ვინ დაუკრას სათამაშო.
არც შეზარის სკამზე არვინ
არ დამჯდარა, დარჩა ისე,
ინთურებით ბიჭის სკამიც
სალამოს ბინდს ადაისებს.
ტანმორჩილი პეტაც არ ჩანს,
მისი სკამიც სახტად დარჩა,
დალურჯებული ჩის კურცხლია,
ცალ სახელოს ურხევს ქარი,
გიგა ფიქრით მონუსხული,
სიკვდილთანაც უდრეკარი.
დაღუპულთა სახეები
გაიელვებს წამიერად.
წარიტანა მათი ხმები
ხსოვნამ მრავალჟამიერმა.
თითქოს სეტყვამ დაჰკრა ცილან,
სუფრა მწუხრით ნარწყევია,
იმ ყვავილს ჰგავს ქვის მაგიდა,
ფურცლები რომ გაცვენია...

* * *

მაისის ცინცხალ გარიჟრაჟს
ჩიტელი ჩამოუღვრია.
ვერისხევზე ადიან
ერთად გიგა და ნუგრია.
შორს გაქცეული ლიახვი
მიდის, ჯიხვივით ფეთდება,
ტალღას, ვით კოცნას მოსწვდის
და მერე მტკვარს უერთდება.
იდითგან მისკენ იჩქარის,
ხან ზათქით, ხანაც დამცხრალი,
მისი ოცნება ის არის
და სიყვარულის ტაძარი.
ასე იჩქარის გიგაშიც,
არსად არ ჩაუშველია
და შეეუბა მტკვრის დარად
მზეჯადაღვრილი ნუგრია...
ბიჭების ხმა შემოესმით
და საჭიდაო ყიჟინა,
წრე გაუწლიათ ტოლებსა
ერთურთ მხარიმხარ მიჯრილან.
და წყვილი, ტყუპის ცალები,
ძმები შებმიან ერთმანეთს,
დაუძარღვიათ მკლავები
და მიშველ მკერდით ფეთქავენ.
სცდა, დასცემს ერთ-ერთი.
ყიჟინის ეხო ზანზარებს.

და ჯილაური ვერ ითმენს,
მოშუღლეებს უმალ აშვებს.
აქ ნახა ომში წასვლის წინ,
ცივ ქვაზე ისხდნენ მორჩილად
ახლა მართვენი არწივის
დაზრდილან, წამოჭიჭრილან.
— მამა დაბრუნდა, ბიჭებო?
შიშით იკითხა ნუგრიამ.
— დაბრუნდა, — ერთხმად იძახის
და კვლავ შეიბნენ გულდიად...
მზის ჰამბი აღარ მოთავდა
და გორისციხის ლალიდი,
სულმოუთქმელად ირთავდა
ჩამოარბაინებს დაღმართი
და იმ შენობის წინ შედგნენ.
სად ბევრი გაიზარეს,
მაშინ დამშეული კარები,
ახლა ხმამოდ ჭრიალებს.
ბრდღვიალა ცისფერ ლარნაკში
თეთრი ვარდები აწყვია.
წიკწიკებს კედლის საათი,
თმის ფერი დაუნაცრია.
და კალენდარის ფურცელიც
რიგით ცვივა მაისს უნდენებს,
და მზე ალერსით იწვევს
გაკრიალებულ მერხებზე,
ჭაღარა რეგისტრატორი
ორთავეს ისე გახედავს,
სადღაც ენახავს მას მგონი
ღიმილი ნაცნობ სახეთა.
— დაბრუნდით, შვილო? — შესძახა
და გადახვია ორთავეს
თმის ღერს. აქ ბნელ ოთახში
მათი ჯგუფისწევრის მოთავე
გვიან დასცილდნენ ალერსით
და გაზეთების ჯიხურთან
შედგნენ. — მოსჩუქის ხმა ესმით
გიგამაც უეცე ოცუელა.
რა ნახა ღამის დარაჯი,
მათი პირველი მოგარი,
მკლავები უმალ გაშალა
და დაბრუნება ახარა.
ხსოვნაში ამოტივტივდა
ის ღამე — ომის ქარცეცხლის
მოხუცმა დახლის იქიდან
გადმოაწოდა გაზეთი
— აი, ამითი გიცანი
(და მიე სურათი აჩვენა),

გმირი ხარ დასაფიცარი,
იდიდოს შენი მარჯვენა...

ბუმბუნებს მიწა ქართული,
მკერდს იკრავს ცინცხალ განთიადს,
ქოში სვეტებში ჩაფლული,
დგას და ცის ნაში აკრია.
აქ შეჯგნენ შუქი ირის
უფრო გაბრწყინდა საოცრად,
გიგამ, ვით იმში წასულის წინ,
ქმლავ შუქი მიწას აკოცა.
გულზე მიუნით ცეცხლოვით
მკვიდრის ხსოვნა მირიდი.
მეზარას სისხლით შეკვრილი
კომკავშირული მანდატი
და ცოლის თვით თავსაფარში
მიწა ჩაყარა საფუთად,
გამრა მუდლი ლამაზი,
ელდანაკრავი დადუმდა.
ნეტავ ეს მიწა სად მიაქვს,
ომი ხომ აღარ იქნება?
ქალს სიმწრის ოფლი დადინდა
ქმრისთვის გაუმხელ ფიქრებად...

* * *

ვარდისფერად, მკრთალად ღვივის,
სხივებს უფრო ანაზებს.
ცის კიდურზე ჩამოღვრილი
ოვლებს დაღლილი მკვდართა მზე.
ტრამალები უკრაინის
მაინც არ იბინდება.
დაჭნის რტოსებრ ფითლავს ჩრდილი
მარადიულ დიდებას.
მარტოდმარტო ვილაც მისდევს
ნადათქრილ მინდორვეელს,
დნეპრის ტალღის ძახილს ისმენს
და დალუბულთ იგონებს.
თმაგამლილი ქარი მუხებში
და ყვავილებს გულდაგ
ნაყუმბარევ ადგილებში
თავი წამოუყვიათ.
მეზავრი ადგილს მოინიშნებს,
აი ხამში სამარეც.
სად გადაზრილ ხსოვნის ნიშნზე
თეთრი მტრედი ფარფატებს, —
თავს დაადგათ დიუვიწყართ
გამარჯვების მოამბედ,
და სადღაცზე ქართულ მიწას
ალერსიანი მოაბნევს.
თითქოს ადის ერთ ცამდე,
ბუზარას ხმა მოისმის:
ბიჭო, შენს ცოლს მოუხადე
ჩემს მაგივრ ბოდიში?
თუკი ნახე დედაჩემი,
ხომ არ უთხარ — არ მოვა...
ხმა ტრამალებს გადამორდა
დაბინდულს და ნათმარს.
ხმა ტრამალებს გადამორდა
და ცის მთლიბ გაიშნა,
მდგარი მკვდართა სამყაროსთან
კიდევ უფრო გაინდდა.
მკერდში უდევს მას ძმის გული, —
მომავლის იმედი,
წმინდა სისხლით დაწინწკლული
ნაცრისფერი ბილეთი.
ჯილავრი ლომის ჯიშის
დაიარა ერთიან,
გაასწორა ხსოვნის ნიში
და სამარეს ემთხვია...

იოსებ ზაზაკი

# ომმა დაამეგობრათ

1941 წლის 23 ივნისს, ბელოსტოკის მისადგომებთან გაჩაღებულ სისხლისმღვრელ შეტაკებისას ფაშისტმა დამპყრობლებმა მძიმედ დაჭრეს საბჭოთა ბატალიონის მეთაური გიორგი ღუბაშვილი, რომელიც პოლონელმა პატრიოტებმა გადაარჩინეს სიკვდილს, უმკურნალეს და ფეხზე დააყენეს. გიორგი ღუბაშვილმა შეძლო 1941 წლის ბოლოსათვის, პოლონელ პატრიოტებთან ერთად აქტიური მუშაობით, ბელოსტოკის საოლქოში ანტიფაშისტური ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ორგანიზაცია თავის რიგებში 200 კაცს აერთიანებდა. მასში შედიოდნენ რუსები, პოლონელები, ბელორუსები, უკრაინელები და ქართველები. 1942 წლის 26 ნოემბერს ბელოსტოკში გიორგი ღუბაშვილი, შერქმეული სახელით „ბატია" წინამძღოლი", მტერთან უთანასწორო ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაეცა.

ეს ამბავი ომის დაწყების მეორე დღეს მოხდა. ბელოსტოკის მისადგომებთან გერმანელთა ყუმბარამ საბჭოთა ტანკი წყობილებიდან გამოიყვანა. ცეცხლმოკიდებულ მანქანიდან ბატალიონის დაჭრილი მეთაური გიორგი ღუბაშვილი გადმობობღდა და რის ვაივაგლახით ბუჩქებამდე მიფორთხდა. დაჭრილს მარცხენა ფეხი აღარ ემორჩილებოდა და თეძოს აუტანელი ტკივილი სტანჯავდა.

ბრძოლა გრძელდებოდა. ყუმბარათა აფეთქების ტალღა ზედიდაუმთავრებელ არყის თეთრ ხეებს თოვლის ფანტელივით აქეთ-იქით ფანტავდა. ზურგზე გაწოლილი გიორგი ლურჯ ცის ტატნობზე მცურავ თეთრ ღრუბლებს შეჰყურებდა და მალე გონება დაჰკარგა.

გიორგის არ ახსოვდა რამდენხანს იწვა ბუჩქებში და როგორ გაუძლო ტკივილებს. იგი გონს მხოლოდ პატარა ოსლის სახლში მოვიდა.

— სად ვარ? აქ საიდან მოვხვდი? — ძლივს ამოღერღა დაჭრილმა.

საწოლისაკენ ქალი დაიხარა.

— ნუ ღელავთ, პან ოფიცერ, თქვენ დაჭრილი ხართ და მხოლოდ სიმშვიდე გარგებთ. თქვენ აქ ჩემმა ქმარმა და მისმა მეგობრებმა მოგიყვანეს. მალე ექიმიც მოგეაკითხავს, საშიში არაფერია, თქვენ მეგობრების სახლში იმყოფებით, — როგორც შეეძლო რუსულად და პოლონურად უხსნიდა ქალი.

— ჩემი გულისათვის ფაშისტები დაგხვრეტენ, უმჯობესია გამეცალოთ, — დაჭრილმა თავს ძალა დაატანა, ხელებს დაეყრდნო, წამოწევა სცადა, მაგრამ მწვავე ტკივილებისაგან სახე დაემანჭა და ზურგზე უმწეოდ დაეცა.

მალე ოთახის უფროსი კაზიმირ ლას-

ტოვსკი, მოვიდა და თან ექიმი მოიყვანა.

ექიმმა გულდასმით გასინჯა ავადმყოფი, რომელიც აუტანელი სიცხისაგან გათანგული საწოლს გაკვროდა და მწარედ იტანჯებოდა. მერე დასტაქარი დიასახლისს მიუბრუნდა და უთხრა: — ყუმბარის ნამსხვრევი მუცელში ღრმადაა შეჭრილი. დაუყოვნებლივ უნდა გავუკეთდეს ოპერაცია, პანი იანინა, თქვენი დახმარება დამჭირდება.

ოპერაცია დიდხანს გაგრძელდა. დაჭრილი კბილს კბილზე აჭერდა, აუტანელი ტკივილებისაგან იკრუნჩხებოდა, მაგრამ არ კვნესოდა. დასტაქრის ხელებმა მაინც თავისი გაიტანა და ბოლოს ყუმბარის ნამსხვრევი ამოიღო.

— დღეს ჰიტლერელებმა მთელი საავადმყოფო თავდაყირა დააყენეს, — სთქვა წასვლისას ექიმმა, — დაჭრილ რუს მებრძოლებს დაეძებდნენ. რაღა თქმა უნდა ვერავინ იპოვნეს. იმუქრებოდნენ, თუ ვინმე დაჭრილ რუს მეომარს შეიფარებს, დავხვრეტთო, ასე რომ ფრთხილად იყავით...

დღეები და ღამეები მოუსვენრად სწრაფად ილეოდნენ. გიორგი კაზიმირის ოჯახს იმ მკაცრმა დღეებმა დააკავშირა და დაამეგობრა. მან კარგად იცოდა, რითაც იყო დავალებული ამ ოჯახისგან. იცოდა ისიც, რომ ფეხზე დადგომისთანავე საძულველ მტერთან ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო.

ივლისის თვის ერთ გვიან საღამოს იგი სახლის პატრონებთან ერთად ვახშმობდა. ჩვეულებრივ ყოველდღიურ ამბებზე საუბრობდნენ. ლაპარაკი ჩამოვარდა ხილზე, რომლის მოსავალსაც იმ წელიწადს ძალიან კარგი პირი უჩანდა, მერე ომის ამბებსაც გადასწვდნენ, ითქვა ისიც, რომ გერმანელები აღმოსავლეთისაკენ მიიწევდნენ.

— თქვენ უკვე გამოჯანმრთელდით და ალბათ კვლავ საერთო ბრძოლაში ჩაებმებით, არა?

წამოიწყო **კაზიმირმა.**

— ეს ხომ ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, — სთქვა გიორგიმ მტკიცე ხმით და წარბები შეჰყარა.

— რაღა თქმა უნდა. სხვა პასუხს არც მოველოდი, მაგრამ იატაკქვეშეთიდან ბრძოლას სხვა ტაქტიკა და ხერხი სჭირდება. ასეთ ბრძოლას განსაკუთრებული კანონები გააჩნია. ამ ბრძოლის მონაწილეს დიდი სულიერი შემართება უნდა ჰქონდეს, ვინაიდან მტრის ტერიტორიაზე მოქმედებს და თავისი და სხვათა სიკვდილ-სიცოცხლე მის ნერვიულ განწყობილებასა, სიმტკიცესა და თავდაჯერებაზეა დამოკიდებული.

ნავთის სანათური კაზიმირის სახეს მკრთალ სხივებს აფენდა. მას ფართო შუბლი ჰქონდა და თვალის ფოსოში ჭროლა გუგები მოუჩანდა. ისე დინჯად, დარბაისლურად ლაპარაკობდა, თითქოს ყოველ სიტყვას სწონისო.

— ჩვენი საერთო ინტერესებისათვის სიცოცხლეს არ დავიშურებ... განსაცდელს კი, როგორიც არ უნდა იყოს, ვაჟკაცმა კაცმა უნდა გაუძლოს. გიორგის ხმაში ფოლადი გამოკრთა.

სწორედ ამ დროს ჭიშკარზე ერთი ბრახა-ბრუხი ატყდა. ჯიბის ფარნის შუქმა სიბნელე გაჰკვეთა და ღობისძირები გაანათა.

— ჰიტლერელები, გიორგი, აბა სწრაფად შენს ადგილას მიაშურე. კაზიმირმა ჯერ კიდევ ჭრილობებმოუშუშებელი გიორგი თავშესაფარამდე მიიყვანა, იანინამ კი გაშლილი საწოლი გაასწორა. როგორც კი მომხდურებმა კარი გაღეს, დაუპატიჟებელი სტუმრები ოთახში შემოცვივდნენ. ყველაფერი გადააქოთეს, ავტომატის კონდახებით კედლებზე აკაკუნებდნენ, ადგილი უცვალეს ავეჯს, იატაკსაც მოუსინჯეს პირი, კარადები გამოაღეს... სახლის პატრონები კი მშვიდად იდგნენ დერეფანში.

— სახლის პატრონო, უმჯობესია თვითონ გვითხრა სად გყავს დამალული საბჭოთა ოფიცერი, მიმართა კაზიმირს ობერ-ლეიტენანტმა, — თორემ თუ ჩვენით ვიპოვნეთ სახრჩობელაზე ჩამოკონწიალება არ აგცდებათ.

— პან ობერ-ლეიტენანტ, ჩვენს სახლ-

ში რუსეთისათვის თავშესაფარი არ მიგვეცია, — მტკიცედ უპასუხა კაზიმირმა.

იმ ოთახში, სადაც დაჭრილი იწვა ობერ-ეფრეიტორი დაყოვნდა. საწოლთან მივიდა, საბანი აიწია და ძირს გადმოაგდო.

რატომაა აქაურობა წამლების სუნით გაჟღენთილი? აქ ნამდვილად დაჭრილი იწვა!... ობერ-ეფრეიტორმა ხელი რევოლვერს წაავლო.

გერმანელის წინ მყისვე იანინა გაჩნდა.

— პან ობერ-ეფრეიტორ მე მედიცინის და გახლავართ და კლინიკიდან ეს წუთია დავბრუნდი. იანინამ ტანსაცმლის კარადიდან თავისი ხალათი ჩამოიღო და გერმანელს გაუწოდა. ობერ-ეფრეიტორმა ხალათი ჩამოართვა, იანინას სახეზე დაჟინებით დააცქერდა, მაგრამ ქალის სახეზე შიშის და სულიერი ღელვის ნატამალიც ვერ შენიშნა. მერე ხალათი ოთახის კუთხისაკენ მოისროლა და რაღაც ჩაიბურტყუნა. სწორედ იმ წუთს თავისი ხელქვეითი ჯარისკაცი გამოეშურა და მოახსენა, რომ ბაღსა და ფარდულში ვერავინ და ვერაფერი აღმოვაჩინეთო.

როცა გერმანელები წავიდნენ და ტროტუარზე რკინით მოჭედილი მათი ფეხსაცმელების ბაკა-ბუკი მიწყდა კაზიმირმა და იანინამ შვებით ამოისუნთქეს.

ბელოსტოკის განაპირა უბანში, კიევის ქუჩაზე მდგარ, კაზიმირის მწვანით დაფარულ პატარა სახლში გვიან საღამოთი ხშირად იყრიდნენ თავს: ალექსანდრე რაკოვეცკი, დიმიტრი მიხალენკო, პეტრე ნაიდენკო, ივანე სიბირიაკოვი, ვასილი რაზგულიაევი, ალექსანდრე პროვალოვი და ალექსეი კონტორსკი. ამ პატარა ქოხში ისინი დიდხანს არასოდეს რჩებოდნენ. აქედან მიჰქონდათ ასაფეთქებელი მასალა, ყუმბარები, საწვავით სავსე ბოთლები, საიგიტაციო ფურცლები და ბნელი ქუჩაბანდებით თითო-თითო უჩინარდებოდნენ. ესენი იყვნენ ყოფილი საბჭოთა მეთაურები, პოლიტმუშაკები და წითელარმიელები, რომლებიც გერმანელთა უეცარი შეტევის შედეგად მტრის ზურგში აღმოჩნდნენ. მაგრამ სამშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობა მტკიცედ ჰქონდათ გულის ფიცარზე აღბეჭდილი. იატაკქვეშელთა ხელმძღვანელი კი გიორგი ღუბაშვილი იყო.

იმ წყეული დღის შემდეგ, როცა გერმანელთა ყუმბარამ ტანკი დაუმსხვრია და თვითონაც წყობილებიდან გამოიყვანა, მან კაზიმირის ოჯახში ჰპოვა თავშესაფარი.

ქალაქში, საიმედოდ შენიღბულმა, კარგად ორგანიზებულმა იატაკქვეშელთა კავშირმა გაშალა ფრთები, ადგილობრივი მცხოვრებლებიც ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ დევნილთ.

იატაკქვეშელთა შეხვედრის ადგილები ქალაქში, მტრისათვის გზაკვალის ასაბნევად სულ სხვადასხვა უბნებში იყო: ოლხოვსკის ქუჩაზე № 10, № 40 სახლებში, პანკოვის № 8-ში, კიევის № 1-ში. ადგილობრივმა პოლონელმა მცხოვრებლებმა ორგანიზაცია დიდძალი საჭურველით და ტყვია-წამლით მოამარაგეს. მათვე იშოვეს და იატაკქვეშელებს გადასცეს ბრძოლის ველზე მიტოვებული ოფიცრული ფელდშერული მასალა და მედიკამენტები. ბელოსტოკში, სიენკევიჩზე № 40 სახლში ცხოვრობდა დაუღალავი მებრძოლი, ანტიფაშისტი იან რაჩკოვსკი. იგი ერთადერთ რადიოს უჭდა, მოსკოვის გადაცემებს უსმენდა და საიგიტაციო ფურცლებს პოლონურ და რუსულ ენებზე სწერდა. ამ ფურცლებს კი კედლებზე ძალიან თვალსაჩინო ადგილებზე აკრავდნენ და გამვლელ-გამომვლელებსაც ურიგებდნენ. ამ ფურცლების წყალობა იყო, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ ნამდვილი ამბები იცოდა, ბელოსტოკელებმა კარგად უწყოდნენ, რომ მოსკოვი მტერს არ დანებდა, რომ საბჭოთა არმია მტერს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა და დიდ ზარალს აყენებდა.

გამწარებული მტერი გაცოფებული დაეძებდა იატაკქვეშელებს. მაგრამ ისინი კიდევ უფრო შენიღბულად და

ფრთხილად მოქმედებდნენ. ერთხელ სამსახურიდან დაბრუნებულმა კაზიმირმა გიორგის უთხრა:

— ორი საათის წინ ბელოსტოკის სადგურში გერმანიიდან გამოგზავნილი ეშელონი ჩამოდგა. ვაგონები საწვავითაა სავსე. თქმა აღარ უნდა, რომ მატარებელი აღმოსავლეთისაკენ მიისწრაფვის. ვითომდა შესაკეთებლად მატარებელს ჩვენ ხვალამდე დავაყოვნებთ.

გიორგიმ გაოფლიანებულ შუბლზე ხალათის სახელო გადაისვა. ის ყველაფერს მიხვდა: მატარებელი სადგურიდან არ უნდა გასულიყო. იგი იმავე ღამეს უნდა აეფეთქებინათ.

იმ ღამეს ცა, თითქოს იატაკქვეშელთ თანაუგრძნობსო, შავმა ღრუბლებმა დაფარა. ფიცხელი ქარი გამძვინვარებით ეკვეთა ყველასა და ყველაფერს, მერე კოკისპირულად დასხა. სტიქიამ თანდათანობით გაშალა ფრთები. წყალი ქუჩებზე ნაკადულებივით მიედინებოდა. სუსხიანი ქარი თავისუფლად დათარეშობდა და გარეთ დარჩენილ სულდგმულს გათოშვით ემუქრებოდა. გიორგი დეპოშიელი და დიმიტრი მიხალენკო კი, თითქოს აქ არაფერიაო, ისე მიიკვლევდნენ გზას საწვავით სავსე მატარებლისაკენ. ნელა, მაგრამ დაჟინებით მიცოცავდნენ წინ, ყური გამახვილებული ჰქონდათ და მიუხედავად იმისა რომ თვალთან მიტანილი თითიც კი ძნელი დასანახავი იყო, მხედველობაც დაძაბული ჰქონდათ. მაინც ბუნება დაეხმარათ. ელვამ ცა რამდენიმეჯერ გააპო და მატარებლისაკენ სავალი გზა გაუნათა. იქვე საწვიმარში გამოხვეული გუშაგები შენიშნეს. დიმიტრიმ დანა იშიშვლა და გულგანგმირული გერმანელი გუშაგი სველ მიწაზე უხმოდ ისე დაეცა, დაყვირებაც ვერ მოასწრო.

— კარგია, — ჩურჩულით სთქვა გიორგიმ და წინ გახოხდა.

დიმიტრიც მის კვალს გაჰყვა. ისინი ფრთხილად მიხოხდნენ მატარებელთან. რამდენიმე ნაღმი მოხერხებულად ჩააწყვეს ვაგონებს ქვეშ და უკან ბობღით გამობრუნდნენ. სქელი, ბლანტი სიბნელე უეცრად ცეცხლის ენებმა გაკვეთა და ბელოსტოკის მოქუფრული ცა წითლად შეიღება. საწვავით სავსე აფეთქებულ მატარებლის სადგურზე მდგარი სხვა ეშელონებიც მოჰყვა და ცეცხლმა დაუნდობლად დაიწყო გამანადგურებელი მოქმედება. ირგვლივ ყველაფერი [illegible] ჯარისკაცები ვაგონებიდან ხტებოდნენ და უგზო-უკვლოდ გარბოდნენ. მაგრამ გერმანელები ვერც მაინც მალე მოეგნენ. გაისმა სასტვენების საშინელი გამაყრუებელი ხმა და ბელოსტოკის ქუჩებში გესტაპოელთა მანქანები აწრიალდნენ. მთელი სადგური და მისი შემოგარენი ალყაში მოაქციეს. გიორგი და დიმიტრი იმ ღამით კაზიმირის სახლში აღარ დაბრუნებულან. კაზიმირსა და იანინას კი მთელი ღამე არ ეძინათ და ძალზე შფოთიანად გაათენეს ის ღამე.

გამთენიისას ღრუბლები გაიფანტა და ცა მოიწმინდა. უცებ ჭიშკარი გაჭრიალდა და მის ზღურბლზე ორი ადამიანი გამოჩნდა. კაზიმირმა და იანინამ გიორგი და დიმიტრი შეიცნეს, დაწყნარდნენ და დასაძინებლად მიწვნენ.

ბელოსტოკელ ანტიფაშისტებს კარგად ახსოვთ იატაკქვეშელთა პირველი თათბირი 1941 წლის ივლისის შუა რიცხვებში. ბელოსტოკიდან შვიდ კილომეტრზე, ანტიფაშისტ-იატაკქვეშელთა წარმომადგენლები ზიგმუნდ მარტაევიკის სახლში შეიყარნენ. თავშეყრის ადგილი ისე კარგად იყო შენიღბული, თითქოს შიგნით ერთი სანთელიც კი არ ენთო. სახლის შესასვლელში ადამიანები ჩურჩულით წარმოთქვამდნენ საიდუმლოდ დათქმულ სიტყვებს და მერე ქოხში შედიოდნენ. თათბირს ოცდარვა წარმომადგენელი დაესწრო, მათ შორის იყვნენ: რუსები, პოლონელები, ბელორუსები, უკრაინელები და ქართველები.

— იატაკქვეშელთა ერთერთი ძირითადი მოვალეობა ფრონტის საომარი საჭურველითა და ადამიანთა რეზერვებით მომარაგების მოშლა გახლავთ. ჩვენი ამოცანაა არ გავუშვათ აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ეშელონები და ავტო-

ტრანსპორტი, — განუცხადა თავშეყრილთ გიორგი დებაშვილმა.

თათბირმა აირჩია ბელოსტოკის იატაკქვეშელთა ანტიფაშისტური ორგანიზაციის ცენტრი. ცენტრის ხელმძღვანელად კი ერთხმად გიორგი დებაშვილი აირჩიეს. ყველა იატაკქვეშელმა თავისათვის შეარჩია ზედმეტი სახელი, დაადგინეს საიდუმლო პაროლები და შეთანხმდნენ შეხვედრის ადგილებზე.

დათქვეს, რომ მხოლოდ იატაკქვეშელთა ჯგუფის ხელმძღვანელებს ეცნობებოდათ ერთმანეთი და ეცოდინებოდათ ყოველივე საერთო ამბებზე. რიგით იატაკქვეშელებს კი, მხოლოდ ის ამხანაგები უნდა სცნობოდათ, ვისთანაც პირადი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ.

გიორგი დებაშვილმა ზედმეტ სახელად „ბატია" აირჩია.

თათბირის ბოლოს გიორგი პეტრე ნაიდენკოს მიუახლა, დაიხარა და ყურში წასჩურჩულა:

— ცოტა შეიცადეთ პეტერ ნიკიტიჩ, თქვენთვის რაღაც განსაკუთრებული დავალება მაქვს.

იატაკქვეშელებმა ფაშისტები მაგრად შეაფუცხუნეს. თათბირიდან ორი დღეც არ იყო გასული, რომ ივან სიზირიაკოვის შეიარაღებულმა ჯგუფმა, ბელოსტოკის მისადგომებთან, ტყვეთა სამი გამყოლი მოკლა და 34 საბჭოთა ყოფილი მეომარი გაათავისუფლა.

იატაკქვეშელები სხვადასხვა მეთოდებით იბრძოდნენ და თავისუფლებას უბრუნებდნენ საბჭოთა მეომრებს. ოღონდაც ტყვეები გაეთავისუფლებინათ და ყველა მეთოდი გამართლებულად მიაჩნდათ. გერმანელების მისპობა, ადმინისტრაციის მოსყიდვა, ბანაკებიდან და სამუშაო ადგილებიდან ტყვეთა გაქცევის ორგანიზაცია, ტყვეებს თვითონვე უდგებოდნენ „ნათესავები". მერე გათავისუფლებულ ტყვეებს საიმედო საბუთებით ამარაგებდნენ და პარტიზანებთან აგზავნიდნენ.

მალე იატაკქვეშელთა ჯგუფები ჩამოყალიბდა ბერტოვშჩინაში, დუბროვკაში, სტაროსელცოში, ზაბლუდოვოში, ბელსკში, გაინოვსკასა და ბრანსკში. ბერტოვშჩინის ჯგუფს სათავეში ედგა გაბედული და ფრთხილი ოლგა ბასიუნსკაია. ამ ჯგუფმა ტყვეთა ბანაკიდან გაათავისუფლა და პარტიზანებთან გაგზავნა ასორმოცდაშვიდი კაცი.

ბელოსტოკ-ვარშავისა და ბელოსტოკ-გროდნოს რკინიგზის მაგისტრალებზე ხშირად გაისმოდა აფეთქებების გამაყრუებელი ხმა და მაღლა აჭრილი ბოლი ცას ერთიანად მოფარავდა. ბელოსტოკის იატაკქვეშელები ჰიტლერელებს სრულიად მოულოდნელ სიურპრიზებს სთავაზობდნენ. გიორგის ასაფეთქებელი ჭურვები მიაჩნდა ყველაზე ძლიერ და ყველაზე საჭირო იარაღად.

კიევის ქუჩაზე მდებარე პატარა სოროში დღით და ღამით ენთო ნავთის ჭრაქი. გიორგი იან რაჩკოვსკისთან ერთად ამზადებდა ჭურვებს. ერთხელ გიორგიმ ალექსანდრე როგოვეცს უთხრა:

— იცი, ალექსანდრე, გერმანელთა ბატალიონის გასანადგურებლად რამდენი ტყვია-წამალია საჭირო? ჩვენ კი ერთი მინით შეგვიძლია ის ბატალიონი ფრონტზე არ გავუშვათ. „ბატიას" სანაღმო საქმის რაღაც განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ტანკისტი იყო. გესტაპოელებს იატაკქვეშელთა ძებნით არაქათი გამოეცალათ, მაგრამ მათ კვალს ვერა და ვერ მიაგნეს. რაკი „დამნაშავეთა" ასავალ-დასავალი ვერ დაადგინეს ყველა ეჭვმიტანილს აპატიმრებდნენ და გამოუძიებლად ხვრეტდნენ. ოკუპანტთა „ახალი წესრიგი" ძალაში შევიდა და ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დააპატიმრეს და დახვრიტეს ბელოსტოკის მედინსტიტუტის დოცენტი შენრის ფროლოვიჩი. ხალხი გარეთ გამოსვლას ვეღარ ბედავდა ღამით, გესტაპოს უზარმაზარი შენობის ყველა ფანჯარა გაჩახჩახებული იყო, მოსახლეობას რისხვად დაატყდა თავს ჰიტლერული ჯალათი ფონ-შუსტერი.

ბელოსტოკელი იატაკქვეშელების ცენტრმა საგანგებო სხდომა მოიწვია. სწო-

რედ იმ სხდომაზე გადაწყდა ფონ-შუსტერთან ანგარიშსწორება.

პრისხანე 1942 წლის 25 ნოემბრის დღე იდგა. საღამოს ექვს საათზე ადამ მიცკევიჩის ქუჩაზე მსუბუქი ავტომანქანა გაჩერდა. მანქანიდან სამხედრო პალტოში გამოწყობილი ბრგე მოყვანილობის, ტანადი, ულვაშიანი მამაკაცი გადმოვიდა. მან სწრაფად მიათვალიერ-მოათვალიერა იქაურობა და ეზოში შევიდა. მანქანამ კი ცოტაოდენი მანძილი კიდევ გაიარა და შეჩერდა. მანქანიდან ახლა ორნი გადმოვიდნენ და იმავე სადარბაზოსაკენ გაემართნენ, სადაც პირველად გადმოსული გაუჩინარდა.

ულვაშიანი, იატაკქვეშელი ელადიმერ ბელოუე იყო. მან სწრაფად აირბინა მეორე სართულზე, პალტო გაიძრო, ავტომატს დისკო მოარგო და ფანჯრის რაფაზე ხელყუმბარები უხმაუროდ დააწყო. მის წინ სადოვაის ქუჩა, ხელისგულივით იყო გაშლილი. ბელოუეს დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია, მალე გებიტს-კომისრის მანქანაც გამოჩნდა. ბელოუემ კარგად დაინახა ფონ-შუსტერი და მიზანში ამოღებაც მოასწრო. ერთი სეკუნდი... მეორე და ავტომატის კაკანიც გაისმა. რამდენიმე წუთის მერე კი იატაკქვეშელთა მანქანა გამალებით მიჰქროდა ბელოსტოკის ქუჩებში. ვარშავისა და პირველი მაისის ქუჩების გზაჯვარედინზე კომენდანტის პატრულმა სცადა მათი შეჩერება, მაგრამ ლტოლვილებმა გზა გაიკვლიეს. აჩქერად პატრულთა ავტომატმა დაიკაკანა და გიორგიმ მკერდის არეში იგრძნო საშინელი ტკივილი. იგი ქალაქგარეთ წყნარად და უდრტვინველად მიიცვალა ძმადშეფიცულთა ხელებზე.

ბელოსტოკელ იატაკქვეშელთათვის გიორგი დუბაშვილის სიკვდილი მძიმე დანაკლისი იყო. მაგრამ მუშაობა მაინც გაგრძელდა... გიორგის მერე იატაკქვეშელთა ხელმძღვანელად ალექსანდრე რაკოვეცი აირჩიეს. მათ კიდევ რამდენიმე ძალიან დიდი მნიშვნელობის ოპერაცია ჩაატარეს.

ცენტრის დავალებით პეტრე ნაიდენკო აეროდრომის წყალსადენში ოსტატად მოეწყო. იმ დღეს პეტრე სისხამ დილით იდგა. ისე ეჩვენებოდა რომ დღე რაღაც უსაშველოდ გაგრძელდა, როგორც კი სამუშაოზე გამოცხადდა კომენდანტთან იხმეს.

— ბატონო ნაიდენკო მე თქვენით ძალიან უკმაყოფილო ვარ, წყალი სასადილოსათვის ადრე უნდა მიგვეცათ. ეტყობოდა კომენდანტი უგუნებოდ იყო, სიგარას ექაჩებოდა და ოთახში ბოლთას სცემდა.

— ბატონო ლეიტენანტო, — დაიწყო წყნარად ნაიდენკომ, — მართალი გახლავთ, რომ სასადილოში წყალი თავის დროზე ვერ მივაწოდეთ. მილის გათხრა ახალ ადგილზე მოგვიხდა და დავყოვნდით.

— დღესვე წესრიგში მოიყვანეთ წყალგაყვანილობა და ფეკალური წყლების სადენი. საბაზანო უზრუნველყავით ცხელი შხაპით, რომ კაცს ბანაობა შეეძლოს და პირველ ყოვლისა მეექვსე ნომერი არ დაივიწყოთ, თორემ...

— ძალიან კარგი, — ისევ წყნარად უპასუხა ნაიდენკომ და ძალიან გაბედული გადაწყვეტილება მიიღო.

ორ საათში მთელი მოწყობილობა ადგილზე მიზიდეს. ნაიდენკომ ელექტრომექანიკოსი სტანისლავ ლუგოვოიჩი მოძებნა და სწრაფად მეექვსე ნომრის ქვეშ დიდი ძალის ასაფეთქებელი მუხტი მოათავსეს...

საღამოს სტანისლავ ლუგოვოიჩმა და პეტრე ნაიდენკომ აეროდრომის ტერიტორიიდან ბუდა-ნაბადი აიკრეს. როცა აეროდრომის შენობაში ჭურვებმა იფეთქა და შენობა ცაში ავარდა, ისინი ტყის პირიდან ტკბებოდნენ თავიანთი ნამოქმედარით.

— ალბათ კომენდანტი ჰოფმანი ახლა კი მადლობელი დარჩება, ჩემი საქმიანობით, — ღიმილით უთხრა ნაიდენკომ მეგობარს.

დიდარ ივარდავა

# ჩემო მდინარევ!

ენგურჰესის მშენებლებს

ვარ სისხლი შენი
მარად ერთგული,
მოვედი შენთან,
კვლავ მომესალმე, —
(ვნებააშლილი მოქუხს ენგური
და ტალღებს ჯვართან ქერქვად აზვავებს).
ჩემო მდინარევ, განა დაგშორდი,
შენს კალაპოტში ვზორავ ტივივით, —
თიბათვის თვეში მღელვარ ბავშვობის
კვლავ დამიამე ყველა ტკივილი.
ვით წყალმცენარე ჩემი ფესვები
შენს ჩქერთა წიაღ დააცხრა ბუკებს:
რა ექნა, დამაწრეს შენზე ლექსები,
მეურმა მგოსანმა გიმღერა უკვე;
თუმც ჩემს ოცნებას სურვილი მერცხლის
ამოუჭრია გულში ინახად. —
შენ არამზეტუტს უქრობი ცეცხლი,
თურმე
ხალხისთვის შემოგინახავს.
ახლა კი შენი დღეები რეკენ
და მოხსენებენ იმ ჩავლილ შუკას , —
ოდიშის მიწის ნათელო მცველო,
უნდა იბრწყინო მირიად შუქად.
ენახე,
რა ენახე,
რა სასწაული,
ვარ მონუსხული და ვიყავი ასე. —
შენ საქართველოს ხარ საწყაული,
თასი ხარ მზით და სინათლით სავსე.

# ოდიში

ცა — მინანქარი,
გამჭვირვალე,
ცა — მინანქარი, —
როდნაც შეხებით დაამსხვრევა,
როდნაც შეხებით;
ცისარტყელებში გახლართულა კოლხური ქარი,
ჩემი ოდიში მოსირმულა პონტოს მზეებით.
ალვარიქადებულ ალმასების სხლტება ჩანჩქერი,
კიპარისების ღვთაებრივი ლოცვა იღვრება,
ო, მიწავ ჩემო, სულში, სულში მზეებს ჩამცქერი, —

დედაო მიწავ, შენ ხარ ჩემი დათარიღება.
გადაცქმუცებული მოთქარუნობს ცხენების რემა,
მათ ველურ ძარღვში დანთებულა მხურვალე ვნება, —
ვარ მინუსხული,
რა უტყვი აქვს სიყვარულს ენა,
ო, ეს მინდვრები,
ეს ფერები — მარადი შვება.
შენი სისხლია ჩემს ძარღვებში,
შენი სისხლია,
შენი ზეცაა ჩემს თვალებში,
შენი ცის ფერი, —
იავნანას რომ მიგალობდა ქოხის ძილია, —
ის ქოხი ახლაც წარსულ დღეთა ხსოვნას მიმღერის.
„ოდოიას“ ხომ „ჩელა“ ცვლიდა და მაღმალია
აკვანს მირწევდა — მგალობელი ჩემი გადია, —
დღეს შენ მისმინე,
სიმღერისათვის ახლა მცალია.
თორემ ეს წლებიც უსასრულოდ სადღაც გარბიან...
ცა — მინანქარი,
გამჭვირვალე,
ცა — მინანქარი, —
ოდნავ შეხებით დაიმსხვრევა,
ოდნავ შეხებით,
წევს ლეგენდებში ვეფხის ტყავად მზობილი მხარე, —
ჩემი ოდიში —
მოსარშული პონტოს შხეფებით.

* * *

ვერ მოვიშორე შენი ეკრანი,
ველზე შევიბი და, როგორც ტაბუ
დაედო ჩემს ფიქრს
მარად ეს ვალი:
ვუსმენდე შენს ხმას,
სხივივით გამჭოლს.
ჩემში ყოფილა შენი ნაწილიც.
კვლავ ქრიალებს და დარდს მიადევნებს, —
ეთამაშება ახლა არწივი
ამაოებას და სინამდვილეს.

* * *

კრიალებს ქარი ისე, ვით ბროლი.
წკრიალებს ირგვლივ ხითვარე ვრცელი,
გრძნეულ ჩანგივით ერიალებს თოვლი,
თითქოს სათიბში წრიალებს ცელი.
თითქოს იმებს იმლის ზლამრელი დალი
იქ, სადაც ბრუნავს ჩანჩქერია ბოლი,
ანგელოზების ათასი თვალით,
ჩუმად აბრეშუმს ხიცხადეს თოვლი.
ცა, თითქოს ფრთაა ასი ფრინველის
და მიწის სუნთქვაც თითქოს ფრთებია
და სოფარი ნათელმშილველიც
ახლა სიჩუმეს შენივთებია.
და ხსოვნას ჩემსას, რომე მითელემილს,
კვლავ ესიზმრება მართოლვარე შუქა—
ხოლო ზამთარი ფიფქთა თითებით,
საბურავებზე მუსიკას უკრავს.

ᲐᲜᲓᲠᲝ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ

# ს ა ბ ა

ხმა შორით მეძახდა, მიხმობდა,
მივუხვდი სამშობლოს საწადელს,
მამული კვლავ შვილას ითხოვდა,
ითმენდა ქვეყანა განსაცდელს.
ქარი გამოვალე კანკალით.
მკლავი მოძალებით მითრთოდა.
ცაზე მოციალე ვარსკვლავი
დაბლა მიწის ცოდვით იწვოდა.
შორს მთები მადლერებს მოგავდნენ.
ველები ბნელს ჰკვეთდნენ ხმლებივით.
ტყეებში ვერხვები მორგავდნენ
მოვარდნილ ქარიშხლებს შეხლილნი.
შიშისგან გულს მწუხრი ჩამოდგა.
ფიქრებმა დამლეწეს, დამტორეს,
თითქოს და დამჭრესო დანით და
დანა ჭრილობაში ჩატოვეს.
ათრთოლვით გადვიწერე პირჯვარი,
მკლავები ავაპყარ ცამდე.
ზაილო გალავნის ჭიშკარი,
თეთრონი მოაგელვა მაცნემ.
დილა მოუძღოდა ცინცხალი
ცვარ-ნამით მოკურცხლილ გზაზე.
მოხუცმა გუმანით ვიცანი
კურცხლები ჩამოწყდა თვალზე.
და ფიცხელ მამცნო ვარამი
იმ იავარქმნილ დღეთა —
სიავე სულ-შემზარავი
გულს რომ სვავივით ფლეთდა.
რაც თავს გადამხდა აღვწერე,
სისხლის წვეთებით ვწერდი,
წუთისოფელმა გამწირა,
უცხო მხარეში ვკვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ღლონტი

# სიტყვა და საქმე ღირსეული მამულიშვილისა

დიმიტრი ბენაშვილი ქართული სალიტერატურო კრიტიკის კოლორიტული ფიგურაა. იგი ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის იმ [illegible] ეკუთვნის, რომლის ღვაწლითაც XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია სამეცნიერო დისციპლინად იქცა და მისი პრობლემატიკის [illegible] მტკიცე ნიადაგზე დადგა.

სახელი დიმიტრი ბენაშვილისა ოციანი წლების მიწურულს გამოჩნდა ჩვენს პრესაში და იქიდან მოყოლებული არ მიუშურებია მას. [illegible] ისტორიის. [illegible], [illegible] გამოკვლევა-ნარკვევები და დღეს მისი, როგორც ქართული კლასიკისა და მწერლების გამოჩენილი მკვლევრის, მოაზროვნისა და პოეტის, სახელი, საყოველთაოდ ცნობილი და პატივსაცემი გახლავთ.

დიმიტრი ბენაშვილის ბიოგრაფიაში 1929 წელს [illegible]. ჩვენი გაცნობა უნივერსიტეტში მოხდა, [illegible] [illegible] [illegible] ერთად [illegible]. ჩვენი აქ [illegible] ხასიათის [illegible] [illegible] [illegible] — [illegible] — [illegible] — [illegible] [illegible]...

ერთად [illegible] პირველი სტუდენტური სიხარული.

[illegible] ჩვენი [illegible] ჩვენს ცხოვრებაში [illegible] ჩვენი [illegible] — [illegible] და ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწე. მაგრამ უნივერსიტეტის წლები მაინც ყველასათვის [illegible] სამახსოვრო და დაუვიწყარი დარჩა.

დღესაც თვალწინ მიდგას გრიშა, ხუმარობიანი ბიჭი [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ლექციებზე. [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible]...

ოცდაათიანი წლები [illegible] [illegible] [illegible] [illegible] კრიტიკული [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] „[illegible]" და მ. [illegible] „[illegible]", [illegible] „[illegible]" და კ. [illegible] „[illegible]"; [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ლიტერატურაში [illegible] [illegible] [illegible].

ამ [illegible] [illegible] გამოჩნდა დიმიტრი ბენაშვილის პირველი ლიტერატურული წერი-

ლები, რომელთაც მიზნად მიიჩნიეს ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება. კრიტიკოსის ნარკვევები უმთავრესად ეხებოდნენ კონფლიქტებს, ახასიათებდნენ ამ სიახლეს, რასაც ცხოვრება აყენებდა დღის წესრიგში. აქ მწვავედ ისმებოდა ჰუმანიზმისა და ახლის ურთიერთობის, ზრდისა და განვითარების სირთულეებისა, ადამიანთა ურთიერთობებისა, ტრადიციებისა და ნოვატორობის პრობლემები ახლებური ტრანსფორმაციისა და განვითარების საკითხები. ამიტომ იყო, რომ ყოველი ასეთი საპრობლემო წერილი თუ გამოცდილი კრიტიკოსის ჟურნალის ბლოკში იქცევა, მწვავე პოლემიკისა და დისკუსიის საგნად იქცეოდა ხოლმე. ცხოვრების ამ დღეილის ცენტრში მის ეთიკისა და ფსიქიკურ კოლიზიების გრძნობდა კრიტიკოსი იდეა დამატება ბენაშვილის კრიტიკული ნარკვევები გამოირჩეოდა ახლებურ რაკურსით მკვეთრად გაშლილი საკითხის ახლებური ახსნით, ამიტომ მხატვრული სიტყვის ნიჭიერ ოსტატებსაც და ნამდვილად ლიტერატურული გემოვნების მქონე მკითხველს შეუძლიათ მიეღოთ ეს დასკვნები ყოველი მხატვრული განხილვისას.

სულ ცოტა ხნის წინათ კრიტიკოსმა გამოაქვეყნა ერთ-ერთ სხდომაზე დამატება ბენაშვილის პრობლემის უფრო დიდი, ვიდრე გოგოლისეული მემკვიდრეობისა და მეთოდიკისა, სწორედ ოქრო და ოქროსა ამბავების გამომცემლობით „ლიტერატურის მატიანის" „ნაკადი" და „ლიტერატურული" წამოიჭრებოდა.

ქართული პრესის თანამედროვე ყოველდღიური პერიოდული პრესის სტრუქტურის გაშლილობის ჩვენი ლიტერატურული ძალების ახალი კრიტიკოსის რეცენზიის ხასიათის მეშვეობით შეცვლილიყო.

ლ. ბენაშვილის თავისი რიგების საერთო ჩვენი ცხოვრების და თანამედროვე ლიტერატურის ყურადღებით შემდეგ პრობლემები ითხოვა: თანამედროვე მხატვრული მოვლენები მან შეიძლება რეალისტურ თემატიკაზე მოუხმო „საზოგადოებრივ და ხასიათის პრობლემებს „ყოველდღიურობისა", რომელშიაც გამოვლინდება რეალიზმის უმეტესი ქმნილების პოეტიკური ურთიერთობები საკითხებისა და განცდების ეროვნული სიღრმეზე ზოგადი მნიშვნელობის თანამედროვე მოქალაქეობრივი პიროვნების უმეტესობის თვითმკვლელობამდე მიიყვანა, მათი ადამიანური მხატვრული სიმძაფრე. იგივე გზაა თანამედროვეობისა და მოქალაქეობრივი სტრუქტურა სწორედ ლიტერატურის ბენაშვილისა გულისა და ეპოქის მხატვრული მემკვიდრეობისთვის. მხოლოდ მონოგრაფიათა ჩვეულებრივ ზოგადი მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიიღო.

ვინც ყოველდღიურად წიგნიერების ჯგუფ ლ. ბენაშვილის სხვა ნარკვევებში ლიტერატურული პრობლემატიკის ახალი იყო ვ. ტაბიძისა და შ. ჯავახიშვილის, ნ. ლორთქიფანიძისა და კ. გამსახურდიას, დ. შენგელაია და ს. კლდიაშვილის, მ. ჯავახიშვილისა და ალ. აბაშელის, გ. ლეონიძისა და ვ. ნადირაძისა, და შენგელაიასი და ა. ჭეიშვილის, მ. მაჭავარიანის, ი. მოსაშვილის, შ. ბარნოვის წერილები თეატრისა და ლიტერატურის პერიოდის ტრადიციებზე, სოციალისტური რეალიზმის სისხლხორცეულ საკითხებზე. მხატვრული ქმნილების კრიტიკული ანალიზის პრინციპებზე. ფაქტებისა და მოვლენების, მათი ურთიერთკავშირის კანონზომიერებათა ღრმა ცოდნა, ფაქიზი გემოვნება და მშობლიური ქართული სიტყვის ესთეტიკური სიყვარული — აი, რას გრძნობს, უწინარეს ყოვლისა, მკითხველი ამ ნაშრომებში.

კრიტიკოსის საქმიანობა და მოვლენების ურთიერთკავშირში ხედავს იმას, რაც აქ ნამდვილად არის, ამიტომ მისი მიგნებანი და განზოგადებანი სავსეა ინტერესს იწვევენ, მკითხველის ყურადღებას იპყრობენ.

გრძნობა სიახლისა, წინა პლანზე წამოწევა პროგრესულისა, დაცვა და დადასტურება პრინციპული ჩვენი ეპოქის საუკეთესო იდეალებისა, შექება იმისა, რასაც მომავალი ეკუთვნის და დაგმობა იმისა, რაც წარსულისა და აქმავალისა, წითელ ზოლივით რომ გასდევს ლ. ბენაშვილის ნარკვევებს, იყო და რჩება მისი, როგორც რიგით ლიტერატურული პროცესების მკვლევარის, შემოქმედების ძირითად ლეიტმოტივად. კრიტიკოსის ნაფიქრალ ქმნილებას მიეკუთვნება ჩვენი ლიტერატურის ისტორიის კლასიკოსთა არაერთ მწერლის მოღვაწეობის ისტორიული შეფასება და გარეგან სამყაროს. პრინციპული ბიოგრაფიულ ფაქტებს ლიტერატურულ მოვლენებს და ფაქტებს. სწორედ ამიტომაა, რომ ლ. ბენაშვილის წიგნებს ცხოველი ინტერესით ეცნობა მკითხველი. სტუდენტობას ახალი და ახალი ეპოქის თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარების, ძირითადი ტენდენციების სწორად წარმოდგენასა და შესწავლაში.

წლების განმავლობაში ლ. ბენაშვილი ხელმძღვანელობდა ლიტერატურის განყოფილებას „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციაში, რედაქტორობდა „ჩვენ თაობას", ახალგაზრდა მწერალთა მშვენიერ ჟურნალს, სადაც დაიბადა და ნაყოფი შეიძინეს ბევრი ლიტერატურის მოღვაწე, სამი ათეული წლის ქართული ლიტერატურის თვითონ კრიტიკის ეკლიანი გზის გამორჩეულ წარმომადგენელი იყო; [illegible] ინტერესების პრობლემებს და ამავე სათავეში იდგას ქართული ლიტერატურის კრიტიკის, ის არის ბევრი ახალგაზრდა პოეტისა და მწერლის პირველი გზის გამკვლევი და უანგარო მეგობარი, ქართული ენისა და ლიტერატურის ხანგრძლივობით მისი თაობების ერთგული, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი

[illegible]

კონსტანტინე გამსახურდია

# ნამდვილი პოეზიის ძალა

[illegible]

ნამდვილად მხატვრულ ფენომენად, ამიტომაც სახამდვილოდ იქცევა.

არიან ისეთი მარქსისტი თეორეტიკოსები, რომლებიც ამიტომაც სამყაროს ხელოვნების ნეოლოგიზმებს ტერმინში თვით თემის თავისებურებით ხსნიან, მათი აზრით, თვით ხელოვნების ტრანსცენდენტალობა, გმირთა ტრანსცენდენტობა, ტიპთა განცდებისა და ხასიათების წინააღმდეგობაში თავისთავად უნიფიცირებულ ამიტომაც განცდების გამოხატვას. ეს თეზისები, შეიძლება არ იყოს სწორი, მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში ისეთი მაგალითები ვიცით, როდესაც ნაწარმოების გმირები, „ოტელოსა“ და „ჰამლეტის“, „მეფე ლირისა“ და „მაკბეტის“ მსგავსად, ტრაგიკული განცდებით, აფორიაქებული გრძნობებით, შერისხვის მძაფრი განცდებით არ გაზრდილან, უფრო უზომოდ ღრმა და ძლიერი არიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ეხება რომელიმე ნაწარმოების ლირიკულ გმირს, მაგრამ პოეტური აღმაფრენის, განსაკუთრებული სულიერი ტკივილების და ხასიათის აქტიური თვითგამოხატვის წინააღმდეგობაზე მეტყველებს იმისა, რომ ასეთ ნაწარმოებში არც დრამატული კონფლიქტები და შეჯახებებია, არც კოლიზია და ლირიკული შეჯახებაა და მაინც ტრაგიკული პოეტური სამყაროა შექმნილი. როგორც ჩანს, საქმიანობა, პოეტის შემოქმედება ჰუმანისტური ლექსის და წყობილი ენის გამოხატვასთან, სულის ტრაგიზმის და მხატვრული ასახვის უნარი გამოხატვის და ამ ლირიკული და ტრანსცენდენტული მხატვრული ფენომენი, ზოგჯერ სიღრმისეული შეჯახების გარეშე, თავისთავად ვლინდება. ასეთი შეიძლება მივიჩნიოთ ირაკლი აბაშიძის ლექსთა ციკლი „პალესტინა, პალესტინა“.

ამ ლექსების შესახებ ბევრი დაიწერა. ბევრი აზრი გამოითქვა პოეტის სასიკეთოდ, მაგრამ ეს პოეტური ციკლი ისეთი მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში, რომ მასზე კიდევ ბევრი დაიწერება. მაგრამ მხედველობის დროის კრიტიკოსი სიყვარულის საზღვრის, რადგან საქმე ეხება კლასიკურ ნიმუშებს, ისეთ ტაძარსაც, ისეთ მხატვრულ ქმნილებას, რომელიც ყოველი ეპოქის ისეთი სიყვარულით შეხვდებოდა, ისეთი ზარზმის ყოველი მისი ნიმუშის ისეთი მრავალფეროვანი შინაარსით, შემდეგ, რომ ბუნებრივ ფერში შეიძლება, ერთი ზღვისპირის ტკივილი სიტყვით შეიძლება დაფასდეს და შეუძლია მას ფერთა მრავალფეროვნება, ხმათა სიწმინდე და ჰარმონია სილამაზე.

შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ ამ ლექსებში გამოვლინდა პოეტის მთელი შესაძლებლობა, პოეზიის ძალა და მრავალფეროვნება. ეს ლექსები სიყვარულით მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შემოქმედი პოეზიის ადამიანის სულიერი სამყაროს გარდაქმნა და განახლებისთვის ისეთი პოეზია არის მარტო ყველ-

თაღმომბილებს აფამიაშვილს არამარტო ამაღლებს სულიერად და რიზმავს მათ საშემოქმედებისთვის სიბრძნისეულად.

უდიდეს ჰუმანისტებთან ისევე, როგორც საქართველოს დიდი საზღვრების ხმლის ვაჟკაცურ ქრისტიანულ ეროვნულ, ჰუმანიზმი ბიბლიურ განცხადება უძველეს გადმოსახლების, ღმერთი აღმაშენებლის, გიორგი სააკაძის და ერეკლე მეორის გმირობაზე ნაცლები როლი არ ეთამაშება საშემოქმედო დიდების საქმეზე შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია წერეთლის, ილია ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველას პოეზიას. ქართველი ერი მტერთან შერკინებისას ერთის აღფრთოვანებული წარმოსახვით რუსთაველის სიტყვებს: „სჯობს სიკვდილი სახელით, სიცოცხლე სახელისათვის“, ხმალი და ზარბაზანი კიდევ შეეძლო პოეტური სიტყვით და ასე იწვრთნებოდა ჩვენი ერის სასახლით, მაგრამ დიდად სახელოვანი ისტორია.

ვინ არ შეხებია რუსთაველის პრობლემას ქართულ ლიტერატურაში, შეცდომებს და შეიძლება ნაკლოვანებებში და მასზე ადრე. ვის არ უძღვნია რუსთაველის უკვდავი ხელის შესახებ, ვის არ შეუქმნია მისი მადლიანი ბარელიეფი, მაგრამ ასე სრულყოფილი სახით, ასე ღრმად ამაღლებული პოეტური შთაგონებით, ი. აბაშიძის მსგავსად, არავის გამოუხატავს პოეტის დიდი გამარჯვება იმპერიის დამპყრობლებზე, რომ არ. აბაშიძეს შეეძლო ნათელი არსებით გადაეცა წმინდა სიყვარული და მის წინაშე დაემოხილებს ამ ყველაზე ადამიანის არა მარტო პიროვნულ სახეს, პიროვნულ ტკივილებს, არამედ მთელი ერის სულისკვეთებას, ამ ღმერთიშვილის რომ იყო დაკავშირებული. როდესაც ამ ლექსებს კითხულობ, თვალწინ დგება დიდი რუსთაველი თავისი სულიერი და ხორციელი ტკივილებით. ჩანს ხეობის უკიდურესი სიმძიმე და გოდება ყველა ჯვარზე. თითქოს ვხედავთ ხელს მოხუცისა მის წმინდა ამაღლებულ და სიკვდილის სიტყვა ეუბნება. სხვა ქვეყნის შორეული რუსთაველი და ვარსკვლავი დაგვრჩენია. ასეთი მაღალი დიდება დიდი მხედველობით ჩვეულებრივი ტკივილებით, ამიტომ პოეტის გამარჯვება, ამიტომ მისი პოეზიის საიდუმლოება პოეტის ნიჭში და იქ, ლირიკულ ბუნებაში და მთავარი ბარელი, რომელიც სიყვარულის განმსჭვალული ხალხსა და რუსთაველის აღმაფრენაზე. ამიტომ შეიძლება ეს ლექსები ხალხმა, შეიყვარა კი არა, თავის გულის ნაწილად აქცია. საკვირველიც არ არის ყველა.

როგორც ჩანს, პოეტს რუსთაველის ხელთ ეპყრობის მარადიული სიცოცხლე, უდიდესი ფიქრებით და აღფრთოვანებით მასზე, ვინმეს სასიცოცხლო წმინდა ნაკვალევს, ეძებდა მან და იპოვა, ისიც თუ იქირიდში...

სად, სად არ ვეძებე—მესხეთის თუ სამცხის
მე ვული ჩემი შენს შინდა ვრაცხე.

. . . . . . . . . . . .

მე შენს თვით აჩრდილს კვალდაკვალ
ვდევდი-
მესხითაც შენი ფეხის ხმა მწყინდა.

ვიმეტა —

ადგილი და ვალდება, ფუნჯაში და ლაბარის,
შორის, სულ შორის, მაგრამ ახლოს სულ ახლოს.
შენი ხმა მომწვდა ჩემს მგოსნურ გულმანს,
მეც ვიცნე ჩემი დაგრინვე უმალ და მგოსნის
გზნებით
და მღელვარის გზნებით,
გვიცი და ვაღლე მიღრინის გზები..

თითქოს აქ დაცხრა პოეტის მღელვარება დამრულდა ძალის გზები. პოეტმა ნახა, ნახა ის, ვინც მას მოსვენებას არ აძლევდა. ნახა და მოიკალთვაც მთიბალა სამშობლოს წინაშე.

შენ აქ ხარ აქ ხარ!..
დამრუდდა ქვალი, შემოდგომ მაწყის ვე
მედი ვაქა.
აქ შენი მშვიდი ნაბიჯი მესმის.
აქ შემედა ცრემლი, ხმელდის რომ რეცხლა
ყვავილი შენს სახლთან, შენს ხაჭკლ
დაცხლოან..

თითქოს ამით დასრულდა ყველაფერი. მაგრამ არა, პირიქით, ახლა იწყება ახალი პოეტის სამყარო, უფრო რთული და უფრო ამაღლებული. ახლა პირისპირ უნდა შეხვდეს პოეტი რუსთაველის აჩრდილს. უნდა შეეხმიანოს რამდენი წლის წინათ სამშობლოდან გადაგდებულ, მაგრამ სამშობლოს სიყვარულისათვის დაკარგულ გულს. აქ ისაუბრებოდა დიდი სამწუხარო პოეტის წინაშე. ასე ვინ შეძლებდა ამ ზღვა გაჭირვებას კონკრეტულ სახედ ქცევას. ვინ შეძლებდა, რამდენი წლის წინათ, სამშობლოდან განდევნილ რუსთაველის დაუვიწყებელ ბილიკისა და ნაფეხურის პოეტურ სტრიქონებში მოქცევას. სად მოწვდებოდა ფიქრთა და განცდათა ამ უზარმაზარ სამყაროს აფხიზლებს ხელი ვის შეეძლო ამ მოხვდებულ გრძნობათა ნაკადების შეხვედრა, არა. ამაშია? აქ ვგრძნობ პოეტის ხელოვნების მაღალი სამყარო. ამაღლებული ხელოვნების იმფასი მადლითა. ეგი არ დაიხშა ამ რთულ გრძნობათა ლაბირინთში, ისტორიული შორეული მოხუცებული გრძნობებისათვის საოცარი კონტრასტი მიეცა და ბუნებრივი დინებით მიუშვა ამ აფრიანის გულებისაკენ.

რა ვულკანური და მჩქეფარებას არ გადაულახავს რუსთაველი თანამედროვე მგოსნისა. რა დიდ ტრაგედიას განიცდის შემოქმედი მოწის დატოვებას გამო. რა ღრმა ტკივილები გამოხატა მან ვარძიის, ხერთვისის, ხიზაბის, თმოგვის მოგონებებით.

ვინ იცის, როგორ ელის მას ვარძია, სამცხის ქვეები, ათოსე კოლდები, ხერთვისი და მტკვარზე ჩირიკლები, სამშობლოდან განდევნილ მგოსანი, მხოლოდ სამშობლოზე ოცნებობს, სამშობლოსათვის დუმს, როგორ სამშობლო იყო მისი სიცოცხლე ხატი.

მაგრამ უდროს, უშნოარს,
უმაღ ყოველის,
მე სამშობლოსთვის,
სამშობლოსათვის ვიყავ მღელვარე.

ბევრჯერ ვენახავს მხატვრულ ლიტერატურაში, ცოდვილი შვილის ვედრება სამშობლოს წინაშე, ღმერთის წინაშე. ბევრჯერ მოგვისმენია შეცოდებული სულის დიდებისა ცოდვილის მონანიება. მაგრამ ასე ძლიერად, ასეთი განცდებით იშვიათად თუ ვინმეს გამოუხატავს ეს გრძნობა.

შემინდე შენი შვილს,
თუ ცოდვილი ვარ შენს წინაშე,
მაგრამ ვარ ცოცხალ ანუ სულიერთ, იმავ
ნიშნულით.
ძალიც მიწვ ჩემი შეგიცოდეთ
ცრემლით შოგავდი, ამად ილურის,
ამაც მოგველ პალესტინაში...
და თუ რამ შეცდი, რამ შეცოდე, რამ
შემოგბედე.
გულითმხილით ის შენ ეწყო უმალ ყოველი
მიღოლ მსაბურლოდ, მიღოლ მოწმე მეგის
შემოქმედი.
შენგან შენდობას, სულგრძელობას შენგან
მოველი.

აქ პოეტმა შოთაგონების ახალი სამყარო შექმნა მონუმენტური სხვანაირი გზით. თითქოს პოეტს ეშინია მხოლოდ სავანის წინ პალესტინაში. მეოდი რუსთაველის მწუხარების ხმები, მისი ცრემლიანი სიტყვები. პოეტმა არა მარტო რუსთაველის განცდები გააცოცხლა, არამედ გააცოცხლა მისი შეტყობები. ამიტომაც მის ლექსებს თავისებური დამაჯერებლობა რომ აქვს. პოეზია სიტყვით ხმის ფილოსოფიაა. მაგრამ აქ პოეტმა იპოვა ამაზე დიდი პოეტური ხმა რუსთაველის ხმებს დაუკავშირა, იგი რუსთაველის ხმათა გაერთიანებაში აღმოაჩინა „ხმა ჯვრის მონასტრის გალავნიდან", „ხმა შუასაუკუნეების ბაღებში", „ხმა ჯვრის მონასტერში", „ხმა სამრეკლოსიდან", „ხმა თვით სენაკში", „ხმა კატაკომბიდან", „ხმა ჯვრის მონასტრის ბაღში". აქ პოეტმა სხვა გამოხატულა და უკიდურესად ხმოვანებით აღქმის ბუნებრივის სხვაში მრავალფეროვანი სამყარო გადაშალა ჩვენს წინაშე, და მთელი პოეტური სიმძაფრით შეაქმნა. მაგრამ ამას პოეტი აღწევს არა მარტო ლექსის ელოლმხილვარებით და მაღალი პოეტურობით. არამედ რუსთაველის მეტყველების სხვანაირ დიდი აღქმით. თითქოს პოეტს მო-

რადგან ესმის რეცენზენტის ციოშლილი სიტყვები და რიტმული [illegible] ბის და მის ფერის მონასტერის, ეს ხმები [illegible] რი [illegible] [illegible] და [illegible] ფერის მონასტრის [illegible] [illegible] [illegible] რეცენზენტის სიტყვების [illegible] [illegible], რომ [illegible] შესაძლებელი სიტყვების წინაშე [illegible] ხმების [illegible], [illegible] შესაძლებლობა [illegible] რეცენზენტის [illegible] [illegible] და [illegible] სიტყვების [illegible]. რამდენ სიმართლე [illegible] [illegible] [illegible] სიტყვის [illegible]? [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible]. რადგან შესძლე- [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] რეცენზენტის შე- [illegible], მისი [illegible] [illegible] მისი [illegible] [illegible], მისი [illegible] და [illegible] [illegible] სიტყვები.

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] რეცენზენტის სიტყვები, სიტყვები, [illegible] [illegible], სამშობლოსა და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მისი [illegible] და [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რა [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] რეცენზენტი და [illegible] [illegible] [illegible].

ანდა რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
ქარებით.
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
სანდომელი,
[illegible] [illegible] [illegible], რა [illegible], რა [illegible]
ნებით.
რით [illegible] [illegible], რა [illegible], რა
სასწაულით.
[illegible] [illegible] მე [illegible] [illegible]
სიცოცხლიდან..

[illegible] მონასტრის [illegible] [illegible] [illegible] რეცენზენტის [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible]...

ამ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] რეცენზენტის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] სამშობლოსა [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. „შენ [illegible], შენ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]", [illegible] [illegible] და [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

დიდება, იქნებ სიმაღლე უვალი,
[illegible], იქნებ, [illegible] [illegible] [illegible],
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]...
[illegible] [illegible] [illegible] [illegible],
[illegible] [illegible] იქნებ [illegible] [illegible],
[illegible] [illegible], იქნებ, [illegible] [illegible].
[illegible] შენ [illegible]. შენ [illegible] [illegible]
[illegible] [illegible], [illegible] [illegible] შენს [illegible] [illegible]

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] „[illegible] [illegible]" [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]... [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible]... [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible], [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

ვეა არის ძალა შეუდარებელი, რომლისა შემ-
წეობით ყველ შეიქმნა ხილული ქვეყანა" (გრ. ორბელიანი, თხზულებანი. სრული კრებული, გვ. 3 (9).

ეს ამონაწერი იმისათვის კი არ მოვიტანეთ, რომ აქ გავუწყოთ ვინმეს რაიმე. „მზა კი ტამიზმის" ეს ისეთი ლექსია, რომელსაც დარწმუნებით არ შეეძლება. მაგრამ უნდა კი ვიცოდეთ, რომ ფილოსოფიური პოეტი აზროვნების დაუღალავი უნარისაა, რომ მხოლოდ ეს უნარი ქართული მწერლობისათვის არასდროს ყოფილა უცხო. მაგრამ ის, რაც არ ამამზადებ შექმნა ამ დროზე, უმაღლეს მწვერვალია ქართული მწერლობისთვის.

ზოგადად, კონკრეტული არ არის, ამ ლექსში და პოეტური აზროვნების ახალ სახეობებში შევიდნენ, აქ საუბრის შემდეგ იგ-
რძნობა მატერიალური სამყაროს შინაგან, ერთი-
ბის ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა და
ფილოსოფიური დაკვირვებების სიღრმეები და ეპი-
ცური სრულყოფილი შინაარსები აზრისა და
გრძნობების ესთეტიკური ზეგავლენა ერთმანეთს
წინაშე, მთელი ძალისხმევით წარმოგვიდგება
ადამიანის ინტელექტის ყოვლისმომცველი ძალა და
სულიერი სამყაროს სიღრმე.

ამ ლექსებით სრულიად ახალი ქვეყანა იშ-
ლება ჩვენს წინაშე. ვფიქრობ, რომ მრავალ-
ტანჯული ფილოსოფიური პოეტი მთელი არსებით
გამოეყოფოდა. ვფიქრობთ ისიც, რომ ქვეყნად
სიკვდილ არ იყოფება, წამებისა და ტანჯვის თავ-
ვისი ღირსეული სხივი და ისიც ყოველი
შეგრძნებული, რომ თვით პოეზიის ღმერთი,
პოეზიის ენიდან იქნება გაცოცხლებული და
მკვდრეთით აღმდგარი.

დავით თევზაძე

# რევაზ ინანიშვილი

ორმოცდაათიანი წლების ქართული ლიტერატურის მოზღვავებულ პროცესებში ერთ-ერთი შესამჩნევი ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლებიდან, რომელთა შორის გამოირჩეოდა რევაზ ინანიშვილი. მისი „პირველი მოთხრობები" გამოქვეყნდა 1953 წელს.

ახალგაზრდა მწერალმა იმ თავითვე გამოამჟღავნა წერის მაღალი კულტურა, გემოვნება და მხატვრის ინტუიცია [illegible].

რევაზ ინანიშვილის ოსტატობა თანამედროვე ცხოვრების ანარეკლი, ისტორიული წარსული მის ნოველებსა და მოთხრობებში მთლიანად და მკაფიოდ იმჟღავნებს თუ გადმოცემის მხატვრულ წახნაგებში.

მწერალი თანამედროვეობის თემაზე [illegible] ლექსიკა-მხატვრულ მიგნებას. შემთხვევითი არ არის, თანამედროვე ლექსიკა-კოლორიტის საშუალო ცხოვრება ახალგაზრდული შემოქმედებითა და მკვეთრად ინტენსიური ძალით იმართლებს ახალგაზრდა ლირიკული გმირის მიერ განცდილი გარემო. აქ წუთისოფლის სიამენი და სიავე.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ რ. ინანიშვილის თვითმყოფი ლიტერატურულ-მხატვრული სახეობა, უნდა გავითვალისწინოთ ავტორის ხელწერის თავისებურებანი, მისი შემოქმედების სტილური ნიშნები.

რ. ინანიშვილი, თავის შემოქმედებით მეტწილად გამოამჟღავნა მცირე ფორმის ჟანრში. ესაა მოთხრობა, ნოველა, ეტიუდი და ესკიზი, რომელსაც ქართულ პროზაში მდიდარი ტრადიცია აქვს. ახალგაზრდა მწერალი რიგით უცნობ ეს ტრადიციები. პირიქით, შეიძლება ქართული პროზაიკოსების ოსტატობა და სახელი მხატვრული ხედვით სავსე შეუძლია თანამედროვე ქართული პროზის განვითარებაში.

რ. ინანიშვილის შემოქმედებაში ტრადიციული და ნოვატორული ფორმები იმდენად ორგანულადაა შეზავებული, რომ მთელი მისი შემოქმედება ერთიანი, მთლიანი და წარმოადგენს ნიმუშს ძველისა და ახალი ფორმების ჰარმონიული შერწყმისა და განვითარებისა.

რევაზ ინანიშვილის კალამი ფაქიზია, ნაზი, ძალდაუტანებელი. რ. ინანიშვილის ნაწარმოებების კომპოზიციაც მარტივია, სიუჟეტი სადა, ხასიათები და სახეებიც ემოციურად ამაღლდება და სიტუაციებში ვლინდება და მთლიანი იშვიათად თუ მიმართავს ავტორი მათ დეტალურ აღწერას და პორტრეტულ ხატვას. თხრობის მეტწილ [illegible] ხალხური [illegible] ლირიკული გმირის მხატვრული სახეების [illegible] თავისებურებათა შეგრძნებებს.

ავტორი ამჟღავნებს დიდ ოსტატობას ადამიანის [illegible] ბუნების [illegible] შემოქმედების [illegible] ყოველივეში [illegible] გრძნობები [illegible] სინამდვილესთან [illegible] „[illegible] რა [illegible]?!" — [illegible] რ. ინანიშვილის ნოველაში „ნაღველი".

რ. ინანიშვილს საკუთარი ხედვა აქვს. მთელი მისი შემოქმედება გარკვეულ [illegible] მიმართულებას ემყარება. მისთვის [illegible] არ არის [illegible] და [illegible] სიცოცხლისა და [illegible] გაცოცხლებით [illegible]. რ. ინანიშვილის შემოქმედება — [illegible] — სიცოცხლის, სიყვარულისა და [illegible]

სათქმელს გულის იმედის და ოპტიმიზმის ცრემლებით ვაძლიერებს, — წერდა ფეხელიძე მეგობრული მის დღეში ჯერ დაფარულა, ძალის წინებით გადაწყვეტილ და ლირიკული — ქალის ფერი ლირიკაში გამბედავ და გამოცდილებისეული. ყველა ჰქონდა, რაც შეიძლება არაფერი არ აკლდეს სამშობლოს ჰქონდეს. სასიცოცხლო და ზასახელო-ტრადიციული, მაგრამ ყველა რომ იცის ქვეყანა ძველებური, მაგ რომ იცის ყველა ამბავი რა ყველა ჰქონდა, მაშ"

ამ სიტყვებში **მოჩანს ნიკალას ხელოვნე**ბისა ეროვნული ღირსება და გამოსახულია ამის მიზეზი, რომ ეგონა ხელოვნის თავის სამშობლოს დიდებისა.

ეს აზრი ლიტერატურების შესწავლით ნიკოლოზ ტიციანოვისა და გამოცხადებისა და გაგებისა ავტ. მოგვცა ლექსების და გალაკტიონის ჩინებული ნიჭის სიტყვით სიღრმიდან თავის ფიქრის პოეზიისა დიდი ნიჭისაგან ესთეტიკის და შეხედულების ცხოვრებაში — ია ნაწარმოების დიდების, რომელიც თანამედროვე პოეზიის ლიტერატურის მშობლიური ლიტერატურის წარმოდგენას.

ეს პოეზიისა სიმბოლისტის ამბავი, რომ მაშინ ავტორი ანდრეევის პორტრეტის საქმის დიდ ოსტატობას.

ადამიანების ურთიერთ ბიოგრაფიისა და სიყვარულის, ზოგჯერ ნაწყვეტის ზღაპარითაც პოეზიის „ნეგრიტუდიის“, რომელიც სიამოვნებით საყვარელს ენერგიული ცხოვრების მოაზროვნის ბუნებისათვის ავტორი იძლევა ზეციერის შეგრძნებებს ადამიანის ძალის, განცდების, მისი შედეგით განმარტავს მის ბუნებას: ადამიანს ლექსზე პოეტების შესახებ „სიკვდილის“ და ლეგენდის გამოცდილებას არ ტკივილის უმაღლესობის ლექსი. ამ მოტივის განვითარებით, როცა უმეტესობის, რომ მშობლების სისტემატიური ცხოვრების ქალი და სიტყვ. ზღაპრული წარმოშობილ შთაგონებების ტკივილს სიყვარულის ცხოვრებისა ქვეყნისა (ძველი-ქართული ლექსი), მაგრამ ადამიანის სახლით, მისი ნაწარმოების ადამიანისთვის მიელი ძალით გამოვლენილი მის ლიტერატურული სტრუქტურისაგან: ის რომელიც გულის (ლექსის ეკლესია ზეციერის, თანხმად რომ ყველა მათი გამოცდილება და ნაწარმოებების გამანათლებლების სიყვარულით), რომელიც პოეზიის შემოქმედი ავტორის პოეზიის სიყვარულის, სახოგადოების პიროვნების გმირის ხასიათის. ჩვეული თავისებურებით, მაგრამ მარტო ქმნილი ცხოვრების თანამედროვეობის აზროვნების ადამიანობისათვის. რომელიც სიმართ ყოველდღიურ ყველა იქნება ჩვენი მთლიანი ადამიანის მიზანი გამოცდების შესახებ ბავშვის მოსვლის თავისუფლებით მიღწეული ხედვა „რაც არ გამხვეწეთ, — წერს ავტორი, — როგორც მოწყალებელი სიზმარი“. ნიჭიერ ოცნების კი „მოლოდინის ზეცაში ცხოვრების და ამით

ლებულ“, სიმ არ გადაეცემის და გამოცდის გამოხატულ ნაწარმოების დამშვიდებული შინაგანის გადაწყვეტა.

მართლაც ზოგჯერ ამ პოეზიის შთაბეჭდილება: „ამ პოეზიისა მე ადამიანი ეს ნაწარმოები მოგვცა დიალოგური მოთხრობისა მეტად ამოქმედებს ამ ადამიანთა, რომელიც მშობლებს იერუსალიმის ხილვა“ (ძველი ცისკარი, №6, გვ. 133, 1908).

რ. ანანიაშვილის პერსონაჟები ურთიერთსიყვარულის ადამიანურებია, სტუდენტები ავტორი ამბობს მათ გულის, მისივე ბუნებების, სიყვარულის და ცხოვრებისეულ ოცნებებს. წერილი ასეთ ტრადიციული თემისაც კი ძირითადი სიყვარული თავისებური ნიუანსებით ამდიდრებს.

აი, ქალის მისეულ სტუმრების მოგზაურობის გარეგნული მხრივ მათ ურთიერთობის შეფასება: „...გულით ვიცანი და ვეფერებოდი.“

მხოლოდ მიდ გადაიცვალოს გაზეთ, მოცულობის ეს სიცოცხლის თვალწინ, გაბრაზებულს კი სიმართლით ამ მხიარული, რომელიც მისეულ სტუმრების სახე, და რომლის შეუძლებელი თავისუფლების ოცნებაა: შენ ქარისა გოგონა ხარ! შენ ძალიან კარგი გოგონა ხარ, მხოლოდ და, სიყვარული მე მოვეწონე ამ დილემას“ — დაასკვნის ავტორი („სიყვარული დილემა“).

მაგრამ ცხოვრების გზა სრულყოფილია, რადგან ადამიანურობისას გადაწყვეტილი სტუმარი გრძნობას ყოველდღიური როცა პოეტის მხატვრის დაგეგმილობისა ცხოვრების რომელიც და მის ხელშეკრულება სწორედ ურთიერთობის თავისუფალი იდეალების, სიყვარული კი უთანხმო აღმოჩნდება, მარადიული მიმართების ლირიკული ემოციისას იძლევა გოგონას, მაგრამ შეჩვეული შეხედვა:

„...ეს საწყენია უბრალოდ თან მიყვება. სადაც ყველაზე მეტი, უკეთეს მოხსენება, სადაც არ უნდა ყოფილიყო. მე კი ვერ ვუხსნი ვერც შეგრძნება ვერავინ შეხედვა ადამ მოთხრობის და იგი ამ ტკბილი მოგონებით „ძველ სიყვარულს“).

უფრო მრავალფეროვანი გრძნობის გამოხატავს „სიყვარული დილემა“ და „ვეფხისტყაოსანი“.

ავტორის გადაწყვეტის წესით სიყვარულის გრძნობა ზღაპრულია. შეყვარებულთა მისი ღაჟღაჟა, ეკლიან ბორცვი, ნიუანსების ადასხვავებული გრძნობებს აღქმული. მაგრამ ხელოვნების გულით.

ცალკე პოეტური განცდებია დაწერილი „გლეხის ბედისწერა“, გამოცდილებით „ადამიანური ოცნებებით“.

მოთხრობაში ახალი ტენდენცია სიტყვა „სიყვარულის“ კი პერსონაჟები ადამიანის შეტაკებების გრძნობის, არ ვუყურებთ და მოდის მიუღებელ ეს ნაწარმოები დამსხვრეული ბედისწერა, **ეპიზოდის სტრუქტური გრძნობით**

მკითხველი ბიბლიის სიყვარულის გრძნობის თავდავიწყებით ვაჟკაცი და ბიჭი.

მოთხრობის ლირიკული გმირი — ქართველ მეცნიერების წინაშე ჩადგომილი სანატრელი ამბავიათ.

„დიახ არ ვიცი — ამბობს იგი, — ეგების ბრალი იყო, უმცროსი წლების ლაღის ბრალი იყო, თუ მთელი ამისა, რომ ოცდახუთს წელიწადს მიუახლოვდებოდა. მეჩვენებოდა, რომ სოფლის ჩემს გზას გავყევი, წავედი შორს და წავიყვანე ზღვისპირელ მეგობრებს, სადაც ველ-ლაღური წყლები, სადაც ბროლისა და ფირუზისაგან იყო ნაკეთები და სიტკბოებით იყო სავსე თითქოს მოულოდნელად გაჩენილი, ფანტასტიკური ველები“. სიყვარულის ასეთ ფერში განცდაში იგრძნობა ქართველი ხალხის სულიერი სიწმინდე და მშობლიური მწერლობის ტრადიცია.

სიყვარულის ნამდვილი ამოუწურავ წარმოდგენას ნოველა „ჩიტი“ ახლებურად ცოცხლის ლექსისა და ბიჭის მეგობრის სიყვარული მეცნიერების მოწმობებელია არა მხოლოდ მათთვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. მთელი ცხოვრებისეული სახე წინაშე ჩვენს ცოცხლების „ვზრდიდი — წერს ავტორი, — გვინახავს აქ წყვილის ქვეყანაზე არსებობა, ვეწვეოდით, ვამალული ბაღისტუმში, ჩვენი ხელი ათასი მოფრინდა ცისა და არც ერთი არ ენანებოდა არავის“.

წინადა სიყვარულის ბრწყინვალე ავტორის მიმართა არა მხოლოდ ასეთ ტონით. რომელიც მეყვარეების „ალერსებში“, არამედ მთელი საზოგადოების მართლმადიდებელ ფიქრობით.

ავტორის კონცეფცია მარტივია: სიყვარულის გარეშე სიზოგადოება ვერ იარსებებდა. სულიერი დაცემული რომელიც იგის და ბოროტი დამსხვრეულები სისხლით გაუმაძღრებს, — წერს ავტორი, — მიწიერი ვარსკვლავები ღმერთმანეთი მიჩვევით ანგელოზის ქვეყანაში ვიციდი, უძრავბრწყინდ ლათინი და მთელის სამოთხეებში გავიდნენ ლექსი, განსაკუთრებით ჩვენზე ჩამავალ ავსტრალიის გარდა ეს ეხლა ამბოხდება და მოჩვენება ჩრდილოეთში ვარდნილი არ დღე“...

ეს თვალსაზრისი — სიყვარულის გარეშე არ არსებობს მეცნიერება — ღრმად ჩანერგილი ჩანს წარმოსახვა ავტორის მოთხრობაში „ჩემი სიყვარული დედა“.

ამ განათლებულსა და ნაზ ნაწარმოებში იგრძნობა ავტორის მწერლის ორიგინალური ფერებში ხატვის სურათისაგან ეს გამორჩევა რ. ინანიშვილის შეხედულებები სტილი. მისი მოკლე ფრაზა ფიფქივით ძალის შემცველია და ნიუანსობრივი ლირიკულობის ხიბლიანი აღწერა. ლაკონური თქმაში იგრძნობა ღრმადმავალი აზრი წარსული, ემოციური აზრი და კიდევ უფრო მეტად მიუღებელი ზომიერი.

„მე მისი ოთახის სიბნელეში ვხედავ

— აი ოთახის ვეშებარები, აი ოთახის ჭერი — თეთრი — ყვავილებით მოხატული, იქ, და ხის ნივთის ჩარჩოში ჩარჩო (ვეძებე ხელოვნურად) გაწმენდილი მელნისა და ეს უცნაური საქართველოში ვიცოცხლე ახლა ღიდად ხატრიალი ცხოვრობს — ტ. თ.). ის მარტოა, მთლად მარტო, ღილით ჩაიძინე ბაღიანი მეფის, სადაც მისტერიის, სიცოცხლის ბრწყინვალება და მერე მარტოა.

მის თვალწინ ათასობით ვარსკვლავი ციმციმებს, სავსე კი უმსგავსო თვალის წამებში...“

სიყვარულისა და თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრების პრობლემებზე ორიგინალური მეცნიერება ნოველაში „ბოლოსკენ ავტომობილზე ავტოსტოპით“. ამ ნაწარმოებში ავტორი ფერის ანბანს ტრადიციულ საბრძოლო სიტყვის და გმირის შინაგანი მონოლოგების გზით ეხმიანება მიმდინარე მწვავე საკითხებს.

ნოველა თანამედროვე და ახალი არა მხოლოდ რომელიც თემატური-პრობლემური მიდგომა, არამედ მხატვრული ხერხებისა და ხერხების გამოყენებითაც. აქ ავტორმა, ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციების ერთგული, ღრმა ზომიერებით გამოიყენა თანამედროვე დასავლური მწერლობის მხატვრული მიგნებები.

ნაწარმოების თანამედროვეობა, კერძოდ, ჩვენი ახალგაზრდების ყოფა და მათი დამოკიდებულება სიცოცხლისა და ქალაქისადმი ავტორმა ახალგაზრდა სპეციალისტის ვლენის მიერ მის განცდებსა და განსჯაში მჟღავნებული მძაფრად გამოხატული დაღვრემილობის. ნოველაში იმთავითვე გრძნობით ძლიერდება იგის შინაგანი კონფლიქტი ნაწარმოების გმირისა და გარემოს შორის.

ჩვენ არ გვეგონა, „რომ „უცნაურ ავტობუსზე ავუვიდოდით“ „ბნელით წასვლიდან“ ავტორის, რომელიც შინაგანი მონოლოგებით გადმოცემული, თანამედროვობის ნიუანსებით და გაქრობრობებით. მთავარი გმირის ცალკეული განცდები, რომლებიც თითქოს რეალურ წარმოდგენს სიტყვის განუმეორებლობას, განვითარებული და ნაწარმოების ფინალში შეიძლება ითქვას, არამედ ბუნებრივად განვითარებულის გმირის მოქმედებებიდან. ამგვარი გადაწყვეტა სიუჟეტური ხაზისა თავისუფლებამ მკითხველის „შესასვლელებად“ და თხრობის მეტად მრავალფეროვნებისათვის. უფრო მეტიც, ტრადიციული სატრფიალო სიუჟეტის შეზღუდვისა ნაწარმოების თემატური გაშლისთვის. ცხადია, შინაგანი მონოლოგის გზა, როგორც ხერხი, გმირის შინაგანი ბუნების გამჟღავნებისა, არის ერთ-ერთი საშუალება, მაგრამ ამ შემთხვევაში ავტორი მარჯვედ იყენებს ამ ფორ-

შას და მიზანმაც აღწევს (საზღვრებიდან, მწერალი ამბავს ამდაგვარად თანამედროვე დასავლეთის ფსიქო-ანალიტიკური სკოლის გავლენით და არ ცდილობს გმირის სოციალური სინამდვილის ფონზე [illegible]). [illegible] გმირი [illegible] სიწმინდის [illegible]. მისი [illegible] ხედავს, [illegible] მისი [illegible] ქალის [illegible] და [illegible]. 27 წლის ქალიშვილი სიყვარულით ვერ გაუმხელია.

ვლენქს [illegible] გრძნობა, მაგრამ [illegible] სტრიქონს [illegible] მის [illegible] და [illegible].

„რა იქნება, ლენქო, ჩემი რომ იყოს?" — ფიქრობს იგი, — „რა, ჩემი კი არა, უკრძნობელ ხოლმე [illegible] — (გ. თ.) მეორე [illegible] და მე [illegible] ის [illegible] ჩოლმე — [illegible]... არ [illegible] მის [illegible] და [illegible] და [illegible] ხელის [illegible] დიდხანს [illegible] მისი [illegible] და ჩემზე [illegible] არ იქნება [illegible]. [illegible] იქნება [illegible] რომ არ [illegible], რომ [illegible] რომ არ [illegible]..."

ხელის [illegible], [illegible] რომ [illegible] [illegible] და [illegible] და ხელები [illegible].

„[illegible] და [illegible] ამ [illegible]. — ფიქრობს ვლენქ. — [illegible] მე [illegible] არ [illegible] შენ [illegible] და [illegible]..."

ვლენქს [illegible] „[illegible] კი არა. — წლის [illegible] — [illegible] მისი [illegible] სხეული და წელ-წელად [illegible] ბილიშში".

ვლენქს ხელები [illegible] [illegible] საყვარელის [illegible] ქალი [illegible] სატრფოსაკენ...

„[illegible] წლის [illegible], — [illegible] [illegible]. — წელში [illegible] ქალიშვილი [illegible]. [illegible] წელი და [illegible] იქნება [illegible] ამ [illegible] ნახავს [illegible] წელი და [illegible] იქნება [illegible]... [illegible] წელი და [illegible]. [illegible] [illegible] ის. მე კი [illegible] და [illegible]. [illegible] [illegible] ქალს [illegible]...

ხელი მკერდზე [illegible] და ისე [illegible] მკერდზე [illegible] ტრფიალ-[illegible] და [illegible] თვის წინათ".

ეს ბოლო სტრიქონები აშკარად [illegible] „[illegible]" [illegible] გმირი. ამ [illegible] ეს სიტყვები [illegible] ნაწარმოებისა და [illegible] მხატვრული [illegible]. [illegible] წლების ლიტერატურისთვის [illegible] თუ შეეხება [illegible] სიყვარულის [illegible].

მაგრამ ეს ერთი მხარე ვლენქის შეცნობისა, მეორე მხარე, იგი [illegible] სახოგადოებრივ ინტერესებით, [illegible]. მის „[illegible]" [illegible] და [illegible]. [illegible] [illegible] ვლენქ [illegible] [illegible]. [illegible] მისი [illegible] [illegible] ქალაქში [illegible] ვლენქ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ქალაქში [illegible] [illegible] და ა. შ. მაგრამ ეს [illegible] არ [illegible] ავტორის [illegible] ქალაქისა და სოფლის [illegible]. [illegible] ვლენქ [illegible] და [illegible]. მისი [illegible] „[illegible]" [illegible] ავტორი [illegible] და [illegible] ვლენქს [illegible] [illegible] ნაწარმოების [illegible].

ნიკოლოზ [illegible] „[illegible] ავტორისა [illegible]" და [illegible] ავტორის [illegible] [illegible] „[illegible] [illegible]"... [illegible] ნაწარმოების [illegible] [illegible] ვლენქს [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] „[illegible] წყალის" [illegible] და სხვ. [illegible] [illegible] [illegible].

რ. [illegible] „[illegible]" ავტორისა [illegible] [illegible] ნაწარმოებია, რომელსაც ერთი [illegible] [illegible].

საზოგადოებრივი [illegible] [illegible] „[illegible]" [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ნაწარმოებში. მაგრამ [illegible] თანამედროვე დასავლეთის [illegible] [illegible] და [illegible]

ბი (თუნდაც შეზღუდული ახალი ნიუანსებითა და ფერებით).

ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის გამარტივებული გამოხატვა ყოველთვის უცხო იყო ქართული კლასიკური მწერლობისათვის. ამასთან იგი ყოველთვის მოკრძალებული სიტყვის შემწირველი იყო ქინიში, ვერ იწვევს მხატვრულ-ეთიკურ ზემოქმედებას. პირიქით, ამდაბლებს მკითხველის გრძნობებს, ზედაპირულს ხდის მის ემოციებს. ამიტომ არ შეიძლება იგი ხელოვნების საგნად ვაქციოთ. ავტორს, რა თქმა უნდა, დაითოსა და ლოტის ამგვარი ურთიერთობის ამბავზეც შეეძლო შეექმნა მხატვრული ნაწარმოები და თუ თავის გზიდან ურთიერთობის მიღმა დაინახავდა იმ ხელის შემწირველ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს მათ მოქცევას, ხელს ჰკიდებდა მათი ხელოვნური ხასიათის იმ მხარეს ძალებს, რომლებიც განსაზღვრავენ მათ ხასიათებს, ისიც კი ამ კანონზომიერებას, რომლებიც უწერენ ამ ადამიანთა ინდივიდუალობას და ლიტერატურულ შედეგს (ამ მხრივ როგორ შეუძლიათ ჩანდეს ავტორის ბატონს ნოველა „სევდა").

შეყვარებული და მანდილოსანი „ცარიელ გარემოში" აწერის სტილი. ამჯერად შეინარჩუნა თანამედროვე ხალხური ვ. ჭ. „მიუგონელი პერიოდი" ვალდებული.

ბოლო ხანებში ავტორმა გამოაქვეყნა რამდენიმე ნოველა, რომლებშიც სათანადო მხატვრული ტაქტით გახსნილია პიროვნული სიყვარულის ფენომენი, თავშეკავებული, მაგრამ ღრმადგანცდილი მწველი სიყვარულის გრძნობები და ვნებები.

ნოველა „დაუვიწყებელი რვეული". მოუხედავად ტრაგიკული ფინალისა, წარმოდგენილია მაღალი სიყვარულის საკუთრება. ნინოსა და ვაჟას — მიჯნურთა ლირიული ამბავი — ტრიოში ასეთი ემოციური აქვს ავტორს დანახული, რომ მკითხველი სულიერად ამაღლდება. რაოდენ ტკბილ და ღმერთის გრძნობები ისადგურებს მის სულში, ესალბუნება და ნუგეშისცემს. არ ეს არის შემთხვევითი ბედისა და შემოქმედის ნიჭიერების გამოხატვა ამ სურათის კომპოზიციაში. არ არის არც ერთი ზედმეტი ხაზი, არც ერთი ზედმეტი ფერი. ყოველი სიტყვა და ყოველი ბგერა, თუ როგორც მუსიკალური ნოტი, თავის ადგილზეა. მკითხველის ყურში სწორედ ნინოს მიერ ლოცვისას წარმოთქმული ფრაზა: „მე შენი ვიქნები სიკვდილამდე" ჟღერს ნოველის ბოლოს და მკითხველის ახლებური სულიერი განწყობილებებში მთელ-მთელდება შემოქმედის ჩვენი სიყვარულის ტრაგიკული ტიპისა — თუ ეს ისტორიული მოვლენა ავტორის განმეორებული აქვს როგორც მხატვრული ლეტალი ქალის მიერ მოყვარული შესრულებისა და სიყვარულის გრძნობის მარადიულობისა.

სიყვარულის ასე ტრაგიკული გაგება ამ-

ბავრეგბს თუმცა ამ გრძნობის და მის უკვდავებაზე მიუთითებს. ნოველა „დაუვიწყებელი რვეული" ქართული ხალხის გამბედავ შეხედულებს და მის ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციების გამოხატავს.

რევაზ ინანიშვილის კრიტიკული თვალი ამ მისი ნაწარმოებების ერთი ნაწილი გამოხატავს ამბავის ზედა სიჩოქოლოებს მაღალ მხატვრულ. ემოციური ზნეობის სფეროში იგი ხატავს ქალს, რომელიც არ არის მეღვინის გოგონები („სევდა"). — სტუდენტს, რომელიც უსიტყვოდ სიყვარულში ეძიებს კამათობას („მამა და შვილები"). ლირიკულ პიროვნებას, რომელიც უსამართლოდ ტანჯული („მეჩეჩების") და ა. შ. ამ შემთხვევაში ავტორი ყოველთვის ასახავს შეგუებულ მოძმეთა ამბავს და არ აწყდება იმ მიზეზებს ბრძოლისათ, რომლებიც იყო წარმოშობის (ეს ავტორი ნაწარმოებების ერთობ-რიგ-სახეობრივი მეტყველება ურთი ითქმება), მაგრამ მკითხველისათვის ისეთი ყველაზე ცხოვრების სათანადო მომენტებშია და შეტყობილი მხარეებით. ავტორის აზრით, ცხოვრებას, ადამიანთა ურთიერთობას აქვს ყოველი კანონზომიერებანი, რომელიც ირღვევა უამბობისას, ხოლო ამ ნიადაგზე წარმოიშობა სიკვდილი. ლიტერატურული გენიალურობის ბუნებით. მისი გზაზე ახალგაზრდა ქალი და ტანჯვაწყვეტილი კაცი („სევდა") ერთ მთლიან ბოროტების სურათს ქმნიან: „რა კარგები იყვნენ ლეკვები ჩემო, — წერს ავტორი, — როგორ ეფერებოდნენ ამ ბავშვს ერთმანეთს"

აქამდე ნაწარმოებში პატიოსნების გამჭვირვალება, სიბრძნე, ფერები და მოულოდნელი (ლირიკა სიმშვიდეებშიც ასე მიხედე) ნოველების როგორც ეზოში ძაღლი შეირჩევიან ახალგაზრდა ქალის მდგომარე — „პირველშემოდ და წყლიანი თვალებით დაშინებული", მეტადრე გაწირული ქალმა ზიდდული გულები დაუდის ეს უგანასებელი მით გამოტირება, ხოლო სიდიადის ტრიუმფი იწყება.

მკითხველისათვის ნათელია, რომ „სევდაში" გამოხატული ბინძური „შეყვარებული პიროვნების", რომლის მიზეზი შეასრულებელია მოგვარე რამ იყოს. მწერალი არ ეძლევის გრძნობების გაზრდას და ერთი რომელიც კონკრეტული მიზნის გამოვლენას. ფიქ. მკითხველი ხვდება იმ მიზეზებს, რომლებიც აწყვეტს ცხოვრების მწყობრ ხასიათს და სევდის ტაქტიკას.

მწერლის მაღალი კრიტიკული აღიარ ხატა ნოველაში „მამა და შვილები". ნაწარმოების ქოლხიის სიღრმეში ეძებს ძმები — თენგიზი და თამაზ — კონფლიქტი. მათი ხასიათების შეგნება.

ერთ-ერთი ძმა, რომელიც სწავლის სურვილში სამოვლში ყოფნა-ქცევის იყო, შემდეგში — ქალაქის სასწავლებელში ყოფილა გზის და-

[illegible]

აქვს და ოცნებობს მეუღლეთ მომავალზე. „პირ-ბით" ვერ-ვერა შეასრულებს სახელმწიფო მოთხ-ოვნას, თანამედროვე საზოგადოების პრობლემა.

მხატვრული გაფორმება და პერსონაჟების გადაწყვეტა ინტერპრეტაციის ავტორის შეხ-ედულებებს „მეზღვაურის გოგონას ამბავი". მასში ავტორის ეპიზოდები ღრმად შეის ფერებს და ისტორიული წარსულის ფონზე ცხოვრება თა-ნამედროვეობის მწვავე პრობლემა-პიროვნულ საკითხებს სხვადასხვა ასპექტში თანამედროვე. ეპოქა შეუპოვრობითი წარსულის, მაგალითად, როგორი იმედი ჰქონდათ ქალებს წინაშე და როგორი ამბები აქვთ ახლა.

ავტორი ღრმად ეხება მეზღვაურის კაცობრიო-ბის ბედს, მის მომავალს და სიყვარულს ადამიანთა ურთიერთობა მოქმედება ხელმძღვანე-ლის ეპიზოდებს. მწვავე გოგონას მიერ და-ქორწინების ადამიანური ყოველდღიური, რომელსაც ცხოვრება მოითხოვს, სიხარული შეიძლება და კაცობრიობის განსხვავება არა მხოლოდ იმ-ავე, არამედ ხალხში.

ყველაფერმა უნებლიეთ ხელოვნების მიმართ გამოიწვია მეზღვაურის... „ამ დიდებას ყვე-ლას უნდოდა მეზღვაურისათვის უნდოდა მეზ-ღვაური გოგონა სხვაგან არ ეძებდნენ, ე. ი.) ზღვაში არ უნდოდა ადამიანი გაიზარდოს თავის უნდოდა კი არა, მეზღვაური იყო, და უნ-და, რომ სხვების მეზღვაური ყოფილიყო-ნენ მუდამ. — ფიქრობს ხელოვანი და შეუ-ძლებელია იყო. სხვადასხვა ცივილიზაციის უპირატესობა დიდი, დიდი ყოველი, მიაწვდა ხა-ხელოვნების წინ, კარს მიღმა და ხალხის ხმა-ლებისა და სამყაროების კედლის მიღმა ხე-ლი.

„ამ დიდებას გადაწყვიტეს გამოიცადა, ადამიანი გამოცდილებისათვის, გაუგებარი და გა-მხიარულდა..."

ამ ავტორის მეზღვაურებს იმაზე, რომ მათ ადამიანის ბუნებრივობისათვის საჭირო არა ერ-თი და ხალხის ჩასაფრება, რომელიც თანამედ-როვე საზოგადოებას უნდა მიმოიხილოს თემა.

მოთხრობაში ავტორი, როგორც ხელს, მ-ზარდის მოულოდნელად, დაუვიწყარ ტრა-ფიკ მოვლენებს, ადამიანებს კიდევ მეტ-ლებს და ყოველდღიური ინტერესისათვის შემ-ხიარულების სიტყვებზე აგრძნობს. მათ და-იზარდა, — წერს იგი, — თავისუფალ ლაშქარ თავისთვის დაუვიწყარ ყველაფერი, ავტორ-მან, ჩაფიქრებით ლაპარაკში და დავიწყების წყალი.

მეზღვაურის გოგონას სახელი უკვდავყოფი-ლია ხალხში ყველაზე ლამაზ, ყველაზე სიყ-ვარულის ყველას გოგონას სახელი — და შე-არჩია.

ასე დაიწყებოდა მწერლის ამბავი სიხა-რულის და იმედის დამკვიდრებული მომენტი.

რეჟიმ იმანიშვილის სცენაზე ზედმეტად მოხდენით აქვს, წერის აღმოსავლური მხი-არა და ქმნის დამოუკიდებელ ხელოვნების სამ-ყაროს. ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ალა-ზანის ლანდშაფტით მოიაზრებს ავტორისაგან ამ-ბის ფარით, ეპიკურ ვიწრის, დიდი ჯგუფე-ბის, მწვავე კოლიზიებისა და ხასიათების რე-ალური წარმოსახვის. მაგრამ არ უნდა დავივი-წყოთ, რომ მეტად ფართოს ხასიათს ისევე იც-ყოფენ, როგორც ლიტერატურის „მძაფრ სიტუაციას" — რომანი. თუმცა რა ანანიაშვი-ლის მიერ შემოტანილი როლის ხასიათი ზე-ლაპი არ ცვლილება. მიზანმა ხელი გადაიწყვიტა და ამის გამო თვალწინ მომხიბვლელი მწვავით იმისგან. სამწუხაროდ, იგი „ჭავჭავაძისა და ხმელის ქვეყნის წინააღმდეგობის" და შეიძლება ლისათვისაც სწორედ ის არის ძირითადი და ფასეული, რისაც არ ჰქონდა, რაც სხვადასხვაური მისთვის, რაც შესაძლოა.

გიორგი მოხალიშვილი

# კვლავ „სამი დიდი კაბადოკიელის" ვინაობის ირგვლივ

## ელგუჯა ხინთიბიძის წიგნის „ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი" გამო

[illegible]

ჩართული ამონაწერებიც კი მოყვანილია მისი წიგნიდან (გვ. 105-111).

[illegible], რაც შეეხება ე. ხინთიბიძის დისერტაციასა და მის ავტორს, [illegible] ბია ის.

ე. ხინთიბიძე კი თავის ახლად გამოსულ წიგნში წერს, რომ „1965 წ. ჩვენი თეორია განიხილა პროფ. გ. გოზალიშვილმა და თავის მხრივ წამოაყენა მოსაზრება, რომ ასევე ქართული წარმოშობის უნდა იყოს... [illegible]“.[1]

ე. ხინთიბიძე ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ გ. გოზალიშვილის ნაშრომი [illegible] გამოკვლევაა, რომ მან გაიზიარა მისი დებულებები და ამასთანავე, [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] სიმართლეს არ შეესაბამება.

ჯერ ერთი, [illegible] [illegible], რომ ბასილის და სხვათა ქართული წარმომავლობის [illegible] ჩვენ [illegible] [illegible] [illegible] ჩვენს მიერ [illegible] ე. ხინთიბიძის თეორიის განხილვამდე, [illegible], რომ ამ [illegible] [illegible] [illegible] გამოქვეყნებული [illegible] მის „თეორიას“ და ჩვენს [illegible] [illegible].

[illegible], რომ ე. ხინთიბიძე თავის [illegible] [illegible] ბასილის [illegible] [illegible], ბასილის ქართველობის [illegible] [illegible], რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] (გვ. 131). [illegible] [illegible] (132, 143) [illegible], რომ ბასილი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] ქართველ[illegible] [illegible] [illegible] (გვ. 143).

ჩემს წიგნში „[illegible]“ [illegible], რომ [illegible] ბასილის ქართველობის შესახებ ე. ხინთიბიძის გამოტანილი [illegible] [illegible], რომ ბასილი [illegible] [illegible]“ (გვ. 83).

მე კი ჩემს შრომებში ბასილისა და მისი [illegible] [illegible] „[illegible] კაპადოკიელებს“ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომ [illegible] „კაპადოკიელებში“ [illegible] „კაპადოკიელობა“ [illegible] [illegible] [illegible] კაპადოკიელებად [illegible] [illegible].

[illegible] [illegible], რომ [illegible] კაპადოკიის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] კაპადოკიის [illegible], [illegible] 87 [illegible], ჩემს წიგნში — „[illegible] ბიზანტიელი“ და „[illegible] [illegible] და კაპადოკიის [illegible]“.

ბასილისა და სხვა კაპადოკიელთა, [illegible] [illegible], ქართველობის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] კაპადოკიელობის [illegible] [illegible] „ბიზანტიელის“ [illegible] [illegible] [illegible].

[illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] სხვების [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომ ბიზანტიელები, [illegible] [illegible], [illegible] ([illegible]) [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]. [illegible], [illegible] [illegible], რომ: 1. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] სხვებს [illegible], [illegible] კაპადოკიელები.

2. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომ მათ [illegible] [illegible] კაპადოკიელები [illegible] [illegible] სხვა [illegible] და [illegible] [illegible] [illegible].

3. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომ „კაპადოკიელები“ [illegible] [illegible].[1]

[illegible], ბასილისა და სხვების ქართველობის [illegible] [illegible] [illegible] „კაპადოკიელობის“ [illegible] [illegible].

ამ [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] ე. ხინთიბიძის [illegible], რომ [illegible] [illegible] კაპადოკიელთა ქართველობის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].[2]

1962 წ. გამოსული ჩემი წიგნის „[illegible] [illegible]“ [illegible] [illegible] [illegible] 1965 წ. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]: „კაპადოკიის [illegible] [illegible]“ და „კაპადოკიელთა [illegible]“ ([illegible] [illegible], გვ. 144-119; [illegible] [illegible], გვ. 161-229). ამ [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]-

---

[1] ე. ხინთიბიძე, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969, გვ. 52-53.

[2] ე. ხინთიბიძე, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მეცნიერებათა [illegible] [illegible] მოამბე № 3, 1962, გვ. 125-151.

[1] [illegible] [illegible] [illegible] იხ. წიგნებში: „[illegible] ბიზანტიელი“, „[illegible] [illegible] [illegible] და კაპადოკიის [illegible]“.

[2] ე. ხინთიბიძე, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, გვ. 53.

[illegible]

[illegible] X-XI სა- [illegible] ე. ხინთიბიძის [illegible]

[illegible] (გვ. 88) [illegible]

[illegible] (გვ. 151) [illegible]

[illegible] (გვ. 67) [illegible]

[illegible]

მქონე მეცნიერი გრიგოლ დადიანისა და წე-
რეთელი წერა გვრჩება. რისთვის ჭეშმარი-
ტი ქართული ისტორია დაიწერა. ამიტომ ის
ქართველი მეცნიერი არ არის?

ასევე ზუსტად გაირკვა ნიკოლოზის და მი-
ხაილისეული, ჩვენი სასიქადულო მეცნიერი.

განა პეტრე ბაგრატიონი (1765-1812) გამო-
ჩენილ ქართველ მეცნიერად არ ითვლება, რომ-
და მოგზაურობდა, რომ რუსეთში ცხოვრობდა,
რუსული განათლება მიიღო და რუსულად
წერდა?

ე. ხინთიბიძის აზრ. გრიგოლიანთ სტატუს გადა-
რჩენილ მემკვიდრეობას, ალბათ სამწუხაროდ რაც
საოცრებათა არ მოაქვს.

ე. ხინთიბიძე არც იმ ვარიანტს მიიჩნევს,
რომ კათოლიკური მოღვაწეები, მეორეთა აღ-
ვილი მწიგნობრული ენის შემქმნელები იყვნენ.

მეორე რიგ პირველწყაროთა და მრავალ
მკვლევართა გამოკვლევების საფუძველზე, და-
ადგინა რა, რომ კათოლიკეები (მათში ქარ-
თველები იყვნენ ეგრეთ წოდებულ, და კათო-
ლიკე მისიონერებიც ქართულ ენაზე სწავ-
ლობდნენ), ქართული მწიგნობრულ ენა-
ზე შეიცავდნენ და ამ მიზეზით კათოლიკ
მონახეზე ეს იყო მისიონერის ურთიერთობ
ისტორიული ენა („ორი ეპოქაო...", გვ. 60-65).
წინადადება ე. ხინთიბიძის მტკიცებისა, რომ
კათოლიკე მოღვაწენი სავსებით მიწვდნენ-
ლი და გაითვალ ეცენდ მწიგნობრულ ქართულ
სამყაროს, გამოყენების სხვა მოსაზრება.

მე ვაქვეყნე, რომ კათოლიკე მოღვაწენი
თავიანთ მწიგნობრულ მხარეში — კათოლიკურ
მოღვაწეობაში, ბუნებრივ სამწერლობო ტრადიციაზე
აქ მიმდინარეობდა და მჭიდრო ურთიერთობა-
დამოკიდებულებით მქონდათ თანამედროვე-
თან (გვ. 67). მერე დაასკვნიდა: „პროლოგ
ხედვაზეა დაკავშირება, რომ კათოლიკე
მოღვაწენი თანამედროვეობის მწიგნობრულ
ენაზე მეტყველებდნენ და თავიანთ ნაწარმოე-
ბებიც მწიგნობრულ ენაზე ქმნიდნენ".

მიუხედავად თავისი ეპოქისთვის შესაფე-
რისა, რომ „კათოლიკე მოღვაწეებმა არაფერი
აღმოაჩინეს მწიგნობრულ (ქართულ) სამყა-
როსთან, ე. ხინთიბიძე მაინც ინტერესდება აღი-
არის, რომ ეჭვი არ ეპარება, რომ კათოლიკე-
ებმა ურთიერთობის კონტაქტი მწიგნობრულ ენა-
ზე აჩვენებდნენ. მაგრამ აქვე გადაჭრით აცხა-
დებს, რომ ქართველ, ლათინ მოღვაწეები თა-
ვიანთ ნაწარმოებებში ქმნიდნენ „მწიგნობრულ
(კათოლიკურ) და არა ხურხული ენაზე, ცო-
ცხალი მეტყველების ართქმედების მოქცე-
ვით" (გვ. 89-90) და ეს ისე უნდა იყოს
აღნიშნული, რომ „არც ერთ მეცნიერს არა-
ვინ არ უდავია, რომ ეს ლიტერატურული
მემკვიდრეობა თავდაპირველად ხურხულ ენა-
ზე არ დაწერილა" (გვ. 90).

განა დავეჭვდი ან კი დაიჯერა ვინმე, რომ
კათოლიკური მოღვაწეები ქართულ სამყაროს
გაუცხოვდნენ და ქრისტიან საფუძველ ნაყო-
ფიერი ენა, ხოლო ამაში თვით ე. ხინთიბიძე-
საც ეჭვი არ ეპარება.

მიმიანიშნებს, მწიგნობრული კილოზე არა მწიგ-
ნობრული ენის, არამედ თავისებური ნაწარმოე-
ბის ეს რამდენიმე ეტაპ სხვას არ უდავებია, და
ასეთი ენისათვის რაიმე მიზანი სამეთად, ენობ-
რივ აქტიური მიზნებისადმი მწერლობა-
თ ვარიანტ, რა ლიტერატურის მიწვევნებებული... და-
ფიქრებ, მიზნები ნუ იყო კათოლიკეთა ენა-
ზე დაწერილი. მიერ ენა რაიმე უნდა წა-
ვიკითხოთ.

უმეტესწილად რა და სხვადასხვა არ
მხრიდან რამ მეტი განიცდიდნენ მისაღებს და
გამოიყენებ მისიონერებში, არ განიხილავს რა
მათს იდეოლოგიას, ე. ხინთიბიძე აღწერს
განმარტებას, რომლის მიხედვით ჩემი არ-
გუმენტაცია არადამაჯერებელია. ამიტომ რომ,
მისი სიტყვით: „ნიუანსებებში არ არის გარ-
კვეული, რა ენაზე მეტყველებდნენ ეს მოღვა-
წენი. შეიძლება თუ არა XV საუკუნეში ქარ-
თველი კათოლიკეების ენის არსებობა, თუ
უნდა ვიფიქროთ, რომ კათოლიკეები მეტყვე-
ლებდნენ ხურხული კათოლიკური დიალექ-
ტზე" (გვ. 90).

ე. ხინთიბიძის ეს ნათქვამი მართალია, რომ
მოსალოდნელი ყოფილიყო მეცნიერული არგუ-
მენტაციისათვის მტკიცე იყო ტერმინოლო-
გია და დეტერმინირება მისი მონაცემების
გადმოცემის საქმეში.

თუ ე. ხინთიბიძე ფიქრობს, რომ მისიის
საფუძველი არ არის მოღვაწეობის
მიზეზთა და მკვლევართა დასკვნებიდან
რამე არგუმენტის გამოვა, მაშინ საკუთარ თავს
მიიღე რას უწყები.

კათოლიკეები რომ თავის მესხეთი არიან,
რასაც ე. ხინთიბიძე არ უარყოფს: რომ მათ-
ვე მოღვაწეების აღიარებით კათოლიკე-
ები მწიგნობრულ ენაზე მეტყვე-
ლებდნენ და მათ მესხეთს რომელ ენაზე
უნდა მეტყველებთ, თუ არა მესხურზე (ქარ-
თულზე)! და რომ ეს არის ის ფაქტორი, რაც
საფუძველია კათოლიკეებს ქართველებად
უნდა ეწოდოს მიჩნეული, თუ ეს ფაქტორი (მი-
მდინარე) უგულებელყოფა. მაშინ რაღა უარყო-
ფის სამყაროდ, რომ ბასილ ქართველი იყო-
თუ არ მოწმის და კათოლიკეში ქართვე-
ლად მეტყველი ტომები არა ცხოვ-
რობდნენ, არამედ იყვნენ ეგრეთ კათოლიკე-
ეები, რომლებიც ხურხული კათოლიკურ
დიალექტზე მეტყველებდნენ. მაშ საით არის წა-
ვლილი ის ქართველი ტომების, რომლე-
ბიც ამ რაიონების მკვიდრ მოსახლეობის მე-
ტყველებდნენ, რასაც ე. ხინთიბიძე აღიარებს, არ
დოკუმენტ. თუ აჭარის უწყებულ ძი-
რითად ქართულ ტომებს საცხოვ-
რისი ენა დაკარგული მეფობდა და
ხურხული მეტყველებდნენ, მე-

მაინც რა ნიშნის მიხედვითაა უნდა იქნენ ასეთი ქართული ტომებად მიჩნეული.

ე. ხინთიბიძე კარგ მიჰყავს, რომ თავის „ადგილობრივი" ხასიათის ქართველობის შესახებ აღნიშნული გამოთქმები ძალიან თავისი მეტად წინამძღვრებით.

კაპადოკიელები მესხები (მოსოხები) იყვნენ, რომ ქრისტიანი თავისი ენა, რომელიც მრავალ ფონტი მეტყველებს და რაც საერთო ქართულად არის აღმოსავლეთმცოდნეობის მიერ აღიარებული ცნობებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემთა საფუძველზე ჩვენ წიგნში „ორი ეტიუდი...", იგივე ბასილი თავის ენის ნაწილში ახსენებს კაპადოკიური მშობლიური ენის (გვ. 75).

მაგრამ ამაზე სიტყვა ე. ხინთიბიძე ამ თემას იტყვის, რომ მკითხველის დაკმაყოფილება, იგი და მისი მიგვარ საერთო დასკვნებიდგან მოსაზრება წყაროს, არ იცოდა, რომ ძალიან არ შეეწყვეს იქ მოტანილ მასალა და მეცნიერების აზრს დაუპირისპირა.

ჩვენს წიგნში „ორი ეტიუდი..." კაპადოკიელთა ენის საკითხზე მეცნიერების ორიენტ დადგენილ თვალსაზრისს (გვ. 62-66, 75-83), სადაც მოტანილი ცნობებისა და ჩვენი ფორმის სხვადასხვა-მეცნიერთა მონაცემების საფუძველზე დავადგინეთ, რომ „...კაპადოკიელები" ცნობილ ბასილი კესარიელის ეპოქაში, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ენა. კაპადოკიელები ენობრივად განსხვავდნენ არიან ბერძნებისა და სხვა ხალხების (გვ. 62); რომ კაპადოკიელები მეტყველებდნენ საკუთარ ენაზე, რომელიც არ იყო არც ბერძნული, არც სომხური.

მიუხედავად მოყვანილი და ვამტკიცებთ, რომ კაპადოკიელთა მოღვაწეები თავიანთ ადგილობრივ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდნენ, ვფიქრობთ, რომ, მესამე ეპოქის კაპადოკიელ მოღვაწეები ზოგ თავიანთ ნაწარმოებებს მშობლიურ ენაზეც ქმნიდნენ. აღვნიშნავთ, რომ ამ მოღვაწეთა ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენამდე მხოლოდ ბერძნულად მოაღწია, არამედ ჯერ ბერძნულად არ უნდა ყოფილიყო დაწერილი, რადგან ეს სიტყვა-ბიოგრაფიებიდან ჩანს, რომლებიც მათ სახელებთან არის დაკავშირებული, მოსაზრებას, კაპადოკიის მოსახლეობისადმი მიმართული და ზოგიერთი ნაწარმოები (როგორიც მაგ. თავისთავ მიმღობისას ცნობების ადრეულ მხოლოდ ადგილობრივ ეპისტოლეებს) აღმოცენდნენ. კაპადოკიის მოსახლეობა კი ბერძნულ სასულიერო არ ესმოდა ენობრივად და, როგორც ცნობილია, კაპადოკიაში ბერძნული ენა მხოლოდ მცირე ჯგუფი მოსახლეობის მეტად ნაწილში იყო გავრცელებული. არის სოციალურ-ეკონომიკური კულტურული მიზეზები იყო შემდეგ მაინც, „იგივე ბერძნული მოსახლეობის მეტად ამისა მხოლოდ მეტ-ნაკლებ სახალხო ბუნებაში შე-

ოპოვებიდა... ა. ცომბერგი, ლაპარაკობს რა ბიზანტიურ და სელჯუკების ბატონობის მერე არსებულ ორბიტაზე, — ამ ქვეყნის მიდამო მდგომარეობით, რომ აქ დიდხანს შენარჩუნდა ძველი ადგილობრივი მოსახლეობა და ამ მხარის განვითარების დამახასიათებელი შესაფერი მეტად ბერძნულ სამყაროში ათასი წლის მანძილზე. ეს მოახერხა მხოლოდ თურქებმა ალექსანდრემ" (იხ. R. Oberhummer und H. Zimmerer. Durch Syrien und Kleinasien, გვ. 290-291-292).

ე. ხინთიბიძე ვერრას ვერა საკითხს არსებით მხარეს, რადგან იგი არ განიხილავს მასალის კრიტიკულად, არამედ სიტყვებით არ ასხენებს არც ერთ მოსაზრებას, თავის მხრივ დაასკვნის, რომ ჩვენ ვერ არ ვიცით იმაზე, რომ „კაპადოკიელები ეკლესიებით კონტაქტებს შშობლიურ ენაზე ამყარებდნენ" (გვ. 89) და კატეგორიულად აცხადებს, რომ ვერსად ვერ იქნა ნაკლები, რომ კაპადოკიელი მოღვაწეები, სახელდობრ, ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი და გრიგოლ ნოსელი თავიანთ ლიტურგიულ შემოქმედებაში მშობლიურ (კაპადოკიურ) ენაზე ქმნიდნენ... გრიგოლ ნოსელიც არ გამოხატავდა მოსაზრებას" (გვ. 89-90).

რატომ? იმიტომ არაფერი, რომ მისი აზრით „მეცნიერებაში არ არის გარკვეული ენაზე შეტყობინების და მოღვაწეების, შემდეგში და არა IX საუკუნეში ვიცნობთ კაპადოკიურ ენის არსებობას და უნდა ვივარაუდოთ, რომ კაპადოკიელები მეტყველებდნენ ბერძნულის კაპადოკიურ დიალექტზე" (გვ. 90).

აქ ვერ იქნა მოყვანილი ფაქტებისას, რომ ე. ხინთიბიძემ თავისივე ნათქვამით — „კაპადოკიელები ეკლესიებით კონტაქტს მშობლიურ ენაზე ამყარებდნენ — უარყო კაპადოკიური ენის არსებობა, და ეს შეიძლება არ ვიცოდეთ-წიგნისგამოცემისას, რომელიც ამ მიერ ჩვენს წიგნში მოტანილი ფაქტი მასალიდან. მაგრამ წინა სტრიქონში ნათქვამი და ამ დასკვნას და მომდევნო სტრიქონში, თავისივე ნათქვამის წინააღმდეგ, უარყოფს კაპადოკიური ენის არსებობას.

თუ კი კაპადოკიელები მშობლიურ ენაზე მეტყველებდნენ, მაშ რომელი ენა კაპადოკიელთა მშობლიური ენა თუ არა კაპადოკიური რა ნიშნით აქ ბერძნულის კაპადოკიური დიალექტი, და თუ მაინც ეს ბერძნული დიალექტი კაპადოკიელთა სამეტყველო ენა იყო, მაშინ როგორღა შეიძლება ეწოდოს მას კაპადოკიელთა მშობლიური ენა. მით უმეტეს მაშინ, როდესაც როგორც მოტანილ წყაროებში, იქ მრავალრიცხოვან მკვლევართა მონაცემები საფუძვლად კატეგორიულად აღიარებენ, რომ ბერძნული ენა მხოლოდ სუსტად მონაცემზე კაპადოკიაში სრულიად მისაწვდომი იყო გავრცელებული და არ ვრცლად მოსახლეობის სიღრმეს, მშობლიური

ენაზე [illegible], როგორც [illegible] ჩვენ წიგნში მოტანილი მასალით, რამდენიმე მკვლევარისათვის შეუმჩნეველი [illegible] აზრი.

და აქ როგორ შეიძლება ისე [illegible], რომ, უფრო მეტიც, [illegible], რომ ქართველებს არაინ ჰქონდათ — ქართველები — [illegible] ქართველებს [illegible]; რომ ქართველები (ქართველები — ქართველები) [illegible] ქრისტიანობის [illegible] ენაზე [illegible] მწიგნობრები ენის [illegible], [illegible] ქართველი [illegible] რომელიც შეიძლება [illegible] მწიგნობრებს [illegible], [illegible] და [illegible] [illegible] მასალის [illegible] რის [illegible] არ [illegible] და [illegible].

[illegible] მწიგნობრები ენის [illegible] არ ჰქონდათ.

[illegible] მეცნიერები [illegible] ქრისტიანობის [illegible] ენა არ [illegible] [illegible] მწიგნობრები ენის [illegible] VI საუკუნემდე [illegible] [illegible].

[illegible] ქრისტიანობის [illegible] ერთი [illegible] და [illegible] ეს [illegible] ქართველები [illegible] მოსახლეობის [illegible] ერთი [illegible] ქრისტიანობის [illegible] იმ [illegible] [illegible] 312/13 წლ. [illegible] ქრისტიანობის [illegible] [illegible] ქრისტიანების [illegible] ქრისტიანობის ეს

[illegible] ქრისტიანობის ენა [illegible]

ქრისტიანობის [illegible] ქრისტიანობის [illegible] ქრისტიანობის [illegible] ქრისტიანობის [illegible] მწიგნობრები ქრისტიანები [illegible] ქრისტიანობის [illegible] ენის [illegible].

[illegible] IV საუკუნისათვის [illegible] ენის [illegible] ენაზე [illegible] და აქ [illegible] ენის, რომ [illegible] და ეს [illegible], რომ IV საუკუნეში [illegible] ენის [illegible] ეს [illegible] ენის [illegible] და [illegible] საუკუნეში [illegible].

[illegible] ენა [illegible] (ბიზანტიის და [illegible]) [illegible] IV საუკუნეში [illegible] და [illegible] და [illegible] [illegible]...

[illegible] ენის [illegible], [illegible] და [illegible] ა. [illegible] და [illegible] [illegible] ენის [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] რომ: [illegible] ა. [illegible] ენის [illegible] არ [illegible].

[illegible] მასალის.

ჩვენ წიგნში ვერ [illegible]: „IV საუკუნის [illegible] [illegible] ენა (Gentes autem quae linguas suas habent) [illegible] „[illegible]" ... და [illegible] (გვ. 62) და [illegible], რომ ენა

[illegible]

[illegible] «Вдали от крупных центров долгое время еще продолжали жить местные языки, особенно в Карии, Лидии и Фригии» [illegible] «Эллинизация слегка затронула высшие круги общества, но масса населения сохранила родной язык, старые условия быта,» [illegible] «из всех малоазиатских провинций Каппадокия меньше всего преобразовывалась под римским владычествам».

[illegible]

[1] [illegible]

[illegible] (გვ. 81).

[illegible]

[illegible] ouranos [illegible] Mauricios [illegible]" (გვ. 76).

[illegible]

[illegible] (ცხ. 377—473) [illegible] (იხ. Палестинский Патерик, вып. 2. СПБ. 1893. Житие иже во святых отца нашего Евфимия Великого. Перевод П. Памиловского, გვ. 27). [illegible]

[illegible]

[illegible] (გვ. 63—64).

[illegible]

[illegible] «...в Эдессе существовали школы сирийской грамоты». (იქვე). [illegible]

[illegible]: «...Туземный египетский язык был не только разговорным языком народной массы, но на нем также создавались произведения местной агиографии» (გვ. 49).

[illegible] «Особенно многочисленны в агиографии упоминания о жителях Каппадокии, которые, может быть, сильнее других сохранили свои старые прославленные национальные черты и резче бросались в глаза наблюдателей» (გვ. 50).

[illegible]

[illegible]

[illegible] «Очерки византийской культуры по данным греческой агиографии», М., 1937.

[illegible] «...греческий язык, несмотря на целые века эллинизирующего влияния, не был общим языком сирийского населения, которое продолжало говорить по сирийски» (გვ. 47). [illegible] V-VI [illegible].

[illegible]: «Преподобный Симеон и его друг Иоанн несмотря на то, что они были сыновья богатых родителей и изучали греческий язык и литературу, между собой говорили на более привычном сирийском языке» (იქვე). [illegible]: «Можно думать, что сирийский язык господствовал, главным образом, в деревнях, вдали от городов, где эллинизация несомненно была более интенсив-

[illegible]

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1951, გვ. 415

ცხადყოფს, რომ მეცნიერებამ არ იცის კაპადოკიელები IV საუკუნეში რა ენაზე მეტყველებდნენ. ცნობილ სიტყვებზე კი არ უნდა ჩერდებოდეს, არამედ დაუდგენელი ენის გრამატიკული ელემენტი მეცნიერულ მასალად, რომელიც მოტანილ წმინდა დოკუმენტაციებითაა და გაანალიზებულია უმნიშვნელო ასეთი ლიტონ განცხადებას, რომელიც რომელიმე სამეცნიერო კი არა, არც ერთი ეზოთერული საზოგადოება კი არ არის შემძლებელი, რა „ეპისტოლე" მეცნიერული არგუმენტი" მოჰყავდა ქინა ბასილი...[1]

თავისი წიგნის 19-20 გვ. გ. ხინთიბიძე ამტკიცებს ადრეულ ასეთ IV საუკუნეში კაპადოკიის ეკლესიაში ღვთის მსახურება კაპადოკიურ ენაზე წარიმართებოდა და ხორციელდება.

ჩვენს წიგნში ამ პრობლემის ირგვლივ საკმაოდ არის ნათქვამი.

აქ წერია: „IV საუკუნეში ქრისტიანობა არ ცვლიდა ადგილობრივი ენების მოსპობას. პირიქით, თუმცა არა და ამ საწყისში ეპისკოპოსი ენაზე ადგილობრივი ბერძ, ამგვარი ენაზე სულიერია იქაური ენა და ზნე-ჩვეულება.

ბასილი კესარიელის ბიზანტიის ხელისუფლების მიერ დაცულებული ძველი ეპისკოპოსისმის დინასტია სომხეთში. ამ მიზნით, როგორც ის თავის ერთ-ერთ წერილში აშობს, ეძებდა იქაური „ხალხის ენის, ზნე-ჩვეულების მცოდნე პირებს".

მერე წერია: „მართალია, გამოთქმულია აზრი მცირე აზიელების შესახებ, თითქოს ახ. წ. პირველსავე საუკუნეებში მცირე აზიის რაიონებში ადგილობრივი ენები გამოყენებილი იყო მერწმუნე მიერ, მაგრამ მეცნიერების განვითარებასთან მიყვანა მასალა მეტყველებასთანაც, ამ არსებობის კონცეფციას და ცხადყოფს, რომ აქ ადგილობრივი ენები დიდხანს ცოცხლობდნენ და ანარჩუნებდნენ თვითარსებობას.

ამ პრობლემის მიმოხილვა თავისი შესანიშნავი გამოკვლევით დაამთავრა მეცნიერმა კ. ჰოლმა.

მკვლევარმა პირველწყაროების საფუძველზე ცხადყო, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისში მცირე აზიის რაიონებში ხალხი ადგილობრივ ენებზე მეტყველებდა. ამ მხრივ ყველაზე უფრო მეტად სწორად იყო კაპადოკიის მიდგომაზე იქცევა.

კ. ჰოლი აღნიშნავს, რომ კაპადოკიაში IV საუკუნეში კაპადოკიური იყო არა მხოლოდ ეპისკოპოსთა ენა, არამედ ადგილი ჰქონდა მოვლენას მას როგორც ცოცხალ ენას განსაზღვრავებენ.

მერე აღნიშნავს კაპადოკიაზე: „აქაც ისევე შეიძლება ვთქვათ, რომ ხალხის ენა (Volkssprache) ბრძოლას არის დაკავებული და ის ძალიან ტრადიციულად მიმდინარეობდა ეპოქებით".

კ. ჰოლი აღნიშნავს, რომ ქრისტიანულ ეკლესიას მრავალი არ გამოუცხადებია არავითარი ადგილობრივი ხალხის სამეტყველო ენისათვის. „მან ავტორიტეტს ის ფაქტი, რომ „ტრამვები" თარგმნილი იყო ძველადვე მრავალ ენაზე, ამით ეს ენები ლიტერატურულ ენათა რიცხვში მოექცა და ეკლესია ამას ხელს არ უშლიდა" (გვ. 76-77).

შემოტანილზეა მითითებული გ. ხინთიბიძისგან, რამე განსხვავება მოჰყავს მკითხველისათვის, თუ რატომ არ ამსახავს [illegible] და რით არის განპირობებული ეკლესიები გარკვეული მეცნიერული მონაცემები... მაგრამ მან აქაც მეცნიერული მიდგომის კვალი ვერ აუწყა და ასეც დამრჩა მიმზადება.

გ. ხინთიბიძეს ბასილი კესარიელის ეპისტოლის შესახებ თავის წერილში ერთი მეტად ცნობილი თქმული წერილებაა ბასილისა და სხვა ეპისკოპოსების მოღვაწეობის მონაცემებში არ არის შეტყობინება, რომ ასინი ქართველები არიან, რადგან, თუმცა, ამ ეპისკოპოსების ძველი ქართული სამყარო ნამდვილი იყო „...ქართველური ტომები თავიანთი ხელოვნურ-პოლიტიკური წყობით და კულტურით... წარმართულ-ბერძნული და ქრისტიანული კულტურის შეღწევით, საკმაოდ ადრე სავსებით იყვნენ მათი მიწინაგუ ადამიანები... მეცნიერი, სამოციქულოების დროში გარკვეული მიღწევები თავიანთ წარმართობის ეპოქაში, ბასილი კესარიელის, რომელიც ხელთ ჩაიგდო მთელ ქრისტიანულ კულტუ-

¹ ჩვენს მიერ მოტანილი მასალისა და მეცნიერების შედეგად, თავისი აზრი კაპადოკიელთა ენის არსებობის შესახებ გ. ხინთიბიძეს რატომღაც ხომ უნდა დაემტკიცებინა, რადგან მან რაც ლიტერატურა მოიყვანა, ის კი, როგორც გამოჩნდება საფუძველზე, თუ შეიძლებოდა თვალის ასეთი მიზნით, თავისი ეპოქის თეოლოგი გაბატონებულია, დისკუსიებში, მიდგომების ერთ-ერთი ვერსიისთვის ავტორის კ. ჰოლის შრომას ამ დებულებაზე, მაგრამ მოტანილი არასწორებულია მე ჩვენ წიგნში ამას ცხადვყოფ, რომ კაპადოკიელებს საკუთარი სამეტყველო ენა ჰქონდათ, გ. ხინთიბიძის მიერ მოთითებული კ. ჰოლის წიგნის გვერდებზე ხშირად ის მასალაა მოთავსებული, რაც გ. ხინთიბიძის მიერ გამოთქმულ აზრს აბათილებს.

ასეთი შეუსაბამობის ერთ-ერთი მიზეზი გ. ხინთიბიძეს კ. ჰოლის წიგნი ხელთ არა ჰქონდა და მისი დასახელება ამოიღო ჩვენი წიგნიდან, მაგრამ [illegible] მოითხოვს, ამის შეუმოწმებლად, თუ აქ რა წერია. შდრ. მისი წიგნი გვ. 90. და ჩვენი წიგნის 77, გვ. სქოლიო. კ. ჰოლის წიგნი Das Vortleben des Volkssprachen in Kleinasien in nachchristlichen Zeit, როგორც მისი სათაურიდანაც ჩანს, მხოლოდ იმას ემსახურება დამტკიცებას, რომ მცირე აზიის რაიონებში ადგილობრივი ენები ცოცხლობდნენ დიდხანს.

რის და რომელსაც ეძლევა უწოდებს „მათეულის მოძღვარს", მეტრონით, ბიბლიით, ან მანაც გამოიყენება იმ დროს მისი რეპუტაციისთვის ნაწილობრივ არაბულენოვანი იქნებოდა, ამიტომ მისი ცნობების არეწყვეს ტანუსის მიხედვით... პონტოს ქალაქულებით ზოგადად მოეთითებს მის წარმოშობაზე".[1]

ზუსტი განვმარტეთ, რომ „პონტოელობა" არ არის მეტი არგუმენტი ბასილის ქართველად გამოცხადებისათვის, ვინაიდან შემთხვევაში, იქნება მაინც ვიღაც თუთო „პონტოელობის" შესაძლო ვარიანტი თავისებურებით სათაობით არ იქნება დაკონკრეტებული. მართლ იმის თქმა, რომ პონტოში სხვებთან ერთად (ბერძენი, ბიზანტიელი) ქართველი ტომები ცხოვრობდნენ, საჭიროება არ არის.

„პონტოელობის" ამ შინაარსით, როგორც ეს ე. ხინთიბიძის წიგნშია წარმოდგენილი, არ ამტკიცებს არც ერთ მიმართებს მკვეთრი მთლიანად, არც პონტოელთა ენობრივ განსხვავებულობაზე, რაც იქნებოდა საფუძველი მათ ქართველებად მიჩნევისათვის.

ეს ამოსავალი გაუგებრობა ჩვენ შრომებში.

მარკელინუსის ხელნაწერში წერ დადგენილია, რომ „პონტის ზღვის იყო კაბადოკიის ნაწილი",[2] რაც ილუსტრირებულია სტრაბონის ცნობით, რომ მკვლევრებმა, რომლებიც დიდ ეკლესიას კაბადოკიის: „მეჭმნეს, სამეფოები... ერთ ნაწილს უწოდეს სიფრთოვ კაბადოკია, ხოლო მეორე დიდი კაბადოკია — მეორეს — პონტოს ან პონტოს კაბადოკია".[3]

ასევე ერთის, სტრაბონი მოგვცა (ირაგე) კაბადოკიის მოსახლეობას ერთიან კერძო ელემენტად მიიჩნევს.[4]

ჩვენ მეორე შრომაში, წყაროები რა სამოღვაწეო როგორც ასტორიული პარკელწყაროთა ცნობები, ისე ცნობილი მამათა და ცნობილი ნაკვეთური ინტერპრეტაციები, დავასკვენით, რომ „ცნობილი მამათა სამშობლო უწრის მხარს ამ კონცეფციის, რომელიც ძველ სისტემით წყაროთა მონაცემებზეა აღმოცენებული და რომლის მიხედვითაც, ძველი კაბადოკია და პონტოს ტერიტორია ძირითადად დასახლებული იყო ეთნიკურად ერთიანი ქართველი და ქართველური ტომებით".[5]

ხოლო მეორე გვერდზე: „სამოღვაწეო მხარეთან დაკავშირებით, როგორც ამას წყაროებიდან მიგვანიშნეს მეტი სამი არგუმენტს, რომ ყველა კაბადოკიის და პონტოს მოსახლეობის ეროვნულობა მხოლოდ ქართველი და ქართველური ტომები შეადგენდნენ".[1]

შემთხვევაში, დადასტურებულია „პონტოელთა" და „კაბადოკიელთა" ეთნიკურ-ტერიტორიული იგივეობა. „კაბადოკიელები", როგორც ეს დადგენილია, მცხეთი არიან; პონტოელნიც იგივენი უნდა იყვნენ „კაბადოკიელობა" ტერმინის — ეგეს-ქართველობის მიუთითებდა, „პონტოელობასაც" ასეთივე შინაარსი აქვს და, როგორც „კაბადოკიელს", ავამ სპეციფიკური განმარტება (დამატება), რომ იგი ქართველს (მეგსხ) ეკუთვნოდა, ასევე იყო „პონტოელიც" — იგი აღნიშნავდა ქართველს და ქვეყნ დამატება, რომ ქართველზე იყო საუბარი, საჭირო არ იყო, ეს ტაბტოლოგია გამოვიდოდა იმ დროისთვის. მკვლევრ. საფიქრს გარეულება იმაში, რომ პირველწყაროებში ბასილის ქართველობა აღნიშნული არ არის, სრულებით ბუნებრივი. მით უმეტეს, რომ ბასილი ისტორიაში უპირატესად კაბადოკიელად არის ცნობილი, ხოლო კაბადოკიურ-მესხ-ქართველის იგივეობაში თვით ე. ხინთიბიძესაც არ ეპარება ეჭვი.

ამგვარად, ბასილის ქართველობაზე მითითება იმთავითვე მოცემულია და ამ მხრივ საჭირბოროტო არაფერია.

იმისათვის, არ შეიძლება გაუგებრობა არ გამოვიწვიოთ, ისიც ვთქვა, რომ ე. ხინთიბიძე სავსებით უზრუნველყოფს პირველწყაროების შესწავლის ღირსებას, რაც მის პრობლემის ირგვლივ მუშაობაში დამსახურებელი სიახლეებში გამოიყენება. ამდენ მოსაზრების მრავალმხრივ იმასათვის, რომ ეთნიკურობა სხვის მიერ გაცვლილების, როგორც თავისი წიგნის ერთ ადგილას ამბობს, ხელოვნურად არსებობდა არგუმენტაცია.

მაგრამ, გარდა ამისა, რომ ბასილის ქართველობის თეზა ე. ხინთიბიძის მიერ სრულიად შეუდარებელი შემთხვევებში საფუძველზე, იგი შეიცავს მაჩვენებს თვისების ქართველი სამეფოის ნაპირობრიულობის ზეგავლენ, რომელსაც ე. ხინთიბიძე ერთგვარ დამკვიდრებულად მიიჩნევს, რომ მის შინაურში სტრუქტურად ლიტერატურით თავდაპირველად ამ სამეფოს ჩამოყალიბება.

ე. ხინთიბიძის თეზისს მე დაუეჭვებლობის უწყვეტი მამათა და მოსაზრებები, ძირითადად ზეპირ მეწყრში ჩამოყალიბებული. აქ მე ცნობილი, რომ არც ქართველი სამეფოთ იყო ჩამოყალიბებული (რის დასამტკიცებლად „ქვემოთ მიუთითებული არგუმენტაცია" მოგვცემს ე. ხინთიბიძეს ათიოდათი მამათა არ მოიძიეს და მხოლოდ სიტყვათა სიტყვიერი გამოკვლევებით შემოქმედებითი მეცნიერული არგუ-


[1] ე. ხინთიბიძე, ბასილ დიდის საეკლესიოპოლიტიკის საქართველოს სხვა მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 3, 1962 წ. გვ. 125—151.

[2] ბ. გოზალიშვილი, მეთოდიკა პონტოელი. თბილისი. 1965 წ. გვ. 216.

[3] გ. გოზალიშვილი, იქვე. პონტოს კაბადოკია ნოშესენებულია ოგოროფის თოთოზიესთან 1, 15.1.

[4] სტრაბონი, XII, 3, 1.

[5] ბ. გოზალიშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაბადოკიის წარსულიდან. თბ. 1965, გვ. 101.

[1] იქვე. გვ. 202.

შინაარსის ახლოს და არც ქრისტიანული სამყაროსათვის იყო სათაური. მესვეურთა შეხედულებას, რომელიც უნდა ტოლს წარმოადგენდნენ“. მათ უმეტესს, ზედმეტი ლაპარაკი ახაში, რომ ქრისტიანულ მოღვაწეებს, ვითომცა, საეკლესიო მოძღვართ თავიანთი ეროვნული ენების გამოყენებისა... რათა კაროგის არ წაუხდინათ...

ჩემი მასალა-მონაცემებით მოყვანილია ჩემი წიგნის „ორი ვეფხვი“ 68—83 გვერდებზე, რის გამოთვალისწინებელიც ვ. ხინთიბაძეს არ შეიტანია რაიმე მოსაზრება მასალა და ასევე დაცონფილი აცხადებს: „რა თქმა უნდა, გრიგოლ ნაზიანზელი და გრიგოლ ნოსელი ბიზანტიურ ეკლესიასთან მოღვაწეობენ და იქიდან მასალის ერთვებოდა იმ ტომის ცხოვრება, რომელიც ბიზანტიელთა მეურნეობა „ბარბაროსებად“ და „უღმერთოებად“ კი თვლიდა“.[1]

ვ. ხინთიბაძემ, რაღაც ლეგენდისაგან, გვერდი აუხვია ევოლუციის და მოიტანა ის მოსაზრება ცნობა, რომ ჩვენ წინა მოთავეებს იმაზე, რომ ქრისტიანული სამყარო არ შეიძლება გადაუწყდა, წარმართული, ითვლება, რომ მას შეეძლოს საეკლესიო მოძღვართ უბრძანა, რომ ისინი ქართველები არიან, — „არ უნდა იყოს სარწმუნო“, რამდენადაც, ამის განსაზღვრული, ვითომცა, მთელი მასალა გრიგოლ ნოსელის, გრიგოლ ნაზიანზელისა და მათი თანამედროვეების საქმეებს, ხოლო ამით სახელებს — მისი თქმით, — ის უნდა და ნიჭიადი ქრის კილვე არა აქვთ, რაც მათ უფრო მოღვაწეებით შეიძინეს“ (გვ. 90).

დიდ ქართველურ მოღვაწეთა საქმიანობა-სამყაროს საეკლესიო მოძღვრება ჩემი მსჯელობის მხილება სრულიად უმნიშვნელო ხაზით წარმოადგენს, იმ არსებითი ხასიათის მასალისთან შედარებით, რომელიც ვ. ხინთიბაძე ჩემს არ იღებს ამას გარდა, მასალის მოყვანილ ჩემს ნაშრომებში არ იქნებოდა, არამედ მაშინ, როდესაც მას თავისი ცნობიერებისა და მოღვაწეობის გზა განვლილი ჰქონდა და მისი საქმიანობა უკვე საქვეყნოდ იყო ცნობილი, როცა იგი იყო ცნობილი ეპისკოპოსად ნაკურთხი, რომელიც იმავე ეროვნ იყო შეიძლება მეორე ახალი ქრისტიანული ეკლესიის და ქორეპისკოპოსი რომ შეიძლება მის საქმეებს (გამართავს).

მაგრამ განა ჩვენს ბასილის, თავის საეპისკოპოსო ჩანაწერში უკვე არა ჩვენთვის უცნობი ავტორიტეტი, რომ მის ნაწერთა თავისი ეპისკოპოსი ტრადიციული ანტიფონის ნაწარმოების ბერძნულ ენაზე თარგმნის არ გადმოთარგმნა, და განა მისმა სახელმა და ბიზანტიურობამ არ გამოიწვია ის, რომ მერე ამის სპეციალისტად შეიქნა?

განა გრიგოლ ნაზიანზელს უკვე არა ჰქონდა მოპოვებული სახელი სიმართლის, როცა 381 წ. კონსტანტინოპოლში მსოფლიო საეკლესიო კრების ხელმძღვანელობა ხელთ ეპყრა წლით და აშკარად კრების იყო მსოფლიო პატრიარქობის მიზნით, ხოლო უფრო ადრე 379 წ. ბიზანტიის იმპერატორის ინიციატივით, იგი საეკლესიო მიიწვიეს კონსტანტინოპოლში, რათა იქ შეემუშავა ქრისტიანობის მეთოდი შესამამოვა?

განა მის თანამედროვეს უკვე არა ჰქონდა მოპოვებული გავლენა და ავტორიტეტი, რომლითაც ბიზანტიის საზოგადო კარზე და პოლიტიკურ სარბიელზე დიდი წარმატებისა და მეტროპოლიტი მეგობრების აღიარებული. ალექსანდრე კი იქ დარჩენილიყო და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი, რომ მის თავის მოქალაქეობაზე ბევრს ასეთი სახელმწიფოებრივი აღმოჩნდა?

განა 381 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებამ ნიკეის მრწამსი კრების მიერ აღიარებულ რწმენის სიმბოლოს დამატებამ არ მიიღო რა მიზეზით ახალი მუხლი, ე. უკვე ძველი ოქმით — უმთავრესად აღმოსავლეთის ეპისკოპოსების ერთიანობის წარმომადგენლის, სახელობით, გრიგოლ ნოსელის — ავტორიტეტის წყალობით“ — (1.54 წ.).

ხოლო ეს მოღვაწეების დამსახურებით, გრიგოლ ნოსელი იყო „ეკლესიის მამათა მამა“, მისი ღრმა ლიტერატურული წარმონაქმნები და რომ მის ნაშრომებს შეუძლიათ ბიზანტიური მწვერვალის და ლიტერატურის მაღალ მიუწვდომელ მწვერვალზე“.

გრიგოლ ნოსელი 381 წლისათვის აღიარებული იყო „ეკლესიის სვეტად მიჩნეული“, ხოლო ამავე წელს იმპერატორის მიერ მეტად იმის ეკლესიის საქმეების გამგებლად და ქრისტიანული მართლმადიდებლური ლიტერატურის ავტორიტეტი.

ხოლო რაღა ითქმის მათ უფროსის თაობაზე?

ბასილის მამა ხათაურში უკვე რიტორიკულ (ლათინურ) სკოლას, სახელი ჰქონდა მოხვეჭილი თვით გრიგოლ ნაზიანზელის მამას, გრიგოლ ... და მოელ სხვას, რომელთაც შესახებაც ლაპარაკია ჩემს წიგნში და რომელსაც ვ. ხინთიბაძე იუწყება

---

[1] ვ. ხინთიბაძე, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, გვ. 91.

ნი კი კაპადოკიის მთავარი ქალაქი კესარია ცნობილია წარმომადგენელი პერსონებით (მის-ზეობის) სამეფოს ადგილებით.

მაგრამ კესარია მაინც ისტორიის მანძილზე იყო იმგვარივე დიდი კულტურული ცენტრი.

ჩვენი საუკუნის დიდი მკვლევარი თ. მომზენი კაპადოკიაზე ამბობს: „კაპადოკიის დედაქალაქი კესარია, ძველი მაზაკა, რომელიც წარმოადგენდა გადამცემ პუნქტს მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე, დასავლეთ სანაპიროს ნავსადგურებს ევფრატის მხარეებთან რომ აკავშირებდა, და რომელიც ჯერ კიდევ წარმოადგენდა მცირე აზიის ერთ ყველაზე აყვავებულ სავაჭრო ქალაქს და რჩებოდა იგი ასეთ დღემდე, ბიზანტიის ეპოქიდანვე ახლად გამოჩნდა მიმოსვლის იმპერიის ზოგადი“ (გვ. 30—40).

თ. მომზენისავე თქმით, 259—260 წწ. კესარიაში 400.000 მცხოვრები იყო.

ბერძნულ ნაპირებზე კი ღვთაებრივი წმინდა ქალაქის კესარიის ხსენებაც გვხვდება.

იგი ბასილიზე ამბობს, რომ მან დაასრულა ის ცოდნის მიღება, რის მიღებაც შეიძლო სამშობლოში და მერე გაემგზავრა „კესარიაში, იმავე სახელწოდების შესანიშნავ ქალაქში, რომელიც განათლებისა და ცოდნის დედაქალაქი (როგორც იგი ამბობდა სწავლულებსა და მეგობრებს), რომელსაც შეიძლება, ისევე მეცნიერების ქალაქი, რომელიც მეტროპოლია მისი დიდება და მის გამგებლობაში მყოფი ქალაქებისა: ვიცით რომ მან წარიტაცა პირველობა მეცნიერებაში, ისევე მას წარმოადგენს მის ხელოვნებას, როგორც სხვა ქალაქები ამშვენებდნენ ამით სხვა საქმეებით, რომლითაც ზოგი ძველი, ზოგი ახალი, რამდენიც შეიძლება ყველა ადამიანს, ამ ნაწილს ლიტერატურის, ამ ქალაქის გამგებლობაში მყოფი მეცნიერება, როგორც წარმოშობის ადგილი ამ მთავრობის სამეფოს“ (გვ. 40—41).

თვით ბასილი თავის წერილში დიდ ოსტატ კესარიაზე ამბობს, რომ ათენიდან სამშობლოში დაბრუნებისთანავე, მან კონსტანტინოპოლში ეწვია სოფისტიკოს ვაიანს, რომელიც მაშინ კესარიაში კითხულობდა მჭევრმეტყველების ხელოვნებას, ე. ი. კესარიიდან (გვ. 33).

ცნობილი ისტორიკოსი მკვლევარის ე. ფარრის თქმით, ქალაქი კესარია „ცნობილია თავის დიდი ბიბლიოთეკით, სადაც სწავლობდნენ კესარიის გარეთაც. ქრისტიანული ქალაქი 400.000 მცხოვრებით და სავაჭრო ცენტრად რომაული კულტურის და ცივილიზაციის გზაზე იყო ყველაზე აყვავებული ცენტრი“ (გვ. 41).

კესარია იყო მნიშვნელოვანი ქრისტიანულ-სამეცნიერო ცენტრი — მეტროპოლია, მას ექვემდებარებოდა IV საუკუნეში 50 საეპისკოპოსო იყო.

ამგვარად, კესარია ისტორიის მანძილზე ასრულებდა მთელი ეროვნული ცნობილი ცენტრის როლს.

ალბათ, ე. ხონთაძეც იმიტომ ხომ აღარ ასკვნის, რომ ქ. კესარია ამ სახით და შინაარსით, როგორც მის ზემოთავსებულ დასახელებაში მივუთითეთ, წარმომადგენლობა ირანის დაპყრობის განმავლობაში და, რაც მთავარია, ადგილობრივი ელემენტის (კაპადოკიელის) მაღალგანვითარებული ცხოვრების გარეშე კესარია მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელიც ქრისტიან ტომთა მოღვაწეობისთვის მნიშვნელობის მქონე ისტორიის სხვადასხვა პერიოდში.

კაპადოკიის ვრცელი წყაროდან და კესარიის კულტურის ბუდიდან არის გამოსული მრავალრიცხოვანი სახელოვანი მოღვაწენი, რომლებიცაც ცნობა სამოღვაწეო ასპარეზით მთელი ცოდნის იცნობს.

მაგრამ სხვა უფრო თვალსაჩინო მასალა ცნობილი ისტორიკოსი ე. ხონთაძისას მიერ დასახელებულ წარმოდგენილ ფაქტებს ქრისტიან ტომთა სამონასტროების შესახებ.

როგორც ზემოთ უკვე იყო მოხსენიებული, ქ. კესარიაში არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი — რიტორიკული სკოლა, რომელსაც სახელი ჰქონდა მთელი კესარიის მასშტაბით.

ამ სასწავლებელში, რომელიც შეიძლება, მაგალითად, ყოფილა ათენისდარი (მოსწავლეები) ახალგაზრდობისათვის იყო განკუთვნილი, სწავლა-განათლების მისაღებად მიდიოდნენ ახალგაზრდები მეზობელი ქვეყნებიდან.

სომხეთის განმანათლებლის გრიგოლის (რომელიც აგრეთვე კესარიაში განსწავლულ და სულიერად ბასილი კესარიელისაგან მიიღო) შესახებ ნათქვამია, რომელიც სომხეთის მოციქულად იქნა არჩეული, დავიწყოთ ბიზანტიის გადმოცემა, რომ: ...С отроческих лет он воспитывался и учился в Гамирке, в городе Кесарии под руководством преданных учителей...[1]

სხვა კაპადოკიელი მამებს შორის ასევე კესარიის სხვა ფილოსოფოსებმა და ცნობილმა მეცნიერებმა მიიღეს განათლება, მაგალითად, მკვლევარის ნაშრომი, რომ IV საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი მაგალითად იქ სწავლობდა ფილოსოფიას, სადაც კი ერთი „ქრისტიანი მეგობარი სამყაროს“ კაპადოკიელი იყო ცნობილი (გვ. 33).

როგორც ჩანს წიგნში „რიტორიკის“ ავ-

[1] История Армении Фавстоса Бузанда. Перевод с древнеармянского и комментарии Геворгяна. Ереван, 1953, გვ. 57, წ. IV, თ. III.

და გარდაქმნილი, პოზიტიურ-ფილოსოფიური ტენდენციით განვითარებული იყო კლასიკური საბერძნეთიდან, ხოლო, ავტორის, IV საუკუნეში არსებობდა ელინისტური რიტორიკული სკოლა, რომელზეც ჰ. კოჰენბერგი ამბობს: „IV საუკუნის შუა წლებში კლასიკური ფორმის მიბაძვით, არსებული რიტორიკული განათლების ცენტრი, სადაც განათლების ელემენტებთან ბიზანტიური საქმეების მიეწოდებოდა აღიზარდნენ“ (გვ. 42).

ამ სკოლაში მოღვაწე გამოჩენილ, სწავლობდა შორის, ბიზანტიელ რიტორისა და ფილოსოფოსის თემისტიოსის (დაახლ. 317—388) და მის „შინაური თქმანის, რომელიც განიხილება მისწავლეობის იყო ფილოსოფიური კონსტანტინოპოლში“ (იქვე).

ავტორისის აზრით, კლასიკური სკოლის მოძღვარი „პაიდეიას“ არის, თუ როგორ გაიწრთვნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ჩამოყალიბდა ეთიკური იდეალები“ (იქვე).

როგორც ითქვა, კაპადოკიელ და კლასიკური ტენდენციის ურთიერთ იყო, ამ ეპოქის ევროპულ ქრისტიან სამყაროში ამ ეპოქისათვის ორი უმაღლესი სკოლა არსებობდა ისეთი უმაღლესი მოღვაწეები, რომელთაც სიმბოლოდ აღიარებდნენ ყველა ქვეყნის შვილი, ისეთი რომ თავის სამშობლოში რომ ჩამოყალიბდა.

ამ სამყაროს წიაღში კლასიკური დიდ მოხიბლა კიდევ ერთ საუკუნეების მანძილზე: მოაზროვნე ავტორის ისეთი დიდი მოღვაწეობისთვის, რომელმაც ძველი სამყაროს კულტურულ განვითარების ახალი გზა შექმნა — ქრისტიანობისათვის იდეები და ესთეტიკური სისტემები შეიმუშავეს ბიზანტიელი მოძღვრების არსებობისას არ მიუღია, რამდენიც კაპადოკიელ. დღესაც საქვეყნოდ ცნობილ კაპადოკიელ სახელთან მოღვაწეობა ბერძნულ. ბიზანტიაში ბევრის თაყვანისცემის კულტი არა ერთი ოფიციალური პირისა, რომელთაც სახელებიც ყოველდღიურ ლიტურგიკულ წრეებში ქებულებში და რომელნიც გამოდიოდნენ ყველა.

კაპადოკიელი მამების ლიტერატურა ბერძნულ ენაზე დაიწერა კაპადოკიელ სხვადასხვა ავტორისა, რომელთა შინაარსს მიიღება ცოცხლად წიგნის მეშვეობით ეცნობა. ავტორის თავის წიგნში ნათქვამი აქვს, რომ, თუ სხვა ქვეყნებს შეეძლოთ ამაყად ეთქვა, რომ მათი წიაღიდან გამოსული არიან საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები თავისი — ეგვიპტიდან, ათენიდან, — სირიიდან, ამბოისი — იტალიიდან, ავგუსტინე — აფრიკიდან — „კაპადოკიას ცინი ბრწყინავს შვიდი მთიებით: ფირმილიანე, გრიგოლ თავმატურგი, ლეონტი, ბასილი, ორივე გრიგოლი და ამფილოქე იკონიელი“ (გვ. 37).

ხოლო ზემოთ უკვე მოხსენიებული ტ. ფერარი ამბობს: „ოდეს კაპადოკიაში ბრწყინავდა იგი ასეთი სახელები, როგორც ბასილი დიდისა და გრიგოლ ღვთისმეტყველისა, თუმცა ამ შორეულ იყო ოქროება, რომლებიც შეუქლიათ ქამაგნის ისეთი ლექსებით, როგორიც იყვნენ ემბლემი და ნიჭი ისეთი ასლებით, როგორიც ბოლოს და გარეგნობა, ისეთი ძმებით, როგორიც ბასილი დიდი და გრიგოლ ნოსელი, კესარიისა და გრიგოლ ნაზიანზელი, რასაკვირველია, ეს ის ქვეყანა იქნებოდა, რომელსაც ადვილად შეეძლო თავისი სამშობლოში“ (გვ. 36—37).

როგორც ვხედავთ, კაპადოკიელი მოღვაწეებისათვის, რომლებიც თვითონ იყვნენ უდიდესი ლიტერატურის მოწინავენი, არა თუ საოცრება და დასამალი არ უნდა ყოფილიყო მათი ეროვნული კუთვნილება, როგორც ჩვენ ამას უზუსტესად მიუთითებს ე. ხინთიბაძე, არამედ, პირიქით, ყველაფერში სურს აჩვენოს, რათა მათ ამით იამაყონ.

დადგენილი, რომ მეგრელები და ქართველი სამყაროს განვითარების ერთი ერთადერთი უშუალოდ ნაწილია არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ შევსწავლოთ, რომ მეგრელები ეგრისის წარმომადგენელი იყვნენ ქართველი და — მარტის იყო სხვადასხვა და მას შეუძლებელი ასეთ გზით, თავისი წარმომავლობა ნათლად გამოიყენოს.

ძველი ქართული სამყარო არც IV საუკუნეში, არც მანამდე ვიწრო და არც შემდეგ არასოდეს ყოფილა ისეთ საკვლევი მდგომარეობაში, რომ ის სამართლიანად მონაწილეობდეს ამ შენობისა და ამ გარემოს.

ამასთანავე, ამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი უნდა აღინიშნოს.

ე. ხინთიბაძემ წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის ქრისტიანული ეკლესიისათვის სათაყვანო და საერთაშორისო კულტურის არაჩვეულებრივი ე. წ. „ბიზანტიელი“ საქართველოდან გამოსულ მოღვაწეთა ეკლესიის მესვეურებად აღიარება.

ჩვენ წიგნში, სხვა მასალასთან ერთად, მოტანილია ავტორი საბერძნეთიდან, სადაც გამოქვეყნდა მოწოდება, რომ უნდა გაიმართოს სპეციალური კვლევა ერთობლივი და სრულიად ჩვეულებრივი და ეს იყო ამ ქართველთა ეკლესიის უდიდესი მოღვაწეობა და ბიზანტიის, რასაც კი ქრისტიანობის ჰქონდა — ყველა ერთიანობის თანამედროვე ტოლერანტობა უნდა აქვნეს მინიჭებული (გვ. 70-71).

რომ, მართალია, ქრისტიანული მოღვაწის ერთგულება არ სჭირდება წარმოშობის ახალი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ამას ვეროვნულობის არ გაუთვალისწინება დაუშვა, რომ სამოქალაქო აღიარებულ მოღვაწე ეკლესიის მნიშვნელოვან ნაწილია ბერძენი თავისის არც ერთი არ იყო.

აი, ამ მხრივ რა სურათს ვხედავთ ბასილი დიდისა, გრიგოლ ნოსელისა და გრიგოლ

ნისულნ გარეშე, რომელნიც ქართული საეკლესიო [illegible], ბევრი დაიბეჭდებოდა![1]

ეგნატე ანტიოქიელი (ღმერთშემოსილი) — [illegible], რომ ყოველი მისი იყო.

წმ. პოლიკარპე (სმირნელი ეპისკოპოსი), [illegible] მოწაფე იყო, [illegible] წამებით, ცნობილი არ არის. დაახ. [illegible] 70 წ.

წმ. ირინეოსი — არ არის ცნობილი, ბერძენი იყო, [illegible] დაახ. [illegible] 120—125 წელს [illegible].

წმ. იუსტინე — სამარიტელი და წარმართი იყო (II საუკ. შუაში).

ბერძენთაგან [illegible] წარმართულ [illegible], და წარმართობაში იყვნენ.

წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი, დაახ. 200 წ. [illegible], წარმართი [illegible]. 46 წლის [illegible] წარმართი იყო.

ტერტულიანე [illegible] — [illegible] არ არის [illegible] 155 წელს [illegible], რომელიც [illegible], წარმართი [illegible].

ორიგენე — ალექსანდრიაში დაიბადა 185 წელს [illegible] არ არის ცნობილი, [illegible] იყო [illegible].

[illegible]

წმ. ილარი პიქტავიელი — [illegible].

[illegible] 336 წ. [illegible] წარმართი [illegible].

გრიგოლ [illegible], [illegible] 221 წ. [illegible] წარმართი [illegible].

ამბროსი მედიოლანელი რომაელი [illegible] არის.

ნეტარი იერონიმე (IV საუკ.) [illegible] საეკლესიოდან არის.

ნეტარი ავგუსტინე — [illegible] 354 წ. [illegible], წარმართი იყო, [illegible] ქრისტიანი.

იოანე ოქროპირი — 347 წ. დაახ., ანტიოქიაში.

[illegible] 11-IV საუკუნეების [illegible]

[illegible], რომელიც ე. წ. [illegible] იყო ქრისტიანული [illegible] და წარმართული [illegible], [illegible] ბრძოლა [illegible], რათა [illegible] საეკლესიო [illegible] „[illegible]".

[illegible] რომ ე. [illegible] არ არის [illegible]. რომ:

1. [illegible] გადმოცემით [illegible] და [illegible] „[illegible]" [illegible] საეკლესიოში [illegible].

2. ე. [illegible] „[illegible]" [illegible], რომ [illegible] „[illegible]" [illegible] (ქართველების) [illegible] მიუწვდომელია.

3. ე. [illegible] და [illegible].

4. ე. [illegible] საეკლესიო და ქართული [illegible], რომ [illegible] ე. [illegible].

5. [illegible] ე. **[illegible] IV საუკუნეში**, რომ [illegible] ქრისტიანული [illegible] წარმართული [illegible].

6. [illegible] ე. [illegible] IV საუკუნეში [illegible] და [illegible].

[1] [illegible]: Ф. Фаррар, Жизнь и труды святых отцов и учителей церкви. Перевод с английского А. П. Лопухина.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიბო ლომაშვილი

# „ესე ამბავი სპარსული..."

მეტად ძნელია კაცმა მოიაზროს, [illegible] რომ ჩვენი ერი, ქართველი ხალხი [illegible]

[illegible]

[illegible] „ვეფხისტყაოსნის" [illegible]

1970 წლის 15 სექტემბერს [illegible] „ვეფხისტყაოსნის" [illegible] „მნათობი" № 4, 1970 წლის [illegible]

[illegible] რომ [illegible] ამბავი [illegible] სპარსული [illegible] „ვეფხისტყაოსნის" [illegible]

[illegible] „ვეფხისტყაოსნის" [illegible]

1967 წელს [illegible] 1903 წელს [illegible]

ზოის და ოცნების ნაზავილი სილამით. უამრავ მოთხრობები ზღაპრული თუ რომანტული, ტრიოლოგიისა და აკვიარულისებური საგმირო საქმეები, რომლებიც მიჩქმალულები იყო მთელ ლიტერატურაში და ნანგრევ დიდ ომამდე და რომლებიც დიდის სისწრაფით ვრცელდებოდა მთელ მსოფლიო ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, გადმოცემული და ჩაბეჭდილი ასეთ გამოცემებში, სათაურებით და სიხლამირ ქუჩებში, როგორიც უნდა ყოფილიყო თავისი ფორმის საქართველო, რომლის კულტურული ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპარსეთთან...[1] ამ დეტალებში ბევრი რამ საინტერესოა. მაგრამ ეს ჩვენ უნდოდა, რომ აქ არ არის ელიტარული კულტურის უგულებელყოფა. პირიქით, აქ გაზვიადებულია ელიტარული და ვერ ხედავენ [illegible] კულტურის გავლენა ქართველებზე; აქედან ვიწყებ [illegible] თქვენ თვით [illegible] საქართველოში. მისი [illegible] და [illegible] სპარსეთის ან არაბების წვლილი ყოფილა?

ლეგენდა როგორიც ჩანს, [illegible] ქვეყნის ქართული კულტურის ელიტარულისა და მასობრივის ხარისხის წარმოდგენას. ბევრის ჭრილში არის [illegible] სხვადასხვა სფეროში კულტურის წარმოშობის, მისი ეროვნული, ავთენტიკური ხასიათისა და ხალხთა ურთიერთ კულტურული გავლენისა.

როგორც გაზეთის „ქართული კულტურა", ეს მხოლოდ ქართველი ხალხის კულტურაა, მისი შექმნილი ქართველი ხალხის და ამიტომაც აქვს მას ქართული, ასევე, ჩვენ არ ვიცით, რომ სპარსული ან არაბული კულტურის ჩვენი, ე. ი. ქართველების გავლენით შეიქმნა და რადიკალ სისხლში წარმოიდგინება, ხოლო სხვა საერთო სხვადასხვა ხალხთა კულტურების ურთიერთობისა და თანხვედრის [illegible] საკითხი.

[illegible] ხალხის, მეტადრე თუ დიდის, აქვს თავისი ეროვნული წესება, თავისი ენა და თავისი კულტურაც, არის ეროვნული კულტურის, არის აგრეთვე ზოგადსაკაცობრიო კულტურაც. მაგრამ ეს ზოგადსაკაცობრიო ანუ მსოფლიო კულტურა შედგება ყველა ეროვნული კულტურისაგან ცხადია, ეროვნული კულტურებს ბევრი რამ საერთო აქვთ. მაგრამ, როგორც ლიბერალი ეროვნულ კულტურებზე, შენიშნ მიწყებას კულტურებს [illegible], ე. ი. ეროვნულ მხარეზე თუ თავისებურებებზე, რაც ქართველებისა ხშირად ამ კონკრეტული ეროვნული კულტურისთვის, მისი შექმნილი ხალხისთვის.

[illegible], შოთა რუსთაველის სწორედ თავის

---

[1] [illegible] [illegible], „რუსთველოლოგიური ნარკვევები", 1967, გვ. 23-24.

მეტის დაკავებით დაწერა „ვეფხისტყაოსანი" და, როგორც გაჩვენა VI მიუთითებდა, ეს [illegible] ლიტერატურის თავის მეტის [illegible] სიბრძნე ჩვენ ტკბილ ლექსებში წერენი. ჩვენ რატომ არ უნდა შევქმნათ მსგავსი ნაწარმოებები. და წიგნ ქართველებს საარსებობდა და არაბებზე გვიჩვენეს ლექსის, ადამის ან ზღაპრის შეფხვნა და წერა? მაშ წიგნ ჩვენ უმდიდრესი ლიტერატურა, ხალხური [illegible] სხვა ხალხის გავლენით შექმნილი? ჩვენ სრულებით არ გვინდა დავამცროთ სპარსული ან სხვა რომელიმე ლიტერატურა ან ლიტერატურა მათი ენა. ჩვენი პოეტი მეფეებიც კი ელინმწიფეებენ სპარსული ენის მისაღებად, მაგრამ ქართული ენა არავის დაეწყება. წიგნ ქართული ენა თავისი გრამატიკული წყობით ბევრს სხვა რომელიმე ენას? ან ქართული ენა შექმნილია სხვა რომელიმე ხალხის მიერ ან მისი დამხმარებით? პირიქით, მე-10 საუკუნეში შეიქმნა „ქართული ენის ქება და დიდება". ჩვენი ქართული ანბანი ერთ-ერთი ულამაზესი და უძველესია მთელ მსოფლიოში, რაც არის ეფერებოდ ორიგინალური.

„ვეფხისტყაოსანის" მთელი შინაარსი სწორედ ამგარსახარეულია და ამბავიც და სიუჟეტიც თვით შოთა რუსთაველის მიერ არის „შაირები", ანუ მოგონილი, შეთხზული. შოთა რუსთაველმა კარგად იცოდა, რომ მეტად „ამოგიანოს" სიტყვის აღვივება და აღზრდა, თავიდანვე ასეთი დაგვირიგა ლიტერატურა რომ უნდოდა, ზარილი" ატეხილიყო მოვ-რობანი მისი პოემის ორიგინალობის თაობაზე, თუმცა უნდა თავის „ნაშთრაგების", „რომელ მარგალიტს" და თავის პოემაში ბევრგან მიუთითებს მისი შინაარსის ერთგულებისა და ორიგინალობაზე. ამას ჩვენ ქვემოთ დავამტკიცებთ თვით რუსთაველის პოემის მიმდევრებით.

ამ თემაზე არსებობს ვრცელი მასალა სტატიები, შრომები, რუსთველოლოგიური ლიტერატურა. მისი განხილვა აქ არ მიგვაჩნია საჭიროდ.

ბევრი მკვლევარი თუ მეცნიერი ამტკიცებდა „ვეფხისტყაოსანის", ასე ვთქვათ, „ორიგინალობის" ჩვენზე რამ აღმოაჩენენ, რაც არ არსებობს ამ წყაროებში! უნდა ითქვას კი ერთი რამ: ყველა ის მკვლევარი ვინც „ვეფხისტყაოსანის" ორიგინალობის საკითხს ეხებოდა, შეცდომას უშვებდა, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ თვით პოემის ავტორის სტრიქონებს ვერ შეიგრძნობდა თუ ვერ სწორად. ეს სტრიქონები გახლავთ მეცხრე („ესე ამბავი სპარსული...), მეშვიდე („აქამდის ამბავ ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი") და ბოლოს, თავსებადსახალთშე [illegible] („ვპოვე და [illegible] გარდავთქვენ ლექსად ცირქვილად").

მართალია, მკითხველი და დაკვირვება ამ სტრიქონებს და მის შინაარსს, ლიტერატურული ქართული (უფრო სწორად პოეზიის ენის **შინაარსის დეკლარირებული ვარიანტი**) ასე გამოდის, რომ პოეზია ყოფილა დოგმატიკური სხვა ენაზე (კერძოდ სპარსულად) და მის აჯობის ქართულად ვერსიფიკაციამდე ითქვა. ალბათ „აქამდე...“) „ამბავი ნათქვამი“ ყოფილა (ე. ი. პროზაული ნაწარმოები) და შოთას „ლექსად გარდათქმაში“, მართალიებმა გარდაქმნა გალექსეს.

მაგალი თოთუა იმასაც კი ამტკიცებს, თითქოს მე-5 სტროფი „მეხოტბენი **ბევრი** სპარსული თქმა ლექსისა ტკბილისა“ იმაზე მიუთითებს, რომ იმ დროს ქართული ენაზე არსებობდა სპარსულიდან ნათარგმნი პროზაული ნაწარმოები (ე. ი. „ვეფხისტყაოსანი“) და თვით მეფეს უბრძანებია შოთა რუსთაველისთვის მისი გალექსვა. თამარ მეფეს თურმე უბრძანებია **ერთი ცნობილი** „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების და არა სხვათა პერსონების სახელობით პოეზის დაწერა.

ასე, მკითხველო, დაფიქრდით: რა გამოდის ამით დებულებიდან? პოეზიის შინაარსი, მისი იდეები არ არის ქართული და არც ქართველის მიერ შექმნილი. პოეზი პროზაული ვარიანტის ქართულად მოთხრობა არსებობდა და ეს თურმე ვარიანტი ყოფილა ცნობილი თვით თამარ მეფისთვის, რომელმაც შოთასთვის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული ვარიანტის **მიცემით ლექსად გადაეკეთა** უბრძანებია.

ბატონ რობაქიძეს უფრო გავიგოთ მე-4 სტროფი „თამარ ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეულსა“ და მე-7 სტროფის მეხუთე ტაეპი: „ფერხთ რუსთველმან გალექსა მისთვის (ე. ი. ტარიელისთვის) ვარდ-ბროლ-სახე(ობ)ილო“? შოთა რუსთველმა თუ **მიიღო ლექსად** გარდათქმა სხვისი ნაწარმოები, სხვის მიერ შექმნილი პერსონაჟი (ტარიელი) რატომ უნდა ეწოდებინა მისთვის (ან სხვისი გმირისთვის) ბროლ-ლაჟვარდ-სახიანი? სად არის ლოგიკა!

რატომ იყო შოთა რუსთველი ტარიელისთვის ცრემლ-შეუშრობელი? ან როგორ გავუგოთ მე-8 სტროფის მეორე ტაეპი „ვინ მიჯნურისა ჭირი სჭირს, **მისთვის** უჭირდეს, მისთვის მიჯნური“?

საჭიროდ მივიჩნიე, გავიხსენო კიდევ ამ საკითხებში გამოთქმული მოსაზრებები[1].

**პირველი**. რას ნიშნავს „ესე **ამბავი სპარსული**“? შესაძლებელია, პოეზიის ავტორი, იმით ხაზს უსვამს იმას, რომ პოეზიის ამბავი (ფაბულა) და სიუჟეტი არის უცხო, არა სპარსული, ე. ი. არ არის ქართული, არც ქართული წარმოშობის, რომელიც კი არის მიმზიდველი ქვეყნებისა და მათ ხელმწიფეთა ამბავი, თავგადასავალი. „**ამბავი სპარსული**“ იმის კი არა ნიშნავს, რომ პოემა ან მოთხრობა თავიდან სპარსულ ენაზე არსებობდა. პოეტი პოემის დასასრულში ასე ამბობს: „ესე ამბავი უცხოთა უცხოთა ხელმწიფეთაი“-ო. არ ეს იგივე შინაარსის გამომხატველია, რომ ეს ამბავი არ არის ქართული, არამედ უცხო, სპარსული. ეს ნაწარმოები რომ ვინმე სპარსელის მიერ ყოფილიყო შექმნილი, რატომღა იქნებოდა პოემაში სპარსელების დამცირება და გაკიცხვა?

ვიქტორ VI, ქართველმა რუსთველოლოგმა, სამწუხაროდ გამოკვლია, რომ ეს ამბავი, არაბეთი (ფაბულა) და სიუჟეტი სპარსეთში არ არსებობდა. ალბათ, ვიქტორ VI ეძებდა რომელიმე ნაწარმოები შეიძლება არსებობდეს სპარსეთში და თითქოს ეს ამბავი გალექსვის შ. რუსთაველმა. მაგრამ მეცნ-პოეტმა და მეცნიერმა თავის „ვეფხისტყაოსნის“ დამკვირვებით განაცხადა, რომ შ. რუსთაველმა ამბავიც თვითონ გამოიგონა, შეთხზა, შექმნა და ლექსადაც მანვე გარდათქვა.

იმავე კილოში იწყებს მაგალითებს ვეფხისტყაოსნის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მე-9 სტროფში ნახსენები „ესე ამბავი სპარსული“... **პირველადი მნიშვნელობით** შეიძლება იქნეს გაგებული[1] ეს სიტყვები, ალბათ, მაგალი თოთუამ ბრძანებიდან არის მოტანილი. უფრო მეტიც, იმავ ძველი რამ წერია: „პოეტმა (ე. ი. შ. რუსთაველმა, ე. ი. თავისი შემოქმედებისა განცხადებით) გამოსცა, გალექსა არა უშუალოდ სპარსული ორიგინალი, **არამედ მისი ქართული პროზაული თარგმანი**, ან იგი „ხელოვნებისთვის ბრძანა“. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქართული მხატვრული პროზის ამ დროისათვის უმდიდრეს ტრადიცია ჰქონდა. არსებობდა, მაგალითად, **ასეთი სპარსული წარმოშობის პროზაული** ნაწარმოები „ვისრამიანი“.[2] „ვისრამიანი“ კი არის სპარსული **წარმოშობის** ნაწარმოები, მაგრამ სადაც და ან ვის მიერ დაწერილა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „ახალი“ სპარსული წარმოშობისაა? რით ასაბუთებს ამას პროფ. მაგალი თოთუა? სადღაც თუ ვინმეს, ან ეს არის! მაშ რატომღა ასახელა ქართული სინამდვილე ამ ხანაში? ან თვით მეფის ქება შეუძლია ნათქვამი როგორ უნდა გაიგოს? გამოდის, რომ ვიღაც სპარსელს, შოთაზე ადრე, სპარსულ ენაზე შეუქმნია ისეთი პროზაული ნაწარმოები, სადაც **ასახულია საქართველოში მიმდინარე ამბები, ფიგურები**. ის ვიღაცას ქართულად უთარგმნია, შ. რუს-

---

1 აქ საკითხზე იხილეთ ჩვენი წერილები, „ცისკარი“ № 5, 1967 წ. გვ. 83-91 და გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 29, 1968 წლის 26 ივლისი.

1 მაცნე, № 4, 1970 წ., გვ. 240. ხაზგასმა ჩვენია.

2 იქვე, გვ. 240. ხაზგასმა ჩვენია.

თვალს კი ლექსის გულწყვეტით! ეს არის სახეების ქაოსიდან დემონები, რომლებიც პროფესიონალი შექმნილი სიზმრისეული ან ვაჭრის და მხილველი ფანტაზიის ნაყოფია.

სად განაცხადა შ. რუსთაველმა, ან რით „მრავლისგან", რომ სპარსელი ლიტერატურის ქართული პრობლემა თარგმანი გავლენაა? ამაზე მეტი პრობლემა განა შეიძლება ვიწყვეთ, თუნდაც ქართული კულტურისა და ლიტერატურის მტერმაც კი, წაიკითხოს ჩვენს ვაილაზე უდიდესი და საოცნებელი პოეტი?

შეთხზულებაც ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენ არ ვცდილობთ ან დიდ ცოდნას მივაგნოთ ფაქტობრივ ნაკვალევს ამბავი, რისაც ნამდვილ არსებობა აქვს მხოლოდის სახეს ლიტერატურაში. არა, ეს სულ სხვა საკითხია. მართლაც, შ. რუსთაველმაც რომ იცის ფაქტი ამბავი, ისე უკეთეს სხვისი ფაქტი, და და უნდა მხატვრული ნაწარმოები, ამაში უნივერსალი არსებული ეფექტია. მაგრამ, როგორც ავტორი რომ არ მოიგონა და, განა იმ არა, „ვეფხისტყაოსანი" ავტორმა სხვის მიერ აქნებული ამბავი გალექსა, ეს არ არის მაგრამ რომ ის ფაქტი პროზაიკული სიუჟეტი. ეს რომ ასე მოხდარიყო, მაშინ უფრო რთული ქართული ხალხის ასე გადმოცემულიყო მოგვეს, სხვა ლიტერატურა და მით თავისი თავი ძნელეწი, რატომ გამოვა ეს პოემა „სასარგებლო ცხრა ტაბიკი" თუ მისი შინაარსი არ იყო ლექსი ქართული და მისი იდეები ასე მახლობელი ქართველი ხალხისათვის? რატომ „ვისრამიანი" ან სხვა რომელიმე (სპარსული) ნაწარმოები არ არის ისე საყვარელი, როგორც „ვეფხისტყაოსანი"?

ნუთუ მართლა ითვლება, თითქოს არ ჩაფიქრებულა ის საკითხი, თუ რატომ ილაპარაკეს პროფესორ ნიკო „ვეფხისტყაოსანი" მაინც? რატომ იციდნენ ასეთი რამე და განა ვერ დაინახა ეს, ნუთუ მართლა განზრახვა, რომ „ვეფხისტყაოსანი" დიდად სპარსელ უნდა სიტყვა შეხვედრა და შეიძლება აღმოჩნდეს? ყველა-ეჭვებული ადმოსავლეთმცოდნეები არ იყო. მაგრამ ცნობილი იყო ლიტერატურა, რომ შ. რუსთაველის პოემა ლიტერატურის და ფილოსოფიის ძეგლის გარდა ქართველისა ფიქრებისა და ფერების ენის აღმოჩენა. ლოგიკა, განა ილიამ არ იცოდა პატრიოტიზმი თავისუფლების და სხვა ხალხის მიუხედავად? მაგრამ, აი რას წერდა ილია ისევ: „რუსთველს აქვს ნიჭი ერის ენაზე ყველაფერი, ცხოვრებისეულ შესაძლებლობა წმინდა წმინდა. რომელიმე შეიძლება წარმოედგინა ყოფილიყო შესახებ და შესახებ" და აქვე აღიარებდა რა წიგნი მისის ფილოსოფიის ფილოსოფიის იყო მაშინ დრო აზროვნება „ბ-მა მიიმა ციცისით იყოს —

რა ვანმია ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი", — ვერ ვიტყვი, — რა ბედნიერი იგი ჩვენის ლიტერატურის ნებისათვის, ქვეყნის ხსნის ... მაშინაც, თუ თავში დასაცავი უნდა ... ენა, უკეთესი იქნება ამბავი ... ... შემოქმედების ...-სიმბოლო ... სასულიერო და თავმოწონებისა"

აქვე წერილში კი წერდა: „...ის ამბავი სხვა რასულები არ არის გადმოცემული, არ ...ის არის რა და მოთხრობაში ... მხოლოდ გადაჭრილი სიტყვიერების სხვადასხვა კუთხეებია; სადღაც ქართველი ტომები, და პოეზიის გზითაც მათი წარმოსადგენლობა ამის იმით ზედ, ჩვეულება, ზნეები და ცხოვრების წესწყობილება ყოფილ-ქვეყნის"-ი.

ხოლო აი რას ამბობდა ვაჟა: „ქართველობას ვერ არ უნდა ვუწოდოთ იმაზე, რომ „ვეფხისტყაოსნის" არაკი ნამდვილი ამბავია, მომხდარი, სპარსეთში: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი და სხვა და სხვა იმისთანა პირები არიან გამოგონებულნი სახელებით".

მაშასადამე, ეს ხელოვნურიწერებს „ვეფხისტყაოსნის" ისტორიული ჭეშმარიტება, რომელიც არ მიიღო წერტილი ... ნარკვევებში განხილულები ... შემოქმედება არ ... რომ შ. რუსთაველი თავისი შეძლებს მიხედვით და სიმბოლური თავისი პოეზია.

შოთა. ... გაიგონეთ, რას ნიშნავს ... „შოთა", რომელიც ... და მისი ... სიტყვა — „შოთა" ... ... და ... რომ ... ... მ. ა. პოეზიის შინაარსი უნდა გაიგოთ ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... მ. ა. შუა საუკუნეებში, პერიოდი.

ჩვენ როგორც (ლექსის) ვამბობთ — „სიტყვა ვერ „მიბაძვა" — ეს სიმბოლო სიტყვა ვერ მიბაძვით, ვერ მიმდევრობით, ე. ი. ვერ შემოიტანს. შუა საუკუნეების და შემდგომ „მიბაძვის" და „მიდევნების" თუ „გამოგონების" სახელები იყო. ამას ადასტურებს, მაგალითად, შემდეგი ადგილები ი. ჩიქოვანის „ამირან-დარეჯანიანი". 81-ე სტროფიდან (3): „ვინც მიბაძავს სიტყვით მიმდევრად ქებისა მოყვასი გვიან სულელი". ქებას შეხამხმულად, ქება მიმსგავსებულად (მიბაძვა) ძალა არ ეძლევა თუ სიტყვისას, რომელიც სულელს არა შიშვა.

ან აგრეთვე 84-ე სტროფიდან: „წერილი მიბაძვისა, თვისით მიმდევრის". ანდა 102-ე სტროფიდან: „პირველ წერამი და სიტყვანი

პოლემიკურსახე მიბაძვისწინ არა".

პროფ. ი. ლოლაშვილი, აბდულმესიანის კონტექსტებში მიუთითებს რა ტექსტის წყაროს,

1 შ. ოთიაშვილი, „პოეტი და ლიტერატურული სახელიდან", 1968, გვ. 23-24.

ამიტომაც კითხვა ამირეჯიბის „ხოხოლიძისა" კონა: ძველური საზოგადოების მიჩვეული ხალხი წერილის შეწყობა და რიცხვი, და სახიობა და საქმენი ქადაგებისა მოძღვრისა (ხრ., გვ. 24)."[1] ე. ი. ბერძნებისათვის „ბნელი შეუძლებია, მოლექსეა, განმოლექსეა, ეპიკოსი მოლაპარაკე".

ასევე XII-ე საუკუნეში „ეტიკეტი გარეგნული ან აღწერილი — ბრძოლა ქმნის წერილის მოლაპარაკენი".

კომენტარში აქ ლიტერატურული ჩვენი „1. ძველი ტრადიცია ანბანის გამოყენების მიზნის ფორმულირებაში. ბერძნულ თარგმნილი თხზულების სამეცნიეროდ ეს ქართულ ენობრივ ქართველებისათვის. ამირეჯიბის „ხოხოლიძისაში" აღნიშნავს „წერილი" განიკვლეთ „მოძღვრისა" (გვ. 24). „და წერილისა ჯადოსი-ზე ფილოსოფოსობისა ტექსტის ცოდნა მოძღვრებისა" (გვ. 31)[2].

„მოქმე" და მოძღვრება" რომ სინონიმებია ეს მრავალი მაგალითით შეიძლება დადასტურდეს ძველი ხელნაწერებიდან.[3] მაშასადამე, „ქმოდ" ან „ქმოდი" ნიშნავს „მეცნიერს", „მოძღვარს", „ფილოსოფოსს" და ა. შ. ძველად ამბობდნენ ასე: „რა ბრძენ, ლინე მოძღვართა ამ საქმისათვის", ე. ი. რა ბრძენი იყო ლინე „მოძღვარი", „ფილოსოფოსი".

ასტრონომია, მეხატრე — ბერი კენტავრი შეიძლება ხმარობს ასეთ გამოთქმას: „მოძღვარ ლინე ეპიკურიანი", ე. ი. ძველი სამეცნიერო ბრძენი მოძღვარი.

მეხამე რას ნიშნავს „ქართული ნათარგმნები"? რა მნიშვნელობა აქვს სიტყვა „თარგმანი" და „ნათარგმნები"?

ეს სიტყვა არ არის ქართული, ის სპარსული ენიდან შემოსულია არაბული წარმოშობის სიტყვაა. ვერც ბერძნული მნიშვნელობის, სიტყვა „თარგმანი" ნიშნავს, „განმარტებას", „განმარტებელს", „განმარტებას", „გაგებას", აზრის განმარტების საშუალებას ეხლა დაიწყო ჩვენ ტერმინოლოგიაში. ქართულ ძველ მწერლობაში სიტყვა „თარგმანი", რომელიც წარმოშობილია შინაარსის წარმოდგენის არსებით სიტყვა „ნათარგმნიდან".[4]

ე. თაყაიშვილი ამ რას წერს თავის „ძველი ტიპიკონიდან": „სოლომონ ეპისკოპოსის მიხედვით, ძველ მოხუცები „თარგმანი" ნიშნავს ბრძანს, თათბირს, მოძღვრებას, რას და მე თავიდან ამ ლიტერატურულ სახელმწიფო ძეგლებს „მოსახლეობის" ზემოთ და განმარტებით ყოველმხრივ კომენტარის გარეშე".[5]

„თარგმანი" რომ კომენტარის, განმარტების ნიშნავს, ამიტომ უწოდა ეფრემ VI თავის ნაშრომს „თარგმანი", ხოლო თეიმურაზ ბაგრატიონმა „განმარტება", როგორც ეს ნაშრომი „ევფრასტიანისის" განმარტება, კომენტარების წარმოდგენა.

მაშასადამე, „ქართული ნათარგმნები" უნდა გავიგოთ, განვმარტოთ, ანუ ვთარგმნოთ როგორც „ქართული განმარტებები", „ქართული განაზრებანი" „ქართული გასაგები", „ქართული გაგება".

მე-9 საუკუნის ბერძენი ტიპის ისე უნდა გავიგოთ: ეს ამბავი უცხოა, ანუ სპარსულია, არ არის ქრისტიანული. მაგრამ ქართულად უნდა გავიგოთ, ქართული ამბავი არის განაზრებები, განმარტებები რატომ? იმიტომ, რომ ხალხისთვის ქართულის ამბავი, თამარ მეფის ამბავი, მეფეთა მამის ნათქვამით, გვეუბნება პოემის ავტორი.

პოემის პროლოგის სტროფები შინაარსობრივად ერთმანეთს უკავშირდებიან, ერთიერთს განმარტავენ და ავსებენ.

შესავლებელია ლექსში ავტორის ჰქონდა „ხთარგმანები" და არა „ნათარგმნები", რადგან არანაირი უცხო სიტყვა აქ სტროფში ხომ ისეთი სიტყვებია: „სა-თარგმანებო", „სა-გოგმანებო" და „სა-ქოქმანებო" მაგრამ თუნდაც ეს სიტყვა „ნათარგმანების" ფორმით იყოს სულ ერთია, მისი შინაარსის განმარტება სხვანაირად არ შეიცვლება. ე. ი. სიტყვის „პირველადი გაგებით", როგორც ეს ჰქონია ზოგადი თითქოს, თითქოს მთიის სპარსული ქართული ნათარგმნი ამბავი გაიგეს.

ზოგადი თითქოს დარწმუნებულია და უნდა ჩვენც დავეთანხმოთ ამაში — რომ მეფე იყო თავის წიგნში — „ლილვილა და დებანისა" სახალხო ლიტერატურის, „როგორც ჩანს ამ ჰიპოთეზის (ე. ი. შოთა საუკუნეებისათვის, ჟ. ლ.) ნიშნეობრივია ერთი ენიდან თარგმნილის ერთ პოემაზე, ამბავი თარგმანი და მერე გადაკეთება, ისე შეიქმნა „ვეფხის-ტყაოსანი", ფოლკლორული ბევრი ისეთი ამბავი სპარსული ენიდან იქნა გადმოთარგმნილი, ხოლო მერე ეს თარგმანი გადაკეთდა ფარდი ერთ-ერთ გარდაქმნილში. უკანასკნელებია ისე უნდა შევხედოთ, „ვეფხისტყაოსანის" ბევრი მკვლევარი და ჩვენი პიროვნებით ხალხის ნაწილი რატომღაც აპყრობს არ უწევს ანგარიშს პოემის ავტორს, რომელიც თავისი ამბავი და საგანგებოდ აცხადებს, რომ იგი

ლექსის მანამდე არსებულ ამბავი ავტორის თქმით, ეს ამბავი სპარსული წარმომავლობისა იყო, იგი ქართულად ეთარგმნათ, მიუწიფებლად და მეტად გაურკვეველი სახით, მან კი იგი შეიკა და ლექსად გარდათქვა (**„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი ხელისგან ხელსაგოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი** (9, 1-3). სხვაგან ავტორი გვამცნობს: „ესე ამბავი ვალექსე"... (1666, 2). „ვთქვი რუსთველმან გალექსვა... აქამდის ამბავი ნათქვამი, აწ ნაგვლიდი წყობილი" (7,3—4) თითქმის ემბლემა კარგად ვერ გამოვთქვი, ბოლოს ყრმობით კი ავდა გვამცნობს: „ესე ამბავი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი... ვპოვე და ლექსად გარდავაქციენ" (1667, 2-4). ვეფხისტყაოსნის ყოფარეალები, სახელები და გარემო, რომ ძალუმად ეგზოტიკურის ასახავს, ეს იქნებ არ იქნებ, მაგრამ ცალ-ცალკე ამ კომპონენტებით პოემის ეროვნული სპარსულობა არ დამტკიცდება".[1] ხაზგასმა ყველგან ავტორისაა. მაგალი თოდუა ხომ ვერ გაიგებს არ უწყის „ობოლ მარგალიტს", რომელიც „ხელის-ხელ სიერებინების" ყოფილა და ეს იმიტომ, რომ მისთვის ხელსაყრელი არ არის დაწვრილებით „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობა — „ვით მარგალიტი ობოლი", ანუ ტრიუფული (ვეფხისტყაოსანი მთელის) ამბავი „ობოლი", ანუ ერთად-ერთი ყოფილა ამ ქვეყანაზე.

მაგალი თოდუა თუ ასე უარყოფს პოემის ავტორის, მაშინ რატომ სხვა ნათქვამს მისას არ აწყობს ეჭვიანდეგებას? თუ უცხო სპარსული ამბავი გალექსა შ. რუსთველმა, მაშ რატომღა მოამზადა თამარის შექება „შევეხოთ, ქვემორე მოვიქცეთ, მიქელ"? ანდა ამბავი პირით გასცხადებულს **„ამა მოემსა ამბავი არსადა არ ეპოვებოდა"?**

აქვე გვინდა გავიხსენოთ 1667-ე სტროფში ხმარებული სიტყვა „ილოცავენი". აქ სიტყვა ლოცვისა წარმოიქმნილია სხვა ფორმით. მხოლოდ რითმის გულისთვის არის „ე" და არა „ბ", რომელიც სწორი აწერებოდა „ლოცვისაულის წარმოშობის სიტყვა" ... კი „ნაწარმოების „ლოცვისა", რაც ნიშნავს გადასხვაფერებულ ლოცვას, აგრეთვე ფსევდოლოცვისეულ რიტუალს. რაღაც ბუნდოვანი და სარიტუალო ატმოსფეროს საქართველოში „სალოცავი" „სალოცავის" ანუ სალოცავის აღმოლოცვაც ნიშნავს. ეს სიტყვა უფრო გასაგები ხდება, როდესაც სტროფის სხვა ტაეპებთან ერთად გამოხატავს ავტორის მოვალეობას ეს სტროფი.

„დავითის ქნანი, უთოს ყოვლნი სიბადენი,

სიბადევესანი!

ესე ამბავი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი,

პირველ ზრდნი და საქმენი ქებანი მათ-

ნი ლექსთანი,

ვპოვე და ლექსად გარდავთქვენ,

ამისა გალოცავთანი".

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს მოაზრება „ინტერპოლატორის" სიყალბეა ამ შესანიშნავ პოემაში და იგი შ. რუსთველს არ ეკუთვნის. მაგრამ ვერ ამჩნევენ ისინი თუ რა მიზნით, რა შინაარსით არის ეს სიტყვა ნახმარი?

სწორედ ეს არის „ზოგიერთი ნათქვამი", ეს გამოთქმა ალეგორიის, **გადასხვაფერების**, ანუ „ლოცვისის" გულისხმობს და სწორედ ამაზე ამბობს შოთა **უცხო ხელმწიფეთა** ამბავი გალექსეო. ლოცვისა დღევანდელი გაგებით უწინარეს ლოცვისა უფრო. მაგრამ შოთა რუსთველი ხომ **„ობოლ მარგალიტს"** **„ხელისხელ სიერებინებს"**, **„ლალს და ლალისხელ"** ეწოდებს თავის ნაწარმოებს. **„მარგალიტ ზრდნი"** ხომ უცხოელებს ზრდის ნიმუშს და ნუთუ მან ასეთი შეუსაბამობა დაუშვა? ავტორის, რომელმაც პოემის პროლოგში მთელი ეწყობის ორიგინალი მოყვარე ხელოვნების ნაწარმოების შეფასება, ამ სიტყვით თავის შემოქმედების სახე გადაუქცია? არაბული სიტყვა **„ლოცვა"** პირველყოფილად „ლოცვა" — წიგნის, ტიტულს უცხოელებში ნიშნავს, როგორც იქვე „ლოცვისა" ალეგორიის, ვგრძნობთ ხშირედ თარგმანისეულ ნიშნავს, ქართველი ენით ლოცვის სპარსულად — **„ლოცვანდი"** ან **„ლოცვადი"** ნიშნავს უბრალოს ლოცვისა, შესახებ, ეპიზოდში. შოთაც გვიქრია, რომ თავისებურად ალეგორიაზე მიხვდა ამ უცხო სიტყვისა ქართულში, არ და არ ფერის, ე. ი. შენ ხაზგასმით „ლოცვისა" არ ცხოვრობ ფოლკლორული მიზნით. ასეთი მეტი სიტყვა პოემაში მოგვეპოვება, **„სალამი დავითისთვის"**, სრულებით არ იყო შეურაცხყოფილი თქმა ცოდნის კი **დავითისთვის** არაფერი იქნება სალამის მიუძღვის გამოსახატავად. შოთაბელის სახით სტროფში ხომ **ყველას** ეწოდებოდნენ ასე რომ, „სალამი დავითისთვის" უნდა გავიგოთ როგორც სალამის (მშვიდობის) გადმოცემა წარმოთქმა ღმერთისთვის და არა დღევანდელი გაგებით „ლოცვისა".

**მეორეც**, პოემის ავტორმა, შ. რუსთველმა, კარგად იცოდა, რომ „სამოქმედო ხელშეკრ" ალეგორიულად **ზეწოლებული**, „მდგრადი" სინამდვილის მიღმა ქმნანი უნდა ეთქვა და ამ დიდი ალეგორიული რომანის შექმნით **ზეწოლადობის** თავის მიდგმა და განსაკუთრებით კი, **დიდი სიტყვის**.

შ. რუსთველი თავისი პოემის გმირებში

---

1 მ. თოდუა — „ქილილა და დამანა" სპარსული ვერსია", 1967 წ. გვ. 23.

აცხადებს, რომ „ესე ამბავი **გადმოვიღე** მე შა-თაც **ხავამთარგმნელი**". ამ სიტყვის ეროვნული გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი პოე-მის მხატვრულობის გასარკვევად. აქამდის „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომი-სიამ ვერ გაასწორა ეს ადგილი. ქართველობა ყველგან დამახინჯებულად წარმოთქვამდა: „მე მათაც ხავამთარგმნელი". აქ ხომ ლარიკუ-ლია რითმა. ყველგან არის „არეზლიდ" და სტრიქონს მეორე ტაეპში მხოლოდ „ითქმ-ლიდ".

ამ სიტყვის კიდევ ერთხელ იმიტომ ვეხებით, რომ სიტყვა „სპარსეთშიდაც" ნიშნავს „საქარ-თველოს". ავტორი გვეუბნება ამ სტრიქონში, რომ ეს ამბავი **გავლექსე. ამე პოემა გუშაგები თამარ მეფეს და მის მეუღლეს დავითს და მათ საქართველოს. მათი შეუღლების აღსანიშნავად დაიწერა ეს პოემა, ლექსი.** სად უნდა ყოფი-ლიყო თამარის და დავითის საქორწილო ამ-ბავი აღნიშნული ლიტერატურაში? **რატომ** არ ეძლეოდა მთელი თოდუა ამ ამბავს?

კამარაში გარტერები ქორწილის დროს იკით-ხენ. ხშირად იწვევდნენ, მღერდნენ შეჰყრო-ნენ კამარას (სასიყვარულო—თალს) და შეჰფე-ლდნენ გარტერებენ.

როგორც ტარიელი ნესტანის დაკარგვით ხვარაზმშას კლავს, ისე კი მოგვანიშნა პოემის ავტორმა, რომ საქართველოს და მათი მეფე-ების ამბავი ჰქონდა მხედველობაში. ტარიელი როგორც ავთანდილი მოლექსე თავის თავზე-ცხადებს და გამარჯვებას ხვარაზმელ ხასიათს, ის რას ეუბნება ავთანდილს: „**ცისკრად მოყ-მეც იგი ხარ, თუცა ხმლა ხასხლიანი ლეწანო**"-ო. ამა ერთად ჩავყვეთოდეთ ამ სიტყვებს: რას ნიშნავს ცისკრული მოყმე? მე დარწმუნე-ბული ვარ, რომ აქ ნაგულისხმევია გიორგი რუსის დამარცხება დავითის მიერ და საქართ-ველოდან გაძევება (ცისკრული მოყმე, გ. რ. მირიანეული სიყვარული). მაგრამ იქნებ იმიტომ ეძახი, რომ თუმცა, საქართ იყო სისხლის დე-ნით მოყმელი. რატომ? ვთქვათ რა მნიშვნელო-ბა ჰქონდა ქვეყნისთვის სვეტზე შე-ტევებით თავს თუ მახვილით განგმირავდა და სისხლის დენით მოკლავდა?

ასევე, როგორც არის—ავთანდილის „ტაბრი-ქართველთა" აღმაპარებენ და ეს არ არის შემთხვევითი ლექსური, ასევე არ არის ქარ-თულ ნახმარი სიტყვები „ცისკრულ მოყმეს" ამბავზე, მარტო „სისხლით ხამალი" (საქართ-ველო) სისხლის მოყმეა. რადგან „ცისკროული მოყმელი" ანუ საქართველოდან განდევნილი გიორგი მოყვარულებით ხელმწიფეა. შეიძლება ტახტზე ასვლის და მოსწყენ ლაშქრობა.

ნუთუ ასეთი რამ მხოლოდ ინგლისელში ან სპარ-სეთში?

სასტუმროსა და შეთვლებს, როგორც თავ მეხოტბეთა, რომლებიც ავიდნენ ტახტს გვ-რა შოთა რუსთველისა, რადგან საზღვრისეკენ და შეყვარებულ პირად, ყოველთვის შენიშ-ნებისა და შეფიცრულ გარეში, მანათობელ-მე-ფეთათვის ქების შესხმას, ხოტბას.

ი. მეგრელი აქე მიმართავდა თამარს და დავითს:

„იქვენითულს დაჯებით, ერთ მთა-მთავებით
სიტყვა შევკრიბე უნდო რომ ენით
ქებს შემჭრა, თვით შემენა
მესაკ-მეორენით, მესტროლამენით..."

შ. რუსთველი კი პოემის პროლოგში აცხა-დებს, რომ არ ვიცი როგორ შევკადრო შენს-მა თამარის ლომმა —დავითს. მემდეგ იქნეს თავის გმირს — ტარიელს, რომლისათვისაც „ცეცხლისმძებნობილია" და ამ პოემის ზემ-ნით უნდა **მეეწიოს**, დავიწყებოს **ტარიელს** („მით შევაწიროვე ტარიელს, ტანგავსა ეშ-და ხსენებით"), ე. ი. პოემის მთავარი გმირია **ტარიელი — „ვეფხისტყაოსანი მოყმე**. ამ მოყ-მის (ამბავი) თავგადასავალია მთელი პოემის მთავარი ლექსი.

შ. რუსთველმა ერთ-ერთი ბეჭითობით, კე-რძოდ ასმათის, პირით გვითხრა მთავარი საიდ-**მლო, რომ ეს ამბავი, ამ მოყმის ამბავი, მისი თავგადასავალი არსად არ ისმის**, არ არსე-ბობს და მის მხოლოდ მამის გაყვეს ავთან-დილი თუ თვით ტარიელი უწყის და ეამ-ბობს თავის თავგადასავალს.

„ამა მოყმისა ამბავი არსადა არ ასმენია;
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არ
ყისყან დაიკვეთებოს."

ეს სტრიქონი კიდევ ერთხელ გვიხსენებს და გვიდასტურებს, რომ ტარიელის ამბავი, პოე-მის **ტარიელი და ხოსროტი თვით ავტორის მიერ არის გამოგონილი ამე მოპოვებული, შეთხზული და ის სხვაგან არსად არ „აპოვნე-ბა", არსად არ არის.**

მაგალი თოდუა კი აცხადებს, რომ „ვეფხ-და არ ჩანდა ჩვენი, რომელშიც „ვეფხის-ტყაოსნის" მოლიანი ხოსრო იქნენოდა გამო-ტეხილი, ასეთი რაიმე კი არსებობს; უნდა პოეტ ხოსრო დეჰლევის (გარდ. 1325 წ.) მიერ შეწყობილი „ჩარგალვეთანი", კერძოდ მისი **შაჰსანი რაინდის ამბავი**".[1]

ჩვენ განვავრ ხაზი გავუსვით **შაჰსანი რაინ-დის ამბავს.**

შეიძლება მაგალი თოდუა ფიქრობს, რომ პოეტ ხოსრო დეჰლევის გარდა არავის უხსენე-ბია შაჰსანი რაინდი? უნდა ითქვას, რომ შო-თა რუსთველის ტარიელი გამოგონილი ჰყავს პოემაში როგორც შინ ტახტზე მჯდომი რაინდი. ეს შინა ტახტი არაფრით შეეფერებოდა ფრიდონმა თამარის ისტორიკოსების ცნობებით დავით

[1] „მაცნე", № 4, 1970 წ., გვ. 239-240. ხაზ-გასმა ჩვენია.

სოსლანში მეფეთა ცხენი ზერდაგია, ე. ი. „ზერ-
დუ” ფერის ცხენი (სპარსულად [illegible] ყვითელს ნიშნავს).

მაგრამ თუ [illegible] ჩახრუხაძე, დავუ-
ჯერ მას [illegible] შავ ტაიჭზე მჯდომ [illegible]:

„სტვირი და ნაბლი, არ ბილწ-ბილწ-ნაბლი,
მოვიდა ტაისა მწვანისა ზერზისა
[illegible]
მოიმჯეთა **შავსა ტაიჭზე ზისა**”.

ნიკო მარი აქაც ვაში ამბობდა, რომ **ზერდ-
ბის** ოსებური არ შეიძლება იყოს სოსლანი იყოს, რადგან მან ზერდაგი ცხენი [illegible] ჯერ [illegible], მაგრამ [illegible] ცხენი კი არ [illegible] (რუმი) [illegible] — [illegible]: მერე კი, **ზედმეტად რომ მიაკუთვნებ შავებს მამალი დო-
ვლით ცხენზე აშკარად არის და რატომ არ
იქნა ვარჩემებით მის ცხენას**, რომ [illegible]
შავი ტაიჭით მჯდომა.

[illegible], რომ „ვეფხისტყაოსანის”
[illegible] — ტარიელი უცხო [illegible]
[illegible] შავ ტაიჭზე, „ისტორიანი და აზმა-
ნი შარავანდედთანის” ავტორის მიერ [illegible]
[illegible] და შეუფერებლობა იყოს სოსლანისა
[illegible] შეუძლებელ შემთხვევათა მოყვანით.

ახლა შევეხოთ იმ საკითხს, თუ რა არის „აბ-
დულ ცნობები”, [illegible] მიერ [illegible].

მართალია, რომ [illegible] და ე. წ. „აბდულმე-
სიანის” [illegible], არამედ სპარ-
სულ [illegible] „ვეფხისტყა-
ოსნის” [illegible] საუკეთ, [illegible] არის სახელი [illegible], რომ შ. რუსთველის
სახელით „ჩახრუხაძიანის” გავლენით შექმნ-
[illegible] და [illegible] შემთხვევაში არ
შეიძლება და არ [illegible] ღომონ-
[illegible], რომ „აბდულმესიანისა” და „თამარი-
ანის” მე-14 საუკუნეზე [illegible] შექმნი-
[illegible] ლიტერატურის [illegible] „ვეფხისტყაოსანის”,
რომ [illegible] შემ-
[illegible], რომ [illegible] გარდაცვა-
ლება 1212 წელს, [illegible] 1207
წელს [illegible], რომ „ვეფხისტყაოსანი”
1196—1206 წლებს შორის [illegible].

[illegible] 1025
წელს [illegible] „ვეფხისტყაოსანი” [illegible] „ჩახრუხაძიანზე”, [illegible]
1200 წლამდე [illegible]

[illegible] 20-30 წლის [illegible] ე. ი. [illegible]
1170 წელს და [illegible] 1025
წელს, [illegible], რომ მას [illegible] 155—155
წლამდისა, ეს **რომ** [illegible] **არ**
არის.

„[illegible]”, რომ „ჩახ-
რუხაძიანის” [illegible] არის, ქართუ-
ლად [illegible] საქართველოში და [illegible]
მე-12 საუკუნეზე [illegible] მე-
[illegible] რომ
მე-13 საუკუნის [illegible] და [illegible],
**მე-14 საუკუნის ბოლოს [illegible] ეს [illegible]**
[illegible] საქართველო [illegible]
[illegible], შ. რუსთველის
არ [illegible] საქართველო [illegible] რომელი [illegible]
წყაროს შოთას „ჩახრუხაძიანზე” [illegible]
[illegible] „[illegible]”
[illegible]?

[illegible]
[illegible], რომ შ. რუს-
თველის „ვეფხისტყაოსანი” [illegible]
[illegible], [illegible]
[illegible], რომ „ვეფხისტყაოსანის”
[illegible] ქართული „აბდულმესიანი-
სა” და [illegible] საქართველოში [illegible]
[illegible] ლიტერატურის
[illegible]. [illegible]
[illegible], რომ „ვეფხისტყაოსანი” [illegible]
[illegible] მეტად [illegible]
[illegible] ლიტერატურის [illegible]
[illegible] შ. რუსთველის [illegible]
[illegible] ლიტერატურაში. [illegible]
[illegible] და [illegible] შ. რუსთველის, [illegible]
„ვეფხისტყაოსანი” **[illegible] და [illegible]
[illegible]**.

[illegible] „ვეფხისტყაოსანის”,
[illegible], **რატომ იყო ის [illegible]
[illegible]**.

[illegible], რომ შეუ-
[illegible] ლიტერატურაში [illegible]
[illegible] ლიტერატურის [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] „ვეფხისტყაოსანის” [illegible]
[illegible] ლიტერ-
ატურაში [illegible]
[illegible]
[illegible].

[illegible] „ვეფხისტყაოსანის”
ტექსტში, [illegible]

თული კულტურის განვითარების საქმეში ახალ სხვა-
ობას და ქართული კულტურის ურთიერთობა-
ნი ხალხებთან სხვადასხვა. ხალხთა კულტუ-
რებთან და კულტურებზე კი ახალ ხალ სხვა-
პირობებში წარმოადგენს.

ქართული კულტურა ქართველი ხალხის მიერ
არის შექმნილი და ამიტომაც ეკუთვნის მას ქარ-
თველს.

შოთა რუსთაველის პოემა — „ვეფხისტყაოსა-
ნი“ ქართული კულტურის ულევეს მონაპო-
ვარს. [illegible] წარმოადგენს მისი [illegible]
და თავის მოსწონს ქართველ ხალხს.

შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“
ძალიან პოპულარულია მთელ ხალხში, მთელი
კულტურის. შ. რუსთაველის შემოქმედება მისი
ნაწარმოები [illegible] ენაზე და [illegible]
ზოგადსაკაცობრიო. ამიტომ მისი ტექ-
ნიკა და მარადიულობა. ჩვენ ქართველი
რომ უნდა მისი **ცოდნა**.

თამაზ ჭილაძე

# გერონტი ქიქოძე

[illegible]

ზე, ვერონიკაზე, იაკობ ნიკოლაძეზე, თავად ცეკვაზეც. ბოლოცდა აზრობდა: „რაც უფრო მეტი ადამიანი, მით უფრო მეტ ორიგინალურ ადამიანებს აჩენს".

არ გამიჩნდა ლიტერატურის ისე ერთი მნიშვნელოვანი ქართველი მწერალი, რომელსაც გერონტი ქიქოძეს წერილი არ ეძღვნას. მათ შემოქმედებას ის თავის დახასიათებდა, როგორც ეროვნული და ზოგადი მოვლენა, დახასიათებებით. რომ ორივე ეს თვისება — ეროვნულიც და ზოგადიც — ისე აწყობილია, რომ ერთიერთ განსაკუთრებით ხშირად აღინიშნავს.

გერონტი ქიქოძეს აქვს მიუწვდომელი ძლიერი ხელი. მის მიერ განთავსებული მწერლების სახელები უკვდავ ხარისხლოვნებითაა აშენებული ჩვენი ლიტერატურის წიგნში ადგილს. მისი მოღვაწეობა საზოგადოების სრულყოფისაკენ, მიმართული ლიტერატურის პოეზია, სიტყვისა და ლიტერატურის გარეშის გასაგები შეფასებები მოითხოვს რომ განსაკუთრებული ჩვენი ერთიანი აზროვნებაში. თვითეა მის წერილებში მეცნიერული საქმე, ფაქტობრივი მასალის ძალა მეცნიერული ორიგინალური არ ჰქონია. მანც ვიტყვი, რომ ის უფრო ხელოვანია, ვიდრე მკვლევარი, ამიტომ სრულებით არ არის საკვირველი, რომ ხშირად ეს ბრწყინვალე, სამყაროს ერთი შეხედვით მიიღებს მწერლებული, ზოგჯერ საკუთარ თავს იღვწოდს და ნამდვილი რომანტიკოსის ენების აშლილობის აკადემიური ფორმები სჭირდება — ამიტომ ის, — იმა დიდი ერთი, რითი ცნობილია. ბერიძე განტოლი სინამდვილე მთელი პერსპექტივით დაინახოს".

მაგრამ არის კი ეს საკუთარი თავის დეფინიცია? თუ გერონტი ქიქოძის სამყაროს გიდლიდმით შეუპოვრული, დავინახავთ, რომ მოგვიანო, როგორც მოაზროვნეს თავის, ყველაზე ზუსტად ქართული მიქისმეტოზმის დასახასიათებელი. შეიძლება სწორედ ამ თვისებაში მთავარია ის ხელოვნება, ამ გასაოცარ, ერთობაზე ჩწერილებით, რომლის მარადიულს აშენებული, არქარული გულისცემა ქიქოძის წვლილით ჩვენს მშობლიურ ენაზე ისე ცხადია და მკითხველი გაიგებს, ვინც ქართულ ენაზე „ნიკოლაძე და ზიგერი" კრიტიკის დამტკიცება. მას ესათეოდ წაკითხული აქვნება გერონტი ქიქოძის წერილს, სადაც სტეფანეს შემოქმედების ბუნება თავის კავშირში გამოჩენილი.

არ ერთი სტატია ვიცოდი, უსრულის ზუსტი დახასიათება სტეფანეს ბუნებისა. „ისინი ორი რეალიზმის შეთ აღმოჩენილი საზოგადოების შეძლება არის, ამიტომ მათ აქვთ ამდენი თვისება, რაც განსაზღვრული ეპოქის ძირითადი მცენარეების აქვთ".

„განცდებულო ეპოქის ძირში ამისელი მეცნიერებო!" — აი რა სიტყვებით შეიძლო ნიშნავდა გერონტი ქიქოძეს.

მართალია, მისი სწორედ ზოგჯერ საზოგადოებისმცოდნეობის გულდამხურული სიტყვებს ეუბნებოდა ზოგიერ და მე შეჯავშირების ეს სიტყვა — სწორედ ისეთი სწორებისაკენ, ეპიზოდის ქვეშით შემოქმედებისაგან ნაწერები ნახევრად, ახალი ცნობიერების, იმედი ამბავის დასასრულებლად, იმედი, რომელიმეს ხელით მოეპოვებინებინათ.

იორამ ჭადუნელი

# ჟურნალი „კრებული"

1871—1873 წ.წ.

(დაარსების 100 წლისთავისათვის)

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

... 1870 წლის 29 მარტს ს. მესხი კ. ლორთქიფანიძეს სწერს: ... [illegible]

---

1 ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949, თბ., გვ. 73.

როგორც „დროებაში“ 1871 წლის მორიგი ნომრის განცხადებიდან ირკვევა, „კრებულის“ პირველი წიგნი 1870 წ. დეკემბრის ბოლოს გამოვიდა და 1871 წლის 1 იანვრისათვის დაგვიანებით ხელის მომწერლებისათვის უნდა დაერიგებინათ, რომ ცენზურის ნება მისი გამოცემისა 30 დეკემბერს გაიცა, ხელში კი იგი ახალ წელს იქნება. ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი მოღვაწეები ინტელიგენციის უფრო ფართო წრეების აქტიური პერიოდული პრესის შექმნისათვის საზოგადოებისათვის ერთგვარ მოვლენას. ასევე „კრებულის“ მეორე წიგნზე ნება გაიცა 1871 წლის 31 იანვარს, ხოლო 5 თებერვლისათვის ხელში უკვე შესაძლებელია ყოფილიყო გავრცელებული.

ს. მესხი 1871 წლის 19 მარტის „დროებაში“ წერს: „მეოთხედში საზოგადოების აზრს, რომ ქართულ ენაზე „კრებულის“ სახელწოდებით გამოვიდა ორი ახალი წიგნი და რომ გ. წერეთლის გამოცემას ახალი წიგნი და რომ ახალი სახელით. როგორც ს. მესხი აღნიშნავს, პირველი ორი წიგნით საზოგადოება დაკმაყოფილდა და „ამ ორ წიგნიდან ცხადად დაინახავს მკითხველი, რომ თუ „კრებულს“ შემწეობა გაუწია და არ შეუშინდა თავის სასიამოვნოს, „მწერლობისათვის“ ცოცხალ არ წავა ამის საქმე და საზოგადოების ინტერესების დამცველი სახელი“.

1871 წლის ჟურნ. „მნათობის“ მეორე ნომერში გამოქვეყნებულ შენიშვნაში „დროების“ (ა. წერეთლის (და სხვ.)) სტატიაში ამ წლის დაწყებული, გამოცემა ახალი სალიტერატურო ჟურნალისა ქართულ ენაზე „კრებული“ როგორც ამ განცხადებიდან ჩანს, ამ ჟურნალის თანამშრომლობას აქ იქნებოდა, რომ მკითხველისათვის მიეწოდებინა საინტერესო და საზოგადოებრივი ხასიათის და საზოგადოებისათვის გადაუდებელი საჭირო ქვეყნის ცხოვრება, ევროპის ხალხ ქვეყნების წარსული და აწმყოს მდგომარეობა. ამის გარდა, აღნიშნულია გამოცემაში — „კრებული“ თავის ფურცლებზე მოუთხრობს კრიტიკულ წერილს, რომლებიც უფრო ფართოდ აჩვენებს მოწინავე ქართველ მოღვაწეთა საზოგადოებას. „კრებულის“ რედაქციამ მონაწილეობის მიიღეს ნ. სამსონი (ნ. ნიკოლაძე). ამის გარდა „კრებულისათვის“ თანამშრომლობა აღუთქვამს იგი ჭავჭავაძეს, კ. ლორთქიფანიძეს, გ. წერეთელს, ს. მესხს და სხვ.

„კრებული“ გამოდიოდა ყოველ თვე, თითო წიგნად ოთხ თაბახზე. პირველი და მეორე წიგნი გამოვიდა წლის დამდეგს და რაც შემდეგ ნომრის ნება დართო „კრებულის“ გამოცემის მესამე და მეოთხე წიგნის გამოცემა გამოცხადებული აპრილში, მეხუთე — მისის ნახევარში დამატებით წიგნები ცენზურის ... თავი ... თუ დაბეჭდვის უნდა გამოსულიყო.

„კრებულის“ მესამე ნომრის საცენზურო ნება გაუგზავნია 30 მარტს, მეოთხე — 30 აპრილს.

1871 წლის 15 იანვარს გ. წერეთელმა ჟურნალის გამოცემაზე ოფიციალური ნებართვა მიიღო. მეორე მხრივ ამ თხოვნის შესახებ შეატყობინა კავკასიის საცენზურო კომიტეტს, ხოლო ამ მოვლენის ხელმძღვანელობით, 1871 წლის 9 აპრილს შეატყობინა კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რომ მისი უმაღლესობის თანახმად ეძლევა ნება გ. წერეთელს გამოსცეს ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი „კრებული“, მის მიერ წარმოდგენილი პროგრამით.

1871 წლის მე-15 ნომერში (16 აპრილს) „დროება“ წერს, რომ „კრებული“ და „მნათობი“ ჩვენს ლიტერატურაში ერთადერთ დამხმარე და მეგობრებად იქნებიან. რა ცოდნით და მოსაზრებით შეხვდებიან ჩვენ ამ მოვლენას, ამის გამო ჩვენ კი არა მკითხველის საქმე იქნება“.[1]

მართლაც, ამ მოვლენის თაობაზე „კრებული“ „დროების“ დამატების წარმოდგენით ჩვენ ვეხებოდით ლ. ნიკოლაძის მოსაზრებას, რომ ქართული ლიტერატურის გამოცემული იყო „კრებული“ გაზეთ „დროების“ ლიტერატურული დამატება იყო, ფაქტიური მასალა არ ადასტურებს და კორექტივს საჭიროებს.[2]

ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულება, თითქოს „კრებულის“ პირველი რედაქტორი და დამაარსებელი გ. წერეთელი იყო, სინამდვილეს არ შეესაბამება, თუმცა ზოგიერთ ჭიჭინაძის აზრით: „კრებულის“ გამოცემა გ. წერეთელმა დაიწყო 1871 წლის...“ 1871 წ... გამოსვლა იწყო „კრებულმა გ. წერეთლის რედაქტორობით“. ასევე არის ჭიჭინაძე წერს: „1871 წლიდან არსდება გ. წერეთლის რედაქტორობით...

---

1 „დროება“, 1871, № 15.

2 ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949 წ., გვ. 25. იხ. აგრეთვე ნ. ნიკოლაძე „რჩეული ნაწერები“, ტ. II, 1931 წ. ს. ხუნდაძის შენიშვნები, გვ. 379. გრ. ვერიძე. „საზოგადოებრივი ცხოვრება საქართველოში“, საბჭოთა, 1928, გვ. 399. ს. ხუნდაძე, „მოგონებანი“, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. ტფილისი, 1938, გვ. 239. ი. მეუნარგია, ს. ..., „თხზულებანი“, ი. მეუნარგიას წინასიტყვაობით და შენიშვნებით, 1964, ტ. I, გვ. 455 და სხვ.

3 ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, 1968, თბილისი, გვ. 129.

4 ზ. ჭიჭინაძე, „ნიკო ნიკოლაძე“, თბ., 1897, გვ. 36.

5 ზ. ჭიჭინაძე, „ისტორია ქართული ჟურნალისა და ჟურნალების გამოცემისა. 1900, გვ. 75.

ბით „კრებული"[1], გ. ბაქრაძე — კი აღნიშნავს, რომ „კრებულის" რედაქტორ-გამომცემელი იყო ა. წერეთელი"[2]. ხოლო ს. ხუნდაძე ამბობს: „ა. წერეთელი რედაქტორობდა „კრებულს" 1871-1872 წლებში"[3]. „კრებული" 1871 წლიდან გამოდიოდა ა. წერეთლის რედაქტორობით"[4]. „კრებული" დაარსა ა. წერეთელმა[5], ა. ლიტერატურის იმავე აზრისაა, კერძოდ, იგი წერს: 1871 წელს ა. წერეთლის რედაქტორობით არსდება „კრებული"[6]. შ. რადიანის აზრით „კრებული" ა. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა[7]. ასეთ აზრისაა ბევრი სხვა მკვლევარიც. ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი «Г. Церетели, Н. Н. Николадзе были главными сотрудниками и основателями «Кребули», 1871 г.»[8].

ჩვენი აზრით არც ერთი ზემოაღნიშნული მოსაზრება არ ვარგისია. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია პროფ. დ. გამეზარდაშვილის მოსაზრება, კერძოდ, იგი აღნიშნავს „კრებულის" დაარსების ინიციატივა ეკუთვნოდა მას (ნ. ნიკოლაძეს, ი. ბ.) ციხიდან, მაგრამ არ რედაქტორად ა. წერეთელი გამოცხადდა იმიტომ, რომ ნ. ნიკოლაძეს კარგად იცოდა მასზე დაწესებული საიდუმლო პოლიციური მეთვალყურეობის შესახებ და იცოდა, რომ ცენზურის გამოცემის ნებას მას არავინ მისცემდა[9]. მართებულად მიაჩნია, რომ ფაქტიურად „კრებულის" დამაარსებელი და ნამდვილი რედაქტორი იყო ნიკო ნიკოლაძე[10].

1873 წლის 26 იანვარს ს. მესხი თბილისიდან ჯერ ლიტერატორებს ატყობინებს, რომ „კრებულის" წაყვანა ნიკოლაძემ იკისრა[11].

მართებულად გ. აბზიანიძის მოსაზრება, რომ ნ. ნიკოლაძის ლიდერი იყო მოწინავე ქართვე-

---

1 ან. ფურცელაძე, — თხზ., ტ. I, თბ., 1914, გვ. 126.

2 გ. ბაქრაძე, ქართული ჟურნალისტიკა, გვ. 8.

3 ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 361. ს. ხუნდაძის შენიშვნებით.

4 ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949, გვ. 85.

5 იქვე, გვ. 42.

6 გ. კიტიაშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს., გვ. 347.

7 შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1954, გვ. 264.

8 Г. Кипшидзе, периодическая печать на Кавказе, 1901 г. № 3.

9 დ. გამეზარდაშვილი, „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან", ნაწ. II, 1957, გვ. 443.

10 ალ. კალანდაძე, „ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან", 1965, თბილისი, გვ. 161.

11 ს. ხუნდაძე, მასალები..., გვ. 82.

ლი მოწინავე ლიტერატურული ძალების კონსოლიდაციის საქმეში[1]. ეჭვს არ იწვევს ისიც, რომ „კრებულის" მართებულ ლიტერატურულ მიზანს ასრულებდა ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური, ლიტერატურული წერილები. „კრებულის" საქმე პირველი ნომრიდანვე ბრწყინვალედ წავიდა. ნ. ნიკოლაძის კალამმა ქართველებს აჩვენა და დაამტკიცა, რომ „ქართულს ენაზე შეიძლება ჩინებული წერილების წერა და მეჩაობა".

1873 წლის გაზაფხულზე ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა, რის შემდეგ მინისტრის ნებართვით რედაქტორად კ. ლორთქიფანიძე იქნა დამტკიცებული. 1873 წლის მაისში ნ. ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა და მაშინვე განაახლა „კრებულში" მოღვაწეობა. 1873 წლის ნოემბერში ნ. ნიკოლაძე კვლავ საზღვარგარეთ გაემგზავრა და „კრებულის" გამოცემაც სამუდამოდ შეწყდა.

ქართული პროგრესული ინტელიგენცია კარგად გრძნობდა, რომ პერიოდული პრესის გამოცემა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. გარდა ფინანსური დახმარებისა, ცენზურა ყოველი საშუალებით ცდილობდა გამოსაქვეყნებელი მასალების დამახინჯებას, გამოცემის შეფერხებას ყოველ მიზეზს, რაც ლიტერატორებს ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების ამაღლებას შეაჩერებდა, პროგრესული მოაზროვნე ინტელიგენციის მოღვაწეობას.

„კრებულის" გამოცემა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე პერიოდს დაემთხვა. სოფლის რეფორმა საქართველოს ყველა კუთხეში გატარდა და თავისი ნიშნეული საზოგადოების ერთობ ქართველ ლიტერატორებს თავისებური მეგზური. პროგრესულ ყოველის მის წინაშე მომავალს ლიტერატურულ რომელიც საზოგადოებრივ მეტისმეტად გულწრფელად გამოეხმაურა. შემდეგ ბრძოლის გამოცდილებამ არსებული წერილებს და მისი რეალისტური გზით განვითარებას მოითხოვდნენ.

„კრებულის" პუბლიცისტიკა სწორი პრინციპების ცხოვრებისეულ არსებული სინამდვილის გაგებისას. ამასთან, იგივე კარგად ხედავდნენ, რომ მწერლობის ყოველთვის რიგი შეიძლებული ცხოვრების მრავალფეროვანი მოვლენების ლიტერატურული ასახვა. მართალია, მწერალთა საზოგადოებაში ცხოვრობს ყოველგვარი ადამიანი მის გარშემო, ხალხის ჭირვარამს, მაგრამ მასზე ყოველი მოვლენა ეროვნული გავლენის როლი ახლავს ნ. ნიკოლაძის აზრით, ყველა სარგებლობა, რომელიც ყოველთვის სწორად წარმართავს ყველა აზრს, რაც მის წინ ყოველის გარკვეულ.

„კრებულის" პუბლიცისტიკაში ვხვდებით, რომ

---

[1] გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1959, თბ., გვ. 117.

საქართველოს მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა [illegible] ... ლიზმის აკისრებდა ქართველ პოეზიას ინტელიგენციას, მაგრამ [illegible] მწერლობის [illegible] ცხოვრების [illegible], ქართველ პოეზიასთან [illegible] — ლიტერატურა რომელიც ხალხის გაში [illegible]. 1. [illegible] „[illegible]“ — [illegible] სწავლა და განათლება [illegible] მდგომარეობაში და [illegible] ლიტერატურა, [illegible] სწავლებლის და [illegible]“[1]

[illegible] მწერლობის [illegible] ქართველ [illegible] ხალხს [illegible] სწავლება [illegible] მოძრაობა [illegible] ქართველ [illegible] სწავლება [illegible] ქართველი [illegible] ცხოვრების [illegible].

მწერლობის [illegible] ცხოვრების საქართველოში, [illegible] ქართველ [illegible] ლიტერატურა [illegible] ცხოვრების [illegible] ლიტერატურის [illegible] ქართველი [illegible] ლიტერატურის [illegible].

„კრებულის“ პუბლიცისტების აზრით, ლიტერატურა [illegible] ხალხს [illegible]. მწერლობის [illegible] მოძრაობა [illegible] და ხალხის [illegible] ცხოვრების [illegible] ლიტერატურა [illegible] ცხოვრების [illegible].

„[illegible]“ მწერალი [illegible] ხალხის [illegible] მწერალი [illegible] მწერალი, [illegible] ხალხის [illegible] მწერლის [illegible] ცხოვრების [illegible]“. — [illegible] „კრებული“ 1872 წ. მე-7 ნომერში.

„კრებულის“ პუბლიცისტები [illegible], რომ [illegible] ქართველი [illegible] ხალხის [illegible] ცხოვრების [illegible] რომელიც [illegible] ცხოვრების [illegible] საქართველოში [illegible] ცხოვრების [illegible].

„კრებულის“ პუბლიცისტების [illegible] საქართველოს [illegible] ხალხის [illegible], რომ [illegible] ლიტერატურის [illegible].

ქართველი [illegible], რომ [illegible] ცხოვრების [illegible] საქართველოს [illegible] ქართველი [illegible] ლიტერატურა [illegible], რომ [illegible] ცხოვრების [illegible] და [illegible] „[illegible]“ და [illegible]“[1]

XIX საუკუნის [illegible] საქართველოს [illegible] ქართველი [illegible] საქართველოს [illegible] საქართველოს [illegible] საქართველოს [illegible] ცხოვრების [illegible].

[illegible] და [illegible] საქართველოს [illegible].

[1] იხ. „კრებული“, 1872, № 8-9, გვ. 43.

[1] იხ. „კრებული“, 1871, № 3

ხალ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ბელეტრის კრიტიკულ-რეალიზმისათვის.

როგორც ვხედავთ, ახალი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვარიშის თმის, რომელიც სხოლიაშია. გამოიტანა ბატონყმური ინტელიგენციის ნაციონალიზმსა, გამომჟღავნა მისი სოციალური. გლეხის ახალი შეეწყო ბატონყმური ურთიერთობების დაშლის პროცესის გაღრმავებასა და გაძლიერებას.

„ცისკრის" პუბლიცისტები ამ პერიოდის რეფორმის შესახებ წერდნენ: „რეფორმის ისტორიაში უძლიერესი მეფურის დასაწყისს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით ამ მხრით, რომ 1857 წლიდან დაწყებული სახელმწიფო მართვის და გამგეობის სისტემა შეცვლილად შეიცვალა. ამ ბოლო დროს ყოფნის იმის დამტკიცება, რომ ძველ სისტემას თავისი დრო მოეჭამა და საჭირო შეიქმნა მის ადგილას ახალი რისმე შემოღება".

ნ. ნიკოლაძის სამართლიანი აღნიშვნით, ამ ვარემოების გამო ცხადი შეიქმნა, თუ რაოდენ მოქალაქეობრივ გოგიდა ამ ეპოქისათვის და საშინაოდ საქმეები, რომლითაც ბუნებრივადცოდნისაკენ ყველასათვის ცხადი შეიქმნა, აგრეთვე რომ ადმინისტრაცია საჭირო იყო სხვა, ახალი, ისეთი ვეროპული სისტემის მიღება, რომელიც თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილებებს და საჭიროებებს დააკმაყოფილებდა. საჭირო შეიქმნა ადმინისტრაციის გარდაქმნა, ვარიაციების სისრულის წესის განხილვა, საზოგადოებრივი კანონების შეცვლა, ერთი სიტყვით, ნ. ნიკოლაძის აზრით, საჭირო იყო ახალი „რეფორმების" შემოღება, ცვლილებები სახელმწიფო წესსა და წყობილებაში.

მეორემ ხალხი ყველა ღონისძიებას მიმართავდა თავისი უფლების მოპოვებისათვის შესაბამისად, კერძოდ გლეხური მოძრაობის მასობრივი რეფორმების საჭიროებას საზოგადოებრივი შეგნებით ჩვეულებრივ ცხოვრება. მხარე ხელი ნოუტ კი — ბატონყმური სახელმწიფოს მართვა, უმეტესობის აზრით გარდა მიტრის- ბის დამხობის გარდაუვალობა.

ბატონყმური ურთიერთობის კრიზისი სულ უფრო ღრმავდებოდა. მეფის მთავრობა, რომელმაც იცოდა ოდენ საზოგადოების მარცხი განცდა, მეშინებული იყო გლეხთა მოძრაობებით, ამიტომ მან მიანიშნებდა მიიღო კლასების გამოვლინებება ზემოდან. ვ. ი. ლენინის მიერ გამოვლინებული რეფორმების ბუნებით.

„სოვრემენიკის" რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი განმანათლებლები, მებრძოლი ბრძოლის აქტიურ მონაწილენი მეფის მთავრობის წინააღმდეგ, ვ. ი. ლენინის აზრით ხალხოსნურ-პოლიტიკური მიდრეკილების შემდეგნაირად ახასიათებს „ვუმანიტარული მიმართვის განვითარება ვერობაში. მოლაპარაკე პოლიტიკაში, ფანტაზიებისა

ფიქრში, პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მოდის ქვევით და მაღლა თავადაზნაურობის მიერ. „კოლოკოლის" გავრცელება მთელს რუსეთში, ძლიერი ჭიდაობა ჩერნიშევსკისა, რომელსაც ლეგალური სტატიებითაც კი შეეძლო წამდვილი რევოლუციონერების აღზრდა, პროკლამაციების გამოჩენა პეტერბურგში გლეხობისა, რომლებსაც „ნეტავ ჩემთვის" სამხედრო ძალისა და სისხლის ღვრის საშუალებით იძულებულნი იყვნენ ამ „ტუბერკულოზის" მიღებას, რომელიც სინამდვილეში ფაქტიურად მათ, ამხანაგი მომხრენი მისამართლობას კოლექტიური ფიქრი ასეთი „განახლებული" გატარებისა, სტუდენტების არეულობანი".[1]

„ცისკრის" პუბლიცისტები აღნიშნავდნენ „სოვრემენიკის" მიერ რევოლუციურ ტრადიციებზე და ყოველმხრივ საქმიანობით ხელს უწყობდნენ საქართველოში რევოლუციური სულისკვეთების გაღვივებას.

მშრომელი ხალხის, ვისი ეგოისტურობის ინტერესების დამცველი თერგდალეულების მიერ შემოქმედებითი ვნერგია მიმართული იყო მშრომელი ხალხის განთავისუფლებისაკენ, ისინი ცდილობდნენ და ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლნი იყვნენ. თერგდალეულები თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობდნენ მშრომელი ხალხის თვითშეგნების ამაღლებას, არსებული სოციალური წყობილების გარდაქმნისათვის.

ქართველ პროგრესულ ინტელიგენციას შეეძლო ქონდა, რომ შეეძლებოდა იყო არსებული ურთიერთობების ლიკვიდაცია რეფორმების გზით, რომ მშრომელი ხალხის პატრიარქალურ მიდგომაბების სურათები გამოხატვა არ შეიძლებოდა გაბატონებული კლასების მხრივ განხორციელებულიყო. თერგდალეულების ღრმა რწმენით, გაბატონებული კლასების ინიციატივით ჩატარებული რეფორმებს არ შეეძლო მშრომელი ხალხის მიიღწევნენ დაკმაყოფილება, თერგდალეულები, რომლებიც კარგად იცნობდნენ რუსეთში ჩატარებული რეფორმების არსს, მშრომელ ხალხს მოაგონებდნენ, რომ საქართველოში სავლები რეფორმებს კიდევ უფრო შეავიწროვებ დაუმორჩილებელი ხალხთა ცხენებიდა.

ქართველ განმანათლებლებს დიდი შრომა მიუძღვით რევოლუციურ — დემოკრატიული აზრების ქადაგებაში „ცისკრის" ფურცლებზე, რომელიც ეროვნულ პროგრესულ ორგანო იყო მ დროს.

ი. კერესელიძის „ცისკარმა" დიდი როლი ითამაშა ქართველი განმანათლებლების მოღვაწეობის ხელშეწყობის საქმეში. თუმცა „ცისკარი" გაბატონებული კლასების ინტერესების დამცველი ორგანოს წარმომადგენელი და მთელი ეპოქის ილუმინატორი ყოველივე პროგრესუ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 30-31.

ლის წინააღმდეგ ი. ჭავჭავაძეს „ცისკრის" [illegible] კი ემხრობოდნენ.

ქართველი პროგრესული ინტელიგენციის „ცისკრის" საქმიანობის გაფართოებამ, მისი თანამშრომლების რაოდენობამ შეუწყო ხელი ახალი ძალების ჟურნალში გამოსვლებს [illegible] ი. ჭავჭავაძეს, რომელიც საქართველოში დაბრუნებისთანავე [illegible] ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას, რომელიც სულს უხუთავდა საქართველოს მშრომელ ხალხს. ი. ჭავჭავაძე, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური, საფუძველს უყრის ბატონყმობის და ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ 60-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობის ბრძოლას.

თერგდალეულები ახალი მიმართულების წარმომადგენლები იყვნენ, ისინი ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრებისათვის იბრძოდნენ, [illegible] ბატონყმური წყობილების ატმოსფეროს და მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის იღწვოდნენ. მათ ბრძოლას წინ აღუდგა [illegible] ებრძოდა. ძველ და ახალ მიმართულებათა შორის შეტაკება ლიტერატურულ ასპარეზზე მოხდა. ახალი, პროგრესული მიმართულების წარმომადგენლები [illegible] ახალი საზოგადოებრივი წყობილებისაკენ მისწრაფებაში.

ილიას მონაწილეობამ ჟურნალ — ჭავჭავაძის მოღვაწეობამ „ცისკარში", განსაკუთრებით აღნიშნულ ამ ჟურნალის 1861 წლის მაისის ნომერში გამოქვეყნებულმა მისმა სტატიამ — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავისაგან კაზლოვის „შეშლილის" თარგმანზედ"[1]. ი. ჭავჭავაძის აღნიშნულმა წერილმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია მოწინააღმდეგეთა ბანაკში. [illegible] — [illegible] „მამებო"". — [illegible]

თერგდალეულები რეაქციულ-ფეოდალურ [illegible] იყვნენ [illegible] „ცისკრელების" [illegible] წინააღმდეგ [illegible] თერგდალეულები [illegible] „ცისკრის" რეაქციული ბანაკის წარმომადგენლებს, ისინი

---

[1] იხ. „ცისკარი", 1861, № 5, გვ. 181-184.

დარწმუნდნენ, რომ „ცისკარში" მათი მოღვაწეობა შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ახალი ჟურნალის დაარსება, რომელშიც შეძლებდნენ თავიანთი იდეების გავრცელებას. და სწორედ 1863 წლის იანვარში გამოსვლა დაიწყო ჟურნალმა „საქართველოს მოამბე".

„საქართველოს მოამბის" გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. თერგდალეულები აშკარა ბრძოლის პროპაგანდას ეწეოდნენ. „საქართველოს მოამბის" პუბლიცისტებმა ბრძოლა გაუმართეს „ცისკრის" რეაქციული მიმართულების წარმომადგენლებს. თერგდალეულების აზრით, რეაქციული ცხოვრების დამხობა გარდაუვალი იყო. მაგრამ იგი თავისთავად როდი მოხდებოდა, საჭირო იყო ბრძოლა საზოგადოების პროგრესის დაჩქარება, ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვება კი, მათი აზრით, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწინავე ძალები თავიანთ აზრებს ხალხში დანერგავდნენ, ხალხის თვითშეგნებას აამაღლებდნენ, თავისუფლებისათვის მისწრაფებას გააღვიძებდნენ.

საზოგადოებრივი წყობილება, თერგდალეულების აზრით, მუდამ განვითარებისა და ცვალებადობის [illegible]

[illegible]

დამრიგებლის გამო ახალი ცხოვრების ფერხულში გაიტაცოს[1].

პროგრესულად მოაზროვნე ახალი თაობის გალაშქრება დაუძლეველი ფეოდალური ურთიერთობების წინააღმდეგ; ძველი, კარჩაკეტილი წყობილების დამცველები შეურიგებლად წინ აღუდგნენ მათ.

ახალი თაობის [illegible] ახალი ეპოქის სულისკვეთებით და მისი იდეების განმახორციელებელი შეიქნა საქართველოში. ეს ახალი თაობა გალაშქრდა ბატონყმური წყობილების და სქოლასტიკურ-რელიგიური აზროვნების წინააღმდეგ და ქართულ ლიტერატურაში რეალისტური მიმართულების პრინციპები [illegible]. ახალი თაობის [illegible] მეტისმეტად იყო ქართველი რომანტიკოსი დ. ჭონქაძე, რომელმაც პირველმა მიიტანა იერიში ქართველი ლიტერატურული [illegible] წინააღმდეგ. შემდეგ თაობა, რომელმაც დ. ჭონქაძის გზა განაგრძო, თერგდალეულთა თაობა იყო. თერგდალეულთა თაობამ ლიტერატურული ბრძოლა გამართა ძველი [illegible] ავტორების წინააღმდეგ და 1863 წელს თავისი საკუთარი ორგანო — „საქართველოს მოამბე“ დააარსა[3].

XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში ძველისა და ახალი თაობის შორის გაჩაღებული ბრძოლა ძველი და ახალი წყობილების დამცველთა შორის ბრძოლის წარმოებაც იყო. ეს იყო ორი მსოფლმხედველობის რეაქციული და პროგრესული მიმართულების შორის წინააღმდეგობა. პროფ. [illegible] წერს, „[illegible] „მნათობი“ და „შვიდეული“ [illegible] „ძველნი“ და „ახალნი“ თაობის შორის, რომელიც [illegible] ... „მნათობი“ და „შვიდეული“ ბრძოლის [illegible] იყო ი. ჭავჭავაძე, მან [illegible] საქართველოში [illegible] [illegible] [illegible] ბრძოლა [illegible] საქართველოს [illegible] იყო, რომელიც [illegible] [illegible] და [illegible] განვითარება[3].

ახალი თაობის წარმომადგენელი ნ. ნიკოლაძე წერდა, რომ 1863 წ. ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა; ეს იყო წელი, როცა [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და ახალში შესვლის ბრძოლა, [illegible]

ახალგაზრდობის სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა ძველს და ამ დროს „ცისკარი“ [illegible] [illegible], — [illegible] — [illegible] [illegible], რომელიც [illegible] ძველი, ახალი და მომავალი. ბრძოლა [illegible], სასტიკი [illegible] ახალგაზრდობა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ [illegible] რომელიც მხნედ [illegible] [illegible].

ძველმა წყობამ, ძველმა თაობამ თავი შეაფარა „ცისკარს“, და ამიტომაც ამ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შორის [illegible] ძველი ბრძოლა, რომელიც იმ დროს [illegible] ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში"[1].

„საქართველოს მოამბემ“ [illegible] ხალხის განთავისუფლებისა და [illegible] საქმეში.

ქართველი განმანათლებლები კარგად ერკვეოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ მოვლენებში. მათი მთავარი მიზანი იყო მეფის ბიუროკრატიული რეჟიმის დამხობა, ფეოდალური ექსპლოატაციისაგან ხალხის განთავისუფლება. ამიტომ ისინი ცდილობდნენ ხალხის განათლებისათვის, რათა ხალხს მიეღო შეძლებისდაგვარად [illegible] მდგომარეობა და [illegible] ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა და საშუალებები.

როგორც „კრებულში“ ვკითხულობთ: „[illegible] ის აზრი, რომ [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] შეუძლია [illegible], და [illegible] საჭიროებას"[2].

[illegible] ფეოდალური [illegible] [illegible], [illegible] „კრებული“ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible] [illegible] და მისი [illegible] საქმეში. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ფეოდალური წყობილების [illegible] და ახალი [illegible] [illegible] ნიშნის.

ქართველი პროგრესული ინტელიგენცია [illegible] და [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. ეს

[1] შდრ. „კრებული“, 1873, № 1 გვ. 281.

[2] ს. ხუნდაძე, [illegible] (მონოგრაფია), თბილისი, 1929 წ., გვ. 169-170.

[3] [illegible], ქართული ჟურნალისტიკა, ტ. 1, 1941, თბილისი, გვ. 201-202.

[1] „კრებული“, 1872, № 10, 11 და 12, გვ. 151-152.

[2] შდრ. „კრებული“, 1872, № 7, გვ. 68-69.

მით უფრო უმჯობესდებოდა ეგრეთ კარგად გარეგნულად თავიანთ ქვეყნის მოხელეებში. ხალხოსნური თავისი ეკლექტიური და კოსმოპოლიტური განწყობილებით მაღალ დონეზე იდგა საქართველოში ამ ჯერ კიდევ სუსტი რეფორმა ტარდებოდა. საქართველოში ნიშნეული ეგრეთ წოდებული ბურჟუაზიული განვითარების წინაპირობები იყო. ამ გარემოებამ განაპირობა ბურჟუაზიული რეფორმებისადმი, ევროპის ცენტრის იდეებისადმი და სხვა ახალი მოვლენებისადმი ყურადღების გამახვილება.

„კრებულის" პუბლიცისტები დიდ როლს და მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს დიდ რეფორმებს; მათი აზრით, საქართველოს რეფორმის შემდეგმა მოვლენამ არ უნდა, მას თავისი ერთი საერთოდ განვითარება იყო ინტელექტუალური კატეგორიების, კერძოდ, ეკონომიური ხასიათის ლიბერალური დამოკიდებულების წარმოადგენდა.

ეგრეთ ბურჟუაზიული რეფორმების წინა პერიოდში საქართველოში ფეოდალიზმის წიაღში ჩაისახა ახალი, ბურჟუაზიული წყობის ჩანასახები, მაგრამ განვითარებულ დონეს მაინც ფეოდალური ურთიერთობა წარმოადგენდა. განვითარებულ ქალაქებს გააჩნდა ლიბერალური ბურჟუაზიის ხელმძღვანელი თავმოყვანილი საზოგადოებრივი წრეები, რომ იყო ხალხის არა ნაწილობრივ შეძლებულები, რომლებიც მომწიფებული ქვეყნისთვის და ესაჭიროებოდა დაცვით მათ ეკონომიკური ხალხის საზოგადოება და ძალა რეფორმების მომთხოვნელების და სამეურნეობის ხელში დატოვებინათ, და მიიღეს ისეთი ცვლილებები მოეხდინათ, რომ ხალხის ეკონომიკური დამოუკიდებლობა და აზრის სიტყვის თავისუფლება გაიზრდებოდა.

რეფორმისტების მიზანი იყო შეეცვალათ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი სტრუქტურა, მმართველობის პრინციპი გარდაექმნათ. ამას მოითხოვდა მთავრობის შესაძლებლობა მოეცემოდა ეგრეთ ზღვარი დაედო ცხოვრების ფეოდალური წესები, მაგრამ ხალხის ინტერესებს თავიდან იცავდნენ. როგორც „კრებულის" ფურცლებზე ვკითხულობთ „ხალხი, თავის მხრივ, ეგრეთ და ეგრეთ მეტ მიიღებს, როცა ხედავს, რომ ეწინააღმდეგება შეიძლება შეზღუდულ ვითარებას — როცა ის ხედავს, რომ კრებაზე მოქმედი ადამიანი ეწინააღმდეგება, რომელიც საზოგადოების სიტყვით, თავის ძალას დაკარგავს იგი. მაშინ ხალხს, რასაკვირველია, არ ჰქონდა იმედი მთავრობისა, რომ იგრძნობს ხალხის აზრს და დაეწყებოდა, რომ მთელი მისი ძალა და ღონე რეფორმის განხორციელებას. და ეს იმის, ვინაიდან, თანდათან ეგრეთ და ეგრეთ იწყება ხალხის გულში"[1].

რეფორმის შემდგომმა შეცვლილმა ეპოქამ კაპიტალისტური ურთიერთობების შექმნით აშკარა განვითარებით ახალი, მაგრამ ეს მოვლენა საქართველოს ეკონომიკაზე შესამჩნევი იყო. აქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო ბატონყმური წესწყობილების გადმონაშთები, ეს კი თავის მხრივ კაპიტალიზმის განვითარებას აფერხებდა. სოფელი ბატონყმობის კლასიკური ტრადიციების ბრძოლა, რაც შეეხო საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა, ასევე თავისუფლებისათვის. ბატონყმობის გაუქმებამ ხელი შეუწყო თავისუფლების გავრცელებას, რადგან მათ ალაგ ჯერ ადგილ ჰქონდათ ფართო მოთხოვნილებებს და განახლებულ მათ სიცოცხლის ცოდნა ნაწილი გაუდიდა დაყრდნობილ. მოწინავე ხალხი სამოქალაქო ცხოვრება არა მარტო ეკონომიკური შეხედულებების მიმართ.

რეფორმის შემდგომ პერიოდში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა მხოლოდ ტვირთად დააწვა არა მარტო მშრომელ გლეხობას, არამედ იყო თავისუფლებისაკენ, თავისუფლების შემდგომ იყო ბატონყმობის გაუქმების შედეგად შეძლებულ თავადაზნაურობას, რომელიც თავის ხელში კაპიტალის კლასების წინაშე ახალი საკუთრების ფორმებს, რომლებიც ბატონებს ეკუთვნოდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საზოგადოების განვითარებისათვის. ბატონყმობის მოსპობამ საქართველოში ფართო გზა გაუხსნა კაპიტალიზმის განვითარებას. საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა, რამაც ხალხის ფართო ფენები მიიზიდა და სოციალური კლასების წინაშე ახალი ამოცანები წამოიჭრა. ბატონყმობის ანტიფეოდალური მოძრაობა პროგრესულ წრეებს ერთი მძლავრი ძალა გახლდათ.

„კრებულის" პუბლიცისტები ნათლად ხედავდნენ ბანკების დაარსების აუცილებლობას. ამ ჟურნალში გამოქვეყნებულ ერთ სტატიაში — „ბანკის საქმე ჩვენში" გამოთქმულია აზრი ქვეყანაში ბანკის დაარსების საჭიროებაზე. „ბანკი არის ისეთი ხმალი, რომ საჭიროა იყოს აუცილებლად ხელში, ბატონობის, ყველა მხრით საჭიროა ამ საქმიანობის ხალხი და ბანკი, და ყველა კი ამ ბანკების და არა დაწყებული საქმეების და მოგებისთვის ყველაზე აუცილებლად არსებობა. ამ ეკონომიკური და საქმიანობის გზით ჩვენში აღორძინდება"[1].

შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია ფართო მოთხოვნილება, მაგრამ მისი შედეგი დიდ ხანს ვლინდებოდა იყო დაკავშირებული, ვინაიდან სარგებლის მიღების ტენდენცია მძლავრობდა.

---

[1] იხ. „კრებული", 1871, № 1, გვ. 137.

[1] იხ. „კრებული", 1872, № 6, გვ. 161-162.

სარგებლის [illegible] ცოცხლობდა ქვეყნებში [illegible] იყო. მაგრამ საქართველოს [illegible] [illegible] კაპიტალი [illegible] სარგებლის [illegible] [illegible] როგორც „კრებულის“ [illegible] [illegible]. [illegible] საადგილ-მამულო [illegible] [illegible] [illegible] ვალების სარგებლის გადახდას.

„კრებულში“ [illegible] [illegible] [illegible] იყო [illegible] საადგილმამულო ბანკის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] განვითარება და [illegible] [illegible] [illegible] ჩვენს საზოგადოებაში. საადგილმამულო ბანკის [illegible] [illegible]. „როგორც [illegible] „კრებულის“ [illegible] არ [illegible] [illegible] [illegible], და იგი უნდა [illegible] [illegible] [illegible], ან მისი [illegible] [illegible]. [illegible] საზოგადოებაში არ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]“ — [illegible] [illegible] [illegible].

„კრებულის“ პუბლიცისტებმა, პირველ რიგში, [illegible] საადგილმამულო ბანკის [illegible] [illegible], რადგან ამ [illegible] ჩვენში [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] საქართველოსათვის როგორც [illegible] [illegible], საჭირო იყო [illegible] ბანკის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] განვითარების. აქ [illegible] [illegible] საადგილ-მამულო [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] ბანკის [illegible] [illegible] [illegible], რადგან სესხის [illegible] ბანკი [illegible] [illegible] ქვეყნისათვის [illegible] იყო [illegible] [illegible], როგორც „კრებულის“ პუბლიცისტები [illegible] [illegible] [illegible] იყო, რომ ვერ [illegible] [illegible] ფულის [illegible]. [illegible] [illegible] ფულის [illegible], კი საზოგადოებისათვის [illegible] იყო [illegible], [illegible] საჭირო იყო [illegible] [illegible], რომელიც საადგილ-მამულო [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ფული [illegible]. ფული კი [illegible] [illegible] იყო — [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ბანკი ვერ [illegible] [illegible] ქვეყნის [illegible]. საჭირო იყო ბანკის ფულის [illegible] [illegible]. „[illegible] ბანკის პირველი [illegible] [illegible] ფულის [illegible] [illegible] [illegible], რომ [illegible] ფული, [illegible] ფულის [illegible] რომ [illegible] ფული [illegible] სარგებლის [illegible] და [illegible] [illegible] საადგილმამულო [illegible] [illegible] რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] საადგილ-მამულის [illegible]

[1] ჟურ. „კრებული“, 1872, № 6, გვ. 163-164.

[illegible]: ეს [illegible] ჩვენი ბანკის პირველი და [illegible] საქმე“.[1]

მართალია, „კრებულის“ [illegible] [illegible] ვერ [illegible] ბანკის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომ [illegible] [illegible] მის [illegible] ქვეყნის [illegible] საქ-[illegible] [illegible] [illegible]. საზოგადოებრივი ბანკების საშუალებით, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

საადგილმამულო ბანკები საქართველოში [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომლებმაც [illegible] [illegible] [illegible] ქვეყნის [illegible] [illegible] [illegible], [illegible] როგორც [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] საადგილმამულო ბანკები [illegible] საზოგადოებრივი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] საადგილმამულო [illegible].[2] ეს [illegible] [illegible] [illegible] ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ქართველი განმანათლებლების [illegible] [illegible] [illegible], რომ მათ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] საქმეში. მათ [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. მათ [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ჩვენი [illegible] ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ბრძოლისათვის.

„კრებულის“ პუბლიცისტები, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] საზოგადოებრივი [illegible] [illegible] საქმეში.

ქართველი განმანათლებლები [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

[1] იქვე, გვ. 187.

[2] ნ. შველიძე, საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, 1967, თბილისი, გვ. 3.

და, მით უმეტეს რუსეთში, ხედავდა კულტურული ცივილიზაციის მომავალს. ამ თავისებურების მიზეზებისათვის კი სოციალურ ვარემოცვაში საჭიროა. მათთვის კულტურა მხოლოდ იყო თავისუფლების იდეა, ვინაიდან თავისუფლება ადამიანის შემოქმედებითი უნარის ფსიქოლოგია. დესპოტური წყობილება ხელ-ფეხს უკრავს ადამიანებს, გასაქანს არ აძლევს მათ მოქალაქეთა თავიანთი შესაძლებლობა გამოავლინონ. ადამიანები, რომელთაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში მიაჩნიათ საზოგადოების მოწინავე პირები, მიზნად როდი უნდა ისახავდნენ მათ ასწავლონ, ყოველივე ახალი აზრისათვის ბრძოლაში მიიყვანონ საქმე. „კრებულის“ პუბლიცისტების აზრით, მოწინავე პირებმა შეუძლიათ კეთილშობილური ზეგავლენა იქონიონ მასებზე ამ შემთხვევაში, როდესაც იციან ახალი აზრების ტყვეობიდან არ იგრძნობათ.

საზოგადოების მოწინავე პირნი, „კრებულის“ პუბლიცისტების აზრით, არ უნდა იცილებდნენ თავიანთ რწმენას თანამდებობათა მიღების შიშით. ეს ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება როდესაც იმათ ხელს კი არ უწყობენ ხალხის განთავისუფლებას, არამედ, პირიქით.

თავისუფლებისათვის ცხოვრების მებრძოლების განმარტებაში მ. ჭუტკერაძის (?). ლექსის ავტორი „ოოჯახ მამინი“, მახინის გამოაქვეყნებს დიდი ფასეულობის იყო თავისუფლებისათვის ადამიანებისათვის. ავტორის აღნიშნავს, რომ იმისთვის მამაცი იყო მებრძოლნი, მონათა, განათლებულნი, თავისი ხალხისათვის თავდადებული და თავგანწირული ადამიანი. მათში და ადამიანის გრძნობა, მათი სიტყვის ძალით არის შექმნილი.

ადამიანი ვინც ხმის გამოსვლებში დაიჯერება კეთილშობილებას, ფარისევლობას და ესკიზის სახით ადამიანის ხალხი დამონებული იყო, რაც ხალხს უწყოდა მომწამვლელი მტრის. მოღვაწე ბაში ყოველთვის იყო „იმ დროის უზიარესი არაფერიამდის ადამიანები, — წერს ავტორი — რომ შეურაცხყოფის ძალით წინ დაუბრკოლებელნი მტერსა და ამის გამო მტრის ყოველთვის ათასი, ცეცხლში ჩაწოლითა, ქვიშით საქმე, ქალაქები ლომგულობისათ იმარჯვებენ, გულები იარაღს ასხამენ, მთებსა და ღელეებში თავს აფარებენ მტრის, თავის სოფლებში, თავის სახლებში ებრძვიან. ზოგჯერ მტერი რიცხვით მეტი იყო და ამიტომ ადამიანის ხალხი მარცხდებოდა. მტრისაგან ადამიანების ბრძოლა განსაკუთრებული ღირსეული იყო დამარცხებული იყო და ამიტომ ცუდი მოდი ვერვინა“.[2]

ადამიანის ხალხი მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში დესპოტების ულმობელ ემორჩილებოდა. მტრები მას სისხლს სწოვდნენ, ბოლო ადამიანის მიიყვანეს და შვილები უცხო ქვეყნებში ყმებად გადაიქცნენ. ადამიანის მომავალი მხოლოდ სიცოცხლე თავისუფლებით უნდა მიიღოს. ხალხის ინტერესებისათვის სასარგებლო იყო კანონები ავტორიტეტული ხალხის. ისიც ამბავია, რომ საქმეებში წარმომადგენლები არა მხოლოდ ხანის, არამედ ხალხის ისინი არიან, რის გამოც სახელმწიფო ხარჯზე ინახება მთელი სახალხო მეურნეობა მოიშალა. მმართველობა ცდილობდა ხალხის ინტერესების დაცვაზე თავის ინტერესი არა იყო, ფეოდალური და მრავალი იყო ამისათვის. ფეოდალიზმის და ტირანის ყოველი ლიტერატურა ეწინააღმდეგება განმარტება ისე შეუწყნარებელი გახლდათ, რომ ქვეყნის საუკეთესო შვილები მხოლოდ სახელმწიფო შეეძლოთ თავიანთი ინტერესებით ეწყოთ და განთავისუფლებაში ახალი, ადამიანი იყო ხალხის თავდადება. საზოგადო საქმეზე მუშაობა, ვინც სამშობლო იყო განწირული. ამას ახლა ეპისკოპოსი ნათელყოფს ნათელყოფა.

ადამიანის ხალხს სურს ეწეოდეს სიცოცხლე, უფლება, სიტყვის, სინდისის, თავისუფლების და ღირსების უფლება, განთავისუფლება ლიტერატურის და მწერლების შეუწყნარებელი და უფრო თავისუფალი აზრების გამოთქმისთვის, უცხო ქვეყნებისაგან თავდაცვის, განთავისუფლების იმისთვის, ხალხი დაიცვას და ბედი გამოცდა.

ამგვარად როგორც „კრებულის“ პუბლიცისტები აღნიშნავდნენ, შეუძლებელი იყო სამართლიანი კანონის დაარსება. საზოგადოებაში ყოველთვის მოიძებნება ისეთი პირები, რომლებიც ცდილობენ სწავლებით მოიპოვონ მმართველობის, უმაღლესი კლასის განთავისუფლების ერთადერთი წყობილების წინააღმდეგ. ბრძოლებს თავისუფლების სიყვარული, მთავრობის სამართლიანობისაგან, რეფორმების გატარების აუცილებლობისაკენ მოუწოდებენ. მთავრობა კი სასტიკად უსწორდება თავისუფლებისათვის მებრძოლებს. ვისაც ციხეში ამწყვდევს, ვისაც ჩამოახრჩობს, ვისაც სასჯელის აღსრულების გარეშე ხალხის წინაშე, ბოლოს მთელი ადამიანი აღსდგება, რაშიც თვითონ მათიანე დიდი წვლილი შეიტანა. მის ირგვლივ ხშირად იკრიბებოდნენ მეგობრები, რომლებიც ადამიანის განთავისუფლებაზე მსჯელობდნენ. რევოლუციური სულისკვეთებით განმსჭვალულ ლიტერატურის გავლენით „ეპისკოპოსი“ მკვეთრად რეაქციულ გზაზე დგას არა პოლიტიკური თავისუფლებისა.[1]

„კრებულის“ პუბლიცისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი მიაღწევს მისთვის მიზანშეწონილ და განთავისუფლების გზას დაადგებოდა. მათი ღრმა რწმენით, ხალხია ისტორიის შემოქმედი, თუმცა არ

¹ ჟურ. „კრებული“, 1872 წ., № 8-9.
² იქვე, გვ. 48.

¹ ჟურ. „კრებული“, 1872, № 8-9, გვ. 52.

იუწყებოდნენ, რომ გამოჩენილ პიროვნებებს კაცობრიობის ბრძოლის საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ. „კრებული" ფერილების აბეზღობით თვალისა მთლიან ბოლოკვრი შინაარსი: „კრებულის" ერთ-ერთი პუბლიცისტი ამბობს ხალხის არის ხალხის როლის შესახებ და წერს: „ხალხი, რომ ისტორიის მიმდინარეობს მოქმედი პირი და ისტორიულ მოვლენები ისტორია, თუ ჩვენ პიროვნება მოქმედე პირნი, ჩვენ სრულიად ისტორიის გაგება არ გვექნება"[1].

ჟურნალი განმანათლებლების საწინააღმდეგოდ, რომ მშრომელი ხალხის განთავისუფლების გარეშე შეუძლებელი იყო ქვეყნის საზოგადოებრივი წარმატების დამხობა ხალხის განმანათლებელ პირთა კი ხელის უწყობდნენ ხალხის ცხოვრებას, მათ ბრძოლის ქვეყნის საზოგადოებრივი წარმატების წინააღმდეგ. მშრომელების წარმომადგენლები სატოს რეფორმის მიმართულებით ხალხის არსებული წინააღმდეგ. ჩვენი აზრით პროგრესული საზოგადოებრივი წარმატება ვერ გადარჩება. აი რას წერს ამის შესახებ „კრებული": „მაგრამ ჯერ შეიძლება, რომ ერების წინსვლა მხოლოდ ამ საშუალებით ვითარდება. ძველი წარმოების დარღვევისთანავე არ შეიძლება, რადგანაც ამ წარმოების დარღვევას ცხოვრება მარტო ქმნის და ისტორია. კი არა, ეკონომიკის ზოგადი განვითარებული საზოგადოება, რომლების რიცხვი, რომელიც ხანს გაგრძელდა, იმისგან ერთი და ეყენა შინაარსდებიან"[2].

დასავლეთ ევროპაში ლიბერალურმა ხალხს ძალიან აუხსნა საზოგადოების წინაშე, ბრძოლა მისცა ძველი საზოგადოებრივი წარმოების წინააღმდეგ მათ აზროვნებების. ამ ეროვნული რეჟიმს საზოგადოების შემდეგ პირების ეკონომიური საქმიანობა სასულიერო პირების და თავისუფლებრობის წინააღმდეგ. საზოგადოებრივი აზრი როგორც ძლიერდება „რა არის ბრძოლა დასავლეთ ქვეყნის რეალიზმი და სოციალური წარმოებები და ეკონომიკის ძალის წარმოება. აი ასე დაუმტკიცა წიგნების ხშირად განვითარება ეკონომიკური ვაჭრობის შეტყობინებები — ინტენსიური ნაწილის რომ მე-16 საუკუნეში გაჩნდა განვითარება თავისთავ ვერა ხელში და ეპოქის ეფექტური შესრულებით ამ ცხოვრების თავისი მოშორების, რომლებიც საშუალო საუკუნეებში ეწინააღმდეგებ ეკონომიკას"[3].

ძველი საზოგადოებრივი წარმოების დამხობის თავისუფალ ხანგრძლივ გზას ისტორიის ხალხში რის საჭიროებაცაა გერმანიის მშრომელი ხალხის თავისუფლების მოპოვებულია. შემდეგში დიდი ბრძოლა მოსდევდა. მშრომელი ხალხი ინტენსიურად მეტყველების ეკვივალენტი, არსებობას განაგრძობდა ძველი სოციალური წარმოების ძირ დიდი ხალხს ჩაგვრა-ძალადობა არ ეყო და გამდიდრა ის არის, რომ შესაძლებლობა არსებული გარემოების შეცვლა, არც თავად-აზნაურობა და სასულიერო პირები იყვნენ ისე დასუსტებული, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი დამარცხება და ხალხის გამარჯვება". შემდეგ ავტორი შენიშნავს „წინსვლის წინამძღომელი სიტყვა თავისი გარემოებებზე და ეკან არის დაწერილი ისტორიაზე, მისმა ზოგიერთი მოვლენა არ მოსწონის თავიდან"[1].

მართალია, ქართველი განმანათლებლები დაიწყებდნენ იყვნენ ეკონომიკურ-პოლიტიკური წარმოების დიდმა პროცესებში. მაგრამ ძველი წარმოების დაშლილი მოსახლეობის და საქმიანობა აღმოჩნდება მწარმოებლური ძალების წინსვლას, რის გამოც ქვეყანა და ხალხი მისი გაბატონებული მდიდარი მიმდინარეობა. „კრებულის" პუბლიცისტის სიტყვით, რომ ძალიან ამერიკის ცხოვრებაში გამართლებისთვის მიჩვეულია, სიმდიდრის დაგროვება იყო საჭირო. ეხლა რა ინგლისში ეხლა ტამერლანის 1381 წლის აჯანყების, რომელიც ლიბერალიზმის მოედანზე იყო ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, „კრებული" აღნიშნავს „არც შეიძლებოდა ხანი რომ ხალხი გამარჯვებულიყო. რადგანაც თავადაზნაურობა და სასულიერო პირები ძალიან ძლიერი იყო არ იყვნენ დასუსტებულნი, რომ დამდგარი ხალხი ისწავლა ეროვნული მოძრაობა და არც დაშლილ ხალხს იყო მძლავრი ეკონომიკა გამონაყოფი, რომ როგორმე ეწინააღმდეგა თავადაზნაურობის შეგნებულებას"[2].

საფრანგეთის მშრომელი ხალხიც ებრძოდა გაბატონებულ კლასების ჩაგვრას. მიუხედავად საბრძოლო რევოლუციური ჩვენი ვერსიით მოვლენებისა, მაგრამ მშრომელები სულ ვერ ახერხებდნენ წარმატებას, ფეოდალების არსებობა სოციალურ სისტემაში. ეკონომიკური საფრანგეთში ზოგი ადამიანის ხალხის ამაღლება, რომელიც მანამდე მტკიცედ თავადაზნაურობის და სასულიერო პირების თავისი მოსაზრება, მათი ძალაუფლების შეკავება.

„კრებულის" პუბლიცისტები ფიქრობენ, რომ ძველი საზოგადოებრივი წარმოების დაშლის შემდეგ სამრეწველოებამდე იყო ფეოდალიზმის დანგრევა, დამარცხება ევროპის. მშრომელი ხალხის ეკონომიკას კაპიტალისტებმა, მათი საქონლის მშრომელი ხალხის თავისუფლების ბრძოლის მექანიზმის შეუძლებელია. მათ სწორედ რომ „ამ სამეფოს არა აქვს ძველი დიდი, რომელსაც ერთი წლებში უფრო ადვილი შეიძლება მიეღო კი ეცადნენ წესი". რადგან „ამ საზოგადოებრივ სოფლის სისტემის, ცხოვრება და ერთად მოქმედება გადაეცა ხალხის ხელში. აქ ძლიერ საქმეს კლასი დაარსეს, ანუ დამოსილებულ პირ-

[1] იხ. „კრებული", 1872, № 2, გვ. 205.
[2] იხ. „კრებული", 1871, № 11, გვ. 251.
[3] იქვე, გვ. 267.

[1] იხ. „კრებული", 1873, № 1, გვ. 255.
[2] იხ. „კრებული", 1873, № 1, გვ. 241.

პოეტური ბარათებისა შეიძინა შეფასებუ-ლოთ[1].

„კრებულმა" ფართო ვ. მეხრანბატონის რეაქციული თეორია; ამ თეორიის მიხედვით მეორე ხალხების რიგი გოგელმრთ დამკვიდრებული იყო. „კრებულმა" დაუნდობლად გილაშქრა ლიბერალური რეაქციული აზრის წინააღმდეგ, და თანაც დასძინა, რომ ქართველმა ხალხმა, მიუხედავად თავისი მეორე რიცხოვნობისა, დიდი როლი ითამაშა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში და არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა კაცობრიობის ისტორიაში. ამით ქართველება დაამტკიცა ყველა რეაქციონერს, რომლებიც დიდი ერების მიერ პატარა ერების ასიმილაციას მოითხოვდნენ, მათი თეორიის ანტიხალხური, რეაქციული და ცრუმეცნიერული ხასიათი. „კრებულის" პუბლიცისტებმა მართებულად დაასაბუთეს, რომ ქვეყნის განვითარების დონეს განსაზღვრავს არა ხალხის სიმრავლე, არამედ საზოგადოებრივი წყობილება, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულება. მათი აზრით, ტერიტორია, ცოტაოდენ განვითარებული ფიზიკური ... ქვეყნის საზოგადოებრივ პროგრესს, ქვეყნის კულტურული ცხოვრების წინსვლას.

„კრებულის" ფურცლებზე ვკითხულობთ: „რამდენი რიცხვმრავალი ხალხები ყოფილან და არიან, რომ წინსვლას არა ცოდნით და რამდენი რიცხვმეტობით, რომ უმაღლესი განათლება მიიღონ. ჩვენ ჩინეთის ყველას და ... რიგი ოსმალოს ან ქართველ ხალხზე ვერაფერით განსხვავდება იყვნენ. ჩვენ ჩვენი პატარა საბერძნეთის ხალხის განათლება რიცხვზე იყო დამოკიდებული? ყველა ხალხის ცივილიზაცია ხალხის ენისაგან რიცხვზე კი არ არის დამოკიდებული...

ცივილიზაციის შესახებ თავისი აზრი, მოგვ-ეწონა. მოვლენათა ლოგიკა ეჩვენება, განა ამიტომაა ყველა შემდგარი ის ხალხში ჩინეთის, რომელიც რიცხვმრავალია, იგი სხვა ხალხებშიაც ჩნდებოდა" ეს ყველა მეტად კარგად ითქვა, რომ სწავლა და განათლება იმისთანა ხალხებშია, დიდებშიაც და პატარებშიაც, სადაც მოქალაქეობრივი განწყობილება ეკუთვნის. იქაც ხალხის შემოქმედება ნაწილებს მოუტანს უფრო ადამიანური ცხოვრება და სადაც მარტო შეუძლებელია სამოქალაქო საქმე თავის საკუთარ საქმედ მიიჩნიოს"[1].

ქართველი მწერლები მისაბამებს ეროვნული ცხოვრების მიერ საკუთარ ექსპლოატაციისაგან განთავისუფლება. ქართველი პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია კი ძალიან კარგად იცოდა, რომ ხალხის ბედზე ტვირთი შეუმსუბუქებოდა.

---

1 იხ. „კრებული", 1872, № 10-12, გვ. 66.

1 ჟურნალი „კრებული" 1872 წ. № 10-12, გვ. 30-31.

აკაკი ბაქრაძე

# ისტორია და რომანი

[illegible]

«ლაშარელა»

[illegible]

[illegible]

ეს ეპოქის ნიშანი და თავისებურებაა.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] (გვ. 33).

[illegible]

თას ტრადიციით თვისებაც — სიკეთე, სიყვარუ-ლისა ჩანიაროს ეს თვისებანი სხვა ერის და ხალ-ხის შემოქმედებაში ლეონს აღარ გაეჩნდებოდა.

მეფისა და თავისი მწიგნობრის როლშიც აღ-ჭურვილ კონფლიქტს დაჰმატებს, რომ თავი დაეხ-სნა, იგი (მწიგნობარი ლეონ-ვახტანგის რომ ალე-გორიული სიბრძნეთაც არის ნაწყვეტები.

სიბრძნე მიუგო:

„ჩვენ იყო, ხელმწიფევ, ლეონმა განცხადება დავისმინეთ, ვითომ ხალხნი ლეონის დიდებით და ორიენტაციას ლიტერატურულ დაკარგვიდნენ, სა-ცილ-კინკილით მიყურადებულნი ესმოდნენ ლი-დერს და ჩვენსავე მიყვებოდნენ. მერე ჩვენ კლდის პირს მიაწყდნენ. ის იყო, ლომი კლდეს გადავიდა, რომ ვერავინ ლიონელმა ხელში ხა-თვლი შეიტყო, ხალხი ცდილობდ ხელი არ გა-ეშვა სხვისთვის მჭიდ, მაგრამ ლიონელი ხე-ლი, რომელმაც უფსკრულთან შეიტყო, მაშ-ინვე ფეხის ქვეშ ძირს ეცემა ხელში. ქვე-ბისაგანაც კლდეებს, სიმწრისა იდგნენ ახ-ხალი და ლომი გარბოდა, როგორც წელ-წელა მო-რავდა მის უკან შემოჭერილი ქვითს ხაზი თითქოს ლომი გაწეწილი ფარჩაკლებს უფსკ-რული პირს, ცდილობს უფრო მაგრად ხაგ-ლის ხალხის ხელები, რომ როგორმე თავი შე-მაგრას უფსკრულში გადაჩეხვისაგან. მაგრამ ახლა უკვე მას მოსწყდა ის ლიონელი ხელი, რო-მელიც ხალხს შეეძლო კლდის ხასიათს. სა-მიწლად მოექცა მაგარი მძლეობის ხელში. ძალებმა ტყავში გადით და ტყავებისაგან გამ-წირულნი თავით წამით მალეე მიაგნო ლე-მანს კლდის თავზე თანაგრძნობით და წვერ-წვერიდან ათასგვარ ივენ იდგა“ (გვ. 139-40).

სიბრძნის მეორე:

„ჩვენც ვითომ ლომისა გვერდ ებჯინა ლომს, ეს გვერდ არ ეხებოდა, ისე ეხვეოდა და ესალმე-ბოდა. მერე ჩვენ სიტყვანიც იმა ალეგორი ხელი გაიწოდა, გვერდ მიიზიდა და მოლაპარ მაშინ იყენი ლომმა. ამ გვერდს ხალხისა სახე ჩვენილა ლომმა დაუკარგავ ვერ მოაწყვია, რომ იმედი ხელები, რომელიც გვერდ მოადგენს, თვითონ შემოიქცეოდნენ მის უკან და წელ-წელა მარწყვეებიდ წაუშლიან. გამხიარული ლომმა მაგრამ ახლა, ხელების შემოჭერილებს გოლ-ათური ლომს ჰქონდა, მოწყალების დამწოდი მუხა-ლიანი სასიცოცხლოდ ქარცეცხლზე ტიტოლში მეგე-ხილოდა. ახლა ფარდაში ხასიათ შეეჯახებოდა თვალებში სასწაულებელი გოლიათი, ჭიპამს და ბუნებრივად დაფარული, ნაწყვეტებიაო ხაზე ეხლა წამში იცინა ათასგვარ მიამსგავსა თვა-ლებში სიცოცხლე გაქცეოდა. ნაწყვეტებიაო გოლიათმა ლომი რომ დაიცვა და ხელ შეიფრთ დაიჭერა“ (გვ. 140-41).

მიზეზობით და ამგვარი ალეგორია. მოულოდნე-ლი გარეგნობისა ზუსტად ისე წარმოსახულია, როგორც სიბრძნეში ხანა ლომისა. ხალხი მამხი-ლოსა სამეფოს მსჯელობით. იგი გაწვრთნ გამხმა ლომის სიყვარულის ქვეშში. შემდეგ მასწავლილი თავით შეუძლებელია ქალი, სადაც ეზიდა ლომის გვერდით გვერდ ებჯინა ლომს, რომ მან გვერდი არ ეხებოდა, ისე ეხვეოდა და ალექსიმარ-ლიანი. ამ აბზაცი ზეთებიანი მხიარულოვანი ზოგა-დი აღწერით. („თუ ძლიერი ხელი გაწ-ვდილი, გვერდ მოიზიდა“) და ლომის მკვლევარში მოუქზიდის (სიკვდ ხელები, რომელიც გვერდ მოადგენს, თვითონ შემოიქცეოდნენ მის უკან და წელ-წელა მარწყვებიდ წაუშლიან). ლომ-გორიაზე შემოქმედი გადაიხა. ლეხმა, თავი გაიწირა რომ არ გამოეწია, ლომის ვეღარავ-რი უშველიდა.

ყოფა სიტყვით, ალეგორიულ სიბრძნეში იგუ-ლე ამბავი ხელს, რაც ცხადია. აქ ურჩხული ხა-ზის კითხვა ვისიგან და რისთვის დაიწერა მწერალი ეს სიბრძნე? ალეგორიულ ქვე-ტექსტი თავისთავად დაფარავ მნიშვნელობა, რაც თავად მწერლის ახალ ალეგორიაშ მი-ზანის: „ლომის თავზე თანაგრძნობით და წვერ-წვერიდან ათასგვარ იდგა“. „ამ გვერდს ხალხისა სახე ჩვენილა“. „...ნაწყვეტებიაო სახე ეხლა წამში იცინა ათასგვარ მიამსგავსა“, ასე რომ, წყლის-ვერ ალეგორიის ამოცანა არ სჭირდება. გა-ამახვილებს თავად შეხედავ იგი და თავისთავ ამბის-ნა. არც მოულოდნელი ქვეტექსტის ახსნა უფ-ლებებს სიბრძნეში მყოფობად. მაგრამ რომლის მიზანით ისევ მხარეობდა ასიმეტრიულ-ლად და მიზანმიმართულ მწერლის ლომის. ეს ჰუმანისტურობით ხალხი და გარეგნობა და ალეგორიის ახალ ორიგინალ ლომებს. იქნებ ლო-მ-გორიულ ბუნების განასახიერებელი დამ-ჯერა მწერლის ალეგორიები? შეილება მარ-თალია, ლომის სიბრძნე ხანა, რადგან წამყვანი განცდის შემდეგ ზეამბიციური ამოცანის ჯერჯერობით არ მოიძებნა, არც რომელმაც მო-მხიარე ამბების შემდეგ გამოცხადება ლომის სიბ-რძნეში, ისევე თავისუფლად მეფე წყალზედაც ვარ-ლია გადაწყვეტილი თაიგული, რომელიც მხარ-გრძელი თავი ალეგორიულ მიუგოთ: „ჩვენც გვერდ ამოუწყდა, თავისი მოეხვია და მკერდში ჩაეკრა ქვეშიდან“ (161 გვ.). რით შეიძლება აეხსნა ლომ-გორიის ბუნებრივ ანტიკონტექსტური ვარიანტ ამისთვის წერის „აღმოსავლეთიდან და ნიკოლოზბისაგან. მისი მეფის ლომის უშიშარ და უფროსობის სიბრძნეების მიზეზით შეხედ-ვა და დაფარვება, ამჟამინდა ხელის ღიმილისა და ერთხელ კონტექსტში ხაზგას, ცხოველთა-ზე და აფრთხილება ურთიერთობისა თავისი ნი-თელი და ხალისიანი შეხედულებების ასე გრძ-ნობით შეცვალა“ (გვ. 165).

ნიშანდობლივია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლომი იმ-დენად უბრალოდ და ქველი, რომ არც ფაქტი და არც სიბრძნის ზოგიერთ მნიშვნელობა არის აქვს გამოცდილება გარეგნულად. მიგვანიშნებს აშკარაად, თუ ასეა და სხვისი მოხელეების და-ფარვება უშიშარ. მაშინ თავად რით ხასიათი ემ-ძლავრ ამოიკითხა? იგივე შეიძლება მწერლის, საქმეეზეს ამბებისაგან (ცხოვრებით გარეშე

ობის ამბავი), სასიკვდილოდ იმეტებს და ლაშა-გიორგის მაინც სჯერა მისი კეთილგულობა და-ხმარების [illegible] სიკვდილი გადაარჩი-ნა ლაშა (ერთხელ შუაღამის ნადირობა, მეო-რედ — გელათის ოქროს ... [illegible] გმანათლებელ და ლაშამ სიყვარული იმათ გა-დაუხადა, რომ ცოლი წაართვა, სასახლიდან [illegible] [illegible] სამეფო დარბაზი, [illegible] შეიქ ლაშაში, როგორც მეფობის და მძლეველი. წინააღმდეგ გამთააღმწერლის [illegible] შემდეგ ანალიზე და [illegible], [illegible] და [illegible] მისი მეფის ლა-შას [illegible] დასკვნები.

და ერთი მხრივ, ლაშა-გიორგი ინდივიდუა-ლია (ჟამთა... მხოლოდ [illegible] [illegible]), მეორე მხრივ, [illegible] ნა-რატივი (ლაშას მეგობრების მიმართ). ინდივი-დუალობა და ბიოგრაფიის რაღაცით [illegible] [illegible], მაგრამ აქ კავშირის [illegible] [illegible] [illegible] სპირიტუა. მაშინ [illegible], [illegible], [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] მაგრამ, [illegible], [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. და, ერთი მხრივ, [illegible] [illegible] ინ-დივიდუალიზმი. მეორე მხრივ, [illegible] [illegible] ბიოგრაფიაში. ხოლო ლაშა-გიორგის [illegible] [illegible] არა ბიოგრაფიული [illegible], არამედ საქართველოს [illegible]. [illegible], [illegible] და [illegible], ჟამთააღმწერლის [illegible] [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible], რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] ჟამთა-აღმწერლის [illegible] [illegible]:

**ჟამთააღმწერელი:**

„...[illegible] [illegible] და [illegible], და [illegible] [illegible] [illegible] [illegible]“ (ნაწყვეტი ლაშა-გიორგიზე — ა. ბ.)

[illegible]

„...[illegible] [illegible] და [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible]...“ (ეპიზოდი [illegible] ლაშას — ა. ბ.)

მართალია, ჟამთააღმწერელი წერს, რომ „[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]“, მაგრამ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] — როგორ [illegible] [illegible] ლაშას [illegible] [illegible] [illegible] და როგორ [illegible] [illegible] [illegible], როცა [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] როგორ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible]. [illegible] [illegible]

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ჟამთა-აღმწერლის [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible]“.

ჟამთააღმწერლისეული ლაშა-გიორგი [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] არ [illegible], [illegible] [illegible] [illegible], რომ „[illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible], [illegible] და [illegible] და [illegible]“, მაგრამ [illegible] [illegible] ლაშას [illegible] („[illegible] [illegible] [illegible]“, წერს ჟამთააღმწერელი) და [illegible] და [illegible] [illegible]. [illegible] არ [illegible], რა იყო ლაშას [illegible] [illegible].

ჟამთააღმწერელი მაინ ლაშას [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

XIV ს. [illegible] საქართველოს [illegible] [illegible] [illegible]. იგი [illegible] [illegible], როგორ [illegible], რომ [illegible] [illegible] [illegible], [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] ჟამთააღმწე-რელმა საქართველოს [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ლაშა ან [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] ჟამთა-აღმწერლის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] ქართველთა. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] **და [illegible], [illegible] და [illegible], [illegible] და** [illegible], [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] საქართველო და [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible], [illegible] [illegible] [illegible] ლაშა-გიორგიზე, [illegible] [illegible], რომ იგი [illegible] იყო.

მართალია, ლაშა-გიორგის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], მაგრამ [illegible] ჟამთააღმწერლის [illegible] [illegible] [illegible]. [illegible], ლაშა-გიორგის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], იგი ლაშას [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] და წერს, რომ იგი „[illegible] [illegible]. [illegible] და [illegible], და [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]“. ([illegible] [illegible] — ა. ბ.). [illegible] [illegible] [illegible], რომ [illegible] ლაშას [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

სოფლად საქართველოს შვილი სამაგიერო აღდგეს დამშობილ მეფობის ჩვენსა.

— ბიძაჩ ჩემო, შენი მოძღვარი, მტერთ მომკვეთა და გამარჯვებულ წინაპართა შენთა ხმლითა და სიტყვითა ხალხმან გიხილოს...

— აფერ ჩვენ შენ... მშვიდობით მიდით გაცოცხლდით მოსვლის ლაშაში" (გვ. 306).

რა ენერგიით, ნებისყოფით და სიმტკიცით იბრძვის ლაშა-გიორგი მართლაც ბედნიერების შესანარჩუნებლად! რატომ ეკარგება ეს ზნეობა და ენერგია სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტისას? იქნებ ტახტი და სამეფო ძალაუფლება ეზიზღება და უფრთხება? არ აცდენს! მაგრამ მწერალი გვიხსნის: „ლაშას ეგონა სამშობლო, ტახტი საზღვრებზე მიდიოდა დაცვა მოწინავეთა და უსიტყვოდ დამორჩილებით მიაჩნია" (გვ. 293)... მაშინ რა ხდება ლაშას სულში საქართველოს? რატომ არის იგი ზიზღით და შიშით შეპყრობილი და ეწინააღმდეგება და ზიზღი — ჩვენი შეხედულება, შენ როგორც ჩანს, მჭვრეტელმა აქ რაღაც შეუსაბამობა შეამჩნია, და შენი აზრი სწორედ „მაგრამ რა ვქნა, რომ მეუხმე ხალხი (მოძღვარი თუ ხალხი სამშობლო და ტახტი — ა. ბ.). მაგრამ, როგორც ძლიერი და სიმტკიცემოყვარე, ეს ხალხი მისი სიყვარული იყო და დაუმცრობია მეფის გონების და მთელი არსების, რომ სხვა კერძების სასიკეთოსათვის ლაშა წაერთმევა, სამშობლოს და ტახტისათვის ზრუნვაზე სანაცვლოდ ხელი აეღებინებინა" (გვ. 293). კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ლაშასთან შებრალებით, ამ სიყვარულის განცხადება რატომ აქვს ასე ეწინააღმდეგება, სიტყვა და ენების კეთილი? ლაშას სიყვარულის ლაშას სამეფო საქმეებისადმი გულგრილობისაგან არიდებს შენიშვნით, ამ საქმეში როგორც იყო ლაშა, ისეთივე დარჩა ახალი თავისუფლება მთლიანად სიყვარულში განიმსჭვალება.

ლაშა-გიორგის სულიერი ვითარების სურათს დაუკავშირებული სიმართლე და დამაჯერებლობა აკლია.

ლაშასა და ლილეს სიყვარული გრძნობით ანთებულს აღფრთოვანებულად აქვს დახატული. ცოცხლობს გარემოცვა მათი, ბუნების ხელოვნებითაც აქვს ცოცხალი. იგრძნობა ამ სიყვარულის სამყარო სახაზღვრო ერთგული ზღაპრულობა, ცრემლების ვარსკვლავი. ზღაპრულობის ელფერით შემოსილია ლილეს ცხოვრების გზა. ხევი, ცხოვრება სამეფოს გარეთ, არ ვიცით, ვინ იყო ან ვინ წარმოშობით (არც სახელი ვიცით მისი), რომელიც სამეფო ლაშა-გიორგის შვილების და სასახლეში ფერმკრთალ ტიპებში. გრძნობს მხოლოდ ის, რომ როცა ფარულებში და ეკლესიაში ლაშას ეპისკოპოსი მიუღო წავიდეს და შენი დაბრუნდეს. მეფემ უარი თქვა სხვა ქორწინებაზე და სიყვარულისათვის ამ მაშინდელის სიყვარულის ტრაგედია დაიწყო. ვიცით ისიც, რომ დიდი ლაშა-გიორგის ქვეშ შემდეგ უღელი რომ ეწერა, იგი ეს ქალის შეხედვას, ხელს ეხებოდა ლაშას, ერთი ჩვენი გრძნობა, რომელიც სამეფო საზოგადოების ზრუნვაზე და სამხედრო საქმეების გამოაშკარავების, ლაშას და სიყვარულის მიღწევა, ლილეს ლამაზი, ცოცხალი, მომხიბლავი და დიდებული სიყვარულის ამოყვანილი და მთელი სახელმწიფოს თანამდებობა, და ლილეს სამეფო კარზე შეგნებულად სამწუხაროდ ვერ აღზრდის იგი შებრალებისაგან, რომ ხალხი მეფის სიყვარულის გამო „მეფეს ლილეს ერთი დანატრ სიყვარულით აღმძვრელი და შემოდგომის ერთ მწუხრზე ლაშა მივიდა რომელიც ამბობს: მე შენი ხალხი ვარ" (გვ. 101). ლაშა მიუდგა ნაზეცხლისაგან მეფურ გრძნობით ლილეს და ცოცხალ ძალით საქართველოს დიდებულ გამოჩენით. ჩვენ სიცოცხლის წინ ცოცხლობს ეს ქალის ლილეს. აქ ჩვენ ვხედავთ მოუღალავ შვილს. ეპისკოპოსი ლაშას და ლილეს მეფე ტახტის ჩვეულებრივ. ასეთი შეხედულება და მისი გასაოცარი. იგი მოკვდა შენი ქმარი წმინდა ხელს შეეწევა, იქნება შენი ქმარი მეფე გამოგზავნის ქალი და სამეფოს მრავალი ცოდვა. ეს როგორც ხალხი შენს „ლილეს" ტახტის კარზე. დედა, ბანოვანი კულტურის გზა. ეს რა, ბატონებს ამბობდა: შესწავლილი გული მეფესავით შენი შვილის უმეცრებაში, სამეფო ტახტის მეფესთანაც დაბადებული ამით შენ ხარ შვილი შენი მეფე ბანოვანი მეფის ოჯახის საქართველოს ტახტი... დარჩება, ხალხზე შეხვდებოდა, რომ ეძებდა ლამაზი ამის მაღალი საუკეთესოდ ლამაზი" (გვ. 120).

ლაშას ტრაგედია აქვს გულგრილობის ოჯახისა თანდათან იგი ჩვეულებრივ არისტოკრატია იქნება მაგრამ რატომღაც ყოველივე ამას მივიწყებს როგორც ცოცხალი ყოველდღიურობა.

მეგრძნობელი ცოდნა მარადიულ ნაზი ზეციდან დაბადებული ბუნებრივად უბრალოება სიყვარულის შეფერებით, ეგზოტიკური გრძნობების აღმოჩენა ან მოსწონს, ცოცხალი წარმოადგენს და გათავისუფლება.

ცოცხლის წარმოსახვისუნარიანობის ნიჭიერი არიან.

ბევრ ლილეშ მეცადინეობა და ლიტერატურა შეხედვა ამ ქალს, ლომისთაგან განსაცდელის მომხიბლავი საქართველოს მეფეს გახდომის ეწერა.

ლილემ სიცილი ააწყო ღიმილით დაბრძანებული და მისი ბრწყინვა საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე ბიჭი და ამოწყვეტილი ვაჟიშვილის გამგრძელებლობაც შეა.

ერთი შეხედვით, ლილეს გვერდით სოფელშიც

[illegible]

[illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ([illegible]) [illegible] [illegible] ეს მოვლენები შეიძლება მართლაც იყო. შეიძლება მართლაც [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible], თუ [illegible] [illegible], რომ [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]? [illegible] მოხდა, რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] და [illegible] [illegible]? [illegible] მოხდა, რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] და [illegible]. [illegible] და [illegible] [illegible]? [illegible] [illegible] რომ [illegible] [illegible] „[illegible]" [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible]. [illegible] „[illegible]" [illegible] [illegible], რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] — [illegible] და [illegible]. [illegible] [illegible] — [illegible], თუ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

საბედნიეროდ, [illegible] [illegible] [illegible] „[illegible]" [illegible] [illegible] [illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსონ ფირცხალავა

# მოგონებათა ფურცლები

თავის „მოგონებათა ფურცლებში" სამსონ ფირცხალავა აღწერს პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებულ წლებს და იგონებს ცნობილი ქართველი მეცნიერის ალ. ცაგარელის სიტყვებს: „...მხნედ იყავით, ვიბრძოლოთ სიტყვით და კალმით, ვერ შეგვაშინებენ, ქართველი ხალხი გამძლეა, ბევრს უბედურებას გადაურჩენია მის თავზე, მაგრამ არ წაქცეულა". მართალია, ალ. ცაგარელი თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, ხოლო სამსონ ფირცხალავამ საყვარელი პროფესორის სიტყვები დევიზად აქცია. „სიტყვა" და „კალამი" — ამ ფსევდონიმებით წერდა ფელეტონებს, წერილებს, პატარა ამბებს და თავისი წვლილი შეჰქონდა მშობელი ხალხის განვითარების საქმეში.

სამსონ ფირცხალავა დაიბადა 1872 წლის 4 მაისს ხონის რაიონის სოფ. მათხოჯში. პირველდაწყებითი სწავლა ხონის სასწავლებელში მიიღო, შემდეგ ქუთაისის გიმნაზიაში განაგრძო სწავლა, 1893-98 წლებში — პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, იურიდიულ ფაკულტეტზე, იქვე ისმენდა ივ. თარხნიშვილის და ალ. ცაგარელის ლექციებს.

სტუდენტობის პერიოდში სამსონ ფირცხალავა დაუახლოვდა ივ. ჯავახიშვილს, არჩ. ჯორჯაძეს, ლ. ანდრონიკაშვილს, ვრ. რცხილაძეს და სხვებს.

ქართველი სტუდენტობა, პეტერბურგის მოწინავე ახალგაზრდობასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ მუშაობაში, ეწეოდა ქართული კულტურის პროპაგანდას.

სამშობლოში დაბრუნებისას ს. ფირცხალავა ერთხანს ქუთაისსა და ბათუმში მუშაობდა, 1901 წლიდან კი სამუდამოდ გადმოვიდა თბილისში.

ლიტერატურული მოღვაწეობა ს. ფირცხალავამ „ივერიაში" დაიწყო, შემდეგ „ცნობის ფურცლის" თანამშრომელი გახდა იგი. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი, რედაქტორობდა „გლეხს" და „მიწას", შემდეგ — „მნათს", „ფოსტლებს"(?), „სახალხო საქმეს". თავის გარშემო იკრებდა როგორც ცნობილ, ისე ახალგაზრდა მწერლებს და ხელს უწყობდა მათი ნაწერების პოპულარიზაციას.

ს. ფირცხალავა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა.

---

„მოგონებათა ფურცლები" ს. ფირცხალავამ [illegible] აღნიშნული მოგონები დაცულია საქ. ს. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში (ს. № 10735). ტექსტი იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

აღნიშნული მოგონებიდან ორი ნაწყვეტი — „ვაჟა-ფშაველა" და „ქართველი სტუდენტები პეტერბურგში" [illegible] 1966 წ. გვ. 239-243; ლ. ხ.

იყო გარდაცვლილა 1952 წელს.

ნაკლებ მნიშვნელოვანი როდი იყო ისიც, როგორც წიგნის გამომცემლის, მოღვაწეობა. გავიხსენოთ თუნდაც ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა.

ქართველი ხალხი ნ. ბარათაშვილის დაბადების მე-100 წლისთავს ხვდებოდა. მოწინავე ინტელიგენციამ გადაწყვიტა პოეტის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადება, შეიქმნა სარედაქციო კოლეგია, რომელმაც გამოცემის პროექტი შეიმუშავა და გაზ. „სახალხო ფურცელში" შესაბამისი განცხადებაც დაბეჭდა (1915 წ. № 274).

წიგნის გამოცემა ყოვნდებოდა.

ერთი წლის შემდეგ გაზეთი წერდა:

„ამ დღეებში გაიხსნება ხელისმოწერა ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების დასურათებულ გამოცემაზე. გამოცემულია ქ. ცაგარელის მიხეილის ასული ერისთავისა, ქვრივი განსვენებულის ნიკოლ. რაფ. ერისთავისა. წიგნში დაიბეჭდება ერთი ვარიანტის ტექსტი და დაწვრილებით იქნება აღნიშნული ყოველი, ხოლო მეორე გამოცემა დანარჩენ ვარიანტებისა. დაერთვება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ ი. მეუნარგიას, გრ. რობაქიძის, ნ. დუბროვსკის, დ. უზნაძის და სხვ. გარდა ამისა, თითოეულის ლექსის და წერილის ქვეშვე დაწვრილებითი ისტორიული ბიბლიოგრაფიული განმარტება. წიგნში მოთავსდება ასზე მეტი სურათი (იმ ადგილებისა და პირების, რომლებიც მოხსენიებულნი არიან პოეტის ნაწარმოებში) და ავტოგრაფები. სარედაქციო კომისია ცდილობს, რომ გამოცემა გარეგნულად ახასიათებდეს ნ. ბარათაშვილის ღირსებას. წიგნი უნდა გამოსულიყო ამა ნოემბრის 22 დღისათვის, მაგრამ იმიტომ დაიგვიანა საქმე და გამოვა მომავალი წლის თებერვალში. სარედაქციო კომისიაში მონაწილეობას იღებენ კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ქუჩიშვილი, ნ. ერისთავი, გ. ლასიშვილი, ა. ნიკოლაძე, გ. ფერული, დ. შევარდნაძე, ს. ფირცხალავა" („სახალხო ფურცელი", 1916 წ. № 726).

სამწუხაროდ, სარედაქციო კომისიამ ვეღარ შეძლო საქმის ბოლომდე გაძღოლა. გამოცემის ფაქტიური ხელმძღვანელი მხოლოდ სამსონ ფირცხალავა აღმოჩნდა. იონა მეუნარგია 1917 წ. 26 იანვარს ზუგდიდიდან სამსონ ფირცხალავას სწერდა (გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტ. მუზ., თ. სახოკიას ფონდი, ხ—№ 11173).

„ძმაო სამსონ!

მომწერე იბეჭდება თუ არა ბარათაშვილი, თუ იბეჭდება, რატომ არ გამომიგზავნე, რაც გითხარი ადრე: ჩემი ცხოვრების აღწერის ბოლო ფურცლები, კარანდაშით დაწერილი, რომლებიც გადასაწერად და გადასაკეთებლად იყო დანიშნული. ჯერ ცოცხალი მოძღვრიდა მწერალს, თავი და ბოლო კარგად უნდა იყოს დაწერილი და აქ ბოლო სულაც არ არის დაწერილი. გთხოვ, გემუდარები, ნუ აყოვნებ, ისე გამომიგზავნე, როგორც გთხოვე, და თან შემომითვალე, დაიწყეთ თუ არა ბეჭდვა".

აღნიშნული ილუსტრირებული გამოცემა მხოლოდ 1922 წელს მიიღო მკითხველმა.

წიგნის გამოსვლას ქართველი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა.

„მიხეილ გედევანიშვილის[1] მიერ გამოცემული ილია ჭავჭავაძის წიგნის შემდეგ ასეთი წიგნი ჯერ არ გვინახავს. სამსონ ფირცხალავას რედაქციით გამოცემული „ბარათაშვილი" აკადემიური გამოცემაა. აქ ყოველივე წვრილმანი, რაც მგოსნის გარშემო მოიპოვება, დიდის სიბეჯითით არის დალაგებული". — წერდა „ილიონი" (1922 წ. № 2).

ეს გამოცემა დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული და, როგორც აკადემიურ გამოცემას, ამჟამადაც არ დაუკარგავს ღირსება.

ს. ფირცხალავა ავტორია წიგნებისა: „თამარ მეფე" (1939 წ.), „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში 40-6 ს. ს. ძვ. წ." (1948 წ.). მისი კალამს ეკუთვნის მოთხრობები, წერილები, რეცენზიები, ფელეტონები.

ს. ფირცხალავა იყო ი. ჭავჭავაძის, აკ. წე-

[1] მიხეილ გედევანიშვილი (1862-1922) — ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, 1914 წ. გამოსცა ი. ჭავჭავაძის თხზულებანი.

რჩეულის, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილის, ირ. ევდოშვილის, ექვთ. თაყაიშვილის, ალ. სარაჯიშვილის, ალ. ხახანაშვილის, მ. ჯანაშვილის, პ. უმიკაშვილის, ნ. ცხვედაძისა და სხვათა თანამშრომლობა.

როგორც თვითონ წერს, მან სამუდამო განსვენების ადგილამდე მიაცილა საქართველოს ორი უდიდესი შვილი — ილია და აკაკი.

ჩვენი მწერლობა არცთუ მდიდარია მემუარული ლიტერატურით, „მოგონებათა ფურცლებში“ კი მრავალ საგულისხმო სტრიქონს წაიკითხავს ქართველი მკითხველი.

ლეილა ნანიტაშვილი

## I. სოფლიდან ქუთაისის გიმნაზიაში

ჩემი მშობელი სოფელი მათხოჯი მდებარეობს წყალტუბოს (ხონის) რაიონში, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე. ჩვენს სოფელზე ცხენისწყალი [illegible] კალაპოტში, ხოლო [illegible] გაშლილ ვრცელ ველზე, რომელსაც [illegible] რიონ-ცხენისწყლის ველ-მინდვრები. დიდი წვიმების შემდეგ და გაზაფხულზე ცხენისწყალი ძალზე მოდიდდებოდა ხოლმე, კალაპოტს იცვლიდა, ხან ერთ მხარეს მიაწყდებოდა, ხან მეორეს, ვენახებს წალეკავდა, ყანებს რიყით ავსებდა. [illegible] და სახლ-კარი [illegible]. [illegible] ძველი რიყეების [illegible], რომ რამე [illegible] მოეყვანა. [illegible] და [illegible] ერთი წელი ვერ [illegible]. [illegible] ახლა [illegible] ცხენისწყლის კალაპოტის [illegible]...

...მათხოჯი [illegible] ვაკეზე. მის [illegible], ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფლები [illegible] და [illegible] (ეს სამეგრელოა). მათ [illegible], სადაც [illegible] ხის სახლები, [illegible] მათხოჯიდან [illegible]. მათხოჯს [illegible], [illegible] და კლდე[illegible], [illegible] მთამდე, რომლის [illegible] თავქვეს [illegible], [illegible] და [illegible] მათხოჯის [illegible]. [illegible] ერთი [illegible], მას [illegible] ქუთაისის [illegible], აქ [illegible] მარტვილი (ჭყონდიდი), რომელიც მათხოჯის მაღლობზეა.

მათხოჯი [illegible] სოფელია. ჩემი ბავშვობის [illegible] ოთხმოცი ოჯახი, [illegible]. ეკლესიის [illegible]

[illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible]. [illegible] რომლის წყლები [illegible] და [illegible] გაშენებული [illegible]. [illegible] ჩვენი [illegible] სოფელში. [illegible] სახლები [illegible], [illegible] და [illegible] ბევრი [illegible]. [illegible] ქალები [illegible] წინდებს, [illegible]...

[illegible] მათხოჯი [illegible] სოფელში [illegible] ცხენისწყლის [illegible]. [illegible] ჩემი [illegible] სოფელში. [illegible] (ამ [illegible]), რომ [illegible] — [illegible]. [illegible] სოფლის [illegible].

[illegible] სოფელი [illegible] (მარტვილიდან). ხოლო ეს [illegible] ბევრი [illegible] ხანში. [illegible] ჩემი [illegible] სოფელში [illegible] სოფელი [illegible].

სოფლის რამდენიმე [illegible] და [illegible]-

ისტორიის, რომ მერე მუზეუმ გამოცხადდა ქუთაისის მეტოქედ.

ქუთაისი მაშინ ქალაქ-სოფელი იყო, ქალაქ-ბაღი, გამაყუდოებული სახლის მთაწმინდელების ატენილი იყო გამოუხედავად შენობებით, თითქმის ყველა სახლს ეზო ჰქონდა ამწვანებულ-აყვავებული, და მორთულ რომ შეხედავდით ქალაქს, ერთ მთლიან ბაღად გეჩვენებოდათ.

ხალხიანი იყო ქუთაისის საზოგადოებრივი ცხოვრებაც თეატრით და ლამაზი სახლებით. ამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა ქალაქის ბაღი (ეგრეთწოდებული „ბულვარი“), რაც კიდევ ხალხი გარშემო აქ შეხვდებოდით, აქ იყო ყველა-ყველაფერი, დაგროვება, ფაეტონები, ფეხით მოსიარულე, მეჩურჩულე, აქ იყო თეატრიდან დაბრუნებული, აქ იყო ბიჭები და ყმაწვილები, სალამურის, ტანსაცმლის ბაზრის კომერსანტი, ქალები და ქალიშვილები, ლამაზი და ლამაზი, კარგი ხალხით, ფეხით და ცხენით, კვირა-დღეს ხალხით სავსე იყო ეს ბაღი, ქვეყნის ამბებს უამბობდნენ და ეს კიდევ უფრო იზრდებოდა მოსეირნეების ყურადღება შეხვედრილთა თვალწინ ქალები, ლამაზ ტანზე, როგორც ამ ქალაქის თავის მოყვარულობით და სიამტკბილობით მიმზიდველი ჩვენი არისტოკრატიის წარმომადგენლები — წარჩინებულები, წარჩინებულები, მოქალაქეები, ვაჭრები, ოფიცრები, ბურჟუები — ქალები და კაცები.

ამათი ცენტრი იყო ბულვარის ბაღნარი. ეს იყო თავშეყრის ადგილი, ლამაზი ცოცხალი სურათი ქუთაისის ცხოვრებისა ერთი ახალგაზრდა ინტელიგენტები ბიჭები, რომლებიც დაბინძურებულ ცხოვრებას იძულებით ეწინააღმდეგებოდნენ. ამ ბიჭებს მიეწერება დიდი ცოდნა და ლიტერატურის შეგნება. ქალები მოდიოდნენ აქ, ბიჭებს სიყვარულით ეძებდნენ და ეფლირტავებოდნენ, რომ დიდი ტანი ჩვენ მისცა და არ ცოდნის ვაჟკაცი მაშინ ახალგაზრდა ქალი დედაშვილი ბედნიერი იყო და იგი ხშირად ხალხის მიმზიდველი იყო და ამ შეხედულებას საქართველოს ისტორიისათვის ახალი წვლილი, მოუთმენლად ბედნიერი ზაქარიას სახლი და ბოლო შეუძლებელიც არ ყოფილა ცოცხალი.

ინტელიგენტური ზაქარიას და მისი არისტოკრატების წრეში ხანგრძლივ ყოფილი მოხელეებისგან ქართული ლიტერატურის შეხვედრები და კონცერტები იყო ყოველ ერთი კვირა, ერთხელ-ქართული რომანტიკული წრე არ მხოლოდ ეს ხალხის ზედა-ფენაში გამოწვეული ქართული და მეგობრული სიყვარული.

ქუთაისის თავადაზნაურობის წარმომადგენლებიც ბარათაშვილების, ნაკაშიძეების, აბაშიძეების, დადიანების და წერეთლების ოჯახები სტუმრად და ვახშმად აქ ერთიანდებოდნენ, სადაც კარგად ბაღნარი —

ბაღნარი — სასიამოვნო, ჩრდილი, სიმშვიდე, გამოცოცხლებული სიყვარული მთელი ქუთაისისა. მერე ბიძინამ მოყვარული იყო ბაღის გარემოცვებით ბაღის სტუმრებით, ხალხი მეგობრულად უყვარდა და არტისტიც იყო ყველასი, და მაშინ ართისტი ყველას თბილი სიტყვით ეხმიანებოდა და ბევრი ქართველი ამ ყველას გამო სიმღერით ლექსის ავტორად. ქუთაისის ცხოვრების დასასრულს უნდა წარმოიდგინოთ არტისტური ლეგენდარული III-ის ხაზინადარი წერეთლისა ოქტომბერი 1868 წ. ჩვენმა თავადაზნაურობამ ამის გამო ბევრი ინტელიგენციის წარმომადგენლების გარემოცვა გამოიწვია და ბევრი ხალხიც გამოვიდა ლექსით ქუთაისის თეატრისა, ხელმძღვანელი მოქალაქეებმა და სოფლელებმა თეატრი მოაწყვეს და ბულვარში საღამოებზე სიმღერის თავზე ხელოვნების მისაღებად ამ სამხედრო ორკესტრის ზემოქმედებით, ერთი ახალი. ერთი „ზანდუკელების“ ცხოვრების შესახებ **ხელოვნება რომ სამშობლოს, მოყვარული** არ ეყო კომპოზიტორი ბევრი ქვეყნისთვის? მეორემ ეგისტერი კაცი სტუმრად მოვიდა და მთავრობის რომელიც ერთი შეუძლებელი!

ახლანდელ ინტერესი ამ ხანაში საზოგადოება იყო ბევრი ლიტერატურული და გამოცოცხლებული ცხოვრების ხელოვნების და რაიმე ფორმა. ეროვნული ლიტერატურის არსებობა ქუთაისში ყოფნის დროს ლიტერატურის რომანტიკის ამ სახით ბევრი რამ არ ჰქონდა. ბევრი რამ არ ჰქონდა და ბევრი რამ, ეხლა კი თვით საქართველოს ართისტების, რომანტიკოსების ცხოვრება არის მოქმედება, მაგ ერთი ინტელიგენცია ბევრი ამ ართისტების წარმოდგენა. ბევრი შორიდან ქართველებს „ინტელიგენციას“! პირველი ცოდნის, რომელიც ტრადიციებს ერთი მათგანი ხელოვნების წინაშე შეიძლება ხელოვნება სიცოცხლეში არ დამარცხდა. სამშობლო ერთხელ და ართისტების ეპოქის ხალხი, ხალხი მისცეს. ხალხი ამ მოქმედება ბევრი და ერთი რომ ხელოვნების ბაზა...

ქუთაისის ქონდა თავისი თეატრი, ეგი ბუნებრივი მეგობარი, მერე მიღებული ადგილი ბავშვობიდან. ბევრი იყო სამშობლოსთვის, ჩვენში ხელოვნება შეხვედრებით მოწყობილი ინტელიგენტური ადგილებით მხოლოდ იყო ქალაქი.

თეატრალური ახლა ცხოვრება გამხნევდა და ეს ხელი ყოველდღიურ გამხნევებას მოიტანა. ბავშვი ბევრი იყო სიყვარულით ჩამოყალიბებული. ერთი ბავშვები, სახლებში ლამაზებოდნენ. მერე ბავშვი კაცები ართისტი, კომპოზიტორ-გამოცდილი ერთი ეს მოყვანილი სასიმღერო-სამუსიკო ...

[1] ეგრეთ წოდებული რუს-ული წერა-კითხვის მცოდნე ბავშვები, რომლებიც შეეძლოთ ერთი ლიტერატურის ცოდნა, ცოდნა რომ ბავშვის მიეცემა ქართული ბავშვის.

სათვის მოწაფე იხდიდა 10—12—15 მან. თვეში. ყველა სკოლა იყო, თუმცა 15 მანეთიან ბინაზე, რომელიც არისტოკრატიული ოჯახებისა, ფულის და საჭმლის უქონლობა ხშირ ისჯებოდნენ (ერთ კვირა) და ცალკე ბინის და საჭმლის არ ჰქონდა. მოწაფეს ყველა მშობლების ეკონომიკური და შეძლებულობა. ტანსაცმელი არ მოეთხოვებოდა მშობლებისა, მაგრამ წიგნი ეძლეოდა წიგნები დადგომა, რომელიც მალე ცვლიდნენ და მათი შეცვლება არ ახალის ყიდვა ხდებოდა ხშირად ეძლეოდათ.

ასეთ მოწაფეებისას და პატრონობის მოვლენილი კრებაზე თავის თავს ხდება კომისიაში. სწავლების მეთოდის უკმაყოფილება იყო მიზეზი, თუ ის, რომ მასწავლებლები ფულიანი იყვნენ და საერთოდ აფერხებდნენ მეცნიერებული ცნობილი და უცხოური ენების მცოდნეებს. მაგრამ მოწაფეები და მასწავლებლები შეუ ხარჯ იყო ნიჭიერი მოწაფეები სწავლით სასწავლებელში, არ ქონდათ სურვილი და მასწავლებლის ცოდნის შეძენისა. მასწავლებლებს ისე უყვარდნენ, რომელიც მეტისმეტი და დიდი ინტერესი მოეცათ იყო, თუ რომელსაც მასწავლებლის მეცნიერული ვიმოქმედებისა. ჩვენ მოწაფეებით. ამ ნიადაგზე იყო წარმოშობილი ის, რომ გიმნაზიელები, თუ შეხვდა მათ ერთ სკოლები მასწავლებლებს, ისეთ ამბავს სიამოვნებით გიმნაზიელები დაუფარავად ხოლმე ერთ მასწავლებლებს, რომელიც ძალიან ეხმარებოდნენ, და მოუწონდნენ რომელიც გაძლევდნენ მასწავლებლის ტერიტორიულ შემთხვევაში, ცალკეული მუდამ ახალგაზრდები და ამის შემდეგ ის მასწავლებლები გამოიყვანეს, კვირის განმავლობით. მასწავლებლის სისტემატური იმიტომ გამოიწვევდა, რომ რიგი ბავშვის ბიჭის. სწავლა შეწყვეტილი. ჩვენ მოწაფე იყო ქუთაისის გიმნაზიის შვილისა ქვეშ ეწყობა და დაწყებულ მიზეზის მიზეზად ერთგულ და ჩვენ ტოლი ბინაზე ის სოფლელ ქუთაისის ცენტრალი მოეპყრო, მოხდა ყველას ჭეშმარიტ მაშინ, მჯობდა. ისე მშვიდად გამოსვლა და ისე ევროპულად ის თამაშებდა, რომ ჩემი ქუთაისელი მოლაპარაკე ყოველდღიური გიმნაზიის შემდეგ ხომ არ დამწყებლობის გავჭირდებით, თუ შემთხვევა ეწყობა სწავლის დაწყების შეწყვეტისა.

ასეთ მაშინ პატრონებში, ცხადია, მხოლოდ იყო მძიმე ცოდნისთვის მისვლა და გიმნაზიის დამთავრება. ჩემმა უფროსმა ძმამ მეორე კლასიდან დატოვა გიმნაზია, უფრო ბიძაშვილის მეორეგან და მეორე — მესამედან. ჩემ ტოლ-ამხანაგებში, რომელთაც ერთად შევედით მოსამზადებელ კლასში, მხოლოდ სამმა მოვიწიეთ უნივერსიტეტის კლასამდე და დაამთავრეთ გიმნაზია. დანარჩენი 40—50 მოწაფიდან ზოგი შუაში ჩავარდა რეპეტიტორის ან ქირაზე სახლისა არ უწყობდა ხელს და სხვადასხვა ქვეყნის გიმნაზია დასტოვეს.

ერთი რამ კი უნდა ვთქვათ, რომ იყო ჩვენთვის — მაშინდელ მოწაფეთა თაობისათვის ქუთაისში, ლიტერატურული წრე. ეფექტი თეატრის, რომელიც თუმცა ქალაქში ეხმაურებოდა ფართოდ ლიტერატურულ. სულ რაღაც მასწავლებლები გვყავდა, რომლებიც რუსული ეკავებოდნენ, რომელ სულს და შეგნებას ავითარებდნენ. მასწავლებლები ბევრი ეროვნულებისა, ვინც მეტი ქართველი თუ მეტი ქართველები იყვნენ, ქართული შეგნებას, ეროვნული ვარჯიშებით ქართული სწავლება მჯავრდ ევროპელ არაფერი ქართველისათვის, მასწავლებლები ბევრი მღვდელი რაიმე გავიგეთ, ევროპული ამბავს, რომლისთვის 3-ზე ნაცლებს ნიშანი არ მოუცია, ვკითხულობდით „ბუნების კუთხეს", ჟურნალისტი სახელმწიფო ვეოგრაფიას და ისტორიას, წიგნებს „რომანტიკოს კრეზოს და ახალგაზრდა მოგზაურობა", რამაც ძალიან გაგვიტაცა.

რუსი მასწავლებლები არ ეკუთვნოდნენ, თუ გიმნაზიელები ცრუმორწმუნე ქართველი დაუდევნებლობით, თუ ეროვნული წიგნს გვიხსნიდნენ ბინაზე, დამაშვრალი საქართველოში გვეთამაშებოდნენ ჩვენი თავისაგან. ქართველები გვაწყობდნენ და იმის ერთი მაგალითი მეტი კლასში ერთი მოწაფე (ჯ. თუმანიშვილი) რუსული ენის, მასწავლებლის ბეჭედის „სიტყვას" წიგნიდან ფრაზებით და იქ, სადაც ამბიცია რუსებს და შემთხვევების ომის, ამის მაგიერ, რომ უკეთა რომელიც ეწერა: „ქვეყნის (გ. ა. რუსის ენა), მოწაფემ თქვა „რუსები". მასწავლებელმა მაშინვე შეაჩერა და კითხა: რატომ „რუსები" ამბობ და არა „ქვეყნის" მოწაფემ მიუგო: მე ხომ რუსი არა ვარ, და რამდენ უნდა ვთქვა „ქვეყნის" — რომელი მე რუსი არა ვარო! შეუძლია მასწავლებელი და შემდეგომში სასჯელი დაადგინა და მოწაფე რამდენიმე საათი კლასიდან ჩააგდო.

თუ რომელიმე ამიტომ მასწავლებელი იყო ისეთი გარეგნული მოვლენები არ არსებობდნენ, ერთი გაოცებული ბუნება ამონაწერები მასწავლებელი გვყავდა. მოწაფეს რომ გაუთავებელნი, ისე ამბობდა: რა ჩვენ სიმწვა სწავლა, ჩვენ გიმნაზიელებს და მეზობელი რაწყვეტე ერთი კლასის დამრიგებელი თანამშრომელი, რომელიც ადამიანი მასწავლებლები ნიჭიერი შეუმოწმებია, უცხოელების რიგ-რიგ წყალს უკმაწვლიან და თან ისე ეჭირავებდა „რომაელებმა", ასევე გიმნაზიის ყველა გაგვაცნობეს ლიტერატურის მოწაფე ისწავლეს და საერთო ქართული მწერალის (ეგნატე ნინოშვილის) ლექსებიც ამოკითხვა.

იყო ერთი სასიამოვნო გამონაკლისი ერთი ამაღელვებელი მასწავლებელი ნიკოლაძე, ყოფილი ნაცლებად გვაწყობდა, ეყოლია ლექციების ბუნებრივად ეწყობოდა ისტორიული ამბებს რევოლუციური გამოსვლით ადამიანების ცხოვრების არც მოლაპარაკე ილაშქრებდა.

[illegible]

[illegible]

## II. პეტერბურგის უნივერსიტეტში

1893 წ. [illegible]

[illegible] (1873—1944, [illegible]) [illegible] (1876 — 1934, [illegible]) [illegible] (1874 — 1935, [illegible]) [illegible] (1870-1913, [illegible] 1903-1905 [illegible]) [illegible] (1866-1920, [illegible]) [illegible] (1872-1940, [illegible]) [illegible] 60-70-[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] „Северный вестник"-ის [illegible]

1897 წელს [illegible]

[illegible]

[illegible] 70-ზე [illegible] 210-მდე [illegible] 64 [illegible] 20 [illegible] 33 [illegible] 25 [illegible] 20 და 14 [illegible] 62 [illegible] 58 [illegible] 37 [illegible] 33 [illegible] 22 [illegible] 50 [illegible] 23 [illegible] — 93 [illegible] — 59 [illegible] — 65 [illegible] — 38 [illegible] — 22 [illegible] — 15 და 18 [illegible] 7-8 [illegible]

ველ ამბავ მოგვცემდა, რომ ეკონსტრუქციისა მი-
სი ნახვა და სადაც რომ შეეხვედრებოდა, ამიტომ
ერთმანეთს ეკონმიყოფით. მერე, მერე, ქართ-
ველ სტუდენტ ქალიშვილს.

პეტერბურგის სცენაზე კლასიკური მუსი-
მართობა მაშინ არ იყო მიღებული. ბრწყინ-
ვალე რამდენიმე თეატრი ეგონება კონცერ-
ტები ლიტერატურისა მომართულებისა. მაგრამ
ცოცხალი სიტყვის თქმა ეზრდით, შემოხვედ-
ნი ალექს. ყოველდღიური ცენზურული გაზე-
თი, ასე თუ ისე, რაც იყო რეაქციონერი,
მოგვიანებით ზრუნვით გამოსახველი **„Новое время"** და ოდნავ მოლიბერალი **„Новости"**.
გამოცდილი წრეები და სტუდენტობა უფრო
მოწინავე ლიბერალურ გაზ. **„Русские ведомости"**-ს ეტანებოდნენ. ბოლო ხანებში ლიბე-
რალ შეფასებით რადიკალური მიმართულების
გაზეთი **„Русская жизнь"**, რომელიც მეტად
პოპულარული იყო ახალგაზრდობაში და სტუ-
დ მარის, დაიწყვა ბოლო კრეფავს „ მიმარ-
თვა ახალგაზრდებს", რომელიც გამოცემით
გაითვალისწინეთ.

სატერფილები წრეში კერძ- ამეჩვეულია
იყო ერთი სტუმრისათვის დიდმა მოვლენათა-
ნა, რომელიც ამაგი შემოიდო წრეებს ეშვებ-
და. ხოლო მათ ტრიალ ლიტ. არ იყო, სახ
საისახლე მოლოდ.

პეტერბურგის კარგი თეატრები ქონდა. სამი
სახელმწიფო და 4-5 კერძო სახელმწიფოთ ორი
დრამატული იყო, ერთი ოპერა — ბალეტისა.
თეატრებში ძალიან კარგი მოლიდა იყვნენ. მაგ-
რამ მეტად ძვირი იყო სადგომი თეატრში
შესვლა ჩვენთვის, მეორეხარისხ ადგილს ოთხი
ვიწიებდით. მხოლოდ ჩვენ რიგს გალერეის
და ბილეთის ადგილების ვიდეთ ძალიან შეუძ-
ლია. ამ ადგილების ბილეთების ვიდეთ წინასწარ
ხანგრძ და ლოტერეის გათამაშებით ხდებოდა.
ამ ადგილების მიღებული მეტი იყო მეტ არ
ერთხელ ეთმოდა ამის ბილეთი და რამდენიმე
წლის განმავლობაში მარტო ერთხელ შევიდის
სიმღერა თეატრში შევსულ.

სამაგიეროდ ადვილი იყო დრამატული თე-
ატრების ბილეთის შოვნა და მე მივდიოდი კლა-
სიკური პიესების ნახვა. იყო ერთი კერძო თე-
ატრი, სახელად „სუვორინის თეატრი", სადაც რამ-
დენიმე კარგი წარმოდგენა ენახე.

მოუხედავად ჩვენი ხელმოკლეობისა, მოვახერ-
ხე სახვა გამოჩენილი მსახიობი მსახიობების
(მაგნე სვლის, როსის), რომელიც ითამა-
შეს პეტერბურგში.

ერთ წელიწადს, გაზაფხულზე, ჩამოვიდა
იტალიელი ოპერა, სეზონური მომღერლებით,
რომლის წარმოდგენები იმართებოდა ქალაქგა-
რეთ, ეზარმაზარ თეატრში (ცირკში). წი-
ნასწარ ცნობილებიდა ხელისმომწერს 12 რამდენ-
ზე. მე რამდენჯერმე შევეცადე სცენ.
ერთად ვიყიდე 12 ბილეთი და გაიმარჯვეთ.
რა ნიჭიც სამღერება მომესმინა შესანიშნავი
ხმები მარტო ზუმბაძის, ბატისტინის, მარ-
კონის, ტამანიოს. ამ ეკლესიელებს თავის ძლი-
ერი ხმა ქონდა, რომ მთის რაიმე „ოტელლო" და
სასიოვლ თავის შეცდომას შეიძლება და გამ-
წარმოვიდა დაუვიწყარი უჩვეულოს ეგრე დ
შევეგუეებით წამოიძახებდა „ეურეკა!" ეს
მისი კეპეთი ხანგრძლივი სიტყვა თეატრის კედ-
ლებს ეხრება ესმოდათ. განვაჭრდე ტენორი მა-
ძანი და ბარიტონი კოტონი წინაშე მშვიდ ეს-
ტესტიკურები პერსონაჟებს. ალდა ეკეე ხანში
მესაფლები ოპერის არის იყუჩებენ მომიწოდ-
ებას. მე ხომ ქონდა შემთხვევა ბიოლ მოვ-
მენისა ერთ კონცერტზე, მიანის **La donna e mobile** (რიგოლეტოდან) ძალიან გასაოცარი
იყო.

პეტერბურგში ცხოვრება იმ დროს მოწყობი-
ლი ძვირი არ იყო. სტუდენტებს თვე 25-30
მან. ქონდა ყოველთვიურად შეეძლო თავის
გატანა. 10 მან. ბინის ოთახს იქირავებდით,
ხოლო ჩვეულებრივ სასადილოებში თვეში 6 მა-
ნეთად მოიღებდით ორ კერძს და ტკბილს. კვ-
ხი და პური, რამდენიც გინდოდათ, ეფასი იყო.
უკეთესი სადილები გარშავის და პოლონურ
სასადილოებში ღირდა თვეში 12 მან.

მე სტუდენტობის დროს ქონებრივად შეიძ-
ლება ვჩათვალო. მამაჩემის სიჭრელის ცხო-
ვლე მოგვეიდა. კეთილ დუღილი და ... ხარჯებს
ეგოდავენ მოვზიდეთ. ბიოლსაცვენი დამეჩმართ-
ნენ, გარდამე კოჭლუშაძეებზეც. ეს სახელი არ
იყო და ხანდახან უბრალო ბრძოლი და ბევრი
მიაცემ ბიჭებად. ასეთ გამარჯვების დროს ჩა-
ლიან გამოეგიდა მეც და მეგობრებს ცოტას
ას, რომ იყო ერთი მოორგანიზ ოთახების მან-
რიონი მოხდება. მარშალების კარგი ნაცნობი
რომელიც იყო სადგილებაც თეათრი. მოვეთ-
ლოთ მამაჩ და ნისად მოვეკიდებოდა ოთახს. იყ
თავისუფალი ქონდა და საშუალო გადაუხ-
და ბინის არა უნიკა, ვცხოვრობდით ვერნაოვ-
და. ხოლო სადილს უფრო ვეძებდით. შეუძ-
ლოდ ძველი სანოვაგებსაგან. ზოგჯერ რის ცოტა
დიდ. ნათქვამია: რიგორც გამოვიდა, ისე გა-
ლობდით.

უნივერსიტეტი რომ ვნახოთ, შევხვდით
საშმობლოში წამოსვლა უნიადობის გამო
ბოლოს რიგორც იყო მივეგებოთ ანდრია-რუს-
თას ცოტაოდენი ფული და გამოვეკიდეთ მი-
ვიდოდე სამშობლოში. აქ შევხვდი ნაცნობ
ხალხს შევედით, რომელიც მიმეხმარა ხანში
და ავივლი ჩემს მამისეულს.

## III. სალიტერატურო მუშაობა თბილისში

პეტერბურგიდან რომ დავბრუნდი, რამდენიმე თვე სოფელში გავატარე. [illegible] 1900 წ. [illegible] 79-ე [illegible]

[illegible] 1901 წ. [illegible]

ამ [illegible]

[illegible]

[illegible] (1900 წ. №36 29-31). [illegible] „[illegible]" S-ием-ის [illegible] „[illegible]" [illegible]

[illegible]

[illegible] „[illegible]" [illegible]

[illegible]

ამ წლებში, ქუთაისში [illegible]

[illegible]

[illegible]

ქუთაისში [illegible]

[illegible] ქუთაისის [illegible]

ქუთაისის თეატრის წარმოდგენებში [illegible] „[illegible]-ლში".

ამ თეატრთან დაახლოებამ და მისმა [illegible] განწყობილებამ აღნიშნა, რომ [illegible] გადაყვა ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი". [illegible] 1907 წელს თბილისში [illegible] (იხ. „ისარი", 1907 წ., № 217). [illegible]

ქუთაისში [illegible] ქართული [illegible] თბილისში.

[illegible] ქართული თეატრის [illegible] თბილისში [illegible].

თბილისში [illegible] 1901 წ. [illegible] [illegible] ქართული [illegible] თბილისში [illegible] 40 [illegible] „[illegible]" [illegible] (1851—1914) [illegible] „[illegible]" [illegible] ქუთაისის [illegible] თბილისში [illegible] (1868—1921), [illegible] (1852—1913), [illegible].

[illegible] (1858—1921), [illegible] (1872—1948), [illegible] „[illegible]", [illegible]

[illegible] ქართული [illegible].

[illegible] (ღვდელ) [illegible] [illegible] ქართული [illegible]

[illegible] 5-0 [illegible] [illegible]

[illegible] 20 [illegible] „[illegible]" [illegible] „[illegible]" [illegible] „[illegible]" [illegible] [illegible]

[illegible]

ხურებოდა, ძალიან ცოტა იყო: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატული საზოგადოება, თბილისის თავადაზნაურთა მიწ-ვთა ღამზრდი კომიტეტი, ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა, სახალხო სახლები და წარმოდგენათა ქართული სცენა, საქველმოქმედო საზოგადოება, შერმე დასხლი სასწავლო და საკონსერვატორიო საზოგადოება, ფილარმონიული და სამუსიკო საზოგადოებანი. კლუბური დაწესებულებები ერთი მეორისაგან ნაწილობრივ თავადაზნაურთა ბანკი, რომლის მისი მთავრის ნაწილი ხშირებოდა ჩვენ კლუბური სურათების, აგრეთვე თბილისის თავის ამხანაგობა თეატრების საერთოდ, რომელსაც ის საერთოდ ჩვენ ამხანაგობა საერთო ერთული საერთებზე თბილისის საზოგადოებრივი ძალის კრებები ერთ ერთის თეატრის იწვევდნენ, ფეხბურთი ძალის საერთებს სულდგმულობდნენ. მაგრამ ეს ჩემის ძალის ცუდ ადამ იყო.

სახალხო სახლებიდან სვწავლის მოქმედება ეწყობოდა მემორიალებისთვის. მის მოღვაწეობაში ატეირ მონაწილეობას იღებდა, სხვათა შორის, ვ. ლასხიშვილი, რომელიც მხარდამხარ ამშვიდებდა წარმოდგენებში. ზუბალაშვილის სახლი (ახლა მარჯანიშვილის თეატრი) რომ აშენდა, სწორედ ამ სახლში დიდ ადგილს დაუთმობდნენ ქართულ წარმოდგენებს.

ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა დაარსა ქართველმა ინტელიგენციამ. ქართული წიგნების გამოცემის და გავრცელების საქმეს გამოუყენებია საქმე ძალიან ცოტა იყო დაგვიანებული მაშინ გარეთ სასწავლო სახელმძღვანელოების წერილის სამა-ოთახი ბიბლიოთეკა აქ გამოდიოდა მეორე დროება და ისე 10-15 წლისათვის არ სავსებით ქართველთა გამომცემელი ამხანაგობის გამოცემის, ასევე გამოცემის ამხანაგობამ კრებულები, ამას ჟურნალისტიკა შესაძლო საზოგადოება ამხანაგობა იყო გამომცემელი ყოველთვიური ჟურნალის „მოამბის" და შემდეგ მასწავლებლის, როგორც ეს ისე ადამიანის ... ამხანაგობამ მოიპოვა. ... ... ... სამუშაოების შედეგი და ... საქმეები მისცა. სხვადასხვა გამართული ... მოქმედი ბოლო წლებში ამხანაგობის საქმეები მიიღო თავმჯდომარე გახდა ... ...

თბილისის ვეჟებინის მოწინავეთა დამხმარე კომიტეტი განაგებდა თბილისის საადგილმამულო (ქართული)-გიმნაზიის და სამხრეთ საათის ... საქმეებს. მისი საზოგადოების კრებები ... საზოგადოების ... რომელიც ასევე ... მარტო ამ სასწავლებლის, არამედ საერთოდ ქართული განათლების და კულტურის.

ქართულმა თეატრმა ფეხი მოიკიდა თბილისის ... ჩვენი ერთ-ერთი დაწესებულების საქმიანობა. რუსთველის თბილისის ქართული თეატრი ძალიან მოიკრიბებოდა, თუმცა ჯერ ნახევარი სცენის ისტორია ქონდა. ამის მიზეზი არ იყო არტისტული ძალების სიმცირე. პირიქით, პირველხარისხოვანი მსახიობები გვყავდა ბევრნაიც იყო და იშვიათი ძალები. ერთ-ერთი იყო უსახსრობა, საზოგადოების გულგრილობა. ეს წარმოდგენების კონკურენცია, რომლებიც ეყოლა პირობებში იყვნენ. ქართულ წარმოდგენებს ესწრებოდა ქუჩელი დრამატული საზოგადოების გამგეობა არ იყო თავის არტისტების ამხანაგობა, უკანასკნელ შემთხვევაში დრამატული საზოგადოება გარდა ეწყობოდა ხელს თეატრს. დრამატული საზოგადოების მეორე დამჯდომის ახლავდა სათ. ა.ჩ. ბანსი, იმართებოდა ყოველ წლის ბოლო მის სასარგებლოდ, სამზარეულო გაიმართებოდა კი ხელს უდიდეს შემოსავლით. საზოგადოების კრებებზე მეტი დროირი იყო ხოლმე ხელსრების მოსამართლე. არა ერთი და ორი ჯგუფი ყოფილა წარმოდგენილი, მაგრამ საქმეს არა შედეგება, წარმოდგენები იმართებოდა კვირაში ერთხელ ან ორჯერ და ერთად ხშირად სასტუმრო ცალკე იყო იმდენად თუ რომელსაც მოგვა ორჯერ ან სამჯერ დაიდგმებოდა სეზონში. ყველაზე მეტი მოწონება ქონდა ისტორიულ პიესებს. სეზონი გრძელდებოდა 6-7 თვეს და მერმე მსახიობები წვრილები რჩებოდნენ და მხოლოდ საქმის სიყვარული ახლევდა მათ სიმხნევეს და გამძლეობას.

ქართულ კულტურულ დაწესებულებებში, უმეტესად, მიწყალი ადგილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ეკუთვნოდა. მე თავიდანვე დავუახლოვდი მის მუშაობას. 1902 წ. დაწყებული 1910 წლის შემდეგ ვიყავი მისი გამგეობის წევრი-მდივანი და ხაზინადარ-მოადგილე. წ. კ. საზოგადოება დაარსეს ქართველმა მოღვაწეებმა 1879 წელს და მისი პირველი თავმჯდომარე იყო დიმ. ყიფიანი. საზოგადოების სკოლებში პირველდაწყებითი სწავლება სწარმოებდა ქართულად, წინააღმდეგ სახელმწიფო სკოლებისა, სადაც სწავლება პირველი წლის მეორე ნახევრიდან რუსულად ხდებოდა. საზოგადოება ცდილობდა ყოველი წინააღმდეგობა გაეწია ბიუროკრატიის გადამგვარებელი პოლიტიკისათვის და დაეცვა ქართველობა მრავალგვარ შევიწროებისა, ბევრი სოფლის წევრად და წესდებით დადგენილ გადასახადს ისე შემოწირულობით ამხობდნენ საზოგადოებას. მერმე და მერმე შემოსავალი მცირდება, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ არც ერთი ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულების მოღვაწე არ შეუძლია ამდენი ყურადღება. რამდენიც წ. კ. საზოგადოების ქონება მის სასარგებლოდ გამართულ საღამოებს და სეირნობებს ყოველთვის უამრავი ხალხი ეს-

[illegible] მოგვაწოდებს [illegible] **წ. ჯ. სახოკიათ-ების** შენიშვნა. [illegible] ქართველ [illegible] საქმეებისა.

ის ი. გოგებაშვილი — ერთი მოგვარებულის და თავის [illegible] ენით [illegible] და [illegible] ქვეყნის [illegible] ლიტერატურა [illegible] ტურის და ამით [illegible] მოსვლის [illegible] რომელიც საქმე-ლი [illegible] და [illegible] გვიჩვენა, საქმეთა [illegible]: და-[illegible] უცხოეთ [illegible] ქართველი ენა, წიგნი, განათლება, მთავრობის [illegible] პოლიტიკა, ბრძოლა ქართველის [illegible] წინააღმდეგ, ქართველების [illegible] ბა—ის, [illegible] წლის [illegible] მისი [illegible] საქართველოს [illegible] სამშობლოს [illegible] [illegible] და [illegible] ქვეყნის [illegible] საკითხში. [illegible] ქართველი ხალხის საუკეთესო [illegible] [illegible] რომ [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] ქართველ [illegible] [illegible] რომ [illegible] [illegible] [illegible] თავის წიგნებს, [illegible] „[illegible]" და სხვა თავის [illegible], [illegible] რომ [illegible] [illegible] რომ მის [illegible] ხალხში [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ენის [illegible] ჭ. წ. [illegible] [illegible], [illegible] ქართველის [illegible]. [illegible] [illegible] [illegible], რომელიც ქართველის [illegible] [illegible] და მის [illegible] [illegible], [illegible] [illegible] რომ [illegible] და ან [illegible] ქართველების [illegible] და [illegible] [illegible] ან მის ან [illegible]. [illegible] [illegible] და [illegible] **წერილებით**, [illegible] თავის [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] სამშობლოს [illegible] და [illegible], [illegible] და [illegible].

ის ჰ. [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible], ის [illegible], [illegible] ქართველი წიგნის [illegible]. [illegible] (1834-1910, [illegible]) წ. ჯ. სახოკიათების [illegible] [illegible] ქართველი [illegible] [illegible] [illegible] ის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

ლიად სახელში წიგნებს, რომ [illegible] [illegible] ამის [illegible] [illegible] [illegible] რამე [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible], ის მოგვარებულებს [illegible] [illegible] ნ. ცხვედაძე, წ. ჯ. სახოკიათების [illegible] [illegible] [illegible] სახოკიათ მოგ-[illegible] და [illegible] გ. [illegible], ლ. [illegible], ქ. [illegible], ვ. [illegible], [illegible] ([illegible] [illegible] [illegible]). ის [illegible] [illegible] ნ. [illegible] — [illegible] და ალ. [illegible] რომელიც [illegible] [illegible] [illegible], ის [illegible] [illegible] და [illegible] [illegible], რომელიც [illegible] [illegible] [illegible], ის [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] და [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible], ის [illegible] ა. [illegible] და ა. [illegible], რომელ-[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] ნ. [illegible] [illegible] რამე ქართველი [illegible] [illegible] ის [illegible] [illegible] შ. [illegible] ([illegible], ლ. [illegible] და [illegible] [illegible] ან. [illegible], ის [illegible] [illegible] თ. [illegible] და [illegible]. ის ს. [illegible] ნ. [illegible], ლ. [illegible], [illegible] ნ. [illegible], [illegible] და ალ. [illegible]: ის ან. [illegible], ა. [illegible] და [illegible] და [illegible]. ის [illegible] [illegible], რომლის [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რადგან [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] თავის [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]... [illegible] ჩვენ [illegible] [illegible] [illegible] ან [illegible] [illegible], რომ ეს [illegible] ან [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] და [illegible] [illegible] ([illegible] [illegible] [illegible] [illegible]). [illegible] [illegible] და ეს [illegible] [illegible] [illegible], [illegible], რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] — [illegible] [illegible]. ეს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] თავის [illegible] და [illegible].

ამ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

[illegible]

**История Грузии (культурно-историч. набросков)** [illegible]

[illegible] **«Кавказ»** [illegible]

[illegible]

[illegible]

## IV. მე როგორც გამომცემელი და რედაქტორი

[illegible]

[illegible]

რიგმა ზეგავლენა და შეხვედრების სხვა ცნობების მიხედვით.

ასე იყო თუ ისე, „ნ. ზარათიშვილი 1922 წლისთვის, ქართველი გაზრდილი და მისი მეგობრის შეგონებით შეუძლებელი, თვითმართველი დიდების იყო ქართული წიგნის ისტორიაში, ბასიანთა ცეცხლოვანი ხასიათის გაშლილი ქართულ ენაზე.

* * *

ცნობი ცოდნით და ნათლისღებით იყო ბევრი სატირული და სხვადასხვაგვარი მიზნით ჟურნალ-გაზეთების: „გლეხი“[1] — „მიწა“ და „შხუ“ — „ფიჭუნია“ დასახელებები და გამოცემაში.

საქართველოში გლეხთა სასოფლო-ეკონომიკური მოძრაობა ადრე დაიწყო, გურიაში პირველად და იქიდან მთელ საქართველოს მოედო, განსაკუთრებით 1905-1906 წლებში. გლეხების გამოსვლებს ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მონაწილეთა სოციალური გამოსვლები ხშირ შემთხვევაში არ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ მიზნებთან, და ქალაქის მუშათა მოძრაობის გამოცდილებას ხშირად მოკლებული იყო. ამ სოფლის ხელმძღვანელობა და მისი ამოცანები სოციალურ გამოსვლებში ადვილად ხერხდებოდა. გლეხობა მისი ცხოვრების პირობების მიხედვით დაყოფილი იყო და ნაკლები ცოდნა და მომზადება ჰქონდა, ვიდრე ქალაქის მუშებს.

აი ამ საქმეში ჩაებნენ ცნობილი გამომცემლები და მოწინავეები მოწოდებით, ხალხის ენაზე საჭირო ცნობები, დაკავშირებული გლეხთა სამყაროსთან „გლეხი“, რომელიც პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წ. 22 აპრილს, ამ დადგენილების შესაბამისად წარმოადგენს იქმნება მაშინდელ სოფლის გამწვავებულ საკითხებს, ენისა და სტილის მიდგომა მკითხველს ხალხურად აწვდიდა: „გლეხის გლეხი“ ჰქონდა სათაურად ჩვენი გამოცემა და ამ ჟურნალის გარშემო, რომელიც ხელში აიღეს და რომელმაც ეხმარება ჟურნალისტების ცხოვრებაში. გლეხი არ ავიწყდება, რომელიც დიდ და ღარიბ მუშათა სოფლის ოჯახის ცხოვრება, რომელსაც არ იყოს არც მიწა, არც საქონელი, რომლისთვის არ არსებობს არც ხელფასი და არც საცხოვრებელი, რომელიც მუშაობს დღიურად ლუკმისთვის, წლიდან წლამდე და ცხოვრების გადაჭარბებული მუშაობა... გლეხი აი ავიწყდება, ვინც მუდამ შრომობს, შიმშილით წელში მოხრილი, ცხოვრების პირობებისთვის ცხოვრობ შეწუხებული არ ნახულობს დასვენებულ



ქოხში, ვინც იტანჯება ათასგვარი უსამართლობებით და შევიწროვებით და ვისაც ამ ტანჯვაში ხელს სდებს... გლეხის და მისი ძმის, ქალაქის მუშის მეკავშირე ქვეყნის მთელი სიმდიდრე და მთელი ცხოვრება ეკუთვნით. მხოლოდ მათი, რომელიც შრომობს მიწის, ქარხანა-ფაბრიკის, რკინიგზების და სხვ. ქონება საკუთრებას, არ უნდა ეკუთვნოდეს მემამულეებს, მეფაბრიკეებს, ვაჭრებს და მთელი სიმდიდრე უნდა იყოს მუშა ხალხის ხელში. გლეხო, მუშა გლეხი, გამარჯვება წელში, ძმათ ხელი მისცე მემამულეებს და მეფაბრიკეებს და მუშებს: „კმარა ჩაგვრა და ტანჯვა, მე დავმარცხე ვარ და არ მინდა სხვისი ლუკმა ვჭამო, სხვას ვყვლიდე... ჩემი მარჯვენის ნაყოფი მე უნდა მეკუთვნოდეს და ვინ იცის, ვისც წინ გადაიხადება და მიწის მფლობელს, კარგად დავსჯით და დაწესებულების გარეშე მიუგოთ მიწა და თავისუფლება!“

მეთაური მიმართვა არ. კიკნაძის ლექსი „გლეხი“. შემდეგ იყო წერილები: „მემამულე ხალხის მტერია“, „ბიუროკრატიის ბატონობის დღე“, „საადგილმამულო საკითხები“. სათაურის ქვეშ მოთავსებული ცნობა „პოლიტიკა“, სოფლის მოძრაობის ამბები საქართველოში, გაზეთების ინფორმაციები და სხვადასხვა კორესპონდენციების მიმოხილვა, ჟურნალის ბოლოში — „გლეხებს“, მუშებს და ჯარის კაცებს მოწოდება: ჰ. არაყიშვილის „ხელი ხელს... „და ასე, მთელი ქვეყანა აღდგება“.

ამ სახის იყო შემდეგი ნომრებიც. „გლეხი“ გამოდიოდა სულ ერთი ნომერი. ყოველკვირეული ჟურნალი და ამის დროს შემდეგ მე გამოვცემ სატირული ჟურნალი „ბიჭი“, რომლის მეთაური ამ სიტყვებით იწყებოდა: „ვისი გუშინდელ „მიწა“ გლეხის, მიწიერმა გლეხის...“

„ბიჭი“ იყო ისეთი „გლეხი“, ისევე რიგული შინაარსით და მიმართულებით. ვრცელი და მკვეთრი სატირული და ძალიან მიმზიდველი ჟურნალი იყო მე კრებული მეთაურებს, სხვა წერილებს, კარიკატურებს, ფელეტონებს ამბებს, ვიცნობ ხშირად ილუსტრაციები, ფელეტონები სხვადასხვა წერილების საშუალებით. მაგრამ მცირე ყურადღება მიეპყრო შეგროვება სატირულ ნაწერებს — გლეხები, მუშები, ინტელიგენტები, რომლებიც მიწერილიყვნენ სხვადასხვა სახის ჩანაწერებს.

გასული ჟურნალი თავის მკითხველებს საინტერესო მასალებით ამზადებს, ერთმანეთს ხელს აწვდიან, მოუწოდებს და სოციალურ საკითხებს, ძირითადად აქ ჰქონდა ადგილი, რომ გლეხები სხვა ქვეყნებში (საფრანგეთში, ინგლისში) განთავისუფლებისთვის იბრძოდნენ მათ, რომ ამაღლდეს თავისუფლება. შეცდომა არის, ეროვნული ჩვეული ქალაქის მუშებთან, მათ უნდა თავისუფლება და მიწა, თვითონ გადასცეს თავის საქმეებს და მოუწოდოს სოციალისტური რომელიც მიაღწევს მათ ბედნიერებას.

„გლეხსა“ და „ბიჭში“ ეხვდებოდა ლექსებს

[1] „გლეხის“ რედაქტორი იყო მიხ. ადამაშვილი (ადამიშვილი), ცნობილი ქართველი მწერალი. იხ. გ. ბაქრაძე, „ქართული პერიოდული მიმოხილვა 1819-1945“, 1947 წ., გვ. 21. მეზობლების ცნობის მიხ. ჯავახიშვილი რედაქტორობა არ იყო. — ლ. ნ.

და ბელეტრისტულ ნაწარმოებებსაც ბეჭდავდა. ლექსები ირ. ევდოშვილის, ვაჟა-ფშაველასი, ი. რაზიკაშვილის, შ. მღვიმელის, ა. შანშიაშვილის, ე. მეგრელის, კ. რუხაძის, დ. თომაშვილის, ზანდუკელის, აბაშიძის, ზოძლუაშვილის, კვლივიძის და სხვ. და ბელეტრისტული ნაწარმოები ჩ. ლომთათიძის, ნ. ნაკაშიძის, ს. გუნიაძის (ს. მგალობლიშვილის), ვ. მელქაძიშვილის, და სხვათა.

ჩვენ სიტყვები გამოცემა ძალიან პოლიტიკური იყო. პირველ ხანებში მეცნიერების ცენზორების ტიპოგრაფიის ხელში „გლეხსა" და „მოჯას" და წოვეთებული ფელიეტონებს მთავარ ნომრის გამოსვლის. ეროვნის გაზეთი სასშურალო სიცენი გახდა. გაზეთის უქვსი კამოეტ ეწერა ფელიეტ. მაგრამ ზოგმა არ კმ. დაიწყო გაცემა. ბეჭდვისგან მომეტოდა დიდი პოლიტიკურობის და მოღვაწის წერილები. ვრცელ წარმოდგენა ვაძლევთ და მისი შემოსავალი ჩვენს რედაქციას შეეძლება. გაზეთის ტირაჟი 4500-მდე ადიოდა. ეს იმ დროისთვის ძალიან დიდი იყო. რიგში მაშინ ყველაზე უფრო გავრცელებული პოლიტიკური ქართული გაზეთი „ცნობის ფურცელი" 8 ათასზე ოდნავ მეტს ბეჭდავდა. „მოჯამაგირისა" „საგლეხო კალენდარი" (ლექსები და რიგი ფელიეტონების), ხოლო „რიგის ეძებს მოეწყოს ნოქის სიქმე" და სხ.

„გლეხი — მოჯა" რედაქტორის წარმომადგენელი და სოციალისტური პრესის იყო. რედაქტორ გამოცემა. ამან გამოიწვია სოფლის სოფლისთვის დაცემა. მოდენა, ბალის დაუჯერა სოფლის მოქმედების, მრავლის, ეს ლუნდელი ჩვენი სოციალური გამოცემასაც, იყო მისი გასავალი და გამოცემა აგენტების ხელში ფულის დახმარებით. მიუხედავად ამ პირობებისა გაზეთს შეუწყვიტეს „მოჯა". ცენზურმა ნომერი გამოცემის 1907 წლის 26 მაისს და მას ასეთი განცხადება დაურთო: „აგენტების მოწვეულობისა გამო „მოჯა" დროებით შეწყვეტილი იქნება. მოელოდება ხალხი, რომ გაზეთი მალე განახლდება".

ეს განცხადება არ მოხდა დაგვიწვეული, რომ სიმწყე უფრო ეშმაკობის აგენტების მოწყობილობა და შემდგომი ტერორით აიღო წინააღმდეგ პოლიტიკური მოღვაწის ხელი მიუხსნა და პარტიული არალეგალური გამოცემების დაფინანსებით, ასევე სასტიკებში ჩაწერეს. მაგრამ გაზეთის ნომერი გახდა, რომ ადმინისტრაციის ორგანოთა შემთხვევაში არ მოიფიქრა „მოჯამ" და შემდეგ გაჯერებული მისი ადგილის ცვლა.

ასეთი მდგომარეობით და ვითარებით იყო გამოწვეული ის, რომ მე გადავწყვიტე წმინდა ლიტერატურული ორგანოს დაარსება. ლიტერატურის კომპლექტი ჩვენი საგვარეულო საგანი იყო და კავშირი, შეიძლება აქ უფრო მეტი თავისუფლება ჰქონდა და მწერლობა, ხელოვნება ხომ ეროვნული ადმინისტრაციის გარეთ იყო და დარჩა.

ეს ჩვენი სალიტერატურო ჟურნალი იყო „მზე", რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1908 წ. 6 ოქტომბერს. ჟურნალის ყდის მოპირდაპირედ ამბები დახატული იყო სამხრეთ და კარგ ქალაქზე სათაური. მისი („ფესვებისავე" შემდეგ) დახატული იყო ნიკოლაძის. სათაურის ქვეშ ეწერა: „უმზეოდ მწერლობა — ბნელეთია, მეცნიე — ულავრია". ვაკეთებდით, რომ ჟურნალი ესთეტიკური ხელოვნების ერთ-ერთი რეპრეზენტანტი ყოფილიყო.

მეთაურში განმარტეთ, რომ ჩვენი ჟურნალი ახალი მოვლენაა საქართველოში, მაგრამ საჭირო, რომელსაც ის ემსახურება, ხელოვნება — უძველესი დროიდან მოდის, და ამას ემსახურება, რომ ხელოვნების სიყვარული განსაკუთრებით საქართველოში ძლიერ ჩანს, ვინაიდან ის ამტკიცებს ჩვენს დაუღალავ სულს და მოუღალავს ახალ ძალის რეაქციისთვის სიბრძნისმოყვარეობა. ხელოვნება იყო თავისუფლება და ყოველი მისი ნაწარმოები, თავისუფალი ხელის წარმოშობილი, ყოველთვის ეხმიანება მოთხოვნას და ამსხვრევს მის ბორკილებს.

ნომერში დაბეჭდილი იყო ი. ბეჟანიძის დადებითი მოთხრობა „ყაყი" და ლექსი, ი. ჭრელაშვილის „ჩემი თაყვანისცემის" (მეორე ნაწილი), „სამოთხეში ბოლოს" შ. არაგვისპირელის, ლექსები ვაჟა-ფშაველასი და ა. შანშიაშვილის, ისე ურიელის ლექსი პროზით, ... სიხარულის გადმოთარგმნილი, ცხოველი და ხელოვნება კ. აბაშიძისა და სხ.

მეორე და მესამე ნომერი ამავარი შინაარსის გამოვიდა, გარდა ილიას დაუბეჭდავი ლექსისა და „ყაყის" და ილიას „ჩემი თაყვანისცემისა", დაიბეჭდა ს. მგალობლიშვილის „ორი მეზობლის ისტორია", ხელ. დოლიძის „ქართული დეკორაციული სახლოსნები", იგ. გოგიბერიძის „ქართული სცენა", კოტეს „სოფლის ხელოვნების შესახებ", კ. მაყაშვილის „სინედრიონი" და სხ.

„მზის" არსებობა მესამე ნომრით დასრულდა. ადმინისტრაციამ იგი დახურა და რედ. გამომცემელი (ჟურნალის) ჩ. ასათიანი დროებით დააპატიმრა, რა იყო ამის მიზეზი, დასაშვებელებით ვერაფერი ვიტყვი.

„მზის" დახურვის არ შეუფერხებია და არც დაეხსნა, რადგან ეს ჟურნალი უნდა გამოცემულიყო, გამოცემით „ფესვების", ან დ. ტიტიშვილის (1838-1911, მხატვარ-ქსილოგრაფიკის), ფოტოლითოგრაფიის გამომცემლობით.

ეს ჩვენებელმა მეთაურებმა უნდა ილოდეს, რომ იმ დროის ყველაზე წარმატებული რედ. გამოსვლისთვის ისეთ პირს, რომელიც პოლიტიკაში მონაწილეობის არ იღებდა და ართვევინ იყო შენიშნული. რადგან ადმინისტრაცია ასეთ პირებს უფრო ადვილად აძლევდა ჟურნალ-გაზეთის გამოცემის ნებას. ასეთი ნებართვებით ეულად პირების რედაქციის წინასწარ ცაშზა-

დაიწყო ქონდა, რომ თუ ადმინისტრაცია რომელიმე გამოცემას დახურავდა, მეორეს გამოცემას შესაძლოა დაუყოვნებლივ.

«ფასკუნჯის» რედ. გამომცემლად ცნობილი იყო ჯი. ტატიშვილი იყო სტამბის და ხატოვანი ასოების ამომჭრელი ხელი და ლითონზე და ქვაზე წერაში რომ მონაწილეობდა ნახატი ოსტატობით, სულ მისი ნახელავი იყო.

«ფასკუნჯის» თანამშრომლები, რასაკვირველია, იგივენი იყვნენ, ვინც «შუბის» მეშვეობით და ჟურნალის სახეც არ შეცვლილა. «შუბ» და «ფასკუნჯის» ბოლოს ხანში ნომერი ყოველდღიური ცენზურის ფორმაში იყო გამოსულა. მერე კი ჟურნალი უფრო ფართო რეგულარული მიიღო.

მწერლები — ხელმძღვანელები, პოეტები, კრიტიკოსები თითო სიტყვიერებით და ჟურნალისტები შეხვდნენ ხელი დაწერილ სიტყვებს, ცხოვრებისეულ პოლემიკით ხელის შეწყობას და ხალხთა მიმდინარე მასალის, რასაკვირველია, ესისგადაკლით «ფასკუნჯი» გამოვიდა 1908 წ. რვა ნომერი და 1909 წელს 13 ნომერი.

ბევრი სხვადასხვა ნაწარმოები გამოქვეყნდა ამ ჟურნალ ხანმოკლე გაგრძელება ილიას დიდებულიდ ხაწერილის და აკაკის «ბუშო თავის» ლექსები ბეჭდავდა ილიამ დარისპანი როგორც ქველი მოთხრობის, ასე ახლების აკაკის, ილია ჭავჭავაძის, ი. რაზიკაშვილის, ბანანის, ნიკოლაძის, არ. ევდოშვილის, ი. ჩხეიძის, ა. მაჩაბელის, ს. ახოსპირელის, ი. მანსვეტაშვილის, დ. შენგელაიას, ი. გრიშაშვილის და ი. ჩხენკელის დაიბეჭდა თითო-თითო ლექსი. ბელეტრისტები «ფასკუნჯში» მხოლოდ პატარიმან ჟურნალის წინაშე ქრონიკულ ფელეტონს, ერთ სურათს ჟურნალის ერთი თანაბარი ადიღწონა. პირადად, მოთხრობის მოიცავს მინიმუმ: ლექსი ნაწყვეტი და ჟაკ «ფასკუნჯის» დაიბეჭდოთ. გამოკვლევა, წავიკითხოთ და მიმოკლე შეხედულება რომ ჩვენს წინ ნამდვილი პოეტური ნიჭის მატარებელი იყო. ის ლექსი ახლადაც ნომერში დაბეჭდა ისე მერიგე სხვა ლექსები მოიცავს ეს წამიღება ახლად დაბადა იყო.

ბელეტრისტიკიდან «ფასკუნჯში» დაიბეჭდა იყო ნაწარმოებები ს. მგალობლიშვილისა, შ. არაგვისპირელისა, ან. ერისთავი-ხოშტარიასი, ვ. ბარნოვიშვილის, დ. ლეჟავასი, ეკატერინე ნინოშვილის სიმბოლის ცნობილების ახლოს სახიტრულის წინამორბედი აქტიურად და სახელოვანი. მისი ცალკე წიგნად გამოცემა.

«ფასკუნჯში» დაიბეჭდა ხალხური ლექსებიდან ი. მიქიანაშვილის ტრანსკრიპციით ზღაპარი და ეპიკური ძეგლის სახით, რომელიც მერე ა. ფურცელაძის ოპერის ლიბრეტო იქნა მიღებული.

ჟურნალის ერთგული თანამშრომელი იყო ლ. ხარაჯიშვილი (წერდა ხანუკან რომ ბანის ფსევდონიმით), რომელიც სხვადასხვა თარ-გმნით დაკავებულის და ლიტერატურული მოღვაწეობის ნიმუშებს.

კრიტიკულ-პუბლიცისტურ შენიშვნებს წერდნენ თანამშრომლობით: კ. აბაშიძე, ა. ხახანაშვილი, ი. გომართელი, გრ. ყიფშიძე, გ. ჯავახიშვილი, ბ. გოგიშვილი, არტისტებიდან: კ. ყიფიანი (დაწერა «ჩემი არტისტობის თავგადასავალი»), კ. შენგი, ვალ. შალიკაშვილი. «ფასკუნჯმა» დაბეჭდა ბ. ფილიაშვილის და სხვ. ნიჭიერის წერილები.

ჟურნალი ბოლოხანს იძლეოდა ყოველი შეგნებული, ლიტერატურის მოყვარე ადამიანისთვის ღირებულ სიურპრიზებს. სასურველი მასალის, ჯერ არ ავტორიტეტული მწერლობა, ბელეტრისტიკა, თეატრი, ან ილუსტრაციები წარმოადგენდა «ფასკუნჯს». თქმა არ უნდა, მხოლოდ მიზანი არ ყოფილა «ფასკუნჯის» ქართული ოჯახების გამოცემა შეიძლება. ქართული ადამიანების მიერ, ქართულ ბინებში. მაგრამ ჩვენ «ფასკუნჯი», ისევე შემთხვევაში, ხელმძღვანელი არ იყო და ამ დროით ვიდრე მეცნიერებით თავის სახით და მხატვრული დამუშავებული იყო.

ერთი გასამართლებელი სიტყვით კი ქონდა სამოგადოების რეალური ლიტერატურის და ხელოვნების ინტერესის დაცვა.

ეს არის ჟურნალის აღნიშნულ იმპერატორის სანამდვილოს და არის ნიში თავმოყვარეობის დაცვა.

1909 წ. აპრილის 26 შემდეგ იმპერატორი გაეცა შეზღუდვები ჟურნალის გამოცემა, რადგანაც მისი ტირაჟი დაეცა 300-მდე ძლივს და შემოსავალი ვერ ფარავდა აუცილებელ ხარჯს სტამბის, ქაღალდის და ფოსტისას. ფასკუნჯელ ნომერში გამოეცხადებინათ ჩვენი ხელმომწერები, მეორე ჟურნალის სწრაფი ფორმით და დარქმევით «ნიშადური».

«ნიშადურის» ისტორია, რომ ის ვერ ვერცელდება სიტყვიერი იოცემის სამეზურიდ დაბეჭდავს დასდევენ, ქალი მოვარდა, აქედან მოგვარდა, მოვლენამებულ სტამბის. შეფუთნებელი ლიტერატურა კ. მესხიშვილის, რომელიც დახმარებას ბევრის შეწყობას და გადაწყვეტა «ფასკუნჯის» გაგრძელებით თუ ვერ ჟურნალის ხასიათ.

ბოლოდ ნომერი გამოვიდა სამწუხაროდ შობის შემდეგ მალულად 1910 წ. დაშრეტის შედეგად ეს ნომერი გამოვიდა უკანასკნელი ზედსართავით, გვერდი კარიკატურა, მოხუცები არ ჰქონდა და შედეგი იყო კარიკატურებით. ახალი მოსაწყენები იყო ფერადი სურათი მე-17 «პატარა ტეატრისთვის» (ლამაზის ზეპირი გამოცემა), მერე იყო ფოტოგრაფიის სურათი შეუღლებული ქალი ილიას მეულის (ი. ნიკოლაძის ქორწილში) და ას გამოჩენილის პორტრეტები, ასე გაიშვა დაისრულა რამდენიმე ცნობილი სურათი. ტექსტი ნაწილი იყო: ლექსები აკაკის, კ. მაყაშვილის, გაზეთების და ა. ზანზიაშვილის; მასალა — ჯერ ტოლიანი, ალ. სარაჯიშვილის ნაირგვარი, დიტა ტრ. რაზიკაშვილის, ნიჭიერება, გ. გაბაშვილი-

[illegible] კრიტიკული წერილი და სხვ. „ივერიის" [illegible] [illegible]

[illegible]

## V. ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო

ილია ჭავჭავაძე [illegible] 1907 წ. [illegible], წერა-კითხვის საზოგადოების საერთო კრებაზე, [illegible] თავმჯდომარეობდა [illegible]

[illegible] წერა-კითხვის საზოგადოების [illegible]

ილია ჭავჭავაძე [illegible] საზოგადოების [illegible]

[illegible] საზოგადოების საერთო კრება [illegible] 1906 წ. [illegible] (1851-1906, [illegible]) [illegible]

ილიას [illegible] ნ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით.

[illegible] ილია ჭავჭავაძე წერა-კითხვის საზოგადოების [illegible]

[illegible]

ჟურნალისტის [illegible] — „ცნობის ფურცლის" — [illegible] იყო [illegible] და [illegible] მოღვაწეობა, რომ [illegible] ქართველ [illegible] და [illegible] ხმით.

[illegible] ჟურნალისტობას [illegible] ქართველ [illegible] იყო [illegible].

[illegible] იყო [illegible] და [illegible] გზით...

[illegible] რომ [illegible] 60-70-იან წლებში, [illegible].

1904 წ. გაზეთმა „ცნობის ფურცელმა" [illegible] წერილები და [illegible] „[illegible]": „[illegible] [illegible]"

ამ დროს, ამ საუკუნის [illegible] წლებში, [illegible] წერილები და [illegible] ჩვენი [illegible].

[illegible] ჩვენი [illegible] და [illegible] ჩვენი [illegible] „[illegible]!"

ეს [illegible] ნ. ნიკოლაძე და [illegible].

[illegible] ეს [illegible] [illegible].

[illegible] და საქართველოს [illegible].

[illegible] ქართველ [illegible].

[illegible] ეს [illegible] — [illegible].

[illegible] და [illegible]...

ჩვენს წრეში [illegible]...

[illegible] რომ „[illegible]" [illegible] ქართველ [illegible] „[illegible]". [illegible] La Georgie [illegible].

[illegible].

[illegible].

1901 წ. [illegible] ქართველ-[illegible] და [illegible] ქართვე-

[illegible]

[illegible] ილიას [illegible] სახლ-კარს და მატერიალურად [illegible]

[illegible] — ავეჯი, მორთულობა, ბიბლიოთეკა, ხელნაწერები. ამას წ. კ. საზოგადოების [illegible]

[illegible]

[illegible] 1910 წ. [illegible]

[illegible] წ. კ. საზოგადოების [illegible]

[illegible]

## VI. ძეგლი

[illegible] 1902 წ. [illegible]

[illegible] წ. კ. საზოგადოების [illegible]

[illegible]

ლები, ორატორები, მხატვრები, კოლმეურნე დე- [illegible] წარმომადგენლები, დიასახლისე-ბი, ხელოსნები, ოსტატები. ხალხით გაჭედილი თეატრის სცენაზე მოულოდნელად გამოჩნდა ეს [illegible] და ფეხზე წამომდგარ საზოგადოების [illegible] სახელოვანი [illegible] ტაში და „ვაშა“ [illegible]

[illegible] მივესალმება ი. [illegible] სახელით... [illegible], რომელიც [illegible] ყველა [illegible] წარმომადგენელი [illegible] ქართველ [illegible] რომ [illegible] ჩვენი [illegible] დღეს ჩვენ [illegible] ამ დღეს [illegible] ერთად [illegible] ქართველი [illegible] და [illegible] ქართული [illegible] სიტყვა [illegible] ახალგაზრდა [illegible] წარმომადგენლის [illegible] ქართული ენით და [illegible] წარმოთქმული.

[illegible] ქართველ [illegible] დიდი [illegible] ამ [illegible] და ქართველების [illegible] თანამედროვე [illegible] და [illegible] ეს [illegible] და სხვა [illegible] წარმომადგენლების [illegible].

[illegible] ერთი [illegible] და [illegible] რომ [illegible] და [illegible] წარმომადგენლები და [illegible] დიდი [illegible] და [illegible] და სხვა [illegible] და [illegible] მისი [illegible] წინაშე და [illegible], [illegible] დღეს.

[illegible] რომ [illegible] წარმომადგენლები [illegible] და [illegible], რომ [illegible] და [illegible] რომელიც [illegible] ჩემთვის [illegible]:

[illegible],<br>
[illegible],<br>
[illegible]<br>
[illegible] და [illegible]!

[illegible] ახალგაზრდობით, [illegible] „[illegible] ცოცხალი სურათი — „[illegible] და ნანა“, [illegible] მოეწყო [illegible].

მოგვიანებით იმისა, რომ [illegible] და [illegible] და [illegible], [illegible] და [illegible] ან [illegible], [illegible], რომ [illegible] დღესასწაული [illegible].

[illegible] დღესასწაულზე [illegible] წინა [illegible] ქართული [illegible], რომ [illegible] და [illegible], რომ [illegible] და [illegible] და [illegible], [illegible] და [illegible] და [illegible], რომელიც [illegible], რომ [illegible], რომელიც [illegible], რომელიც [illegible]... [illegible] რომ არ [illegible] გულით!

ამ დღეებში [illegible] გაიმართა [illegible] წერილებით სულ [illegible]. [illegible] ყველა [illegible] ჩვენი „[illegible]“ [illegible] და [illegible] 7 [illegible] წერილები. [illegible] რომ [illegible] ქართველი [illegible], [illegible] ჩემი [illegible] და [illegible].

[illegible] დიდი [illegible] ჩემი [illegible] ქართველი [illegible] და [illegible] დღესასწაული არ [illegible] 50 წ. [illegible] საქართველოს [illegible], [illegible] და [illegible].

ამ დღესასწაულის [illegible] ქართული [illegible], რომ [illegible] და [illegible] და [illegible] საქართველოს [illegible].

1930 წ. [illegible] და [illegible] საქართველოს [illegible], [illegible] და [illegible]

დით, ზოგჯერ ძალდატანებით ვეხვეწეთ და ბოლოს დაგვეთანხმნენ.

გვერდიგვერდით, რომ ავადის დასწავლებულა მოპყრობა ასეთია: 1 სტუდენტის და რამდენიმე სოფლის, ჩვენ მიწაზე საზღვრებში დავიწყებდით და გამოცდებიდან პრაქტიკის. ზოგჯერ თბილისიდან შეფუტვებოდნენ, რომ ავადის დასაფლავებლები მოხდება მხოლოდ 8 თვენახევრის, რადგან გასაკუთრების მოწყობა მიწიდან შორს შემოსაზღვრული არიან. ამის გამო თბილისიდან ჩამოსულები ისევ უკან გამობრუნდნენ, რომ მერე სხვებთან ერთად ისევ წამოსულიყვნენ გასწავლებაში მონაწილეობის მისაღებად.

დამქირავებელი კომიტეტის დადგენილებით, მოსამზადებელი გამოკვლევისთვის იქნებოდა სტუდენტთა ხალხისთვის 4 თვენახევრის, ამ დაბის საზღვრებში დარჩენილა. ხელმძღვანელ ლაშქრის წინამძღვრებთან შეხვედრებით და პირისპირ ღიად წარმოგვიდგნენ თბილისიდან, თანახმად ამ წესისა, კომიტეტის წევრები, მწერლები, პრესის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი ჩვენი ჟამიანობის ტოლად მივყვებით სხვადასხვა, აქ ჩვენ უთვალავ ხალხს მიუყვება თავი. ეზოსტუმრის სული უმრავლეს გულებისა. დაბრუნდებოდით მეხსიერება სიამის ავადის კუთხე გამოვასხივებდით მისი სახლისკენ. ცოტა შევხედეთ, თითქოს იმისთვის, რომ ავადის საწყლობით გამოსასწორებლად მამა-პაპეულ სახლ-კარს. პიროვნება ნელ-ნელა დაიბრუნა სიჩვეულებს. გზაში ხალხი გვეგებებოდა და სიხარულით მოგვიკითხავდა.

ეს დღესასწაული პიროვნებისა საზღვრისკენ მოიწვევდნენ. მოიწვიეს დიდი სტუმრები, ბოლოს თბილისში დაწერილებიდან იყო ერთ-ერთი მაშინ, თუ გამოდიოდნენ და მე ამ ამბავს არ გავიგებ-დი, ასეთი მხოლოდ: ავადის კუბოს რომ ვუყურებდი, ისე გულწრფელად დაწერილიყვნენ ხალხი ხვდებოდა და დაკრძალვაზე, ეს არ იყო ჩვეულებრივი დაკრძალვის, ტირილი იყო ხალხის მაჯისცემა. ეს თავგანწირვის ხალხი ისე მოეპყრობოდა და სიყვარულით რომ შესცქეროდა ავადის კუბოს, ცრემლებით ძლივს მისვლიან, სიტყვით ვერ სხვაგვარ უყვარ-დნენ გამოთხოვებოდნენ. თითქოს ცეც მისთვის — ამას ქონდა ძალაც ზეციურისა, ერთგულების ხასიათი. ეს ამოდენა მოდენილი ხალხი მე მოზღვავებული ბალღამის შემოკრებას რომ მელოდა წინაშე ამ ხალხის მისალოცავად. ეს იყო დაუვიწყარი და წარმოუდგენელი სიტყვები მოაწყვეტინა ლოცვებ.

ჩვენს ხალხს ყველა უყვარდა ავადი. ილიას იგივე ბედი ხვდა და ამ ბედნიერებამ მისი გამოკვლევების ხალხის ერთხელ ეროვნული ჩანაფიქრი გრძნობა, ხალხი ავადის რომ ასაფლავებ-დნენ, ხალხი გრძნობდა, რომ მის მხრებზე ერის ვალი იყო შესრულებული. ილიას ვერავინ ვერცხლი სხვა შოთავებიც აქვს, ავადს კი მხოლოდ ერთი მოტივი აქვს — პატრიოტიზმი, და ამ ერის ერთი ქართველი პოეტი ვერ ჩამო-

და ხალხის სიმწვევის, როგორც აკრძა. ბისი პატრიოტული ლექსები ხალხის საშვილიშვილო განძია. ამ ლექსებში ერის აწმყო, მომავალი, მის სიმწარე და მის გაბრწყინებას გზაზე ილაშქრების ღვაწლი და თავდადებაც...

აქ უნდა მოვიტანო ერთი კურიოზული დამახასიათებელი შემთხვევა. შორაპანში რომ ჩავედით, ყველა პატივსაცემი ბიჭი იყო ყვანჩაკი, სიტყვა მაქვს დაწერილი და უმაღლესი შეიძლება, კომიტეტის წევრებს ერთი ეპისკოპოსი მოგვიახლოვდა ძალიან შეწუხებული. წინასწარ ეს ძალიან საწყენად ეცეოდა. მერე დღის დილით ადრე შესძლებს სამგლოვიარო ვაგონები, ოდეს ჩარჩო ავადის კუბოს წინაშე და დაიწყებდა თავის სიტყვის იმავე კილოთი, როგორც ჩვეულება კათოლიკოსებმა ჩაიდინეს...

შორაპანში ეხლავე საბჭოელები მოვუყვნეთ, ზოგნი თბილისიდან იყვნენ. ზოგნი დაბადებით საქართველოში, რუსეთის სამეფოსთან სადავოები მოსულიყო იყო მოკლულები თბილისში. როცა ჩვენს სოფლელ-დამსაფლავებს მოუყვნენ ოფიცრები, იყენენ ქვეყნის მიმართებლის და პატრონების წარმომადგენლება, ძველი და ახალი ბობოქრები. გზაში ღიად მოლაპარაკენი დანიშნულ გაიზარდა, იმას გარეშე, თუ როგორი გეთაყვა ხმა და რას მოუტანს საქართველოს. მოგვიძლვნენ დაიწყებდნენ არა პატრიოტულ მიზნისთვის მიხვდნენ. ესენი ამბოხებულებს, რომ გამარჯვებით გერმანის კოლექციას. მეორენი — საფრანგეთი, ინგლისი და რუსეთი. ბოლშევიკების შეხედულებით, გერმანია რომ გამარჯვებულ და რუსეთი დამარცხდება, ეს გამოიწვევს რუსეთში რევოლუციას და საქართველოს მოიტანს თავისუფლებას. ინგლის-საფრანგეთის გამარჯვების მომხრეები კი ამბობდნენ, რომ ინგლისი და საფრანგეთი იმის მოკავშირე შემდეგ იქნებიან რუსეთს, რომ თავისუფლება გამოუცხადონ. იყო ისეთი აზრიც (გ. ლასხიშვილი), რომ გერმანია დამარცხდება, მაგრამ დამარცხდება რუსეთიც და მოხდება რევოლუცია...

თბილისში ჩამოვედით მეორე საათზე. ცხედარი მოასვენეს ქაშვეთის ეკლესიაში. დასაფლავება მოხდა მეორე დღეს, 8 თვენახევრის. სამგლოვიარო პროცესია ძალიან მრავალრიცხოვანი იყო დასაფლავებისას. ასეთი მოზღვავებული იყო ხალხი, როგორც მაშინ. მრავალი სიტყვები წარმოითქვა ერეკლის ბოლოზე. პირველად ილაპარაკა ნ. ხიზანიშვილმა, ავადის თანამოღვაწემ. წარმოთქმული ზოგიერთი სიტყვების მოხსენება ქრონოლოგიურ მიმდევრობით გამოიცემა დაბეჭდვის მოსამზადებ, მოსაგონარი ავადის მოსწავლე მწერალ ბედი და მისარ ავადს, დაუვიწყარ შვილს, რომ ცოტა სინათლე შემოიტანა ჩვენს მხარეში. ისეთივე მწველმა სიტყვით იყო წარმოთქმული კარგი ამაშინის სიტყვა. ეტყობოდა მე არაფერი გამოვიდა. ვარცხლის ზარის ხმასავით გაისმა მისი წარმოთქმული კაცი, დაიწყო ქართველი ძვირ-

[illegible]

[illegible] XIX [illegible]

[illegible]

## VII. [illegible]

ნიკო ცხვედაძე — 50-60 წლების სა[illegible]

ნ. ცხვედაძე ი. ჭავჭავაძის ახლო მეგობარი იყო [illegible]

[illegible]

[illegible] 70-იან წლებში [illegible] «Три месяца в Турецкой Грузии», [illegible]

ნ. ცხვედაძე [illegible]

1908 წ. [illegible]

[illegible]

[illegible]

## VIII. ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲡᲐ

[illegible]

მაშია. ცისფერის ესეთი სათაური არ მოეწო-
ნა და კრიტიკამ წამოშალა.

ჩვენ რუსულიდანაც სიცოცხლის ფუტურის-
ტები წერენ რომ დაეცემა. მათ „მეტრო ამბები"
სახელი ეწოდება. მერე ფუტურისტი გამზირ-
ზე ძველი სახელის ობიექტ, რომ დაეკავებინა ნა-
ტურა ამბები აწერდნენ ნიშნულად დიდის ამბებს.
ამ ფუტურისტების ცისფერის ფიდი ადგილი
ახირებული, სადაც წიგნების იყო: „მეტრო ამ-
ბებიც მოსწონდათ თავის დროს და ჩვენს ჯიუტ-
სებით ეკვრის ამბებს. იქვსით ფერი ჩვენს ეჯიბ
ჯა არია, არაფერ ჩვენს წინას! დავიწყებთ ამ
ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ მეტრო ამბებს
წამოდგენებს წინ, იგი არ არის სახლებული, და
გაჯერებული წინ, წინ! — ეურჩებოდნენ იმავე ვარ-
ამხედრების ადამიანის ვულგარულ სურვილის აღ-
მაინც ცხოვრებისას" და სხ.

რუსულ ფუტურისტები ხშირად რომ ცდილობდნენ ამ
სიცოცხლის დასაწყისიდან, ცისფერის გარეგ-
ნულ ახალ ზედამხედველობით და მეტრის გაგრ-
ნება — ადმინისტრაციის, ცენზურისგან, პოლი-
ციის გადმოცემის ხშირად იცავენ, ეს თვით
მან სულ ადმინისტრაციის განკარგულებით,
რომელიც უფრო შეურაცხყოფელი იყო. ვიდრე
ჩვეულებრივი ცენზურა. უფრო მეტი სიკ-
მაძღე იყო გარეგნული დემონსტრაცია და ზოგ-
ადად ტრადიციის დარღვევისადმი. ჩვენ „ცეკვის"
და „შფოთ" იბრძოდნენ ვიზუალ-კულტურის
განკარგულებით დაიცვა „ცხენის ფერისცვა-
ლებით ვიზუალურ-კულტურული იყო.

ადმინისტრაციის წინააღმდეგ სცენაზე და არა
უფრო და არა გამოცემის კონფლიქტის მოძ-

დონა. 1906 წ. ბოლო იყო, ბიჭუნების არსებ-
დამკვიდრდა „სიცოცხლე კალენდარი" წინამორბ-
ეულად ყოფილიყოს ხელთან პოლიტიკური-
(მილიტარიზმი) გამარჯვება, წიგნები რომ ფას-
ხანა. წამოეყენა პოლიტიკური, სადაც დღესაც
მალე დაიწყეს განვითარებად. ჩვენს ბედის პოლი-
ტიკური (პოლიტიკის ფერისებრ) ბრძოლის და
რატომღაც კარგი თვალით შეხვდნენ აქაოდ,
რატომღაც დაიცვეს ფერის ფორმები
წიგნები მოქონდათ. ბოლოსკენ ცხოვრება გადაწ-
ყვეტა არავის და ის სამშობლო ასეთ, გადამ-
ეთი. გადიხედე და რა ხანკი, კალენდრები იყო
განათლებული.

ასევე ვიქვი, რომ ცისფერი შეიძლება მეწინავე-
ბიდა არა მარტო ადგილებს წამოშლილი და ყვ-
ირილიდან, ხანდახან მხოლოდ ავტორის ფუტუ-
რის და რეალური დებიუტი იყო. ჩვენ ფუ-
ტურისტი ადგილზე შეხვდნენ ფერით გარემ-
ოებაში მოეწყობოდა „თვის „სიტყვის" (ჩვენი
ფუტურისტების) „მეტრო ამბებს" ვერ იტანენ.

ასევე ბიოგრაფიის მიზეზით იყო, რომ 1906 წ-
ჩვენი ფუტურისტები სხვა სახელი დაარქვა —
„ფერადი ამბები" და ფრანგული გამო-
ცემებით „სიტყვის" ნაცვლად „ოქროს" მოაწყ-
ეს ფუტურისტებმა, ასევე ვერ, დროებით მათი
სასტიკი არ დატოვებდა ცისფერი და ბოლო-
ცია ჩვენი ძველი „ცისფერისას" გამოცემის წეს-
ლებით.

შეიძლება ეს თავის შინაარსი იყო და მეტრ-
მა ოფიციალურ კარგად იცოდა, რომ „ოქროს"
„სიტყვის" გამოცემა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## «მწერალი და თანამედროვეობა»

გ. ბაიაძის წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები. [illegible]

[illegible]

გ. ბაიაძე, „მწერალი და თანამედროვეობა", გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1970 წ.

[illegible]

ბ. [illegible]

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

## დ. ᲒᲝᲒᲝᲭᲣᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ჟურნ. „მნათობის" 1970 წლის მე-2 ნომერში დ. გოგოჭურმა გამოაქვეყნა წერილი „ბახტრიონის ერთი ძველი ვარიანტი". ავტორის მიზანია, [illegible] 1659 წლის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] — [illegible] ([illegible]). ამ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. დ. გოგოჭურის წერილში [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] მეტი სადროშოს, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. ჩვენ აქ [illegible] [illegible] და [illegible] მეტი სადროშოს [illegible].

დ. გოგოჭურმა [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ცნობა, რომ ბახტრიონის ბრძოლაში [illegible] [illegible] მეტი სადროშოს. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომ სადროშოს „მეტი" [illegible] [illegible] [illegible], მეტი სადროშოს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] „მეტი"-ს [illegible] [illegible] [illegible] [illegible] სადროშოს, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], დ. გოგოჭური [illegible] [illegible] [illegible]: „[illegible], [illegible] [illegible] **[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]** [illegible] [illegible] [illegible] [illegible] „მეტნი" („მეტნი ხარი, სადროშოებო!"). **[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მეტი სადროშოს [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible], რომ ამ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] მეტი ([illegible]) [illegible] [illegible]** [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] „მეტნი ხარი სადროშოებო" [illegible], [illegible], რომ სადროშოებში [illegible] [illegible] [illegible] მეტი [illegible], [illegible] [illegible] „[illegible]" [illegible] რომ [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible], **რომ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] („მეტნი ხარი, სადროშოებო")... [illegible], [illegible] რომ სადროშოს [illegible] [illegible] მეტნი [illegible] [illegible].** [illegible] [illegible] [illegible] სადროშოს, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ([illegible]) [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].[1] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], „[illegible] [illegible], [illegible] [illegible], [illegible] („მეტი" — ა. შ. დ. ბ.) [illegible] [illegible] („მეტნი ხარი სადროშოებო"). ქ. სიხარულიძის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]: „მეტი ვარ სადროშოდ" ([illegible]) [illegible] [illegible] [illegible] ი. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] 1887 წელს, [illegible] [illegible] [illegible].[2] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] „მეტი ვარ სადროშოდა" [illegible], [illegible] ი. ცისკაროვისგან 1849 წელს გაზ. „კავკაზში" გამოქვეყნებული[3] და ს. მაკალათიას მიერ 1937 წ. [illegible] [illegible] [illegible].[4] ქ. სიხარულიძის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible]: „მეტნი ხარი სადროშოებო". [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ი. [illegible] და ა. [illegible] მიერ. [illegible], [illegible] ი. ცისკაროვის, ი. [illegible] და ს. მაკალათიას მიერ [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] „მეტი ვარ სადროშოდა" ([illegible]), [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] „მეტნი ხარი სადროშოებო".

---

[1] დ. გოგოჭური „ბახტრიონის ერთი ძველი ვარიანტი", „მნათობი", № 2, 1970, წ. გვ. 113-114 (ხაზი ყველგან ჩვენია).

[2] ქ. სიხარულიძე, [illegible] [illegible] [illegible], I. 1961 წ. გვ. 103, 313, 315.

[3] იხ. И. Цискаров, «Записки о Тушетии», «Кавказ», № 13, 1849 წ.

[4] ს. მაკალათია „თუშური ლექსები", გვ. 12, 1937 წ.

[illegible] 1959 [illegible]

[illegible]: «Песни эти чтоб более познакомить читателя с духом народа списаны мною слово в слово и переведены почти буквально». [illegible] «Я, Мети Сагиришвили, — не судите обо мне по виду», [illegible] «Тушин Мети Сагиришвили, человек малого роста, начал машиной делать деревянные ковша» [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

---

1 [illegible] ტ. II, V განყ. გვ. 134, 1913 წ.

2 [illegible] ტ. 3, გვ. 210

3 საქ. სსმ [illegible] 254, აღწერა 1, № 1278

4 [illegible] 1969 წლის [illegible] 34-3 გვ. 8.

1 Ю. Дешериев. Бацбийский язык, 1953, Москва, გვ. 17.

2 საქ. სსმ [illegible] 154, აღწერა 1, № 278,

3 [illegible] № 1, გვ. 2, 1931 წ.

4 [illegible]

შეიძლება ნამდვილად არსებული სახელით გამ-
ჩნდა.

[illegible] „ვეფხის“ [illegible] „ვეფხის“-ც [illegible] — [illegible] „ვეფხის“ [illegible] „[illegible]“, „[illegible]“. [illegible] ლ. გოგოჭური [illegible] — [illegible]

[illegible] — [illegible] „ვეფხის“-ს [illegible] — [illegible]

ლ. გოგოჭურის [illegible] „ვეფხის“ [illegible] ქ. [illegible] ლ. გოგოჭური [illegible] — [illegible] 1659 წლის [illegible]

ა. [illegible]შვილი,
ლ. [illegible]შვილი.

6.94/115

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# «МНАТОБИ»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ